

საქართველოს კოლიტგანათლ. მთავარ მართებლუგა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკიფ-პიესათა კრებულუი

გამომცემლობა „ნ ნ ა თ ო ბ ე“

ტფილისი.

1924 წ.

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტროს სახელმძღვანელო

ქ ლ ვ ნ ა თ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების
მთავარ მართებლობისაგან.

პ. ირეთელი.

ნიკოპატი

პიესა 4 მოქმედებათ.

22/IX — 26 'X წ.

ტფილისი.

გამოსვლა მეორა.

ვანო, დიმიტრი და ოთხი ახალგაზღა.

დიმიტრი—შემოდით, ბიჭებო! შემოდით. ნუგეშინათ, არც გასაძლომი მაქვს რამე და არც დასათრობი. ისე, შინაურულათ. (ყველანი შემოდიან).

ვანო—(ირინეს) ძალიან დაევიკვიანეთ, ჩემო რძალო, მაგრამ ისეთი სიამოვნება ვნახეთ, რომ მეტი არ შეიძლება. ის იყო მე და დიმიტრიმ ლაზათიანათ ვიბანავეთ, რომ თავს დაგვადგენ ეს ყმაწვილები. ჩვენც ისე გავგიტაცა ამ სიმღერამ, რომ ჩამოვსხედით წყლის პირათ ქვებზე და დრდებულათ გავატარეთ დრო. ყველაფერი გვეკნდა, გარდა სასმელ-საჭმელისა.

ირინე—(სიცილით) ძალიან მასპინძელი ყოფილხართ. მე კი შევეფიქრიანდი, ხომ არაფერი მარცხი მოუვიდათ მეთქი.

დიმიტრი—(მხიარულათ) ეჰ! რა დროს ლაპარაკია. აბა გენაცვალე, ჩემო ირინე (ახალგაზღვებს) ღმერთო კი მომკალი, რას უდგებხართ ბიჭებო, მადლობა ღმერთს სკამები მაქვს და თუ სკამები არ გეყოფათ ჩამოჯექით ზოგი ძირს, ზოგი ტახტზე. (საერთო სიცილი, დასხდებიან) ჰო! ჩემო ირინე! აბა, დატრიალდი. ცხელი კვერი, ჭყინტი ყველი, არაყი, ღვინო და მისი ჯანი. დღეს უნდა რჯულზე ვიქვიფოთ.

ირინე—(მხიარულათ) ეხლავე გენაცვალე ყველაფერი მზათ მაქვს (გადის) და იმ წუთში შემოაქვს ყველი, ქაღი და სხვა.

გამოსვლა მესამე.

იგინივე და ირინე.

ირინე—მიირთვით (გადის).

დიმიტრი—(მიუჯდება მაგიდას) აბა, ბიჭებო! მოიწით აქეთ! (ყველანი დასხდებიან მხიარულათ. აიღებენ ჭიქებს) აბა, ბიჭებო, დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ ამოაგდე ძირიან ფესვიანათ მეფე, თავის მინისტრ ღენერლებითა, გაბრიელ აბრაკაძე თავის ჰოპოზნიკ-იასაულებითა და გალაქტიონ ფაშუაძე თავის პრიჩენიკ-დიაკნითა, დაღვეს. (ყველანი დაღვევენ არაყს და შეექცევიან საჭმელს).

ვანო—(სიცილით) შენ, ჩემო ძმაო, დიმიტრი, ძალიან ღრმად ტოპავ და ეიროს აბანოში კი არ ამოგაყოფინონ თავი?!

დიმიტრი—(სიცილით) მამა უცხოზნდათ, ამომყოფინებენ და ვერ გაუძლებ, აი! რაც უნდა მიყონ, მაინც უნდა მოვესწრო მაგათ სეირს.

ვანო—(ღმილით) შენ იცი, ჩემო ძმაო, მაგრამ ასე თავდავიწყებამდე გატაცებაც არ ვარგა. ცოლი გყავს და შვილი. მე რა მიჭირს: მარტო ხელა კაცი ვარ.

დიმიტრი—რაო? ცოლი და შვილიო? რათ მინდა ცოლი და შვილი, რათ მინდა ოჯახი, თუ ყველაფერს ამომამზამებენ და ერთი წუთის ბედნიერებას ვერ ვიგროვებ?!

ვანო—(ლიმილით) ნამეტანი გადავარდი, დიმიტრი, და მინდა ცოტა შეგაჩერო.

დიმიტრი - (მხიარულათ) რა? შემაჩერო? უკაცრავათ! (სტუმრებს) აბა, ბიჭებო, შემოსძახეთ ერთი. (მღერიან. შემოდის ირინე).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე .

ივინივე და ირინე.

ირინე —(შემოდის. შემოაქვს დიდი ლანგრით ხაჭაპურები) უკაცრავათ, თქვენი პირიბე, ასე არ უნდა თქვენი პატივისცემა, მაგრამ რა ექნა? სულ ასე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს ეს ჩემი ქმარი. თქვენი საკადრისი ვერაფერი გავაკეთე, მაგრამ თუ კიდევ მომიცდით იქნება გკეთ პატივი.

ყველანი—რას ბრძანებთ, ირინე, ამაზე მეტი რა გვინდა, მობრძანდით, დაბრძანდით. (დასვამენ).

დიმიტრი—(ლიმილით) რადგან ასე ყოჩალი ხარ, შენი სადღევგრძელო იყოს. (სჯობს. ყველანი ადღევგრძელებენ და სვამენ, მღერიან მრავალგამიერს).

დიმიტრი—(სიცილით) ჩემი ცოლი პირველი სოციალისტია ღმერთი მაგას აღარა სწამს, წითელ პარასკევს კარგათ ქათამს მიირთმევს, ხელმწიფე, მამასახლისი და მღვდელი ჭირვიით ეჯაერება და ამაზე მეტი რა გინდათ?! (საერთო სიცილი).

ირინე —(ლიმილით) არა, მამა უცხონდათ! ეყოფათ, რომ ამდენხანს სულელი ვიყავი. ამ სიბერის ხანს დავრწმუნდი, რომ ყველა ჩვენ გვატყუებს და ტყავს გვაძრობს. (შემოდის ლადო).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ხ უ თ ი .

ივინივე და ლადო.

ყველანი—ოოო. მობრძანდი, მობრძანდი.

ვანო—(მხიარულათ. წამოდგება) სადა ხარ, ბიჭო? არ გეკადრება ამდენ ხანს ერთხელ მაინც შემოგველო და ამბავი გავგეგო?

ლადო—(ყველას ხელს ართმევს და დაჯდება ვანოსთან) ეჰ! რაც დღე მე ამ კვირაში დამაყენეს, ნულა იკითხავთ. როგორც ჩალვადრის ცხენს, ისე მატარებენ ხან მამასახლისთან, ხან ბოჭაულთან და ხან მაზრის უფროსთან. მთელი მაზრა შემომატარეს. რაც ბათომის გაფიცვა დამარცხდა და სოფელში მოვედი, მერე აღარ მომისვენია.

ირინე—(ბრაზიანათ) ოჰ, ნავათი გვარი და ჯილაგი კი ამოწყდეს! (ლადოს თეფშს დაუდგამს) მიირთვი რამე, ლადო, გლახა დროს გვესტუმოე და რა ექნა?

ლადო—(ლიმილით) ოჰ! რას ბრძანებთ, ირინე, გმადლობთ, გმადლობთ.

ვანო—რა უნდათ, ბიჭო, შენგან?

ლაღო — ვითომ არ იცი, რა უნდათ, პოლიციის მხედველობის ქვეშ ვარ და ყველა უნდა მიცნობდეს, ყველამ უნდა იცოდეს, საით გადავდგამ ფეხს, როდის ვიძინებ, როდის ვკვამ, როდის ვდგები, როდის დავამთქნარებ. (საერთო სიცილი).

პირველი ახალგაზდა — ძალიან დაღესილი აქვთ კბილები მაგ ურჯულეობს.

მეორე ახალგაზდა — იმ დღეს აბრაგაძე შემხვდა გზაში, სალაში არ მივეცი და შემოაშლივარა. მალე შენც იქ მიგაბრძანებთ სადაც შენ ვანოს და დიმიტრის და სხვებს.

მესამე ახალგაზდა — (სიცილით) იმ დღეს, ერთი სასაცილო საქმე დამეჩართა. კაცო, სულ ზღაპრით დავიწმუნდი, რომ ყველაფერი ეს ხატები, ჯვრები, მღვდელი და სხვა არაფერია, მაგრამ მაინც გულში რაღაც ეჭვი მქონდა. საღამო ხანს ჩვენი ეკლესიის ეზოში გავიარე, შევხედე კარები ღიაა და შიგ არავინ არის. ვიფიქრე ეხლა ვიშოვნე დრო მეთქი და შევედი შიგ. დავდექი ხატების წინ და დაეწუწუე ლაპარაკი — აბა ჩამობრძანდით, მაჩვენეთ თქვენი ძალა — უფლება. თუ ბიჭები ხაზთ გამოდით მეთქი და დავდექი ბაყბაყ მღვევით მათ წინ. ხმა არავინ გამცა, ისეთი სიჩუმე იყო, რომ უნდა გამოგიტყდეთ ცოტა დამაცხელა ტანში. ცოტა ხნის შემდეგ შევალე აღსავლის კარები და შევედი საკურთხეველში. სადაც თავის დღეში არ ყოფილვარ. რა ხდებოდა იქ ვერ წარმომედგინა. მივიარ მოვიარე. ყველაფერს ხელი შევახე, ერთხელ კიდევ გადავხედე ხატებს: — აი, თქვე გლახებო მეთქი — მივაძახე და გამოვედი გარეთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ცოტა კი შემეშინდა.

ყველანა — (იკინიან) ყოჩაღ! ყოჩაღ!

მესამე ახალგაზდა — (სიცილით) გამოვედი გარეთ თუ ამ კარებთან ჩვენი ხელკეი არ შენებდა? ვიფიქრე ვაიმე დავიღუპე და ის არის მეთქი. სად იყავიო წკითხა. ეკლესიაში მეთქი. რა გინდობდაო? ვილოცე მეთქი. ისე გაეხარდა რომ მეტი არ შეიძლება. „აი შვილო ასე უნდა, ღმერთი მუდამ უნდა გახსოვდესო. გაკურთხოს უფალმა, მითხრა ჯვარი გადამსახა და... ხელი გამომიშვირა იმ ოხერმა...“

ყველანი — სიცილით) მერე?

მესამე ახალგაზდა — მერე... მერე არც კი გამიგია ისე ვაკოცე. (საერთო ხარბარი. შემოდის ნუცა).

გ ა მ ო ს ე ვ ლ ა მ ე მ ე მ ს ე .

იკინივე და ნუცა.

ნუცა — (მხიარულათ შემოდის. უბრალოთ აცვია, ხელში გახეთი უქირაეს) განაჯობათ, გამარჯობათ (ქუდს მოიხდის და დასდებს, ყველანი წამოდგებიან და ნიარულათ ესალმებიან ნუცას).

ვანი — (სიკოლოთ) ყოჩაღ, ნუცა, ყოჩაღ, რომ გაგვიხსენე. ეხლა მთელი უღატოელები აქა ვართ, მხოლოდ შენ გვაკლდი.

იოინე - (მივა ხელს ნოკიდებს, მობრძანდი, გენაცვალე, დაბრძანდი, დედამ-თილი არ გყოლია ცოცხალი და რა ექნათ. (დასვამს სკამზე).

ვანო—აბა, ნუცა! გვითხარი რამე ახალი.

ნუცა—როგორც ვატყობ, თქვენ არათფერი იცით. ახალი გაზეთი არ წა-გვიკითხავთ!

ვანო—არა.

ნუცა—(გაშლის გაზეთს) გუშინ წინ ტფილისში დიდი ამბავი მომხდარა, აი, წაიკითხე. (აძღვეს გაზეთს ვანოს).

ვანო—(კითხულობს) „გუშინ, 24 ოქტომბერს, დილის ათ საათზე, როდესაც ტფილისის გენერალ-გუბერნატორი, ღრაგუნოვი, საკამენდანტოში მიდიოდა ეტლით, თავს დაესხნენ ბოროტგამზრახველები და ორი ყუმბარა ესროლეს. ღრაგუნოვი ნაფლეთებათ დაგლიჯა ყუმბარან. მეეტლე დაიჭრა. ბოროტ-გამზრახველები მიიმალენ“.

ვანო—(გახარებული) ბარაქალა, ბიჭებო, ბარაქალა. ეს კაი დიდი გველ-ვეშაპი მოუშორებიათ.

ყველანი—(მხიარულათ. სიცილით ტაშს შემოჰკრავენ) ურა! ვაშა! ვაშა.

დიმიტრი—(გახარებული) აბა, ბიჭებო, ერთი იმ ბიჭების სადღეგრძელოთ ლაზათიანი სიპლერა შემოსძახეთ! (მღერიან).

ნუცა - (იციინის) ერთი ეხლა ჩვენმა აბრაგაძემ დაგვინახოს? (ამ დროს გარედან მოისმის ხმა „იოინე! იოინე!").

ვანო—(გაიხედავს ფანჯარაში და სიცილით მობრუნდება) მამა ფაშვადე მოვიდა, ლობზე მომდგარა და შენ გეძახის, იოინე, პაემანი ხომ არა აქვს შენთან?

იოინე - (სიცილით) ისემაც ღმერთი გაუწყრეს.

დიმიტრი—(თითქო გაჯავრებული) დედაკაცო, ჭეი! შენ ხომ არ გინდა? ხუცესთან რა საქმე გაქვს. (კიდევ მოისმის ხმა „იოინე! იოინე*!").

იოინე—(გააღებს კარს) მობრძანდით, მამაო, მობრძანდით!

გალაქტიონ—(ეზოდან) ცოტა ხანს აქეთ მოდით, მეჩქარება.

დიმიტრი—(მიადგება კარებს) მობრძანდით, მამაო, მობრძანდით, გაევა გარეთ და შემოიყვანს მღვდელს).

გამოსვლა მუხვიძე.

გალაქტიონი და ივინივე.

გალაქტიონ—(შემოდის. რა დაინახავს ამ ურჯულო ხალხს, უცბათ შეკრ-თება და შეჩერდება. და ნელი ხმით, ჯვარს გადასახავს.) გაკურთხოთ ფთალმა ღმერთმა ჩვენმან, უკუნისით უკუნისამდე ამინ. (ყველანი ჩუმით იციინიან).

ვანო—(წამოდგება) მობრძანდით, დაბრძანდით, მამაო უკაცრაოთ, მაგრამ ნუ დაგეძრახავთ ღარიბი სუფრისთვის!

გალაქტიონ—(მივა ახლოს და არ დაუდება) გმადლობთ, ძალიან მეჩქარე-ბა, კაცი მყავს საზიარებელი და მაპატიეთ, ვერ დავეჯდები.

დიმიტრი—(ხელს მოჰკიდებს) დაბრძანდით, მამაო, ცოტა ხანს, იქაც მოასწრობთ.

გალაქტიონ—(არ ჯდება) არა, შენიქირიმე, ძალიან მეჩქარება!

ვანო—(მიაწყდის არაყს) უეცრაოთ! არაყი მინც მიირთვით, მამაო!

გალაქტიონ—(ჩამოართმევს) გაგიმარჯოთ, გაცოცხლოთ ღმერთმა, სიმწარე აგაშორეთ! გადაჰკარავს და დაიკმუნხება) უჰ! რა ცეცხლივით „ოტკაა“.

დიმიტრი—აიღებს თევზით ხაქაპურს და მიაწყდის) დააყოლე, მამაო, დააყოლე ცხელია (ყველანი იცინიან).

გალაქტიონ—(ღიმილით) ოჰ! რას ბრძანებთ! მარხვია! როგორ შეიძლება. (პირს მიიბრუნებს და თავისთვის) ვიჯმნი ეშმაკისაგან. ამ წყეულებმა არ შემაკლდნენ ოჰ! ერთი საღმრთო ბნელ კუთხეში მომცა შენი თავი, როგორ ჩაყლაპავდი! (პირს ატმაცუნებს) მერე, როგორ არის ყველით გატენილი! რა მშვენიერაო გამოუცხვია მაგ ოჯახ დაქცეულ ირინეს.

ვანო—(ღიმილით) მიირთვი მამაო, სახარება თქვენ ჩვენზე კარგათ იცით და იქ სწერია: „ჩამაეალი კი არ წასწყმედს ადამიანს, არამედ ამომავალიო“. (ყველანი იცინიან).

გალაქტიონ—(ღიმილით) თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ და არც მარხვა გინდათ და არც წირვალოცვა. (გადახედავს ხაქაპურებს და ამოოხვრით თავისთვის პირს ატმაცუნებს) ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან ოჰ! ერთი ჩემ ჯიბეში ამოგაყოფინა მაგ ხაქაპურს თავი, როგორ ჩაელუქმავდი გზაში? (ყველას თავს უკრავს) გმადლობთ, გაკურთხოთ უფალმა ღმერთმან ჩვენმან უკუნითი უკუნისამდე, ამინ! (ჯვარს გადასახავს ხელით ირინეს) თუ შეიძლება, მნახეთ ცოტა ხანს. (ირინე და მღვდელი გადიან).

პირველი ახალგაზდა—(სიცილით დიმიტრის) როგორც ვატყობ, ცუდათ არის საქმე, ბატონო დიმიტრი. (ყველანი იცინიან).

დიმიტრი—(სიცილით) ხომ არ უნდა ერთი მაგ ხუცესს კარგათ მოვბრიგო ამ კვირა დღით (იცინიან. შემოდის ირინე),

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე რ ვ ე .

ივინივე და ირინე.

ირინე—(შემოდის სიცილით) ოჰ! ღმერთმა დასწყევლოს მაგის თავი, საშველს არ მართმევს, მონათლე და მონათლე ბავშვიო.

ვანო—შენც რაღას ახირებულხარ, ავდგეთ და მოვნათლოთ, მაგას ერთი კარგათ გამოძღომა უნდა, სხვა არაფერი.

დიმიტრი—**ეჰ!** ჯანი გაეარდეს, მოვნათლოთ ამ კვირაში და ერთი ლაზათიანად ვიქეიფოთ. მხოლოდ ერთი პირობით: მთელი ჩვენი ეს კრებული უნდა დაესწროს ნათლობას. თანახმა ხართ?!

ყველანი—თანახმა ვართ, თანახმა.

ლადო—(სიცილით) „სმა ქაპა დიდათ შემარგი... მე მგონი, დროა გავათათო—(ყველანი წამოდგებიან, ემშვიდობებიან დიასახლისს. ვანოს, ნუცას, ლადოს და დიმიტრის და გადიან, დარჩებიან: ვანო, ლადო და ნუცა. ირინე როგორც აალაგებს და გადის).

დიმიტრი—(გადის ოთახში და შემოაქვს ქილობი) უკაცრაოთ, მარა მიედივარ ეხოში, ერთი ხის ძირში მწვანეზე უნდა წამოგვორდე და დავისეწო—(გადის. ნუცა და ვანო დასხდებიან. ლადო დადის).

ნუცა—(სიცილით) უნდა გენახათ, გუშინ რა ალიაქოთი ასტეხეს გაზეთში დაბეჭდილ შენ წერილზე, ვანო, (ლადო გაჩერდება და ლიმილით ყურს უგდებს) აბრაგაძე დორბლებს ჰყრიდა პირიდან, გაზეთს აფრიალებდა და ყვიროდა: „თუ ულვაშები მაქვს მთელ თბილისს შევსძრავ და გავიგებ, ვინც არიც „უღაბნოელი“-ო. და ვაჩვენებ სიერსო. მას უკან ფინიასავით დასდევდა მწერალი და კვერს უჭრადა. ყოველ შემთხვევაში სიფრთხილე გმართებს, ვანო. არ შეიძლება, რომ ეს ფსევდონიმი გამოიცვალო?!

ვანო—(ლიმილით. გადაკრით) არას გზით! ეს ჩემი საყვარელი ფსევდონიმი და მეორეც ჩვენ ჯგუფს, ჩვენ სექტას ძალიან უხდება ეგ სახელი. ჩვენი სოფელი მართლა რომ ნამდვილი უდაბნოა და ჩვენც უღაბნოელები ვართ.

ნუცა და ლადო—(იციინიან) მართალია, მართალი.

ლადო—(სიცილით) როგორც ამბობენ ნუცა, შენ ძალიან გეარშიყება თურმე ჩვენი აბრაგაძე. (ყველანი იციინიან).

ვანო—(სიცილით) მართლა ნუცა? მე მითხრეს კიდეც ჩვენი ქვრივი მღვდელი ეარშიყებაო.

ნუცა—(სიცილით) ერთსაც და მეორესაც თვალები დაუდგა. რამდენიც უნდათ, იმდენი იკენესონ. მართლა იმ ხუცესმა კი საქმე გამიკირა. გაათავებს თავის სამღვთო სჯულის გაკვეთილს თუ არა, შემოდის ჩემს ოთახში და ზის და ზის. რაებს ბოდავს, ღმერთმა ნუ იცის. ხანდისხან ისე მომაზნერებს თავს, რომ დავიხურავ ქუდს, თითქოს სადმე მიედივარ და მაშინ კი დაიძრება ბოდიშის ხდით.

ვანო—(სიცილით) აბრაგაძეც ხშირი სტუმარია შენი?

ნუცა—(სიცილით) ოჰ! იმის სახელი კი, გაწყდეს, ღლე არის ათასჯერ უნდა შემოეხეტოს, ათვარიელებს კედლებს, მოვა და შეკითხება, შეკეთება ხომ არ უნდა სკოლასო და სხვა. მერე დაჯდება ოთახში და გააბაძს კიანუროვით.

ლადო—ხუმრობა კარგია, მაგრამ, საქმეზე რომ ვილაპარაკოთ, უკეთესია.

ვანო—(ჩაფიქრებით) ჰო! მართლა, ლადო, აბა, მიაბზე რა გააკეთე?

ლადო—ყველა ენახე და გაავფრთხილე, რომ დანიშნულ დროზე უეჭველათ თავი მოიყარონ სახარისა ტყეში. სხვათა შორის უნდა გითხრა, ვანო, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, შენმა წერილებმა ძალიან ააყაყანა ხალხი და პოლიცია ფეხზე დგას. გრძნობს, რომ რალაც უნდა მოხდეს და ზომებს ლებულობენ.

ვანო—(ლიმილით) სიფრთხილე მუდამ საკიროა, მაგრამ, მე მგონია, ისე საიდუმლოთ გვაქვს ყველაფერი მოწყობილი, რომ, თუ მოლაღატე არ გამოკვირნდა, ვერას გაიგებენ.

ნუცა—ესეც მოსალოდნელია.

ვანო—არა მგონია, ჩვენთან ისეთი ბიჭებია რომ ვერც ერთს ვერაფერი გასტეხს. ყოველ შემთხვევაში შენ წადი, ლადო, ისევ დაათვალიერე ყველაფერი და გააფრთხილე ყველანი.

ლადო—კარგი, წავალ და ხვალ კიდევ შემოვივლი შენთან. (გადის).

ვანო—(დადის ჩაფიქრებული. შეჩერდება) ა, ნუცა! რომ ჩაუუკვირდები ხან და ხან ცხოვრებას. პირდაპირ შიშის ზარს მცემს. ბრძოლაა, ბრძოლა, დაუსრულებელი. ბოლოს და ბოლოს ისე გიტაცებს ეს ბრძოლა, რომ გავიწყდება საკუთარი თავი, საკუთარი სიამოვნება. მხოლოდ ლა მომავლის იმედით სცხოვრობ და ეს იმედი კი შორს არის. (მოუჯდება ნუცას გვერდით და თვალებში უყურებს).

ნუცა—(წამოწითლდება და თავს დახრის). ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში არის ჩაქსოვილი პირადიც და საერთო სიამოვნება.

ვანო—კი, მაგრამ, ერთი წუთი მაინც ვერ უნდა განიცადო ადამიანმა, რომ დაივიწყო ეს ბრძოლა, შესტოპო ოცნების სამეფოში და ხარბათ დაეწაფო პირად სიამოვნებას?!

ნუცა—(სიცილით) ამისათვის საჭიროა უთუთო შეყვარებული იყო.

ვანო—(თვალს არ აშორებს) რატომ გგონიათ, რომ მე შეყვარებული არა ვარ და ძალიან გატაცებულიც?!

ნუცა—(სიცილით, ტაშს შემოჰკრავს) ოჰო! ეს კარგი ამბავი გავიგე. ვანო შეყვარებული!. ეინ არის, ნეტა, ის ბედნიერი?!”

ვანო—(გადაეხვევა ნუცას, გაგიჟებით ჰკოცნის და ნაწყვეტ ნაწყვეტათ ეუბნება) შენ! შენ! ჩემო ყველავე, ჩემო იმედო, ჩემი გულის მესაიდუმლევე! (ნუცაც ეხვევა და ჰკოცნის. ხმა ვერ ამოუღია).

მოქმედება II

(გაბრიელ აბრაგაძის სახლის დარბაზი. შედარებით მდიდრულათ მოზთულია, ხალჩა გადაფარებული ტახტი. შუაში სუფრა გადაფარებული გრძელი მაგიდა, გარშემო სკამები. შუა-კარებთან კედელზე სარკე, შავი ჩარჩოთი, მარცხნივ „კამოდო“, ნაქსოვი სუფრით. ერთ კუთხეში დიდი ხატი ჰქონდა, ზედ აბრეშუმის ქსოვილი აქვს ჩამოთარებულნი და წინ სასანთლზე ნამწვევი სანთლით. სცენაზე არეინა. ცოტა ხნის შემდეგ განის კარს შემოაღებს აბრაგაძე და შემოვა.)

გამოსვლა პირველი.

გაბრიელ აბრაგაძე

გაბრიელ—(ნაცრის ფერი ჩოხა და შავი ახალუბი აცვია, წელზე ვერცხლის ბალთებიანი ბრტყელი ქაშარი, მალალ ყელიანი წალები. თავი შალის ყაბალახით აქვს წაკრული. მოგრძო წვერ—ულეაში. შემოაღებს კარებს და ვილაცას ელაპარაკება უკან) მომდიე ეხლა, სადაც წავიდე. გითხარი, რაც შეიძლება კარგი სადილი უნდა მოამზადო: დაკალი ქათამი, გოჯი, ძოხობა, ხარი, ყველა ოთხფეხი. ხომ იცი, რომ „პრისტატი“ მოვა დღეს? უთხარი მოჯამაგირეს და გააკეთებინე. მე ხომ არ უნდა დაგადგე თავზე? (მოხურავს კარებს გაჯავრებული და წამოვა წინ) ოხრების ყველას კუდში უნდა ვსულიო. (მეორე კარებს შემოაღებს მწერალი)

გამოსვლა მეორე.

გაბრიელ და სოლომონი

სოლომონი—(შემოაღებს კარებს და იქვე გაჩერდება. მდაბლათ თავს უკრავს გაბრიელს) დილა მშვიდობისა, ბატონო მამასახლისო!

გაბრიელ—(გაეხარდება) გაგიმარჯოს! აბა. ზობზძანდი, მიამბე: რა გამიგე? (მოჰკიდებს ხელს და ორივე დასხდებიან მაგიდასთან)

სოლომონი—(ჩაახველებს) სულ ყველგან ვიყავი, ბატონო გაბრიელ, მაგრამ ვერაფერი გავიგე. არეინ არაფერი არ იცის.

გაბრიელ—(წყენით) მაშ, ეს ჩვენი ლანძღვა ასე უნდა შერჩეთ?

სოლომონი—რაექნა, ბატონო. მე ჩემი შრომა არ დამიკლია და აბა, სად უნდა გავიგო?

გაბრიელ—კენესიაშვილისას არ ყოფილხარ?

სოლომონი—(შეშინებული) ღმერთმა დამიუაროს. უჯრ თავი არ მომძულეზია, ბატონო გაბრიელ, რომ მომკლან და საღმე ხევიში გადამაგდონ, რალა ეშველება ჩემ ცოლ—შვილს?!

გაბრიელ—(დადის ჩაფიქრებული) მაშ, ველარ უნდა გავიგოთ, ვინ არიან ჩვენში ეს „ბუნტოვნიკები“? არა, ერთი მითხარი, რა პასუხი გავსცეთ დღეს პრისტას? ხომ იცი, რა მოწერილობა მივიღეთ?

სოლომონი—ვიცი, ბატონო, მაგრამ რაქნა?

გაბრიელ—(გაჩერდება. დაბეჯითებით) მე დარწმუნებული ვარ, კენესია-შვილის შეტი მაგას ვერ დასწერდა.

სოლომონი—ბატონო გაბრიელ, ვიყავი ნუცასთან.

გაბრიელ—(გაოცებული) ვინ ნუცასთან? რას ამბობ?

სოლომონი—აი, ჩვენი სოფლის მასწავლებელთან.

გაბრიელ—(ბრაზიანათ) კაცო, ათასჯერ მითქვამს შენთვის: დაანებე თავი მაგ ნუცას თქვა და კიდევ იქ დაეხეტები? დიდება შენთვის ღმერთო. კაცო, რას ჩააცივდი მაგ ნუცას?!

სოლომონი—(მოწიწებით) არაფერი, ღმერთი, რჯული. ის ყველას იცნობს და მინდოდა როგორმე შემეცდინა

გაბრიელ—(გაბრაზებული, ხელების ქნევით) როგორ, თუ შეგეცდინა?

სოლომონი—მინდოდა გამეტეხა და გამეგო, ვინ არიან ჩვენი სოფლის „პუნტოვნიკები“. მე დარწმუნებული ვარ, ის ყველას იცნობს.

გაბრიელ—(ბრაზიანათ) არავისაც არ იცნობს. ის თავის საქმეს აკეთებს, ბავშვებს ასწავლის, სხვა არაფერი.

სოლომონი—(წყენით) მე კი მგონია და სხვა თქვენ იცით...

გაბრიელ—(გაბრაზებული დადის) არაფერიც არ იცი, კიდევ გუბუნები ნუცასთან სიარულს თავი დაანებე. იმას მე თვითონ მოველაპარაკები, (კარები გაიღება და თავს შემოჰყოფს მღვდელი)

გალაქტიონ—(შემოვა. მივა მაგიდასთან ჯვარს გადასახავს მწერალ—მამა-სახლისს) გაკურთხოთ უფალმა, უკუნითი უკუნისამდე ამინ.

გაბრიელ—(ხელზე აკოცებს) აქეთ დაბრძანდი, მამაო, და კაი ამბავს გაიგებ (მწერალიც ხელზე აკოცებს. გალაქტიონი დაჯდება)

გალაქტიონ—(გაოცებით) რა იყო, გაბრიელ, რა ამბავია, ჩქარა მითხარი!

გაბრიელ—(ღიმილით) ეხლავე. ახალი გაზეთი მივიღე და ერთი კაი ამბავი უნდა წაგიკითხო.

გალაქტიონ—(სიამოვნებით) ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ერთი კვირაა გაზეთი არ წამიკითხავს და არაფერი ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე.

გაბრიელ—(სიცილით) კაი რამესაც კი გაიგებ (მწერალს) აბა, სოლომონ, წაგიკითხე!

სოლომონი—(ამოიღებს ჯიბიდან გაზეთს, ვაშლის. ჩაახველებს და კითხულობს) „წერილი პროვინციიდან“. „სოფ. ბნელეთი“....

გალაქტიონ—(ნხიარულათ) ბიჭოს, ვილაცას ჩვენი სოფელზე დაუწერია, უფლოთ კარგი ამბავი იქნება.

გაბრიელი—(სიცილით) კი, როგორ არა. ქვევით ნახე.

გალაქტიონი —(ამაყათ) ბიკოს! რას გვერჩიან, მე და შენ ხომ მაინც! დიდი ამაგი დაესდეთ ჩვენ სოფელს, აგერ შენ სამინისტრო შკოლა გაქვს, ეგერ მე სამრევლო, და სხვა რა უნდათ? წირუა არ აკლიათ და ლოცვა.

გაბრიელ —(ლიმილით) გვაქებენ, მამაო! (მწერალს) წაიკითხე.

სოლომონი —(კითხულობს) „სოფ. ბნელეთი ერთი თვალსაჩინო სოფელია მთელ ჩვენ მაზრაში“.....

გალაქტიონ —(სიხარულით) კიდევაც...

სოლომონი —(კითხულობს) თავის ადგილმდებარეობით და მოსახლეობით საუკეთესო ადგილია კულტურულ მუშაობისთვის“.

გალაქტიონ —(თავს აქნევს) მართალია!

სოლომონი —(განაგრძობს) „მაგრამ, საუბედროთ, ყოველივე კულტურულ საქმეს, ყოველივე სახალხო საქმეს თავს დასჯდომია სამი ვეშაპი, სამი წურბელა: მამასახლისი, (გაბრიელ შეხტება, მღვდელს ეცინება) მწერალი, (შეჩერდება და გაზეთს ბრაზიანათ გაიქნევს) და მღვდელი“... .

გალაქტიონ —(შეხტება) რაო?

გაბრიელ —(სიცილით) რაც გაიგონეთ. ჯერ ეს ხილია, ქვევით ნახეთ.

სოლომონი —(კითხულობს) „მამასახლისი აბრაგაძე ნამდვილი აბრაგია, ნამდვილი ყაჩაღი, (გაბრიელ სკამზე ველარ მაგრდება სიბრაზით. გალაქტიონ მზიარულათ იღიმება) თმცა ის ხალხის არჩეულია, მაგრამ ხალხს სულს ართმევს, ტყავს აძრობს, მისგან არაეის მოსვენება არა აქვს“.

გაბრიელ —(წამოდგება, ბრაზიანათ) ვაი, დედა თქვენს. თუ გიპოვნე, გაჩვენებ სეირს! (დაჯდება).

სოლომონი —(განაგრძობს) მექრთამე, ჯაშუში, ქურდი და ავაზაკი...

გაბრიელ —(წამოვარდება და მუშტებს იქნევს) არა, ამას კი ველარ მოვითმენ. სადაც შეეხედები უნდა მოვკლა. თავი მომპრა.

გალაქტიონი —(აშოშმინებს) დამშვიდდით, გაბრიელ. რას უგდებთ, აჟურს ვილაც რალაცას დაჯღაბნის.

გაბრიელ —(დაჯდება) ჰო, კარგი.

სოლომონი —(განაგრძობს) „აბრაგაძეს მხარს უმშენებს მისი კუდი, სოლომონ კინკრიხაძე“ (გაზეთს გააგდებს და წამოდგება, ღელავს, გაბრიელ და გალაქტიონი ორივე ხელში ხელს მოჰკიდებენ და დასვამენ). აბა, ჩემთვის რალა უნდათ?

გალაქტიონ —(ლიმილით) მოთმინებითა შენითა....

სოლომონი —(განაგრძობს აღლევებით) „ნამდვილი წურბელა (შეჩერდება, ღელავს) რაც სიავეს სჩადის აბრაგაძე, ყველას კინკრიხაძის წყალობით“ (გაჩერდება და უნდა გადააფუჭიროს და ქვევით წაიკითხოს. გალაქტიონ თვალს ადევნებს).

გალაქტიონ —(ლიმილით) არა უშავს, წაიკითხეთ.

სოლომონი —(დიდის ტანჯვით კითხულობს) „აბრაგაძე და კინკრიხაძე ერთი მეორის დამატებაა, ორივე ერთათ აბნელებს ხალხს და სწოვს მის სისხლს“ (გაჩერდება და სულს იბრუნებს).

გალაქტიონ—(ლიმილით) არაფერია, წყალი დალიე და წაიკითხე.
ხოლომონი—(განაგრძობს) „მესამე, უმთავრესი ხალხის მტერი, არის მღვდელი ფაშეძე“....

გალაქტიონი—(წამოვარდება და გაოცებით) რაო? მე?..

გაბრიელ—(სიცილით) დიახ შენ!

ხოლომონი—(სიცილით) დიახ შენ! (განაგრძობს. გალაქტიონი დაჯდება და გაშტერებული ყურს უგდებს) „ის არის ნამდვილი სიბნელის მოციქული“...

გალაქტიონი—(ყვირის) რაო?

ხოლომონი—(ყურს არ უგდებს და განაგრძობს) ფლიდი, გაიძვერა, მოლაღატე, თვითონ ნასწავლი კაცია, არც ღმერთი სწამს, არც მარხვა, არც არაფერი (გალაქტიონ წამოვარდება და უნდა გაზეთი გამოსტაცოს ხელიდან) დამაცა! (კითხულობს) მაგრამ ხალხს კი ატყუებს, თვით, უხვევს, სასუფეველს პირდება და აქ ჯოჯოხეთში ცხოვრებას ურჩევს. მაგის საგმირო საქმენი ყველამ გაიგო“...

გალაქტიონ—(გამოსტაცებს გაზეთს, დაქმუნის და გადაადგებს) სალაზანები, არამზადები, მე მაგათთვის თავი ვადამიდვია, დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს, დილით ექვს საათზე ცისკრათ ვდგები, შემდეგ ვსწირავ და კიდევ მლანძღავენ?. დამაცადონ.

გაბრიელ—(ლიმილით) არა უშავს, მამაო, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით.

ხოლომონი—(ლიმილით) მოთმინებითა თქვენითა, მამაო.

გალაქტიონ—(მწუხარეთ) კი, მაგრამ, როგორ ეკადრება ეს ჩემს ანაფორას, სადღა გამოეპყო თავი?!

გაბრიელ—(სიცილით) არც ჩვენ ჩოხებს ეკადრება, მაგრამ რა უნდა ვქნათ? ეხლა უნდა ვეცადოთ გავიგოთ, ვინ არის ამის დამწერი, რომ სამაგიერო ვადაუხადოთ?

გალაქტიონი—(მივა აიღებს გაზეთს) ვინა ბრძანდება ეს ჩვენი შემკებელი? (კითხულობს) „უდაბნოელი“. ააა! თავს შოვიკრი, თუ სხვა ვინმე იქნება,

გაბრიელ—(გახარებული) იქნებ მართლა. აბა, ვინა გგონია მამაო?

გალაქტიონი—(ბეჯითად) სხვა არავინ, თუ არა ვანო კენესიაშვილი? სხვას ჩვენ სოფელში არავის წერის უნარი არა აქვს.

გაბრიელ—(ჩაფიქრებით) მეც ასე მგონია.

ხოლომონი—(სერიოზულათ) შეიძლება ის იყოს, მაგრამ ნუცა....

გაბრიელ—(გაჯავრებით) რას ჩააცივდი, ხოლომონ, ამ ნუცას. ერთხელ და სამუდამოთ გითხარი, თავი დაანებე მეთქი და აღარ ვათავდა?

ხოლომონი—(წყენით) მე ჩემს აზრს ვამბობ, ბატონო და შენ იცი.

გაბრიელ—შენი აზრი საკირო არ არის ნუცას შესახებ. ეს ჩვენ ვიცით.

გალაქტიონ—(მსუნაგურათ იღიმება) ნუცა! ჰო, მართლა რა კარგი გოგოა!

გაბრიელ—(ლიმილით) ჰეი, მამაო, შენცა? ახია შენზე რასაც გიწერავენ.

(ამ დროს შემოვა იასაული და, სულს ძლივს იბრუნებს, ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეუბნება, რომ ბოქაული მოვიდა. ყველანი წამოდგებიან და კარებისაკენ წავლენ. გაბრიელი გარეთ გავა და აიენიდან ეძახის: „მობრძანდით, ბატონო, მობრძან-

დითოა. შემოდის ბოქაული, ორი ჩაფრით. ჩაფრებს ხელს გაუქნევს და გავლენ-
თვითონ წამოვთა მაგიდისაკენ, ხმალს აიხსნის, მღვდელს ხელზე აკოცებს, მამა-
სახლის და მწერალს ხელს ჩამოართმევს და დაჯდება).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე .

იგინივე და ბოქაული.

ბოქაული — (ჩაახველებს. მღვდელს შეხედავს) როგორ ბრძანდებით, მამაო?
როგორ არის თქვენი სამწყსო?

გალაქტიონ — (გვერდით მოუჯდება) გმადლობთ. რა გვიშავს.

ბოქაული — (ლიმილით) კი გიშავთ, მაგრამ რას იზამთ? (მამასახლისს) თქვენ
რას იტყვიან?

გაბრიელი — (მოწიწებით დგას, მის უკან მწერალი) მადლობა ღმერთს,
ყველაფერი კარგათ არის.

ბოქაული — (თითებს ათამაშებს მაგიდაზე. ლიმილით) რასაკვირველია, კარ-
გათ არის! თქვენ გძინავთ არხეინათ და თქვენი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთ.
თქვენმა სოფელმა მთელი მახრა აგვიბუნტა, და თქვენ კი არაფერი იცით.

გაბრიელი

გალაქტიონი | (ერთათ გაოცებით) როგორ, ბატონო?
და სოლომონი |

ბოქაული — (ლიმილით) როგორ და კარგათ. თქვენ არაფერი არ იცით, არ-
ხეინათ ხართ, პროკლამაციები თქვენ სოფელში იბეჭდება, გაზეთებში თქვენი
სოფლიდან სწერენ, ბუნტოვშიკები თქვენი სოფლები დადიან მთელ მახრამში
და სხვა რალა გინდათ?

გაბრიელი — (მწუხარეთ) პირველად მესმის.

გალაქტიონი — (გაოცებით) განვედ ჩემგან სატანა! მეც პირველად მესმის.

ბოქაული — (ირონიულათ) დიახ, დიახ, თქვენც! თქვენ არაფერი არ იცით-
არც ის იცით, ალბათ, რომ ამ დღეებში თქვენ სამნივე კარგათ შეგამკეს გა-
ზეთში.

გალაქტიონი — (მწუხარეთ) ეხლა წავიკითხავთ.

ბოქაული — (სერიოზულათ) თქვენ ეხლა წავიკითხავთ, ჩვენ წავიკითხეთ,
კიდეც და ისიც გავიგეთ, თუ ვინ დასწერა.

სამნივე ერთათ — (სიხარულით) ვინ? ვინ?

ბოქაული — ვანო კენესიაშვილმა!

სამნივე — ჰო, აკი ვთქვით.

ბოქაული — (ლიმილით) დიახ, თქვენ თქვით, მაგრამ კი ვერაფერი გააკე-
თეთ. ჩვენ უკვე მივიღეთ ზომები მაგათ წინააღმდეგ, და ეხლა თქვენ უნდა მო-
განდოთ განხორციელება. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული საქმე, თუ უოჩალათ არ
იქნით და საქმე ვერ გააკეთეთ, თქვენც დაილუპებით და ჩვენც.

გალაქტიონ — (გულზე ხელს დაიკრავს) გვიშველეთ, ბატონო, რამე გვასწავ-
ლეთ და ჩვენი თავი თქვენდა სანაცვლო იყოს.

გაბრიელ—(მოწიწებით) გვიბრძანეთ, ბატონო, და თუ არ შევასრულეთ ჩამოგვახრჩვეთ.

სოლომონი—(იგრინება) დიახ, სწორედ აგრე გახლავთ.

ბოქაული—აბა, ახლოს მოდით და ყური დამიგდეთ. (ყველანი დასხდებიან და ურს უგდებენ) ყველამ თქვენ კარგათ იცით, თუ რისთვის ვართ ჩვენ მოწოდებული. უმთავრესათ იმისთვის, რომ ხალხი მაგრათ გვეპიროს ხელში. თუ ხალხმა აიწყვიტა, ხომ იცით რა დღე დაგადგებათ. რაც შეიძლება მეტი სიბნელე, ყველამ უნდა ვეცადოთ დავაძინოთ ხალხი.

გალაქტიონ—(წვერებზე ხელს ისვამს და სიამოვნებით იღიმება) ბრძანეთ, ბატონო, ურს გიგდებთ.

გაბრიელ—(სიამოვნებით) გვიბრძანეთ!

სოლომონი—(ტუჩებს აცმაცუნებს და მდაბლათ თავს უკრავს) გვიბრძანეთ!

ბოქაული—(მხიარულათ) აი რა მოგახსენოთ, როგორც წინეთ გითხარით, ყველა ბუნტოვშიკებს თქვენს სოფელში მოუყრიათ თავი. აქ არიან ბათომიდან წამოსული სოციალისტი მუშები, აქ არის ვანო კენესიაშვილი, სოფლის მასწავლებელი ქალი, ნუცა თორნიკაძე....

გაბრიელ—(გაოცებული) ბატონო? დიახ გახლავთ, მაგრამ....

ბოქაული—(ღიმილით) მაგრამ, ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, რომ ის კენესიაშვილის მარჯვენა ხელია და კიდევ მეტი, შეყვარებულებიც არიან...

გაბრიელ

გალაქტიონ } (ერთად, გაოცებულნი წამოდგებიან) რა ბრძანეთ?

სოლომონი }

ბოქაული—(ღიმილით) რაც გაიგონეთ!

გაბრიელი—(სერიოზულათ) ეგ შეუძლებელია, ბატონო ბოქაულო, მე თითქმის ყოველ დღე დაედივარ სკოლაში, ყოველ დღე ვხედავ ნუცას....

გალაქტიონ—(დაბეჯითებით) მე დარწმუნებული ვარ, რომ ნუცა არაფერ შუაშია.

ბოქაული—(ღიმილით) რაც მოგახსენეთ, ყველაფერი სრული სიმართლეა. ჩვენ უკვე საჭირო ზომები კარგა ხანია მივიღეთ, მაგრამ ეს არ კმარა. ეხლა როგორც დაგარიგოთ, აგრე მოიქეცით.

გაბრიელ—(მოწიწებით) გვიბრძანეთ, ბატონო, გვიბრძანეთ!

ბოქაული—(ჩუბათ) აბა, აქეთ მოიწით და ყური დამიგდეთ კარგათ. (ყველანი მიიწვევენ ბოქაულისკებ და კისერ გადაბულეები გაფაციცებით ურს უგდებენ): თავი და თავი საქმეა ხალხში შიში ჩამოვადოთ, ხალხი დაეებათ, რომ ვერცინ შესძლოს მისი იქიდან აწყვეტა. ეს უმთავრესი ეს თქვენ უნდა იკისროთ მამაო გალაქტიონ!

გალაქტიონი—(მოწიწებით) ჩემი თავი თქვენდა სანაცვლოთ იყოს. რითაც კი შემიძლია, მზათ ვარ.

ბოქაული—(ღიმილით) ეს პირადათ თქვენთვის არის საჭირო, მამაო, თუ ხალხმა აიწყვიტა, თქვენ მოგაკლდებათ ცხვრები და ტაბლები (იციინის)

გაბრიელ—(იციინის) დიახ, მართალია.

სოლომონი—(იციანის) დიახ, სწორია.

ბოქაული—(განაგრძობს) დიახ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ხალხის დაბნელებას და ცრუმორწმუნოების გავრცელებას. ხომ მოგვხსენებთ, რომ ხეალ ზევით თქვენი ეკლესიის დღეობაა ღვთისმშობლობა. ამ დღეს აუარებელი ხალხი იყრის თავს, არა თუ მარტო თქვენი სოფლიდან, სხვა სოფლებიდანაც....

გალაქტიონ—(სიამოვნებით)—დიახ, ბატონო, ამ დღეს ისე მოველი, როგორც ციურ მანანას, ამ დღეს მთელი წლის სარჩოს ვშოულობ...

ბოქაული—(ღიმილად) ეგ ხომ აგრე არის, მაგრამ საქმე სხვა არის. თქვენ იცით, როგორ სასოებით უყურებს ხალხი, როგორ სწამს თქვენი სასწაულით მოქმედი ღვთისმშობლის ხატი, ჩვენ ასეთი გეგმა შევადგინეთ; დიდი თათბირის შემდეგ: ამ დღეს მამაო თქვენ უნდა გამოუცხადოთ ხალხს, რომ ვითომც უნდა დავაფიქოთ ერთი კაცი, რომელიც უარს ჰყოფს ღმერთს, საწმუნოებას. არა სწამს მარხვა, მთაერობა და სხვა. ჩვენ ეს კაცი უკვე მომზადებული გვყავს და ეხლავე გაჩვენებთ, როგორ კარგათ ასრულებს ჩვენ დავალებას: თქვენ, მამაო, შეეცითხებით ამ კაცს: გწამს ღმერთი, თუ არა თქო, ის გეტყვის: არაო, ვითომც ღმერთმა უწყინა, დაეცემა ქადაგათ, დაიწყებს ხოხვას და ყვირილს: „ღმერთო, ამიშვი შემინდე შეოცდება!“ და სხვა.

გაბრიელ—(სიხარულით ყოროქინობს) დიდებუღია, დიდებუღია!

გალაქტიონ—(სიხარულით წამოხტება და შემოპროწივალდება) ღმერთო, კურთხეულ იყოს შენი სახელი, სწორეთ სასწაული იქნება.

სოლომონი—(წრიბინით) დიახ, კარგია.

ბოქაული—(გალაქტიონს, თქვენ გვეალებათ, მამაო გალაქტიონ, ამ დღისთვის მოამზადოთ დიდი სიტყვა და, ამ ამბის შემდეგ, უქადაგოთ ხალხს; რა არის ღმერთი, რა არის საწმუნოება,

გალაქტიონ—(სიხარულით არ იცის, რა ქნას) დიდებუღია, დიდებუღია. მე ქადაგება უკვე მზათ მაქვს.

ბოქაული—(ჩაფიქრდება) გარდა ამისა, უნდა ერთი რამ დიდი ქორი შევთხზათ ვანო კენესიაშვილის წინააღმდეგ, რომ ხალხმა ის მოსაკლავათ არ დაინდოს. აბა, იფიქრეთ. (ჩაფიქრდება)

გალაქტიონ—(დადის და ფიქრობს) ღმერთო, მიშველე, მომაფიქრებინე რამე!

გაბრიელ—(დადის და ფიქრობს) ჰმ! ჰმ! ის...

სოლომონი—(გულ ხელ დაკრეფილი დადის და პირი დაუღია) მაგრამ...

ბოქაული—(შეხედაეს) აბა, რაქენით?

გალაქტიონ—(მივა და დაჯდება) რა ოხრობაა, ვეწაფერი მომიგონია.

გაბრიელ—(მივა და დაჯდება) ვერც მე. (სოლომონი უფრო გაცხარებით დადის და თან და თან იღიმება. ცოტა ხნის შემდეგ მიიქრება მაგიდასთან გახარებული)

სოლომონი—მოვიგონე! მოვიგონე (ყველანი მისჩერებიან)

ბოქაული—(სიამოვნებით) აბა, სთქვი, ყველა ხრიკი ხომ სოფლის მწერ-
ლების მოგონილია. აბა, სთქვი.

სოლომონი—(ამოაცხადე ქადაგების დროს, მამაო, რომ ვანო სცხოვრობს
თავის რძალთ ნ, როგორც ცოლთან;

ბოქაული—(გახარებული) დიდებულია, დიდებული. ყოჩაღ!

გალაქტიონ—(გახარებული) საუცხოვოა.

გაბრიელი—(გახარებული) ყოჩაღ, ჩემო სოლომონ, ყოჩაღ, შენი იმედი
მუდამ მქონდა.

სოლომონი—(სიცილით) მაშ, მაშ, რა გეგონათ?

ბოქაული—(სერიოზულათ) ეს ძლიერ კარგი. თქვენ უნდა ეცადოთ, მამაო,
რაც შეიძლება გაბეროთ ეს ამბავი.

გალაქტიონ—იმედი გქონდეთ. ჩემს მკერმეტყველობაზე იყოს;

ბოქაული—ეხლა ინებეთ და ნახეთ, როგორ კარგათ აკეთებს ყველაფერს
ჩვენი ქადაგი (დაუძახებს გარეთ ჩაფარს) აბა, შემოიყვანე გოგია. (შემოდის
დაბალი ტანის, უბრალოთ ჩოხაში გამოწყობილი კაცი და დადგება ბოქაულის
შორი ახლოს) აბა, გოგია!

გოგია—(გამოვა შუა დარბაზში, ხელებს გაშლის. ვილაცას ემუქრება, უცბათ
დაეცემა, საშინლათ იგრიხება, ყვიროს, კენესის, თვალებს გადაატრიალებს)
ლმერთო მიშველე, მამატიე ჩემი შეცოდება. მრწამს, მრწამს...

ბოქაული—(გოგიას) კარგი ადექი. (გოგია ადგება) ხომ ხედავთ, რა მშვე-
ნიერებაა?

გალაქტიონი
გაბრიელი
სოლომონი } (ტაშს შემოჰკრავენ) დიდებულია, დიდებული.

ბოქაული—(გოგიას) კარგი, გადი. (გოგია გადის სერიოზულათ) ეს ერთი.
ეხლა მეორე და არა ნაკლები საქმე. თქვენ იცით, რომ ხვალ საღამოს, სახა-
რიას ტყეში „ბუნტოვნიკებს“ კრება აქვთ?

გაბრიელ—(შეშინებული) რას ბრძანებთ?! ეს ტყუილი უნდა იყოს. ჩემს
სამამასახლისოში საწინააღმდეგო კრებას ვინ გაბედავს?!

ბოქაული—(ირონიულათ) დიახ, ვერ გაბედავს! ჩვენ ამბავი მოგვიტანეს
რომ ხვალ საღამოს ცხრა საათზე, იქ კრება მოხდება, (გაბრიელს) თქვენ ოცი
ჩაფრით ალყა უნდა შემოარტყათ ტყეს და ყველანი გაძაგროთ. ამას გიბრძანე-
ბენ თქვენ! გესმის!

გაბრიელ—(შეშინებული) დიახ, გავიგე (იქით) ვაი, ჩემი ბრალი, რალა
მეშველება? ერთი ყუმბარა რომ მესროლონ, ხომ გული გამისკდა. (ბოქაულს,
ვითამ რიხიანათ) ჩემ კისერზე იყოს, ისეთ ბიჭებს წავიყვან, რომ არც ერთს
არ გაუშვებთ.

ბოქაული—მაშ, აგრე ყველაფერი იცით, და როგორც დაგარიგეთ, ისე
მოიქცეთ. მე კი ეხლა მეორე სოფელში უნდა გადავიდე და იქაც საქმე გაეა-
კეთო.

გაბრიელ — (მოწიწებით) როგორ იქნება, ბატონო, სადილი მზათ გახლავთ, მობრძანდით, ცოტა დაისვენეთ და შემდეგ წაბრძანდით.

ბოქაული — კარგი (გაბრიელ წინ გაუძღვება და ყველანი გადიან მეორე ოთახში განის კარით...
■

ფ ა რ დ ა .

მოქმედება მისამე.

(სცენა წარმოადგენს ტყეს. შუა ალაგას ამწვანებული მიწდორო. გარშემო ხშირი ნაძე-ნარი. ეს ალაგი თითქოს ბუნებას შეუქმნია ადამიანის საოცნებოთ. ბადრი მთვარე უხვად აფენს თავის მკრთალ სხივებს ტყეს, და ფანტასტიურ სახეს აძლევს მას. დრო გამოშვებით ისმის კო-ტის კვიცილი და სხვა და სხვა ფრინველების და ნადირის ხმაურობა. სცენა კარგა ხანს ცარიე-ლია. შორიდგან ზოსისის სტენა. კიდევ განმეორებით. სცენაზე გამოდიან ვანო და ნუცა ხელი ხელ ჩაკიდებულები და იქვე ხის ძირში. პალტოს გაშლიან და დასხდებიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი .

ნუცა და ვანო.

ვანო—(ასწორებს პალტოს) კარგათ მოიკალათე, ჩემო ნუცა, ხომ ხედავ როგორი სამიჯნურო ღამეა და ამ მშვენიერებას, ამ ბუნებრივ პოეზიას მთელი ჩვენი არსების სიამოვნება უნდა ეხარებოდეს, ყველაფერი შეხმატებილებული უნდა იყოს. ჯერ არ ვინ არ არის და ასე ვიფიქროთ, თითქო მე და შენ სასიკვარულოთ მოვედით აქ. (ჰკოცნის).

ნუცა—(ამოიკენესებს) მართლა, რა მშვენიერებაა! რა სილამაზეა (ჩაფიქრ-დება) ამაზე მეტი უსამართლობა, განა იქნება! ნუ თუ ჩვენ ნება არ უნდა გვქონდეს ვისხდეთ აქ თავისუფლათ, ვისიუყარულოთ, ვილაპარაკოთ ყველა-ფერზე. (თვალებში ჩახედავს ვანოს) ა! მითხარი, ვანო, როდის მოელება ბოლო ყველა ამას?

ვანო—(ლიმილით. ეხვევა და ჰკოცნის) მაშინ, ჩემო ნუცა, როცა მშრომელი ხალხი, პროლეტარიატი, ერთის მძლავრის დაკვრით დაამსხვრევს უსამართლო-ბის კერძს, და ქვეყნათ დამყარდება შრომის სამეფო. ეს ანბანური ქეშმარიტება ნენც კარგათ იცი, გენაცვალე, და განგებ მალაპარაკებ, შე კუდიანო შენა (მოე-ხევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან).

ნუცა—(ეხვევა. ლიმილით) კარგია, რომ დაიგვიანეს, ნეტა, მთელი ღამე აქ ვიყოთ მე და შენ მარტონი. აბა, გახედე, ვანო, როგორ გვიკვრეტს მთვარე, თითქოს იცინისო.

ვანო—(გაიხედავს) მშვენიერებაა, ოცნების სამეფოა. მე ამ წუთს მაეი-წყდება ყველაფერი, ჩემთვის ქვეყანაზე აღარაფერი არსებობს, შენს გარდა, ჩემო ყველაზე! (ეხვევა და ჰკოცნის) ამ ტყის მავალის, ნადირების ხმაურობის გარდა. მაგრამ, როცა სინამდვილე წამოგვადგება თავს, მაშინ? ხომ არ გეშინია, ნუცა? ნუცა—(ამყავთ). შენთან რის უნდა მეშინოდეს?

ვანო—მართლა, ნუცა, ჩემი გადაწყვეტილება ასეთია: ამ სამ დღეში, აქ ყველაფერ საქმეებს მოვრჩებით, და შენთან ერთათ ქალაქისკენ უნდა გავსწიოთ.

აქ უკვე საკმაოდ არის მოწყობილი ყველაფერი, ხალხიც ბლომად გვყავს და შეუძლიან განაგრძონ მუშაობა. ჩვენ ქალაქში ესლა საჭირონი ვართ, რადგან რევოლიუციის სუნი მოდის, რუსეთში უკვე დაწყებულა გაფიცვები და ვინ იცის დღეს ან ხვალ რა მოხდება და ჩვენ იქ უნდა ვიქნეთ. ხომ წამოხვალ?

ნუცა—(სიხარულით ეხვევა) შენთან, შენთან, ჩემო სულო, სამუდამოდ შენთან ვარ, (ამ დროს მოისმის სტენა).

ვანო—(დაუსტვენს) მგონი, მოდიან. (შემოდიან ლადო, დიმიტრი, რამოდენიმე ახალგაზდა).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო ლ რ ე

იგინიე, ლადო, დიმიტრი და რამდენიმე ახალგაზრდა (შვიდი-რვა)

ვანო—(წამოდგება ნელი ხმით) აბა, ბიჭებო, გამარჯობათ თქვენნი! მობრძანდით. ჩამოსხედით. ბერი, დრო აღარა გვაქვს. ვინ იცის, იქნება ჩვენმა მტრებმა სუნით გაიგეს და თავზე წამოგვადგენენ. (ყველანი დასხდებიან) დარაჯები ხომ დააყენეთ?

ლადო—(ღიმილით) ოთხი ისეთი ტალიკ—ტალიკი ბიჭი გვყავს. დაყენებული, რომ მთელ ჯარს უკუაქცევენ.

დიმიტრი—(ხუმრობით) რის გეშინიათ? ამ ადვილს ეშმაკი ვერ მოაგნებს და, რომც შემოვიდნენ ტყეში, სანამ ჩვენამდე მოვლენ, ჩვენ სახლებში ვიქნებით მისული.

ერთი ახალგაზდა—(სიცილით) მობრძანდნენ და კაი რამეს წაიღებენ.

ნუცა—(წამოდგება და სერიოზულათ) ხომ იცით, რომ დღეს ჩვენ აბრაგაძეს ბოქაული ესტუმრა, და რალაც თათბირი ჰქონდათ.

ლადო—(სერიოზულათ) დარწმუნდით, რომ მაგათ ყველაფერი იციან და დიდი სიფრთხილე გემართებს.

ვანო—(ნუცას) აბა, ნუცა, გვიამბე, როგორ შეასრულე შენი დავალება, იყავი შენ მიჯნუ აბრაგაძესთან და გაიგე რამე?

ნუცა—(უქანასკნელი სიტყვები არ ესიამოვნა). ვიყავი დღეს და ისეთი ამბავი მომივიდა, რომ სიცილით დაიხოცებით. (ყველანი ყურებ დაცქვეტილები უსმენენ). სწორეთ იმდროს მივედი, როცა სადღაათ ისხდნენ და კარგათ შეღვინიანებულები იყვნენ. გამომგება აბრაგაძე. დაესხედით. გვერდზე მომიჯდა.

ვანო—(ღიმილით)ოჰო!

ნუცა—(წყენით) რა არის ვანო, დამაცა! გამოგჰკითხე ყველაფერი და გაევიგე, რომ ბოქაული მეორე სოფელში მიდის, თვითონ კი აქ რჩება. მხოლოდ ერთმა მისმა წამოსროლილმა სიტყვამ შემაფიქრია: „სად უნდა წავიდე? ხვალ დიდი საქმე მაქვსო—და უცბათ შეჩერდა, მიხვდა, რომ წამოსცდა სიტყვა, მაგრამ გვიან იყო. როცა მე შევეკითხე: რა საქმე მეთქი, გადააფურჩეა და მითხრა: „ნათლობაში ვარ დაპატიებულიო!“ მე ვფიქრობ, ეს „დიდი საქმე“ ჩვენზე თავდასხმა უნდა იყოს შემდეგ ავდექი და წამოსვლა დავაპირე. აბრაგაძე

არ მოქმედა: „დაბრძანდი, კარგ ამბავს გეტყვიო“. მეც დავინტერესდი და დაეჯექი. მეუ არ იკითხა, რა მითხრა? სიყვარული გამომიცხადა: მე უშენოთ ველარ გაესძღობო და სხვა...

ყველანი—(ხარხარებენ). ჰაი და ბიჭო, გაბრიელ, მერე! მერე?

ნუცა—(სიცილით) მეუ და ხელების მოხვევა დამიპირა. მე ძალათ გავეშვებინე, ერთი მაგარი სილა ვსტკიცე, სკამს დაეჯახა და ძირს გაიშლართა. მღც საჩქაროთ გარეთ გამოვევარდი და გამოვიქეცი. (ყველანი იცინიან).

ღიმიტრი—(ალტაცებით) ვენაცვალე შენს მარჯვენას, ჭალი კი არა, ვაჟკაცი უფილხარ!

ვანო—(ღიმილით) გაქებ, ჩემო ნუცა, გაქებ! (ყველას) ნუცას სიტყვებმა დამაექვიანა, როგორც სჩანს, ბოქაული ტყუილათ არ მობრძანებულა. რალაცას. გვიპირებენ. ამიტომ ჩქარა მოვრჩით ჩვენ საქმეს და წავიდ-წამოვიდეთ. ხომ იცით, რა მიზნით მოვედით აქ. ჯერ ერთი, უნდა გითხრათ, რომ სამი დღის შემდეგ მე ქალაქში მიედივარ და ყველაფერი საქმეები თქვენ უნდა ჩაიბაროთ. ეს ერთი; მეორე, როგორი უნდა იქნეს, ჩვენი გამოსვლა ხეალ, დღეობაზე? შენი აზრი, ლადო!

ლადო—(მტკიცეთ). რა ამბავი ექნებათ ხეალ, კარგათ იცით. ვალაქტიონ ფაშვადე სიტყვებს არ დაზოგავს, ქადაგებით გამოაყრუებს ხალხს. ტაბლები და ცხვრები ხომ ექნება და ექნება. ეგ არაფერი. საქმეც ის არის, როგორ სწამს ხალხს ეს დღესასწაული, პრავლათ მოჰყავთ ავთომყოფები, და ელიან განკურნებას. ხუტესის ჯიბე ივსება და ივსება ამ დღეს. ჩემის აზრით, ამ დღეს აშკარათ უნდა გამოვიდეთ და ყველაფერი ვუთხრათ ხალხს.

ნუცა—(სიცილით) გულა ნაბადი ყველას აკრული უნდა გვექონდეს, ამის შემდეგ.

ვანო—(ღიმილით) გულა ნაბადი ადვილი საქმეა, თუ გაგვიშვებს და იქვე არ გაგებაწრეს.

ერთი ახალგაზდა—(მტკიცეთ) ფიქრი ნუ გაქვთ, ისეთ თავზარს დაევცემთ ჩვენი მაუხერებით, რომ მიწაში ჩაძვრებიან. მანამდე კი თქვენ სამშვიდობოს გახვალთ.

ვანო—(სერიოზულათ) მაშ, ეგრე იყოს. ხეალ დღეობაზე იქნება ამ უდაბნოში ჩვენი პირველი აშკარათ გამოსვლა. პირველი დემონსტრაცია.

მეორე ახალგაზდა—(მხიარულათ) პირველი და უკანასკნელი!

ვანო—გახსოვდეთ ყველას, რომ ამის შემდეგ, თავზე ხელს არ მოგვისვამენ, და ყოველ ღონეს იხმარენ ჩვენს დასაქერათ, ვინ იცის, ვინ საით წავალთ? მხოლოთ ვეცადოთ, რომ კავშირი არ გავსწყვიტოთ ერთმანეთთან. მე ვეცდები როგორმე ტფილისს მივალწიო და იქიდან მექნება თქვენთან კავშირი. (ნუცას) შენა, ნუცა?

ნუცა—(ეშმაკურათ იღიმიება) მეც ტფილისში მივდივარ.

ლადო—(მხიარულათ) მე, ამ ჩემი ძმა ბიჭებით (ახალგაზდებს გადახედავს) ჩვენ ჩვენი მაუხერებით ტყისკენ...

ახალგაზღვები—(ერთათ. აღმართოვანებით) ტუისკენ! ტუისკენ! იქ დავბადებულვართ, და იქიდგან უნდა დავსცეთ თავზარი ჩვენ მტრებს, და ხალხს თავისუფლება მოუტანოთ.

ვანო — (ჩაფიქრებული) ვე ყველაფერი კარგი, მაგრამ მაფიქრებს ერთი გარემოება.. აგერ ორი კვირაა, რაც სოსო გავგზავენთ ქალაქში სხვა და სხვა დავალებებით და ჯერაც არა სჩანს. ვეკვობ, ხომ არ ჩაუყარდა ხელში წყეულებს.

ლალო — (ღიმილით) ფიქრი ნუ გაქვს, სოსო ისეთი ბიჭი არ არის, რომ ვინმეს დაექვინოს.

ვანო—(ჩაფიქრებული) ძალიან კი დაიგვიანა და აბა, რა ვიცი. ეხლა შეეუღვეთ მთავარ საქმეს, თქვენც ხედავთ, რომ... ეხლა ამხანაგებო... (ამ დროს უცბათ შემოიჭრება ოთხი მოდარაჯე ახალგაზდა. ვანო სიტყვას შესწყვეტს, ყველანი ზეზე წამოდგებიან. ისმის აქეთ იქიდან „რა იყო“ რა ამბავია?).

ერთი მოდარაჯე ახალგაზდა—(სხაპა სხუბით) აბა, ჩქარა გასწით, ყველა აი, აქეთ (მარცხნით უჩვენებს). აქედან მოდიან (მარჯვენით უჩვენებს) მამასახლისი და მწერალი კბილებამდე შეიარაღებულები დაწინაურებულები მოდიან და უკან მოსდევს ოცი ჩაფარი. გასწით თქვენ. ჩვენ აქ დავჩრებიტ და სანამ ჩაფრები მოეშველებოდენ. მამასახლისს და მწერალს ერთი კაი პატივი უნდა ეცეთ. აბა, ჩქარა. (გარდა ოთხი მოდარაჯე ახალგაზდისა, ყველანი ჩქარი ნაბიჯით მიდიან და მიიშლებიან ტყეში მარცხნით. ოთხი ახალგაზდა პირდაპირ ტყეში ხეებს მოეფარებიან. შემოდინ სოლომონი და გაბრიელი შეშინებულები, აქეთ იქით აცეცებენ თვალებს. სიმწრის ოჟულს იწმენდენ)

მ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

გაბრიელ და სოლომონ.

გაბრიელ—(კენესის. გაჩრდება და გულზე ხელს ირტყამს) ვაიმე! ვაიმე! რაეა დავლუპე ცოლ-შვილი. სად ვილუპები! ერთიც ვნახოთ, უცბათ წაეაწყდეთ თავზე. (სოლომონს) რა ექენიო?

სოლომონი—(კანკალებს, ხმას ძლიეს იღებს) ვაიმე! ეკვლები, მეშინია!

გაბრიელ—(აქით იქით იყურება, დაიკუზება და ათვალეირებს მიდამოს) რა მოგვივიდა?! რა მოგვივიდა! (სოლომონს გაჯავრებული) შენი ბრაღია ყველაფერი, წაეიდეთ, წინ წაეიდეთო, თითქო დიდი მეომარი იყო და ჩამოვშორდით ჩაფრებს, ახლა ეძებე, რომ ქათამივით წაგავდბიებენ თავს, მერე ნახე. (აქეთ იქით იყურება).

სოლომონი—(საშინლათ კენესის, შიშით თვალებს აცეცებს)! ვაიმე! ვაიმე! დაუსტვინოთ, ბატონო გაბრიელ, აქვე ახლო იქნება, ვინმე!

გაბრიელ —(ბრწინანათ) ეხლა რამდენიც გინდა უსტვინე (დაუსტვენს. არავინ ხმას არ გასცემს) აბა, რას შერები ახლა? რა გინდოდა, რომ დამაწინაურე. (კიდევ დაუსტვენს).

სოლომონი—ვაიმე! დავიმალოთ სადმე! (ცხვირს დააცემინებს).

გაბრიელ—(ბრაზიანათ) ლეთის ცეცხლი! სად უნდა დავიმლოთ. (ათვალიერებენ იქაურობას. ამ დროს უკანდან ეცემიან ოთხი ახალგაზდა. თავები ბაშლუღებით აქვთ შეხვეული და ორივეს ხელებს გაუკრავენ. გაბრიელი პირს დააღებს დასაყვირებლათ, მაგრამ ხელს დაათარებენ. სოლომონი უცნაურათ ფუხებს აფართხუნებს და წრიპინებს).

ერთი ახალგაზდა—(სიცილით) აბა, ბიჭებო ერთი კარგათ გაებაწროთ ეგენი. (შეუკრავენ ხელებს, პირს ხელსახოცით აუკრავენ და თოკით ხეზე მიაკრავენ ორივეს).

მეორე ახალგაზდა—(მივა გაბრიელთან და ცხვირზე წამოკრავს) ხმა! კრინტი! (მაუზერს მიადებს სახეზე. გაბრიელი ფეხებს აფართხუნებს) თუ ხმა ამოვიღია. ან და, ჩენი წასვლის შემდეგ, თუ გითქვამს რამე, ქათამივით წაგვპრით კისერს. ხმა, კრინტი. თუ სთქვით რამე, შემდეგაც გიპოვნით და ცოლ-წვილიანა აგაფთებთ. აბა, ბიჭებო, შემოსხენით იარაღები, რა მაგათი საქმეა იარაღი? (მივა მწერალთან და წაკრავს ცხვირში. მაუზერს დაუმიზნებს, მწერალი საშინლათ კნავის და ფეხებს აფართხუნებს, შემოხსნიან ყველა იარაღს. თითოს წაუთაქებენ და მიიმალებიან ტყეში. ცოტა ხანს სიჩუმეა. გაბრიელ და მწერალი გაშეშებულები არიან. ტყიდან ისმის სტვენა. რამდენჯერმე, ცოტა ხანს შემდეგ, თოფი გავარდება ორ-სამჯერ. შემოიჭრებიან ჩაფრები და, რა დაინახავენ გაბრიელს და მწერალს ხეზე მიკრულს, გაოცდებიან. ხელათ გაუხსნიან თოკს. ისინი აქედან ჰვინ? საით წავიდნენ? რა მოხდა? თოფებს გაღმოიღებენ და აქვით იჭით იყურებიან).

გაბრიელ—(სულს ძლივს ითქვამს) ვაიმე! მიშველეთ!

სოლომონი—(წამოწვება და კენესით) ვაიმე! ვაიმე!

ერთი ჩაფარი—რა იყო, რა მოხდა?

გაბრიელ—(კენესით) ყაჩაღები! კინალამ მოგვკლეს.

ჩაფარი - საით გაიქცენ?

გაბრიელ - (მარცხნით უჩვენებს) აი, იქით.

პირველი ჩაფარი—აბა, ჩქარა დავედევნოთ, უნდა ძალებივით ჩავხოცოთ. (თოფებ მოღერებულები გარბიან მარცხნით. უკან მოსდევს გაბრიელ და სოლომონი)

მოქმედება მეოთხე.

(სცენა წარმოადგენს ეკლესიის განიერ ეზოს. ეკლესიის კარები ღიაა. და შიგ ბაღში ბლომათ არის. ისმის გალობა. ეზო სულ მთლათ გაქედლია ხალხით. აქა იქ სფერა გაუშლიათ მიწაზე და ქეიფობენ. ისმის არღნის კუიანი, სიმღერა, ერთ ალაგას სფერას ბლომათ უსხიდან. დიდი ქეიფია. ზურნა ლეკურს უკრავს. გამოვა ახალგაზნდა ქალი და კაცი და თამაშობენ. ხალხი ბლომათ ზოდის ეზოს კარებიდან. მიდიან ეკლესიის კარებიან. იჩოქებენ და პირჯვარს იწერენ. ეკლესიაში ველარ შედიან, რადგან ხალხით მთლათ გაქედლია. ზოგი ჩოქვით და თაყვანისცემით გარს უვლის ეკლესიას. აქა იქ ავთამუფეები არიან დაწოლილი. და პატრონი ვეერდნი უდგას, იჩოქებს და პირჯვარს იწერს. ერთ ალაგას ხალხი შეჯგუფულა. ვილაცას ჯაქვით დაბმული გიეი მოუყვანია, საშინლათ ჰყვირის და აქეთ იქით ეხეთქება. ტანზე სულ შემოფლეთილი აქეს ტანისამოსი, ეკლესიის ეზოში შემოდინან სხეებთან ერთათ ვანო, ნუცა. დიმიტრი. ირინე ლადო, მათი ჯგუფის ბუთი ექვის ახალგაზნდა გაივლ-გამოვილიან და გაჩერდებიან იმ ჯგუფთან. სადაც გიეი ჰყავთ. ხალხი მიწ-მოიწვევა, გიეი გამონდებდა. ღრიალებს და მუშტებით გამოიწვეს ვანოსკენ. მაგრამ პატრონი ჯოხს დაარტყამს და ჯაქვით მაგრათ უქირავს).

გამოსვლა პირველი.

ვანო, ნუცა, ლადო, დიმიტრი, ირინე და სხვები.

ვანო—(მწუხარებით) აბა, შეხედეთ, რა საცოდაობაა.

ნუცა—(მწუხარებით) ოჰ! რა საშინელებაა. ახალგაზნდაა საწყალი.

ვანო—(გიეის პატრონს) აქ რათ მოვიყვანია, ძმობილო, ეგ საცოდავი. რა არის შენი?

გიეის პატრონი—(კენესით) ჩემი უბედური შვილია. სამი წელიწადია გიეია. ლამე თევაზობის დროს კინკა შეხედა და გადაიროია, (ამოიკენესებს) აქ მოვიყვანე, რომ ვალოცო, იქნება ღმერთმა მიშველოს და მორჩეს. (გიეი იფაფრება და უნდა ვინმეს ეცეს და დაახრჩოს. მოხუცი ეწვევა ყელზე მობმულ ჯაქვს და უყვირის).

ვანო—(ამოიხრებს) აი, სანამდის მიდის ხალხის სიბნელე!.. (გიეის პატრონს) შენ, ჩემო ძმაო, ე მაგ სადმე ქალაქში უნდა წაგეყვანა. აქ რა უნდა უშველონ?

გიეის პატრონი—(ტირილის ხმით) რა მექნა, თქვენი პირობე, აბა, რა ვიცი. ქალაქის გზა არც კი ვიცი, რომ შემძლებოდა და წამეყვანა. აქ, სოფელში ბევრი უწამლეს, ერთი წელიწადი მყავდა ერთ კარგ სოფლის ექიმთან, იმას ბევრი გადარეული მოუჩენია, დილიდან საღამომდე მათრახით ტყავს აძრობდა და ულოცავდა, მაგრამ ვერაფერი უშველა. იქიდან რომ მოვიყვანე სახლში, ცემისა და უქმელობისგან ისე იყო ძვალ-ტყავათ ქცეული, რომ ველარ დგებოდა და სულ ლოგინში იწვა. ერთს ამასაც ესციდი და მერე, რაც იქნება

იქნება, (გიეი გაიწეეს ძალზე ღრიალით და მამასაც წაათრევს ჯაჭვით. დამფრთხალი ხალხი გაიფანტება. მამა მაგრათ დიპიერს და ჯოხს სცემს. გიეი ყვირის, ვანო და დანარჩენები გაივლ-გამოივლიან).

ვანო—(მწუხარებით) ამაზე მეტი საცოდაობა იქნება? აგერ ასეთი საზარელი სურათი, კენესა და მწუხარება და აბა, იქ შეხედეთ, რა ლხინი და ქეიფი გაუშარბათ. იმათ ფეხზე ჰკიდიათ, შენი მწუხარება. რა კუელია ქვეყანა?

ლადო—(სიცილით) ერთი იმ ხუცესს ეცემოდეს!

დიმიტრი—(იციინის) როგორ გგონია? შეიძლება ასეც მოხდეს. (ყველანი გაივლ-გამოივლიან, ათვალეირებენ იკაურობას, ლაპარაკობენ. ეკლესიიდან მოისმანს გალობის ხმა. წირვის გამოსვლის ზარს რეკავენ. ხალხი შეჩოჩოვდება. ფეხზე წამოდგ-ბიან. ვანო თავის ამხანაგებთან ეკლესიის კარების ახლოს დადგება. ეკლესიიდან ნელ-ნელა გამოდის ხალხი. გამოდის შემოსილი მღვდელი თავის ამალით. მათ უკან წარჩინებული პირნი, თავად-აზნაურები, მუნდირებში გამოქიმულნი სხვა და სხვა მოხელეები, მამასახლისი; მწერალი და სხვები.

გამოსვლა მეორე.

გალაქტიონი, მამასახლისი და სხვები.

გალაქტიონი—(თითებივთ ჯვარს გააკეთებს და მარჯვენა ხელს მალა ასწეეს) სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ. გწყალობდეთ დედა ღვთისა. (დაიჩოქებს) ყველანი დაიჩოქებენ, ზოგი თავს არტყამს მიწაზე და გულში ხელებს ირტყამენ. (ვანო თავის ამხანაგებით დგანან და ილიმებიან).

ლადო—(იციინის ჩუმით) აბა, ეხლა იწყება წარმოდგენა.

გალაქტიონი—(ადგება. ხალხიც წამოდგება). მართლმორწმუნენო! ვისაც გნებავთ სასუფეველი, შესწირეთ, თქვენი მიცვალებულების და თქვენი სულის საოხად). ხალხი აირევა. მიდიან იჩოქებენ, პირჯვარს იწერენ და წინ უწყობენ ზოგი ფულს, ზოგი ნივთს, ზოგი ტაბლას, ერთ ორს მოჰყაეს ბატკანი და დასავამს წინ. მღვდელი თვალით ანიშნებს დიაკვნს და მედავითნეს, გამოვლენ ტომრებით და ყველაფერს ალაგებენ შიგ. ბატკნებიც მიჰყავენ).

ვანო—(იციინის) აბა, ეხლა გაგვისუქთება ხუცესი და მისი ავან-ჩავანი. (ყველანი იციინიან).

დიმიტრი—(სიცილით) გასკდეს მაგის მუცელი. საღ ოხრობაში ჩაალაგებს ამდენ რამეს?

იორიფ—(სიცილით) ნეტა, ჩვენ მოგვცა, თორემ ჩასალაგებულს კი ვიწინით.

გალაქტიონი—(წვერებზე ხელს ჩამოისევამს და ჩაახველებს). მართლმორწმუნენო! კრისტიანენო! ილოცეთ! ილოცეთ! ღმერთი გაგვიწყრა, ჩვენგან პირი იბრუნა. ეს იმის მიზეზია, რომ ჩვენში ბევრი გაჩნდენ ურწმუნონი.

ვანო—(იციინის) დაიწყო პირველი მოქმედება. (იციინიან).

გალაქტიონ—(გულზე ხელს დაიკრფეს) ქრისტიანენო! ვილუპებით, ქვეყანა ირყვენება (აქა იქ თავს აქნევენ, პირჯვარს იწერენ და ოხრავენ) აღარ სწამთ ღმერთი, აღარ სწამთ ხატი, აღარ არის მარხვა, აღარ არის ნათესაობა და ძმობა. დიდ აარს ღმერთი, ჩვენი, თორემ თავის რისხვას დიდი ხანია მოგვიღობებდა. ქრისტიანებო! თქვენ ხომ გრწამთ ღმერთი?

ხალხი—გვწამს, გვწამს.

ღიმიტრი—(იცინის) ნამდვილი ტრალიკია.

ლადო—ნამდვილი არტისტია.

ნუცა—(იცინის) რა კარგი ოტელო იქნებოდა? (ყველანი იციან).

გალაქტიონი—(გულზელ დაკრეფილი თვალებს ცისკენ ალაპრობს) ილოცეთ ქრისტიანენო, მართლმორწმუნენო! გაირყენა ქვეყანა. თქვენ ეხლავე დაგიმტკიცებთ, თუ რა სასწაული შეუძლია ღმერთს (მამასახლისს) აბა, ბატონო, მამასახლისო, წამოგვიყენეთ ის თქვენი ურწმუნო. აბა, გაბედოს და გაიმეოროს ის, რასაც იძახის. (ჩაფარი გამოიყვანს გოგიას და დააყენებს მღვდლის წინ. ხალხი დრტივინავს. ისმის ჩოჩქოლი და უკმაყოფილების ხმა).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ ს ა პ ე.

იგინივე და გოგია.

გალაქტიონი—(მრისხანეთ) წინ წამოდექ, ურწმუნო! (გოგია წინ წამოიწეეს და გაჩერდება).

გალაქტიონი—(მრისხანეთ) დაიწერე პირჯვარი.

გოგია—(იღიმება) არა მსურს! (ხალხში ჩოჩქოლია)

გალაქტიონი—(მრისხანეთ) გრწამს ღმერთი, თუ არა?

გოგია—(მტკიცეთ) არა! ის არავის უნახავს.

ვანო—(სერიოზულათ) ვერიკა! აქ რალაც ამბავია. ეს რალაც დიდი ამბავი მოუჩმახავთ. აბა, ვნახოთ, რა იქნება?

გალაქტიონი—(მრისხანეთ) ურწმუნო, სატანა, მაშ, არც მარხვა გრწამს. არც ნათესაობა? არაფერი?!

გოგია—(ღიმილით) არაფერი, გარდა ჩემი თავისა.

გალაქტიონ—(მრისხანეთ ხელებს მალლა ასწევს და სწვევლის) წყეულო, შეჩვენებულო, იყავ წყეული, აწდა მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ. სთქვი! მრწამს და ვალიარებ.

გოგია—(იცინის) არ მწამს, არა! (უცბათ დაგორდება და დაიწყებს ღრიალს და ხოხვას ხეწნით) ღმერთო მაპატიე, შეგცოდე, მწამს, მწამს! (ხოხავს და თმას იღლეჯს).

გალაქტიონი—(გახარებულად) ქრისტიანენო! ხომ დაინახეთ სასწაული? აი, რა დღე მოგელის ყველა ურწმუნოს! (გოგია ყვირის და გორავს ხალხში ჩოჩქოლია. პირჯვარს იწერენ იჩოქებენ და თავებს მიწაზე არტყამენ. გალაქტიონ დაუძახებს ჩაფრებს და გოგია გაჰყავთ. მოჰყავთ გიჟი, რომელიც ყვირის და

ხალხისკენ იწევს. მამა დააჩოქებს ძალით, მღვდელი ჯვარს გადასახავს და რაღაც ლოცვას ბუდბუტებს ჩუმათ).

ვანო (გაოცებული) შეხედეთ, რას შერებიან ეს ყორნები?! შეხედეთ, რა ქნეს?! როგორ უბრმავებენ თვალს საწყალ ხალხს?

გალაქტიონ—(ღმობიერათ) ხომ თქვენის თვალით დაინახეთ, ძმებო და დეპო, რა სასწაული მოხდა! (ხალხი პირჯვარს იწერს და გულზე ხელს ირტყამენ) ეს დღე მოელის ყველა ურწმუნოს და ღვთის მგმობელს. (თვალს დანახავს. გულზე ხელებს დაიკრფის და ზეცისკენ აღაპყრობს თვალებს.) ილოცეთ, მართლმორწმუნენო, ილოცეთ, შეავედრეთ უფალს თქვენი სული. (ხალხი პირჯვარს იწერს. ზოგი იჩოქებს. აქა-იქ ისმის კვნესა, გმინვა)

ლადო—(ღიმილით) რა მოქონილი ენა აქვს მაგ წვერ-ცამეტს!

ვანო—(ღიმილით) იცოდეთ, ბიკებო. ეგ უთუოთ ჩვენზე გამოილაშქრებს და მაგრათ იყავით.

დიმიტრი და ხხვები—(სიცილით) რასაც ეგ ჩვენგან წაიღებს, მერე დაიტრბახოს.

გალაქტიონ—(მწუხარეთ) ხალხო! ქვეყანა გაირყვნა, მეორეთ მოსვლა ახლოვდება. ჩვენ სოფელში ისეთი პირები გაჩნდნენ, რომლებსაც არც ღმერთი სწამთ. არც ხატი, არც ეკლესია, ეკლესიაში ქუდი რომ შეუფდოთ, არ შევლენ. ნათელ-მირონი მაგათ არა სწამთ და ნათესაობა. აი, თუ გინდ თქვენი თვალით ნახეთ, აქ ბრძანდებიან ჩვენი განმანათლებელნი (ვანოზე და მის ამხანაგებზე უჩვენებს. ხალხში ჩოჩქოლია. ზოგი მუშტს იქნევს)

გაბრიელ—(წინ წამოდგება) და! მართალია, ჩვენ ამის უტყუარი ცნობები გვაქვს.

სოლომონი—(წერილი ხმით, და უღვაშის გრებით) სრული სიმართლეა.

ვანო—(ღიმილით) შეტევა დაიწყო. მზათ იყავით.

გალაქტიონ—(მწუხარებით) ყველაზე გარყვნილი ოჯახი ამ მხრით მთელ სოფელში კენესიაშვილების ოჯახია.

დიმიტრი—(წინ გაიწევს. ბრაზიანათ) სტყუი! შენ წვერ-ცამეტა! სტყუი!

ვანო—(დააყენებს დიმიტრის) დაიცა, გაჩერდი, მოვა დრო.

გალაქტიონ—(ჯავრი მოსდის, რომ შეაწყვეტინეს) თვითონ ეს ვაებატონი, დიმიტრი, რომელიც ყველაზე მეტს ყვირის, სულ დაკარგული კაცია. ყაძახს ლუკმა ყურში მიაქვს, ყანის თოხნის მეტი არაფერი იცის და ღმერთი არ არისო, იძახის. წითელ პარასკევს ქათამს მიირთმევს, ეკლესიაში არ დადის, წირვა მაგას არ უნდა და ლოცვა, მღვდელი მაგას არ უნდა და ბერი, აგერ ექვსი წლის შვილი ჰყავს და ჯერაც არ მოუნათლია.

დიმიტრი—(გაიწევს) სტყუი!

ვანო—(აჩერებს) დაიცა.

გალაქტიონ—(მწუხარეთ) ხალხნო, გაირყვნა ჩვენი სოფელი. (ხალხში ჩოჩქოლია, ისმის ოხვრა) რაც რომ ჩვენს სოფელს ეწვია, აი, ის ვაებატონი, (ვანოზე უჩვენებს) ვანო კენესიაშვილი, ჯერ თავისი ძმა და რძალი გარყვნა, გააგეჟა, და ესლა მთელი სოფლის გარყვნა უნდა. ხომ ხედავთ, ვინ არიან მასთან? ჩვენი ახალგაზდები! .

ვანო—(ლიმილით) ჰო, ბრძანეთ, ბრძანეთ.

გალაქტიონ—(უფრო მწუხარეთ) ღმერთი ხომ აღარა სწამთ, ხალხნო, ნათესაობაც არაფერიო, იძახიან. (ხალხი ლელავს, ისმის უკმაყოფილების ხმა, ვანოს და მის ამხანაგებს ემუქრებიან და მუშტებს უღერებენ).

გაბრიელ—(წამოვა წინ) ხალხო მე ნამდვილათ ვიცი, რომ ვანო კენესია-შვილი თავის რძალთან სცხოვრობს, როგორც ცოლთან. (დიდი აურ-ზაური მოხდება, ხალხი ირევა, ისმის ყვირილი „მოვკლათ, ჩავაქვაოთ“. მუშტებით მიიწევენ ვანოსკენ).

იონე—(შეჰკივლებს) რა სთქვა ამ გასაცხიებელმა, მომიკედეს თავი, გამიშვიტო ერთი დაეაგლიჯო წვერები. (მიიწევის, მაგრამ დაიქერენ. ხალხი თან და თან ლელავს. ხმა მალა ყვირიან „მოვკლათ, მოვკლათ“-ო და მიიწევენ ვანოსკენ).

ვანო—(მრისხანეთ. წინ წაიწევის) შესდექით, თქვე უგუნურებო! (ხალხი შეტორტმანდება). ეგ კი, მეტის მეტია, ასეთ სალახანობას კი ბოლო უნდა მოელოს—(წაევა წინ და დადგება. რიხიანად) ხალხნო! უგუნურებო! აბა, შეხედეთო ვინა დგანან თქვენ წინ, (ხელს გაიშვერს მღვდლის, მამასახლისის და წარჩინებულ პირებისაკენ) შავი ყორნები!, მგლები, რომლებიც მოვლენილან ამ ქვეყნათ თქვენი ხორცის საძიძვნელათ. უეცობა, გაუნათლებლობა, ცრუ მორწმუნეობა! აი, რა მოაქვთ თქვენთვის ამ ბნელუთის მოციქულებს! (მამასახლისი და სხვები შეროჩქოლდებიან. გალაქტიონ გაბრიელს გადახედავს და რალაცას ანიშნებს) მოითმინეთ! მოითმინეთ! (ხალხი სულ განაბულია და ჯურს უდგებს) ანა, შეხედეთ ამ ხუცესს, როგორი ჩალაქაქებული ლოყები აქვს, როგორი ღიბი აქვს! (გალაქტიონ გაქირებულათ ჩაახველებს და გაბრიელს გადახედავს. რის მაქნისია ეს ხალხის მეტრი?..

გალაქტიონ—(მწუხარეთ) ბატონო გაბრიელ, მიიღეთ ზომები, ეს მეტის მეტია!

ვანო—(ხმა მალა) მოითმინეთ! ის თქვენთვის თავდადებულია?, ხა, ხა, ხა, მიართვით საწირავი ტაბლები, კარგი ბატკანი, მიართვით ფულები, რომ თქვენი სული აცხოვნოს. „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი“ო, გეუბნებათ ეს დიდებული მოძღვარი. აქ იტანჯეთ, ძირს არ დაიხედოთ, არაფერი გაიგოთ, და იფიქრეთ მხოლოდ სასუფეველზეო. იქ, საღდაც ზეცაში გაპირდებათ ნანატრ ცხოვრებას. ეს მღვდელი კი არა, ნამდვილი ვაქარია, ჩარჩი ვაქარი. ის ყველაფერთი ვაქრობს. ხომ დაინახეთ რა ფოკუსი გააკეთა, აბა ნახეთ, როგორ არის ეხლა ის ქადაგი. ყველაფერი ეს ტყუილი იყო, მხოლოდ თქვენი თვალის ასახვევით გააკეთა, რომ მეტი ფულები მოებოქა. ასეთივე გახლავთ ეს თქვენი გვიზიანი მამასახლისი აბრაგაძე, მისი ლაქია კინკრიხაძე და ყველა ესენი. (ხელს გაიშვერს მამასახლისის და დანარჩენებისაკენ).

გაბრიელ—(აქეთ იქით იხედება) ეს მეტის მეტია, (სოლომონს) სად არიან? სოლომონი—(გაევა ხალხიდან) ეხლავე!

ვანო—(რიხიანათ) ყველა ესენი თქვენდა დასაბნელებლათ და შესაქმველათ არიან მოვლინებული. გარყვნილება?! აბრაგაძემ, კარგათ იცის, თუ რისთვის მოიგონა ჩვენზე ასეთი ურცხვი ქორი. თვითონ გარყვნილი და გათახსირებუ-

ლია, არ სწაპს არც ნათესაობა და არაფერი და ჩემზე მოაქვს იერში, მაგრამ ამით ის ფონს ვერ გავა, შორს არ არის ის დრო....

გაბრიელ—(პრისხანეთ) დაიკირეთ! არ გაუშვით! (გამოჩნებიან ჩაფრები)

ვანო—(ყვირის) ჩვენ ვერ შეგვაშინებს შენი ჩაფრები. ჩვენ ვიცით გამკლავება. (ვანოს ამხანაგები წინ გადმოდგებიან და რევოლვერებს იძრობენ. ჩაფრები წინ წამოვლენ და თოფებს გადმოიღებენ. ხალხში დიდი ჩოჩქოლია. მამასახლისი ყვირის დაიკირეთო, წარჩინებულნი ბანს აძლევენ. სოლომონი აქეთ იქით დარბის. ხან ჩაფრებთან და ხან მამასახლისთან. გალაქტიონი გვერდზე უდგას გაბრიელს, შეშინებული. ხმაურობა თან და თან მატულობს. ხალხი ქოთქოთებს. ამ დროს, შორიდან მოისმის სიმღერა და ხალხის ყრიაშული. უცბათ ეზოში შემოიჭრება სოსო თავის ამხანაგებით. ხელში წითელი დროშა უჭირავს. ჩქარის ნაბიჯით მივა ვანოსა და მის ამხანაგებთან. წუთით სიჩუმე ჩამოვარდება. ხალხი სოსოს მიშტერებია)

გ ა მ ო ს ვ ლ . ა მ ო ო თ ხ ე .

იგინივე და სოსო.

სოსო—(მხიარულათ და რიხიანათ) გათავდა. მოვარდა ნიაღვარი და დაიმსხვრა ძველი კერები. დაინგრა ძველი ქვეყანა, გაიგეთ ხალხო, რომ ძალა უფლება ეხლა ჩვენს ხელშია, ჩვენს, მუშების და გლეხების. მორჩა ამ ყორნების ბატონობა. მე დავალებული მაქვს, უპირველეს ყოვლისა, ამ ბნელეთის მოციქულებს უჩვენო თავიანთი ადგილი. აბა, ბიჭებო! აი, იმ წუნკლებს ჩამოართვით იარაღი. (ამხანაგები მივლენ და ჩაფრებს იარაღს აპყრიან.) ეხლა ამ ვაჟბატონსაც შეავლეთ ხელი. (მამასახლისზე უჩვენებს. ახალგაზრდები ჩვილენ, აბრაგაძეს ცხვირში წაკრავენ და იარაღს ჩამოხდიან. გალაქტიონ კანკალებს. წარჩინებულნი თავჩაქინდრულები არიან. ამ დროს, გამოვარდება გოგია, მუხლებზე დაიჩოქებს და ხვეწნით)

გოგია—ამხანაგებო, ძმებო, მამატიეთ, მე ვსტყუოდი, ფული მომცეს და დამარიგეს. (ხალხში დიდი ჩოჩქოლია. სიმღერა და ხალხის ყრიაშული ახლო ისმის. სოსოს ეხვევიან ამხანაგები და ჰკოცნიან. ისმის „გაუმარჯოს“, „ვაშა“, ახალგაზრდები გამწკრივდებიან ორ წყებათ)

ვანო—(მხიარულათ) აბა, წავასხათ ეს ყორნები! (წინ მიდის თავჩალუნული გალაქტიონი, უკან გაბრიელ, სოლომონ, წარჩინებულნი და ჩაფრები. ხალხი ტაშს უკრავს. შორს მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.)

ფ ა რ დ ა .

შეზინებული ანთიმოზი

(სოფლის სურათი ერთ მოქმედებათ).

შეშინებული ანთიმოზი.

მომკმედნი პირნი:

ანთიმოზი

მაკრინე

ნატალია

რომანოზი

ლეიტენანტი

1. ჯარისკაცი,

2. ჯარისკაცი,

1. წითელარმიელი,

2. წითელარმიელი,

შუა-ხნის გლეხი,

მეუღლე მისი,

მათი ქალი—19 წლ.

მათი მეზობელი. მოხუცი.

ახალგაზრდა.

სცენა წარმოადგენს საშუალო გლეხის სახლს. ტახტით, განჯინით და ბუხრით მოწყობილს, ტახტზე სიძინავს ლეიტენანტს, მაკრინე დაფუსფუსებს, ანთიმოზი ბუხართან ზის და ძუბებს ითბობს. ლეიტენანტის ძილის დროს, დაბალი ხმით ლაპარაკობენ.

I.

ანთიმოზი—ბოშო. მაკრინე, ხომ მოუშადა ამ ჩვენს სტუმარს საუშელი?

მაკრინე—კი, შე კაცო, კი! გადააგე შენი ცხოვრება მაგათ! ამოუწყდათ მაგათ ოჯახი.

ანთიმოზი—გაჩუმდი ბოშო! რაეა ბედამ მაგას? თუ მაგას არ მევეფერეთ და არ მოუარეთ, რაეა გინდა ცხოვრება? ავერ მოვადგებიან ბოლშევიკები კარზე.

მაკრინე—მევიდენ მაინც მალე ის ოჯახ-კეტიანები. მაგათზე მეტს ხომ აღარაფერს გვიზამენ? თლათ შეკამეს სუყველაფერი, რაც გვებადა, ბოშო, ცხენებს სიმიდს აქმევენ ჩვენს დაუკითხავათ, ამ ჩვენ ნაოფლარ თეთრ, კრაქა სიმიდს, ბოშო, ამაზე მეტს რაღას გვიზამენ ის ბოლშევიკები?

ანთიმოზი—რას გვიზამენო? ვაი შე უბედურო. ბოშო, რაეა გინდა სიცოცხლე შეინარჩუნო, თუ მართლა იმათ გეიმარჯვეს? მარა, მადლობა ღმერთს მაგრა დგანან ეს ჩვენები. აქეთ აღარ უშვებენა.

მაკრინე—იმე, რაეა მაგრაათ. შე კაცო! ავერ კარზე მოვადგებიან ბოლშევიკები. ტუნელი იმათ ვერ გაუმაგრდათ და ვერაფერი.

ანთიმოზი—ეს არაფერი, შე ქალო, ვერ ხედამდი, რა სთქვა გუშინ ამან? აქამდინ თუ უკან ვიხვედითო, იმიტომეო, რომეო, ეს ჩვენი პლანი იყო ასეთიო.

ამას იქით ჩვენ წავალთ წინ, და სულ ბღღვირს გავადინთ წითელ ჯარსო ინგლისის მოდისო, ბოშო, ინლისისო.

მაკრინე—ჰო, ჰო, დაუჯერე მაგათ. ვაი, ისემც კაი დაემართებათ, რა ვარცხეგენი რამეს გააკეთებენ.

ანთიმოზი—კაი ახლა, ხო. ნუ მაჯავრებ, დეეტიე შენ ტყავში.

II.

რომანოზი—(შემოდის) საღამო მშვიდობისა, ჩემო ანთიმოზო, კაცო, რას ჯავრობ, რა დაგემართა?

ანთიმოზი—დამანებე თავი, ბიძია. აქ ჩემი ცეცხლი მეკიდება დარდით, და ეს ოჯახქორი კიდო უარესად მიმატებს ცეცხლს.

რომანოზი—რა დარდი გაქვს, შე კაცო? ეს შენი საყვარელი აფიცრობა. სახლში გიყენია. ბუხს ველარაფინ აგიფრენს და რა დარდი უნდა გქონდეს?

ლეიტენანტი—(იღვიძებს. ყველანი წამოხტებიან) ჰმ, კარგათ მეძინა. უკვე დაღამდა?

ანთიმ.—კი, ბატონო. დაღამებულია.

ლეიტენ.—ხომ არავის უკითხივარ?

ანთიმ.—არა, ბატონო, არაფერ მოსულა.

ლეიტენ.—კარგია. აბა, ერთი პირი დამაბანძიე.

ანთიმ.—ახლავე, ბატონო. ბოშო, მაკრინე, მეიტა წყალი და ტაშტო მალე, ჰო! (აბანძიებს).

ლეიტენ.—ეხლა მომეცი ცოტა რამ საქმელი.

ანთიმ.—ბოშო, მაკრინე, მთავრად, გაუწყე საქმელი. ღვინოს ხომ მიირთმევ, ბატონო?

(საქმელს მოართმევენ).

ლეიტენ.—რატომაც არა, მოიტა, მოიტა, მერე სულ გავსწორდებით. მე ხელწეოილს მოგცემ რასაც ვხარჯავ, და შემდეგ ფულს მთავრობიდან მიიღებ.

რომან.—რომელი მთავრობიდან, ბატონო?

ლეიტენ.—რაო? რასაკვირველია, ჩვენი, ჟორდანის მთავრობიდან.

ანთიმ.—არა ბატონო, არ მინდა თქვენი არაფერი. თქვენ ოლონდ გეინარჯვეთ და რაში მენაღვლება თქვენი რასპისკა?

ლეიტენ.—ეგ უკეთესი. (სკამს).

რომან.—ეჰ, ეჰ, (პაუზა).

მაკრინე—ის ჩემი არ გასაშვები სადღა ჯანდაბაშია. ვერ ხედავს რა ამბავია.

ლეიტენ.—მასპინძელო, ერთი შენ გაზრდას, დამიძახე გარეთ რომ ჯარისკაცია.

ანთიმ.—კი შენი კიირმე. (გადის).

რომან.—ეჰ, ეჰ, ეჰ.

ლეიტენ.—(შეხედავს) რას ოხრავ, ბებერო? რა დაგემართა?

რომან—არაფერს, ჩემო ბატონო. ისე, დარდები მაწუხებს.

ლეიტენ. რა დარდები? ბოლშევიკებისა ხომ არ გეშინიან?

რომან.—რა გითხრა, ჩემო ბატონო, არც ეხლა მაბადია არაფერი. და თუ ისინი მოვიდნენ, არც აფერი იმათ ექნებათ ჩემთან საწინააღმდეგო.

ლეიტ.—შენ, ბებერო, რალაც სხვანაირათ ლაპარაკობ, არ მომწონს შენი ლაპარაკი. შენ ხომ არ გინდა, რომ მიგაბრძანონ შენ წინაპრებთან? (პაუზა) დაეგდე შენ ტყავში, თორემ... ხომ იცი.

III.

შემოდის 1-ლი ჯარისკაცი და ანთიმოზი.

1 ჯარისკაცი—(გამოეკიბება) რას მიბრძანებ, ბატონო ლეიტენანტო?

ლეიტენ.—ბრძანება ხომ არაფერია?

1 ჯარისკაცი—არაფერი, ბატონო.

ლეიტენ.—ცხენებს აკამეთ?

1 ჯარისკაცი—დიახ, ბატონო.

ლეიტენ.—შინელი ჩამაცვი.

1 ჯარისკაცი—ემ წუთში, ბატონო (აცმევს).

ლეიტენ.—წამოდი! (გადიან 1-ლი ჯარისკაცი და ლეიტენანტი).

რომან.—ეჰ, ეჰ, ეჰ.

ანთიმ. რას ხეწეში, ჩემო რომანოზ, რა დაგემაართა?

რომან.—რაღა რას ხეწეში, ბოშო, სულ თლათ გამომიცარიელეს ოჯახი, სიმინდი არ შემანაჩუწენს და ლეინო!

ანთიმ. შე კაცო! ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, უარესი არ იქნება? მაშინ ხომ სულ მიწასთან გაგვასწორებენ.

რომან.—ბიჭო მევიდენ, თუ მოვლენ. ამაზედ მეტს რალას მიზამენ? მარა არა მგონია, ბოშო, რომე იმათ რამე გვიქნან. ის ვინც აქ მოდის, ჩვენთან, ყველა საწყალი კაცის შვილებია, ისთე კი არ იქნებიან გამოკომული აპელატებში რაეარც ეს ყმაწვილია, მე იმათი მოსელის არ მეშინიან და თუ ესენი მალე წაბრძანდებიან, ეს კი ძან გამეხარდება. იმე, ბოშო, აღარ მომცეს საშლი, სულთლათ შემიკამეს ყოველსფერი.

ანთიმ. ბოშო! რას ამბობ? არ გევიგონონ, თვარა ვაი შენ შავ დღეს! ამ ჩემ სახლში მაინც ნუ ლაპარაკობ, შე კაცო! ვერ დაინახე, გუშინ ის საცოდავი სალდათი რომ მიახვრიტეს წისკვილთან?

მაკრინე—ვაი, მის დედას უბედურს, ვაი! ვაი!

რომან.—ჰო, ჰო, ეგ იყო, ბოშო, კარგი? ეგაა ვაჟკაცობა? რა დაუშავა საწყალმა ბიჭმა? იმ უბედურმა თურმე თოფის სროლაზე ატყაზი უთხრა და იმი-ზა მიახვრიტეს!

მაკრინე—უი, უი, უი!

ანთიმ.—მარა ბოლშევიკები რომ მევიდენ, ბიძია, მაშინ ყველას დაგვეგრეტამენ, იქვე ეს მიჩვენია, ჩემო რომანოზ.

რომან. — ვაი, ვერ ხარ ბოშო ვაჟაკი, ვერ გვესმის ცხოვრება, მარა მალე გეიგებ, მალე. (გარედგან ისმის ქალის კივილი, შემფოთდებიან. შემობრბის ნატალია, შემოჰყვება უკან მეორე ჯარისკაცი).

IV.

ნატალ. — მიშველეთ, მიშველეთ!

მაკრინე — რა იყო შვილო, რა დაგეპართა? რა გატირებს?

ანთიმ. — შვილო, ღმერთო მომკალი.

ნატალ. — მიშველეთ, შევრცხვი, დედა ჩემო, შევრცხვი!

(ს ტ ი რ ი ს).

მაკრინე — რა იყო, შვილო, ყელი ხომ არ გამომჰკერი?

ნატალ. — (ტირილით) ივანესას ვიყავი, და მოვდიოდი, გზაზედ შემომხედდა, ი სქელი ოფიცერი რომ არის და დამიწყო ლაპარაკი, მერე ხელი წამავლო და... ვაი, ჩემი სირცხვილი (სტირის).

მაკრინე — }
ანთ. — } რა გიყო შვილო, რაი?

ნატალ. — ძალათ მაკოცა. მე დავიწყე კივილი და ეს სალდათი წამამესწრო და მიშველა.

მაკრინე — მეტი ხომ არაფერი იყო, შვილო?

ნატალ. — მეტი რაღა გინდა?.. შევრცხვი ქალი! ვაი, სირცხვილო, (სტირის)

მაკრინე — უი, უი, უი!

რომან. — ეს არის, ბოშო, კაი? ეს არის კაცობა?

ანთიმ. — ნართალია, ვერაფერი ამბავია, არაგიშავს რა, შვილო, ნუ ტირი, წენ გენაკვალე, ვეტყვი ჩვენ აფიცერს და ყოფას უტირებს იმას.

რომან. — გაჩუმდი, ბოშო, უარესი არ დაკნართოს იმან.

მაკრინე — (ამშვიდებს ნატალიას და თან წუწუნებს)

ანთიმ. — რაღა უარესი? სამართალი აღარაა ქვეყანაზე?

2 ჯარ. კაც. — სად არის, ბიძია, სამართალი! მე რომ არ ვყოფილვითყავი, ვინ იცის რა მოელოდა ამ შენ ქალსა.

ანთიმ. — შენი პირივე, დაბრძანდი, შენ გენაკვალე რაღა მოხდა ეს საქმე?

2 ჯარ. კაც. — ისე იყო, როგორც შვილმა გითხრა! ეხ, რაც მე ამ ჯარს მოვეყები ბევრი ამისთანა მინახავს! სად არის სამართალი? სამართალი რომ იყოს, ჩვენ, განა ვიომებთ? ვა! რა გვეპირს საომარი? ისინიც ჩვენი ძმები არ არიან? სად არის, ძია სამართალი! სადა? ჯერ ნიკოლოზას სალდათობად ღმერთი გამა-ცალა და ეხლაც ამათ მოვდეუ.

რომან. ვაი უბედურო! და მერე ვერ გეექცევი?

2 ჯარ. კაც.—კარგი ბიჭი ხარ და წახელო! გუშინ ვერ დაინახეთ, რომ მიახერხივს? ის ჩემი სოფლიდგან იყო, კავთისხევიდგან, ეხ!!

ნატალ.—ვაი უბედურს მის დედას!

რომანოზ —როგორ მოგწონს, ანთიმოზ ჩემო, (ისმის ზარბაზნის გრიალი. ყველანი წამოხტებიან) რა ამბავია?

✓

(შემორბის გულ გახეთქილი ლეიტენანტი.)

ლეიტენ.—მომეციო ჩქარა ჩემი ბარგი.

ანთიმ.—რა ამბავია, ბატონო, რა ამბავი?

ლეიტენ.—(აძლევენ ჩანთას და ყაბალახს) ბოლშევიკების რაზმები ნახევარ ვერსზედ არის, აქ შემოვლენ! ჩვენ მივდივართ.

ანთიმ.

მაკრინე

{ უიმე, ქე არ დავილუბეთ.

ლეიტენ. (ჯარისკაცს.) შენ აქ რა გინდა? რომელი ნაწილიდგან ხარ?

2 ჯარ. კაც. მეხუთე ასეულის უფროსი ნაცვალი! ბატონო ლეიტენანტო!

ლეიტენ. აქ რა გინდა მეთქი?

1 ჯარ. კაც. ისე მოველი.

ლეიტენ. ჩქარა ნაწილში! ჩქარა მეთქი ათასეული მიდის.

2 ჯარ. კაც.—ბატონო ლეიტენანტო...

ლეიტენ.—(აწყვეტინებს.) არ მიდიხარ, დახვრეტა გინდა? Марш! (მეორე ჯარის-კაცი ხელს ჩაიქნევს და მიდის). მშვიდობით (გაღის)

ანთიმ.—დავილუბეთ რომანოზ! მიდიან ბოშო? (ნატალია ბუხართინ და-ჯდება.)

მაკრინე —რალა ვქნათ.

რომანოზ—ნუ გეშინიანთ მაგრათ იყავით! წაგვიდენ მფარველები, მარა არა გვიკირს-რა, ესენ აღარ დაბრუნდენ და სხვა ნურაფერს იღარდებ (რომანოზი ტახტზე ზის და ანთიმოზიც ჩამოჯდება).

ანთიმ.—რას ამბობ, რომანოზ ჩემო? ბოლშევიკები მოდის, მარა რაეა მოდის, დაუგდე ყური რაეარი გრიალი! ბიჭო, ამას მევეიფიკრებდი? ეს ოხერი მენ-შევიკის მთავრობა კვირაში ორ კრებას გვიმართავდა, მევიდოდა ეს შავ თმიანი ხალხი: ბალშევიკი სადაო, ბალშევიკი აღარაა ქვეყანაზე, ჩვენ ვართ ყველაგანაო. იმათ რუსეთი მოსპეს მთლად ერთიანათო. ბიჭო მჯერა შარა, ეს რალა უბედურება დავგატყდა თავზე? ეს ამდონი ჯარი საიდან მევიდა? ბიჭო, სადლა დევე-მალო ამათ ახლა? თურმე მოდიან და სულ ერთიანად ანადგურებენ ყველაფერს, გუშინ ლაპარაკობდა ერთი, რომელი თბილის ქალაქი აღარაა ისთეა მოსუფთავებული ეს ამ ხელა ქალაქი, თითქო ძროხას აუსლექიაო! რალა ვქნა ეხლა, ჰა? ეს ამოდენა ცხოვრება ვის ჩაუგდო ხელში? გვეიქცე, ბოშო? ამ ქონებას ვილას უტოვებ, ან, და სადლაა გასაქცევი გზა. ასთე გადუქრიათ საჩხერეზედ გზა.

არ გვიქვცე და რავე ჩაუფარდე ხელში ცოცხალი კაცი? რავე ჩაუგდო ხელში ცოცხალი ეს არ გასაზღელი ჩემი გოგო? ბიჭო სულ ღმერთს არ გააცლიან, თუ ჩაიგდეს ხელში.

რომან.—ვაი ახლა. ჩემო ანთიმოზ; ბევრი რომ იფხაკურო, ვითომ რას გააწყობ! თუ შეგიძლია რამე, წადი და დაუღეკი იმ წითელ ჯარს! შენ შენთვის იყავ, ჩემო ბიძია! შენ არაფერს გერჩიან ისინი, თუ წაართმევენ იმას ვისაც მილიონები აქვს შენახული, და ოქრო ვერცხლი, სხვისი ნაოფლარი. მე იქენი არ ვყოფილვარ, რუსეთში, მარა ახლა ვხედავ, რომ სიმართლე მათ მხარეზე ყოფილა, ბიჭო, თუ ჩვენი მენშევიკები კაი ბიჭები იყვნენ, რას მიაბრბინებდნენ ბათუმისკენ ამ ძვირფას განძეულობას? გუშინ წინ, ჩვენი თვალთ არ ვნახეთ სტანციაზედ დატვირთული ვაგონები? ვერ იყვენ, ძამია, კაი ბიჭები, თვარა ასე ჩქარა ან გაუღდებოდენ გზას...

ანთიმ.—არა, არა, რომანოზ ვერ დამაჯერებ ვერაფრის გულიზა, ყელეპს დაგვეკრიან, თლათ მიწასთან გაგვასწორებენ, დავილუპეთ! ვაი, ჩემო ოჯახო, ცოლო და შვილო. ბოშო, მაკრინე, რალას ფუსფუსებ. რალა გინდა! ერთი საათის სიცოცხლე დაგვრჩენია,, (ისმის შორიდან ტყვიისფრქვეველის ხმა) ვაი, ვაი, პულიმეტრიც დაიწყეს... ახლოვდებიან...

მაკრინე—(მოსთქვამს) დევილუპეთ ჩემო რომანოზ! ამ ჩემ ნატალიას რალა უყო, სად დავმალო მე უბედურმა?

რომანოზ—კაი ახლა ხო; რამ შეგაშინათ თქვე ოჯახქორებო? ერთი მე შემომხედეთ, რავე ვარ ბიჭო, რისი უნდა მეშინოდეს, აღამიანები არ არიან? იმაზედ მეტს ხომ არ გვიზამენ, რაც დემოკრატიების ჯარმა გვიქნა: სულ-თლათ ერთიანად ამოგვიწოტეს ქვევრიდან ლვინო და ცხენებს სიმიდი შეაკამეს,

ანთიმოზ—ვაიმე, ვაიმე, რას მოვესწარი ამას?... რავე ფუქეთ მიდის ჩემი ცხოვრება. ჩემი ოჯახი.

მაკრინე—დავილუპეთ! დავილუპეთ! დავილუპეთ!

რომანოზ—კაი ახლა, ხო! მე წავალ და მივხედავ ჩემს ოჯახს და, თუ რანე იყოს, მომაკითხეთ, ნუ გეშინიათ ხო!

ანთიმ.—გამევიხედავ მეც გარეთ: ამ უკანასკნელათ გადავიხედავ ჩემს კარმიდამოს.

მაკრინე—შენ სადლა მიხვალ, ანთიმოზ? ხომ დაგვისკდა გულეები შიშით,

რომანოზ—ნუ გაღაირიეთ ხალხო! გარეთ აღარ გამოუშვებ ამ შენ კაცს? (რომანოზი და ანთიმოზი გარეთ გადიან)

მაკრინე—ადეკი, შე ქალო, გვინძერი! ან სადმე დეიმალე, ან გაახერხებ რამე! ვერ ხედავ რომ მოდიან?

ნატალ.—იმე, რა ვქნა ახლა, დედა-ჩემო. თუ მოდიან მოვიდნენ თუ დასამალი იყო, აღრე უნდა დაგემაღეთ.

მაკრინე—ვაი, აღრე მიწა გაუსკდება იმ ჩვენ მთავრობას, რომ ასეთ დღეში ჩავვაყენა. რას ეჩხუბებოდა, თუ არაფერი შეეძლო, შვილო, რუსული ხომ არ დაგვიწყებია, ქემანცე გააკინებ პაწიას, თავს შეაბრალებ, იქნება არ ამოგვბოკონ ტუულ უბრალოთ.

ნატალ.—კი ახლა, დედა ჩემო! გულს ნუ გაიტეხ! რაც იქნება იქნება! საყოფი ქე ვიცი რუსული.

ანთიმ.—(შემობრბის) დევილუპეთ, დევილუპეთ, შემოვიდნენ სოფელში, ერთი აგერ გადმოხტა ჩვენ კარებზედ ცხენიღვან, აქეთ მოდის სულ თლათ წითელია, ვი ამ საათს, რალა ექნათ ახლა. (საერთო ჩოჩქოლი) ნატალია, სად დამალოთ, შე არ გასაზრდელი! რალა ექნათ? ბუხარში... არა, არ ვარგა, ბოშო. აგერ შედი ტახტის ქვეშ, შედი, ჰო!

ნატალ.—ნუ გეშინიან, მამა ჩემო! ბლარი ხომ არა ვარ, მანდ რომ შევძვრე. არა მიკირს რა.

მაკრინე—შედი, შენ გენაცვალე, ჩემო ოქრო, ჩვენ არ გევიკირს რა.

ანთიმ.—(გაცხარდება) შედი ჰო! ახლა შენი ხვეწნა მომინდეს! შედი მეტიკი. ჰო! (ნატალია შეძვრება ტახტის ქვეშ) ღმერთო შენ გადამარჩინე ამ გაქირვებას, ღმერთო, გელათის წმინდა გიორგი, შენი მუხლების კირიმე.

მაკრინე—ვუი! ვუი! ვუი! (გარედან ხმა)—Эй кто здесь... выходи!

ანთიმ.—მევიდა, დევილუპეთ! მეიცა დადექი, მაკრინე უკან, მე წავალ წინ! კაცი ქე მაინც ვარ, ბოშო! კაცი. (გააღებს კარებს და შემოდის რუსი)

არმიელი—Хозяин да?... Слышите—погреться хочу.

ანთიმოზი—შენი კირიმე, მე არაფერში არ ვარ დანაშაული! შეიბრაღე ჩემი ცოლი, მაკრინე, ჩემი ქალიშვილი, ნატალია.

მაკრინე—ქალიშვილს ნუ ახსენებ, შე უბედურო.

ანთიმოზი—უი, ღმერთო, ქე მომკალი... სულ იმათი ბრალია, იმ ოჯახ დასაქცევ მენშევიკების, იმათ მოგვატყუეს.

1 არმიელი—Что мельшевник? Я брат не мельшевник. Пришел бить мельшевников.

ანთიმოზი—ოი, გაწყდა იმათი სახელი, ბატონო. იმათ აგვრიეს! შემიბრაღეთ ბატონო.

1 არმიელი—Ну, брат, я тебя не понимаю! Я погреться хочу, слышите? Вот... (ანიშნებს. სროლა შეწყდება).

ანთიმოზი—ბოშო, მცეივაო: ქალო, გავათბოთ, იქნება გვეშველოს რამე: მობრძანდი, შენი კირიმე (მიიყვანს ცეცხლთან) ნეტავი ერთი სიტყვა მაინც ვიცოდე რუსული, გავაგონო ამ კაცს, იქნება არ მომკრას თავი.

მაკრინე—შენ ხომ ნასწავლი მყევხარ, შენმა მზემ.

1 არმიელი—Ну и холода, скажу вам!

(პაუზა)

ანთიმოზი—ღმერთო, წმინდა გიორგი გელათისა! შენ მიშველე შენი ტახტის კირიმე.

1 არმიელი—Что ты там воздеваешь руки к небесам? Дьячек ты, что ли! Ну, брат, я пошевского отродья не люблю.

ანთიმოზი—კი შენი კირიმე, რა ექნათ ბატონო... ასთე ჩემო ბატონო...

1 არმიელი—Ни черта я тебя не понимаю. Эх, жалко что, не могу на твоем языке говорить!

(პაუზა)

მაკრინე—გადაერჩით, მგონი ანთიმოზ.

ანთიმოზი—მეიცა, ბოშო, ჯერე არ სცალიან ჩვენთვის, ჯერ მოითბობს ხელებს.

1 არმიელი—Слушай како, поестъ есть что шибудь? Я деньги заплачу. Со вчерашняго дня не ел... Да ты не поппмаешь? Это (აჩვენებს) есть-

ანთიმოზი—(გაგების ნიშნათ თავს უქნევს) არიკა მაკრინე დატრიალდი: იქნება გვეშველოს რამე, მოუტანე თუ რამე გაქვს საკმელი? (1 არმიელი ტახტზე ჩამოჯდება. მაკრინე დაუდგამს სუფრას და საკმელს მოუტანს).

1 არმიელი—Еге, я впря есть! Ну, брат, это совсем хорошо. Деньги дам, но сколько!

ანთიმოზი—(გააესეტს კიქას და სვამს) გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროს.

1 არმიელი—(ფხვით შეამჩნევს ტახტის ქვეშ ადამიანს, წამოხტება) Кто здесь!... Что это такое? Здесь у тебя кто-то скрывается!

ანთიმოზი—ვაი, ჩემო შვილო! ჩემო საყვარელო ნატალია.

მაკრინე—ეუი, ეუი, ეუი!

ნატალია—(დარცხვენილი გამოდის) Впяивать, батоло! Это мой папа так хотела!

1 არმიელი—Она я по русски говорит. Ты зачем там пряталась?

ნატალია—Это мой папа сказал. Боялся, что мне убьют. Я прятался.

1 არმიელი—Вы их дочь, да?

ნატალია—Да, я боялся... и не боялся. папа боялся.

1 არმიელი—Так ты от испуга туда полезла? Чего-же ты боялась? Я зверь, что-ли?

ანთიმოზი—რაიო, შვილო? მაგრათ იყავი! ნუ გეშინიან გაუძელი. შვილო, რაც იქნება, იქნება.

ნატალია—მე ნადირი კი არა ვარო! რისა გეშინიანთო?

ანთიმოზი—ვაი, ნეტავი, მართლა! ვითომ დასაჯერებელია?

1 არმიელი—Не бойся, товарищ, мы тоже люди. Если сюда пришли так пришли освободить от меньшевиков, а не унять нас.

ანთიმოზი—რაო, შვილო?

ნატალია—ჩვენ თქვენ დასახოცავათ კი არ მოვედითო, მენშევიკებისაგან უნდა გაგანთავისუფლოთო.

ანთიმოზი—არ მჯერა ბოშო! არა!

მაკრინე—ვაიმე, ჩემო ნატალია.

1 არმიელი—Я вижу ваши испугались очень, ты их успокой, скажи что, я за все, что здесь покушал. заплачу. Вот вам деньги (იღებს ფულს).

ნატალია—ფულს იძლევა საკმელში! ნუ შეგეწმინდებათო.

ანთიმოზი—რათ მინდა მაგის ფული. ოღონდ ყელები არ დაგვეკრას და ფული რათ მინდა.

ნატალია Денъги ис нада.

1 არმიელი—Да ну возьмите... не хотите. Ну хорошо! Спасибо.

VII.

შემოდის რომანოზ და 2 არმიელი.

რომანოზ—რაეა ხართ, ჩემო მეზობლებო! თქვენც მოგსვლიათ სტუმარი? ვინ იცის, გადმოგიტრიალდათ შიშით გულები! აგერ ჩემი სტუმარიც მეიყვანე-
1 არმიელი—Товарищ Максим ты тоже здесь?

2 არმიელი—[ა, зашел.

ანთიმოზ—შეეშინდით, ჩემო რომანოზ, ეხლაც არა ვართ სრულ კეუაზე.

რომანოზ— მე რამ სტუმარი მოგიყვანეთ, ეს კი სულ სხვა სტუმარია, ქართველია, ბოშო, ქართველი.

ანთიმოზ—რას ამბობ, ბოშო, ჩენი კაცია?

2 არმიელი—დიახ, მე ქართველი ვარ! რა მოხდა, ხომ არაფერი დაუშა-
ვებია ამ ჩემს ამხანაგს?

ანთიმოზ—არა, ბატონო, არაფერი, მარა ძაან კი შეგვეშინდა.

2 არმიელი—Что ты здесь паделал. товарищ Семенов? Здорово ты
вх перенугал.

1 არმიელი—И?.. Ничего... Зашел погреться, после попросил по-
есть, сижу за столом и заметил, что под кроватью кто-то прячется, ока-
залось ихняя дочь. Струсилась здорово.

2 არმიელი. Ну, ничего. სულ ტყვილა შეშინებულხართ. ამხანაგებო.
ან რა არის აქ საშიშო? შემოგვხედეთ, განა ჩვენც ისეთივე ადამიანები არა
ვართ, როგორც თქვენა ხართ? ჩვენ თავდადებულნი მებრძოლნი ვართ ბურჟუა-
ზიის კლანჭებიდგან განთავისუფლებისთვის. ჩვენ მოვსულვართ, რათა საქართველოს
მუშა და გლეხი გაევანთავისუფლოთ, იმ მთავრობისგან, რომელიც ბურჟუაზიის
ლაქიობის მეტს არაფერს აკეთებდა, და ამიტომ არაფერს ვერჩით იმ ხალხს,
რომელსაც ვანთავისუფლებთ.

რომანოზ—რას გეუბნებოდით, ჩემო ანთიმოზ! თუ მევ რუსისა არ გჯერა, ამ
კაცს მაინც გაუგონე, ჩვენებურია ქვაკიბელი, მაქსიმე კვინიხაძე, რაცლა ბედათ
შემოვიდა ჩემთან.

შაკრიფე—მაქსიმე კვინიხაძე? უიმე შენი კირიჟე, ნათესავია, ბოშო. ჩენი
დესპინეს მამიდაშვილის ცოლის ძმის შვილია.

ანთიმ.—ბიჭოს, ნათესავიც ქე ყოფილა!

რომანოზ—აჰა, ახლაც ნუ დაუჯერებ, ჰო!

2 არმიელი—ეგ სულ ერთია, ამხანაგო!

ანთიმ.—უკაცრავათ ვარ ჩემო მაქსიმე! ვერ შემესწართ, კაი დროს მობრ-
ძანდით შენი კირიჟე, მიირთვიეთ საკმელი, მოშიენებული იქნებით: (1 არმიელს)
პოეალუსტა დაჯექი, რომანოზ, შენცა! აბა, ქალო ღატრიალდი ახლა: ვერ ხე-

დავ, რაეარი სტუმარი მოგვივიდა? (ყველანი სხდებიან) ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენ ამ მოსულას და ჩვენს აქ დახვედრას: მაქსიმე, ბატონო! ამ შენ ამხანაგს რაქვია, ბოშო? (სვამენ).

მაქსიმე. ნიკიტა!

ანთიმ. მიკიტა? მიკიტა ჩემო (თაეზე უჩვენებს), ანთიმოზ, (რომანოზზე) რომანოზ.

რომან. Кушпт. кушпт!.. Какой губерния?

ნიკიტა. Я, с тамбовской губернии.

ანთიმ. სტამბოლსკი? სტამბოლსკი!.. შორს არის მაქსიმე ჩემო, ეს სტამბოლსკი გუბერნია? აქეთ უნდა იყვეს შავი ზღვისკენ ხომ?

მაქსიმე. (იღიმება) არ არის შორს, ახლო!

რომან. Папа, мама есть?

ანთიმ. ბიჭო ამ ჩვენ რომანოზს რუსულიც ქე სცოდნია.

ნიკიტა. Какже-есть! Еще жена есть и сын!

რომან. სირიო ბოშო, ყველიო! მოიტანეთ ყველი, ჩეხი იმერული ყველი მონდომებია.

ანთიმ. მიკიტა ბატონო! იცოცხლე, ჩემო ბატონო, ბედნიერი ცხოვრებით, ყოველივე შენის კეთილით, ღმერთმა მრავალი ასეთი დღე ერთად გავვატარებოის.

მაქსიმე. Слушай он пять за твоё здоронье.

ნიკიტა. Спасиши. спасиши!

რომან. Здравовья твоя! იცოცხლე, ჩემო მიკიტა! შენისთანა ვაჟი ბიჭები ბეგრ ჩვენ ანთიმოზისთანა ყმაწვილებს დაუფრთხოებენ ანგელოზებს (სვამენ).

ანთიმ. მიირთვი ღვინო, საკმელი, მაქსიმე ბატონო!

მაქსიმე. ბატონოს ნუ მეძახი: ბატონები აღარ არიან, ეხლა ყველანი ერთნი ვართ, ამხანაგოთქო!

ანთიმ. უკაცრავათ, ბატონო! ძნელი გადასაიწყებელია, ჩემო ბატონო, დედის რძესთან გვაქვს შეთვისებული.

რომან. — რუსულათ რაეა იქნება ეს „ამხანაგი“?

მაქსიმე — Товарищ.

რომან. — Товарищ Мякита! Кушпт, кушпт.

ანთიმ. — რაექნა, ჩემო მაქსიმე, ჩვენებური ჭაღია, იქნება არც ქე იამება, მარა მეტი არაფერი მაქვს. Товарищ ჭაღი, ჭაღი ხაროში.

ნიკიტა — Хороший, хороший!

ანთიმ. — ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენს საქმეს, ჩემო მაქსიმე, კაი გამარჯვება, კაი ყველაფერი.

რომან. — იმდენი აქუნძულეთ ეს მენშევიკები, სანამდის შავ ზღვაში არ ჩააყოფიოთ თავი.

მაქსიმე — გმადლობთ! გმადლობთ! (სვამენ).

რომანოზ — მას ერთი, კაი მრავალ თამიერიც მოუხდება. (მღერის).

ნიკიტა — Чудеса! Так перепугались. а теперь и песни поют.

მაქსიმე --(ანთიმოზს) მითხარი ერთი, ანთიმოზ, როგორი მდგომარეობა იყო აქ? როგორ გვიყურებდა ჩვენი ხალხი? უნდათ, თუ არა, ჩვენი მთავრობა? **ანთიმ.**—რაღა გეკადრება, ბატონო, თქვენს იქით სად გვაქ, ბატონო, გზა, თუ თქვენ არ იქნებით; ვილა იქნება?

2 არმიელი—ასე, მეგობრებო, თქვენ სრული დაიმედებული იყავით. მასში, რომ ჩვენ უფრო კარგ მფარველობას გაუწევთ მუშა-გლეხებს, ვიდრე მენშევიკები. იგინი წავიდენ, გაიქცენ. მათ გაცარცევენ თქვენი ქვეყანა. აღარაფერი დაგიტოვებს და ამით დაამტკიცებს, თუ რა კეთილის მოსურნე იყვნენ თქვენი. ჩვენ კი მოვდივართ, რათა დაგამყაროთ ნამდვილი მშრომელთა ხელისუფლება. განვარხორციელოთ ცხოვრებაში ის, რასაც მენშევიკები, თქვენ მხოლოდ ცარიელი სიტყვებით გეუბნებოდნენ. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ აქ ნამდვილი მუშურ გლეხური მთავრობა, საბჭოთა მთავრობა, რადგან მასშია ხსნა ქალაქის და სოფლის მშრომელისა. გაძღვეთ პატიოსან კომუნისტურ სიტყვას, რომ არასდროს არ დანახავთ ჩვენში ისეთ ძალადობას და უსამართლობას, რასაც ხედავდით მენშევიკების დროს, ჩვენ მოვდივართ წითელი დროშით, იმ წითელი დროშით, რომელიც აღმართა რუსეთის პროლეტარიატმა პირველათ პეტერბურგში. და ამ წითელი დროშითვე დავამყარებთ აქ, თავისუფალ კომუნისტურ ხელისუფლებას.

ანთიმ.—ბიკო, მასთე თუა, მეც თქვენი ვყოფილვარ. მე რალა მაქვს საერთო იმ დალუპულ ბურჟუაზიაა, თუ რალაც ეშმაკი. ვაი! იმ დალუპულ მენშევიკებმა ამრიეს, ჩემო მაქსიმე, თვარა ასთე არ დაგიხვედბოდით თქვენ.

რომანოზ—ბიკო, ჩემი ლაპარაკი ტყუილი გეგონა? რა გითხარი, ბიძია, მე? **მაკრინე**—(ნატალიას) გვეშველა, შვილო, გვეშველა, შენ გენაცვალე.

ნატალ.—კაია ახლა, დედა, ნულარ მომაგონებ ჩემ სირცხვილსა: ეს ამხელა ქალი, ტახტის ქვეშ შემადქრინეთ.

1 არმიელი—Я стою и ничего не понимаю, что вы там говорите, товарищ, Максим!

2 არმიელი—Ничего! я объясню, для чего мы пришли. მაშ, ნურათერისა ნუ გეშინიათ (შორიდან ისმის რუსულად ინტერნაციონალი, 1 არმიელი ჩესტს აკეთებს, მეორე ქუდს იხდის. ანთიმოზი და რომანოზი მისი წახედვით იხდიან ქუდებს) ვაიგონეთ ჩვენი მრწასმის: აღსდევ, მშიერო, წამებულო მონებო მთელი ქვეყნისა. (პაუზა) ეს არის მედგარი ვადამწყვეტი ბრძოლა! ინტერნაციონალში ვპოვებთ შვებას ყველა, წითელ ინტერნაციონალში ჩვენი შვება და ხსნა, ის არის ჩვენი ბედი, და მის ვასამაგრებლად ვიბრძვით ჩვენ ყველანი. ვაუმარჯოს წითელ მესამე ინტერნაციონალს! ვაუმარჯოს ახალგაზდა საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს! ვაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს.

გუგული

გადატრიალება

თანამედროვე სურათი.

გზდასტრქიზლებჲ.

მოქმედნი პირნი:

მენშევიკი,
აზნაური,
ვაჰარი,
მღვდელი,
მდიდარი გლეხი,
რაიკომის მდივანი,
კომკავშირელი,
3 დატუსალებული კომუნისტი,
12 შეიარაღებული მენშევიკი,
1; მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 გლეხი.
ბებეი გლეხი,
დატუსალებული გლეხი.
გლეხები,

სცენა წარმოადგენს პატარა მოედანს. სცენის სიღრმეში შენობა აივით. შენობაზე წარწერა „ბელოანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი“, შენობის წინ გრძელი საჯდომი. სცენაზე ერთი მხრით გლეხობის ჯგუფი, მეორე მხრით ხელებ-შეკრული კომუნისტები—აღმასკომის თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი და ორი-სამი სხვა. რამოდენიმე კაცი შეიარაღებული და რაჯათ თავს ადგია მათ. გარდა ამისა, კიდევ სხვებაც არის შეიარაღებული სცენაზე. სცენის შუა ადგილას სდგანან ახლად მოწყობილი მენშევიკური სამხედრო შტაბი. შტაბის წევრები: მენშევიკი, აზნაური, ვაჰარი, მდიდარი გლეხი. ყველანი შეიარაღებულნი არიან.

მენშევიკი—მოქალაქენო! ხომ დაინახეთ რა მოხდა! ჩვენ ჩამოვავსეთ ბოლშევიკების მთავრობა, და ისევ დემოკრატიული ნოე ეორდანიას მთავრობა იქნება. რაც გაწამეს და გტანჯეს ამ ბოლშევიკებმა, გეყოთ. ეხლა ესენი დატუსალებული გვეყენ და თუ საჭირო იქნება, დავსჯით კიდევაც.

აზნაური—(ხანში შესული. ბრაზიანია) დავსჯით კი არა, ბატონო მიხეილ, სულ ლუკმა-ლუკმა ვაქცევ მაგ უნამუსოებს. დაღუპეს ქეყანა, ბატონო! ეს ჩენი საყვარელი ეორდანიია გაგვიქციეს და მაგათ შევანარჩუნებ რამეს? (ტუსალებს) მაცალეთ, თქვე ყაჩაღებო! მოვიცილი თქვენთვისაც და გიტორებთ ყოფას.

მენშევიკი—ბატონ... უკაცრავათ, მოქალაქენო! ამიერიდან აღმასკომი აღარ არსებობს და მის მაგივრად დროებით არის სამხედრო შტაბი, შტ-ბის უფროსი მე ვარ, ესენი-კი შტაბის წევრებია. გესმით?

გლეხები—გვესმის ბატონო!

მენშევიკი—კარგათ დაიხსომეთ რასაც გეუბნებით, ტფილისში საბჭოთა მთავრობა აღარ არიან. გუშინ, ჟორდანია აეროპლანით ჩაფრინდა ტფილისში და ეხლა სასახლეშია, სანამ აქ მოვიდოდით, ტელეფონით ველაპარაკე. გვილოცავს გამაჯგებებს და გვიბრძანებს, რომ ყველანი შევიარალდეთ და დავიქიროთ ყველა ბოლშევიკები, თქვენ სოფელში კიდევ იმალებიან ბოლშევიკები, თქვენ მოვალენი ხართ დავიქიროთ და მოიყვანოთ აქ. ბათუმში უკვე ინგლისის ჯარია, თან მოაქვს ინგლისის საქონელი. ბაქოც ჩვენია. მოსკოვში ბოლშევიკური მთავრობა დაეცა და იქაც დემოკრატიული მთავრობაა. ამრიგათ თქვენ, ამის შემდეგ ხართ დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქენი. ეკლესიებს გავაღებთ, კერძო საკუთრებასაც აღვადგენთ, საქართველოდან რუსის ჯარი უკვე გაიქცა, გესმით?

გლეხები—გვესმის, ბატონო!

მენშევიკი—მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (არაინ ხმას არ იღებს) რატომ არ შესძახებთ თქვენც? გაუმარჯოს!..

აზნაური—

ვაჭარი—

მდიდ. გლეხი—

გაუმარჯოს! (კანტი-კუნტად ორიოდ გლეხი ხმას აძღვეს).

მენშევიკი—(ხელს ჩაიქნევს) არა უშავს-რა! (ტყუიებს) ვათავდა თქვენი ბატონობა! ახლა რას იტყვიან? ეხლაც არ დაანებებთ თავს ბოლშევიკობას? მე გირჩევთ ოფიციალურად დაჰგმოთ თქვენი ბოლშევიკური გზა, და პირობას გაძლევთ რომ ხელს არ გახლებთ.

რაიკ. მდივ.—ჩვენ ასე ადვილათ არ ვყიდით ჩვენს იდეებს, შეგიძლიათ დაგვხვრიტოთ, მხოლოდ ჩვენგან მონანიებას ვერ მიიღებთ. მოსანანიებელი არაფერი გვაქვს.

მენშევიკი—(მცველებს) წაიყვანეთ სატუსალოში, მაგათთან ლაპარაკი ზედმეტია. შენ, ნიკოია, იცოდე, თუ გაიტყენ, სამხედრო სასამართლოს წესით იქნები დასჯილი.

აზნაური—პური არ აკამოთ მაგ ურჯულოებს, მაგათ! შიმშილით უნდა ამოწყდნ. (ტყუიებს გაჰყავთ).

აზნაური—(მოიხედავს და შეიშინებს შენობაზე წარწერას) კიბე, კიბე მომეცით მალე! უნდა მოვსპო ამათი სახელი სულ, (კიბეს მოუტანენ. მარდად წარწერას ჩამოგლეჯს, ფეხით შესდგება ზედ და სკყელტს) აღარ იყოს შენი სახსენებელი, აღარ იყოს, აღარ, აღარ...

ვაჭარი—ასე, ასე ჩემო ივანე! მოვსპოთ მაგათი სახსენებელი.

მენშევიკი—ნუ მასხრობთ: (შეიარაღებულებს) ჩვენ შევალთ სათათბიროთ. დავიციავთ წესრიგი აქ. (მათ უფროსს) სოფელში ხომ ყველგან არის პოსტები?

უფროსი—კი, ბატონო, ყველგან გახლავს:

მენშევიკი—წავიდეთ (სამხედრო შტაბის წევრები, მიდიან შენობისკენ. ამ დროს შემოდის მღვდელი ჯვრით ხელში). ოჰ, ჩვენს მამა ნიკიფორეს, როგორ ბრძანდებით მამაო!

მღვდელი—გამარჯობათ, შვილებო! მომილოცნია ბრწყინვალე გამარჯვება! აბა, აწი თქვენ იცით! ლეთის შეწვევით და თქვენი დახმარებით, აღვადგინეთ ქრისტიანობის სარწმუნოება, რომელიც შელახეს ურჯულო ბოლშევიკებმა. აზნაური —აწი ჩვენ ვიცით, მამაო ნიკიტოლე! ფიქრი ნუ გაქვს.

მდიდ. **გლეხი**—შენი ლოცვა ნუ მოგვიშალოს მამაო! შენ ილოცე და ჩვენ ვიცით, რაეარც მოვაწყობთ საქმეს.

მღვდელი—შვილებო, თუ გნებავთ, პარაკლის გადავიხდი გამარჯვებისას. დიაკვანი აღარ მყავს მარა. მარტვაც შემიძლიან.

მენშ.—ეგ თქვენი საქმეა, მამაო, სარწმუნოების საქმეს ჩვენ არ ვებებით, მაგრამ, თქვენი რწმენა კი გვეინტერესება, თუ არ ესცდები თქვენ უწინ ნაციონალ-დემოკრატი იყავით, მგონი!

მღვდელი—კი, შვილო, კი! უწინ კი არა, ახლაც ნაკიონალ დემოკრატი ვარ.

მენშ.—მამ, თუ მაგრეა წამობრძანდი ჩვენთან. შტაბის წევრათ მიგიღებთ, როგორც ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელს.

მღვდელი—იყავ, შვილო, კურთხეული! მაგითი ძაან მასიამოვნე. თუ მიმიღებთ, რაეა არ შემოვალ წევრათ.

მენშევიკი—მამ, წაეიდეთ. მოსალაპარაკებელი გვაქვს თქვენთან. (მიდიან საბლში. ორი შეიარაღებული კარებთან გაჩერდება. ორი სცენის სიღრმის ერთ მხარეზე. გლეხები თანდათან წინ წამოიწევენ. იშლებიან. ახმაურდებიან)

1 გლეხი—იმე, რაშია ბოშო, საქმე!.. ასე უცბათ რაეა შეიცვლა ეს მთავრობა? სიზმარი მგონია, სწორეთ გითხრათ.

მე-2 გლეხი—რას ამბობ, შე კაცო. ბოშო, რა სიზმარი, რის სიზმარი. ვერ ხედავ, რა თქვა? ჟორდანია ტუილისშიაო. ვერ წეიკითხე პრაკლამაცია? შიგ წერია ყველაფერი.

გლეხები—უყურე შენ. საიდგან გაჩენილა ასე მალე.

მე-3 გლეხი—აბა რა ეგონათ ამ ბოლშევიკებს? ადვილათ დაჟტოვებდა ჟორდანია საქართველოს? ნურას უკაცრავათ. მთელი ევროპა ანგლია, ამერიკა. აფრიკა სულ იმის მხარეზე ყოფილა თურმე, რალას გაუძლებდენ ბოლშევიკები.

1 გლეხი—ნეტავი, რაეა იქნება ახლა მიწის საქმე? ბოლშევიკებმა ქე მოგვცეს მიწა, და ესენი ხომ არ წაგვართმევენ თუ იცით. რაეა ფიქრობ შენ, სვიმონ ჩემო!

გლეხები—მართლა, ნეტავი. რაეა იქნება მიწის საქმე?

მე-2 გლეხი—მიწა? მეტი ხომ აღარაა და მომატებით ხომ ველარ მოგვიმატებენ. თვარა წართმევას რალას გვერჩიან, რა ვეცი... რაც გვაქვს. იმას და გვიმტკიცებენ, აღბაბ, კუპჩით.

მე-4 გლეხი—მე რაცხა ეკვი მეპარება, ბოშო! ეს მოთავე რომ არის, იმას არაფერი უშავს, მარა ეს ჩვენი მღვდელი ხომ ეიყოლია, ვერაფერი ნუგეშია. ან კიდევ ფხეკილაძე აზნაური, არ გახსოვი მაგის ხოიკები მიწის თაობაზე

გლეხები—ფხეკილაძე, ფხეკილაძე. არ ვარგა მაგი...

1 გლეხი ვე'ც ჩენი სამსონა კაი ბიკი მთაერობაში. ტყაეი გაგვადრო, სანამ კოოპერატია გავალეთ.

მე-1 გლეხი—თქვე უტვინოებო, ეს რმატომაა. რომე მთაერობა ახალია, მერე მავათ ყველას გამოცულიან და ახალ კაი ხალხს გამოგზენიან. (გამოდის მღვდელი)

გლეხები—გ:ჩუმი, ბოშო, მღვდელი მოდის.

მღვდელი—სხვა, რაეა ხართ ჩემო მრეელო? არ მოგენატრათ ეკლესია? დღესე გავსნით ეკლესიას, შკოლებს იმ ურჯულოებმა დამიკეტეს მარა, ეენა-ცვალე ეორდანის: ისეე მალორსა ლეთის სამსახური, ხომ გინდათ ეკლესია?!

ზებერი გლეხი.—(გამოეა; ხელზე ემთხეეა) რაეა არ გეინდა მამაო! რა-სა ბრძანებთ? ლმერთით ვართ ჩვენ კარგათ, თვარა, თუ ლმერთი არ ვიწამეთ, რალა იქნება ჩენი ცხოვრება.

მღვდელი—მართალი ხარ, შეილო! კომსომოდისტებმა ხომ დამიკეტეს ეკლესია, ხომ დაინახეთ რა საქმე დავმართათ. ახლა ყველა ციხეშია გამომწყედული.

1 გლეხი—მამაო ნიკიფორე! ეს ყველაფერი კაი, მარა, მენშეეიკების პრამაში რომ სწერია ლმერთი არ გეწამსო, რაეა იქნება შენი საქმე? ვითომ დავაყენებენ შენ და გავიღებენ ეკლესიას?

მღვდელი—არ გრცხენიან. ონისიმიე, მავას რომ ლაპარაკობ? პავრამა რას მიქეა. მენშეეიკებიც შენისთანა კაცი არ არის? იმასაც სკირდება ლმერთი და შენც.

მე-2 გლეხი—მამაო, ახლა რაეა იქნება შენი საქმე? ეკოესიას მოწყობა უნდა, შენ ჯამაგირი გინდა ვინ მოგცემს ამის ფულებს?

მღვდელი—შერლო, ეკლესია თქვენ უნდა აღმიდგინოთ? რაც შეეება ჩემს ჯამაგირს, ან მთავრობა მომცემს და ან თქვენ. უდრამოთ მე ცხოვრება, თქვენც კარგად იციოთ, არ შემიძლიან, ცოლი მყავს, შვილი, ოჯახი მაქვს აუარებელი სარჩენი, თქვენ ნუგეშინიანთ, შეილებო, ჯერ ბევრს არ მოგთხოვთ. ჩემთვის ცოტაც საკმარისია. მერე კი ლმერთის მოწყალე.. (სიჩუმე) ახლა მე მიედივარ. ეკლესიის გალავანში პარაკლისი უნდა გადავიხადო, და თქვენც მოხვალთ ყველანი. თქვენ იციოთ შეილებო, რავარც შეიფერებთ ახალ მთაერობას, გაუგონეთ მას, არ დაუწყით წინააღმდეგობა თორემ, ხომ იციოთ, ვაენი პალაქენიაა გამოცხადებულა და... (გადის. ორ შეიარაღებულს თან გაიყოლებს)

მე-3 გლეხი—ეხ, ეხ, ეხ! ვერაპური კაი ამბავია! ბოშო, მავის გაუმძღარ მუცელს ვინ გაავსებს! ეგეც თუ ჩვენ დავაწვა კისერზე და, გაკეთებულა ჩენი საქმე.

გლეხები—უუურე შენ წვერპანტელა ნიკიფორეს, ა-პა-პა-პა-პა!..

მე-2 გლეხი—ბიკო! რალათ მინდა ეკლესია, ან მღვდელი! ვერ გეიგეთ, რომ ლმერთი არ ყოფილა? არა, ბიძია, ნიკიფორე მღვდელი ჩვენ არ გეინდა, შეგეკანს ეგ მუცელ გასახეთქი სულ თლათ ერთიანათ, ბიკო პეტრე, არ გახსოვს რა საქმე გიყო. ქალს რომ თხოულობდი? გვირგვინი არ დავადგა თავზე, სანამ თენიანი არ ჩაულდ მჯიღში.

გლებები—ჰო, ჰო, რაეა არ გეახსოვს!

მე-4 გლები—არ გახსოვთ, რას შერებოდა ნიკოლოზის მთავრობის დროს? სტრანეიკებსა და პრისტავებს გვისედა დრამა ფულოზა...

ბებერი გლები—ნუ ხართ ურწმუნოები! მღვდელი საკიროა ჩვენთვის, უმღვდლოთ ცხოვრება არ შეიძლება.

1 გლები— შენთვის საკიროა, ჩემო ბიძია ლოცვის მეტი აწი, შენ არაფერი გაქვს გასაკეთებელი! ჩვენ კი კაი ხანია გვეიგეთ, ვინც ბრძანდებიან მაგი შავ-შავანაფორიანები.

გლებები—არ გვინდა მღვდელი, არ გვინდა! (გამოდის ეპარქი)

1 გლები—რა ქენით სამსონ, რა გადაწყვეიტეთ?

ვაჰარი—ბევრი რამე გადაწყვეიტეთ, კარგათაა საქმე. მალე დამფუძნებელ კრებას მივიწვევთ, ტელეფონით დაველაპარაკე ტფილისს!

მე-2 გლები—სხვათერე რაეაა საქმე, მიწაზე. ხომ არაფერი გილაპარაკიათ.

ვაჰარი—მიწაზე? მიწაზე არაფერი. აბა, ახლა თქვენ იცით, როგორც მეიქვეით, გეყოთ რაც ეწვალეთ, აწი ყველა თავისუფალია, ვაპრობაც თავისუფალია. ჩემს დუქანს მე ისეე გავალებ და შეგიძლიათ იქ იყიდოთ ყველაფერი, რაღათ გინდათ ან გლებკომი, ან კოოპერატივი... ჰო, მართლა, ქე დამავიწყდა, ერთი კაცი გვინდა გასაგზავნათ წამოდი ვინმემ.

გლებები—(არ უნდათ წასულა) შენ წადი! მე არ წაეა! არა, შენ წადი.

ვაჰარი—დეიწყეთ ახლა, ხო! თუ არ წამოხვალთ ხომ იცით...

გლები—სად უნდა წაეიდე, კაცო! საქმე მაქვს ჩემი!

ვაჰარი—(ხმის ამალღებით) წამოდი ჰო! იცოდეთ, რომ მე შტაბის წევრი ვარ! (გლები მიჰყვება, ეპარქი უკან გაიყოლებს გლებს, თან მიჰყავს ორი შეიარაღღებულიც)

მე-3 გლები—ესეც შენი სამსონა! ვერ ხედავ რაეა იქიმება? კოოპერატივი წაგკივა ხელიდან, თუ მაგას მისცეს დუქნის გაღების საქმე,

გლებები—რაეა შეიძლება კოოპერატივის დაკეტვა! არა, არა!

1 გლები—ეგ ქვეყნის წურბელაც თუ მთავრობაში იქნება, მაშინ სულ დავილუბებით: ტყავი გვაქ გამძვრალი მავისავან. არა, ძმებო, გლახათაა საქმე. (შეიარაღღებულს გამოჰყავს ის გლები, რომელიც წაიყვანა ეპარქმა გასაგზავნათ და მიჰყავს სცენიდან).

მე-4 გლები—სად მიხვალ, ბიჭო?!

გლები—(დაღონღებული) დამიქირეს! არ ვიცი, რისთვის! (გადის).

გლებები—(ჩოჩქოლი) რაშია საქმე? რა დააშევა, (გამოდის აზნაური).

აზნაური—(მიადახებს) არსად გაუშვათ ეგ ლაჩარი! ეგეც ბოღშევიკია.

(გლებებს აივნიდან) ყველას ასე დევიქერთ, ვინც წინაღღმღევი გახღება ჩვენი ბრძანების. თქვენ ნუ გგონიათ, რომ გაპატიებთ ყველაფერს. რაც ბოღშევიკებია სულ დევიქერთ ყველას. სულ მევიგონებთ რაც-კი ძველათ ჩავღღენიათ. არც მე შეგარჩენთ არაფერს. ჩემი მიწები რომ დერიგეთ, რა გეგონათ? ტყვილა მოგცემთ მიწას, ნურაფერს უკაცრაეათ! ოთხი წლის გადასახღღია თქვენზე და დღესეე უნდა ჩამაბაროთ ყველამ, ქყინღლი სიმინღი მოტებთ და ჩამაბარეთ, მიწაში

ნათესი, ფული უნდა ჩამბაროთ, ნაღდი. რა გეგონათ, აბა თქვენ?! ძველი დრო ვადავარდაო?... კერძო საკუთრება ისევ იქნება! ახლავე წადით და მომიტანეთ გადასახადი. (გაცხარებული შედის სახლში).

გლეხები—რა თქვა, ბოშო, მაგ სათოკემ?! სიმინდო? გადასახადი? (ჩოჩქოლია).

2 გლეხი—ღვეილუბეთ, ბატონო, ღვეილუბეთ!..

1 გლეხი—ახლა დადგა ჩენი უბედურება!.

მე-1 გლეხი—ამხანაგებო! ასე არ ივარგებს. რა ვარც: ვატყობ გლახათაა სახე. მიწას გეკრთმევინ, მიწას, ასეთი მთავრობა არ გეინდა ჩვენ. ვაჭარი მღვდელი და ახნაური არ უნდა გევიხადოთ ჩვენ ბატონათ. არ შეიძლება ასე.

1 გლეხი—რათ გეინდა მენშევიკების მთავრობა, თუ ასეთ საქმეს ჩაიდენს?!

გლეხები—ღვეილუბეთ, ღვეილუბეთ!

მე-2 გლეხი—სიჩუმე! რას ყაყანობთ! არ გინდათ მენშევიკები? გინდათ ძველებურათ ბოლშევიკების მთავრობა? რა გაგიკეთეს იმათ კაი? ამხელა გადასახადი რომ გავგაწერეს, გადიხნით? (შემოდის კომკავშირის წევრი).

მე-3 გლეხი—მენ თუ ბევრი შემოგაწერეს, ქეც გეკუთვნის, ქონება ბევრი გაქ, ლარიბს რომელს გადაახდევინეს გადასახადი? ბოლშევიკები გვირჩენია ისევ. ისინი ლარიბების მომხრეა. შკოლის გაკეთებას დაგვეხმარენ, სათესლე სინინდს იძლევიან, წერა-კითხვას გვასწავლიან. ჩენთვის ცდილობენ ყველაფერში. ესენი-კი მიუღებელია ჩენთვის. რათ გეინდა მღვდელი, ვაჭარი და ახნაური? არ გეინდა მენშევიკები!..

გლეხები—არ გეინდა, არ გეინდა.

კომკავშირელი—ამხანაგებო! მართალია თქვენი სიტყვები! მენშევიკებს თქვენთვის კარგი არაფერი უნდათ! ამხანაგებო! გაეიგე, რომ აქ მათ ულაპარაკნიათ. თითქოს ტფილისში გადატრიალება მომხდარიყო და რუსეთშიაც. ეს სულ ტყუილია, მე, ეს არის, ესლა ჩამოვედი ტფილისიდან. იქ ბოლშევიკური მთავრობაა. აქ თქვენ გატყუებენ. ნუ მოსტყუებდებით! იცოდეთ, რომ საბჭოთა მთავრობა მაგარია, და ასეთ ავაზაკებს არ შეუძლიან მისი დამხობა. ჩვენ უნდა დავატუხალოთ ესლავე ეს ყაჩაღები, და ღირსეულათ დავსაჯოთ ამ პაროვოკაციისათვის.

გლეხები—(ჩოჩქოლი) რაიო? ტყუილიაო? უყურე შენ! ავაზაკები... დავიკიროთ: არ გეინდა მენშევიკები!

კომკავშირელი—თანხა ხართ?

გლეხები—დავიკიროთ, დავიკიროთ!

კომკავშირელი—მოიცადეთ! არავინ მოჰკლან დატუსაღებიდგან! სიჩუმე! ამხანაგებო! დანწივდით! ერთ ერთ თქვენგანი შედით, და გამოუძახეთ შტაბის წევრებს, ვითომცა მოსალაპარაკებლად, რომ მოვლენ გარს შემოვერტყათ და განვიპარალოთ. თორემ თუ სახლს მივადექით, არ დაგვენებდებიან და ვინმეს მოგვიკლავენ. როცა გამოვლენ, მე მოგკემ ნიშანს და წავაელოთ ხელი, აბა, გასწი, ამხანაგო! (ერთი გლეხი შედის სახლში) სიჩუმე, ამხანაგებო! გამოვლენ და არაფერი შეგეატყონ! (გამოდის შტაბი თავის შემადგენლობით).

მენშევიკები შტაბის წევრებითურთ—რაშია საქმე, მოქალაქენო? (გლეხები ნელ-ნელა გარს ერტყმიან).

1 გლეხი—ერთი საკითხავი საქმე გექონდა, ბატონო! აწი რაჲა იქნება მიწის საქმე? დაგვიმტკიცებთ კუჭჩით, თუ...

კომკავშირელი დაიპირეთ ეს ავაზაკები! (გლეხები კიჲინით მისცვივდებიან და გაანარალებენ შტაბს. უკრავენ ხელებს) აილეთ ხელში იარაღი. არ გაუშვათ. გამომყევით მე... გაუანთავისუფლოთ ჩვენი ამხანაგები... (გაუძღვება რამოდენიმე შეიარაღებულს. გზაში ხედება სამი შეიარაღებული) ხელები მალა! (ასწევენ ხელებს, ამათ ჩამოართმევენ იარაღს და მიიყვანენ დაქერილ შტაბის წევრებთან) გამომყევით! (კომკავშირელი გადის და გაიყოლებს შეიარაღებულებს. ცოტა ხნის შემდეგ, გავარდება ორჯერ-სამჯერ რევოლვერი).

1 გლეხი—თქვე ყაჩაღებო, თქვენა! თქვენ გინდათ გაბატონება? ჩვენი მოტყუება გინდათ? ყორდანია ტფილისშიაო! შეგირცხვათ ნამუსი! ახლა რაჲაა თქვენი საქმე! ახლა ჩვენ გიტირებთ ყოფას. ფუი თქვენს ნამუსს!.. მატყუარები!. არაჲაზადები!..

გლეხები -ახლავე მოკლათ ეგ ყაჩაღები! სოფელი შეგვირცხვინეს. (ყინა).

კომკავშირელი —(მოუძღვება ყოფილ დატყევებულებს, თან მოჰყავს დაქერილი მღვდელი და ორი შეიარაღებული) ესეც ჩვენი მთავრობა!..

1 გლეხი—მოახდინეს გადატრიალება!..

2 გლეხი—არა, ძალიან მალე კი გადმოტრიალდენ!..

კომკავშირელი—აბა ვისაც იარაღი გაქვთ, გამომყევით მე! სოფელში კიდევ ყოფილა მაგათი ძმები. უნდა დევიკირით ყველანი. (გადიან)

მე-4 გლეხი -ამხანაგებო! ეს ჩვენი მთავრობა ქე დევიბრუნეთ! ყაჩაღები ქე დევიკირეთ, მარა ახლა მინდა გვეიგო, რატომ მოხდა ყველაფერი ეს? რაშია საქმე?

3 გლეხი—მე გეტყვით. ეს იმიტომ მოხდა, რომე ჩვენ კიდევ ვერ შევიგნეთ ჩვენი სასარგებლო საქმე! ჩვენ კიდევ ვერ გევიგეთ, რომ საბჭოთა მთავრობა ჩვენი მთავრობაა. ჩვენ ასე მალე დაუჯერეთ ამ ყმაწვილებს, აწი ქე ვიცათ. რაჲა მევიქცევით. პაწია ქე გამოვცადეთ, ამ ერთ საათში ძველი მენშევიკური დრო. ბოდიში უნდა მევიხადლოთ საბჭოთა მთავრობასთან და აწი ხელი უნდა შეუწყუოთ მას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გლეხები—გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

რაიკომის მდივანი - ამხანაგებო! ის, რაც მოხდა თქვენს წინაშე ნათლად გიმტკიცებთ, რომ მენშევიკები არ არიან თქვენი ინტერესების დამცველნი. მათი ამხანაგია ახნაური, უსაქმო ხალხი, ვაქარი, კულაკი. მშრომელი გლეხ-კაცობა კი მაგათი მომხრე არასოდეს არ იქნება. ერთხელ კიდევ დაერწმუნდით ჩვენ მათ მოღალატურ პოლიტიკაში. ამხანაგებო! რა უნდათ ამ ვაჲებატონებს? დამოუკიდებლობა? ერთი მითხარით ჩვენ დამოუკიდებლნი არ ვართ? განა, შემოსულა თქვენს სოფელში ვინმე გარეშე და ბრძანებლობა დაუწყია?!. განა, თქვენ არ გრძნობთ, რომ საქართველოს ნამდვილი მოქალაქენი ხართ! თუ ძმური კავ-

შირი გვაქვს რუჟეთის მშრომელებთან, ეს განაცუდია ჩვენთვის?!. რას გვეუბნებიან ეს ვაეზატონები? ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობაო, და თან დასძებენ ინგლისის ჯარი ბათუმში სდგასო! მაგათ სურდათ ჩვენი ინგლისისათვის დამონება და არა განთავისუფლება. კერძო საკუთრება!.. მაგათ კერძო საკუთრება ნიშნავს შიწის ყიდვა-გაყიდვას, კერძო ჩარჩ-ვაკრების ხელში ჩვენს ჩაყრას. მე დარწმუნებული ვარ, ფხეკილადემ უკვე ყურები აცქეიტა და ძველი გადასახადებიც-კი მოვთხოვათ.

გლეხები მართალია! მართალი.

რაიკომის მდივანი — (განაგრძობს) თქვენ გაქვსთ მიწა... ვინ არის მაგათი მომხრე? ვინ აისხა იარალი? შეხედეთ! (ამ დროს კომკავშირელს და სხვებს შტომოჰყავთ დატუსაღებული 8-9 კაცი შეთქმულობის მომხრენი) სულ უსაქმო ხალხიო ვაქრები, ყოფილი გვარდიელები, თქვენ კარგათ იცნობთ ამ ვაეზატონებს. იცოდეთ კარგათ, რომ თქვენი მთავრობა საბჭოთა მთავრობაა. მისი წარმომადგენლები კი ხართ თქვენ, ღარიბი გლეხკაცები და ამ პირობებში ღალატს არც ერთი მხრით არ აქვს ადგილი. მაშ გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! ზიზლი ავაზაკებს!...

გლეხები— გაუმარჯოს, საბჭოთა მთავრობას! ზიზლი ავაზაკებს! (ყიჟინა).

ფ ა რ დ ა.

კ, ხოზგარიძე.

გრძოლა თავისუფლებისათვის.

(დრამა 3 მოქმედებათ).

ბრძოლა თავისუფლებისათვის

მოქმედნი პირნი:

- | | |
|----------------------|--------------------------------------|
| 1. მემამულე ივანე | 50 წ. |
| 2. მოძღვარი | 50 წ. |
| 3. ბოქაული | 30 წ. |
| 4. პეტრიაშვილი | ინტელეგენტი-სახე პლუტური ჯაშუში 24 წ |
| 5. აღათია | მეეტლის ცოლი ბავშვით 25 წ. |
| 6. გორდაქე ლაღო | რევოლუციონერი 26 წ. |
| 7. დედა გორდაძისა | 55 წ. |
| 8. მარო | საკოლე გორდაძისა 21 წ. |
| 9. გიორგი | აშინაგი გორდაძისა 29 წლისა, |
| 10. კარხნის მუშა | 28 წლისა, |
| 11. ჯარის კაცი | 23 წლისა, |
| 12. ფაბრიკანტი | 30 წლისა, |
| 13. მდივანი ბოქაულის | 27 წლისა, |
| 14. მსახური | 18 წლისა. |
| 15. მეთვალყურე | 45 წლისა, |
| 16. მელამფე | 32 წლისა, |

მოქმედება პირველი:

მემამულის ოთახი, კარგათ მორთული, დივანი, სავარძელი, სკამები და მაგიდა. ნავიჯაზედ გრამმაფონი, ბანქო, ღვინის კულა, სამოვარი, ნამცხვარი. კედლებზედ სურათები. ხატები და ნიკოლოზ მე-11-რის სურათი. მაგიდასთან სხედან მემამულე, მღვდელი და ბოქაული. ყველანი ცოტა ნაქიფიარნი არიან და მოქმედების დროს, ერთმანეთში ხშირად კიკებს აკახუნებენ.

ბოქაული—(კიქას მღვდელს მიუქახუნებს). გაუმარჯოს რუსეთის ბევით-მპყრობელობას!

მღვდელი—და მასთან ქრიპტიანობას და სარწმუნოებას!...

ბოქაული—(ცოტა აღელვებით) ბატონებო! ჩვენ, როგორც თვითმპყრობელობის დამცველნი, არავის ნებას არ მივცემთ, რომ რომელიმე ნაძირალმა ხელი შეახოს ჩვენს დიდებას, (ხელს დაარტყამს). აჰ, იცით სადამდის მივიდა მაგათი თავგასულობა. წარმოიდგინეთ, უნდათ ამოიჩინონ მუშათა და გლეხთა საბჭოს მთავრობა, მაგრამ ჩვენ იმათ კარგი საუბზე მოუშადადეთ. ჩვენი ძალები

ჯერ კიდევ ცოცხლად ადევნებენ თვალს მათ არა ლეგალურ მოქმედებას; ვნახოთ. რას წაიღებენ, (ყველა თანაგრძნობით უქნეეს თავს).

მოძღვარი— ეპ: ორმოცდა ათი წელიწადი ვცხოვრობ დედამიწაზე და ამნაირი დაღუპული და ურწმუნო ხალხი არ მინახავს ჩვენს ქვეყანაში. თვითნებობა, ან დამორჩილება, უპატივისცემლობა უფროსებისა!.. მაგრამ ეისი ბრალისა? „უფროსებისა“ ეგ ქრისტეს გამყიდველები! აი ჩვენ რუსის გლეხკაცობას კი ისევე სწამთ ქრისტიანობა, პირუჯარს იწერენ. არა, რა მშვენიერი მადა აქვთ! მიართვით მამული! ხა, ხა, ხა!

ბოქაული— სადამდის მივალწიეთ ა?! (ამ დროს ეურნალს შლის). ამა, ბატონებო, დასტკბით! (ფარულად) სენობთ?

ყველანი— ღმერთო ჩემო! ხელმწიფე, ჩვენი ხელმწიფე! (ყველანი შემთვრალნი არიან, და რამდენიმე ჩუმად სხედან და პირუჯარს იწერენ. მღერაინ „Всѣхъ насъ хранитъ“).

ბიკი— ბატონო, თქვენთან ალათა აღმაზოვისა გიახლათ.

მემამულე— შენოუშვით!

ბიკი— (გადის და შემოყავს ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ბავშვით ხელში).

მემამულე— (რიხიანად). რა გნებაეს? (ბოქაულს) ეს გახლავთ დახვერტილი ჩენი ნეტლის ცოლი.

ბოქაული— (მხეცურად უყურებს ალათიას).

ალათია— დიახ, მე გიახელით, რომ მივიღო თქვენგან მოწყალეება. ჩემი ქმარი ხომ მოჰკალით! ეს პატარა ბავშვი დარჩა: არა მაქვს საშუალება აღზრდისა: წემწვით, თუ ქრისტიანები ხართ!

ბავშვი— დედა, პური მინდა.

მემამულე— (ძლიევს ბავშვს პურის პატ. რა ნაქერს, და ამავე დროს ძალს გაღაუგდებს დიდ ნაქერს) აბა, სერიოჟა, იყავი კარგი ბავშვი და არა ისეთი, როგორიც იყო მამაშენი. (ძალს აბა, სულტან).

ალათია - -

ბოქაული— (ირონიით) „მომშავე“. არა, ერთი ეს მითხარი, ბუნტობა მუშაობის რომელ დარგს ეკუთვნის?!

ალათია— (ძლიევს იკავებს ცრემლებს). დიახ! ის ჩემთან...

მემამულე— კარგი, ნუ სტირო, გამოტყინებულო დედაკაცო!.. სულ ერთია, მას ვერ გააცოცხლებ. (ბოქაულს) თუმცა ის ბუნტოჟიკი არ ყოფილა, მაგრამ, საცოდავი ძალით ჩაითრიეს, და მერმე იმანაც არ გასცა თავის ამხანაგები.

მოძღვარი— წადი, ალათი, შენ სახლში და ნუ უშლი დიდ ბატონს მუშაობას თავიანთ სახელმწიფო საქმეში. ილოცე ღმერთი, რომ მოინანიო სული შენი ქმრისა და ბავშვს კი ასწავლე, რომ ისეთი არ გამოვიდეს, როგორც იყო მამა მისი, თორემ ხომ ხედავ, რას მიაღწიეთ!? ხელმწიფე იმით არ უნდოდათ, ნლედელი; მიეცი სხვისი მიწა და სხვა. ერთი სიტყვით, პატიოსან ხალხს თავს ასეზრებდნენ. (უჩვენებს ბოქაულზედ). აი, ამათ კეთილშობილებას მოუხდა, ამას წინად ათი კაცის დახვერტა და ხელები გაისყარეს გლეხკაცის სისხლით, მერე ვინ არის ღამნაშავე? — გლეხები!! საღმრთო სჯულში ნათქვამია: „ღმერთისა გე-

შინოდეთ, ხელმწიფე იწამეთ და თვითნებობას ნუ დაიწყებთ“. ეხ, ეხ! ღმერთო, იესო ქრისტე!

ფაბრიკანტი—(შემოდის მღვდლის ლაპარაკის დროს). სალამი, ბატონებო. (უცბად მიხედავს ალათიას). აჰა, ბავშვი! (აძლევს სერიოზუას 20 კაპეიკს) (ალათიას). რადგანაც დარჩი უქმროდ და შენთვის ძნელია ცხოვრება, შეგიძლიან ჩემთან მოხვიდე და იმუშავო. (უკვირდება) რა მშვენიერი ბავშვი ყავს; დედასა ჰგავს. (ირონიულად).

ალათია—(გაბრაზებული) გასწი, გამშორდი, შე უღვთო და საზიზღარო! ჯერ ჩემი ქმრის მიწა არ გაცივებულა და შენ რალაცა გარყენილებას ჩადიხარ და კიდევ დიდ კაცად მოგაქვს თავი?! (შურააცყოფილ ფაბრიკანტს მემამულე შეყურებს).

მემამულე—შენ, ეი, ჩემად - „მიწა არ გაცივებულა! (ირონიულად). ხა, ხა, ხა! რომელ ქმარზედ ლაპარაკობ? ის ყაჩაღი იყო და ბუნტოვჩიკი.

ალათია—(ძალზედ აღელვებული). შენ თვითონ ყაჩაღო, გარყენილო, სისხლის მსმელო! (მღვდელს) აბა, თქვენ როგორ სძლებთ ასეთ ხალხში წმიდა ჯვრით გულზედ?! ღმერთისაგან დაწყველილნი! თქვენ მაილოდ უმწეო ქალს დასცინეთ. თქვენ ხომ ქრისტიანები არა ხართ, საზიზღარნი! (ბოქაული მხეცურად უყურებს, გაბრაზებულია). რას აქვეტთ თვალებს; ვერ შემაშინებთ! ხომ მოკალით ჩემი ქმარი? მომკალით მეც. ვაძეხათ ჩენი სისხლით. აბა, დასტკბით!

ბოქაული - (გაბრაზებული) გაჩუმი!.. დამიძახეთ ურიადნიკს!

ალათია—მე ვაფურთხებ თქვენს ურიადნიკს და თქვენც! (ურიადნიკს უნდა რალაცა სთქვას, მაგრამ სიბრაზით ენა აღარ ემორჩილება).

ბოქაული როგორ, თუ შენ ამას ბედავ?! გაიყვანეთ და აწამეთ! (ამ დროს შემოაკვივდებიან სტრანეიკები და გაიტაცებენ ქალს. ბავშვები სტირიან. ბოქაული მიძახებს). ჯაქვე კოროდორში გააფურთხობინეთ სული.

მოძღვარი—(მაგიდასთან ზის და ძილი აქვს მორეული).

ბოქაული - (გაბრაზებული დარბის) მე თქვენ, მე თქვენ გიჩვენებთ!

ფაბრიკანტი—(მემამულეს). ივანე იავორისძე! არ შეიძლება, რომ არ მოკლან?

მემამულე—(უჩვენებს თავით რომ ბოქაულს მიმართოს).

ფაბრიკანტი—ბატონო გრიგორი. არ შეიძლება ალათიას... აქ კი არა.. და არა კარიდორში...

ბოქაული—ჩემი სიტყვა კანონია! მათ ბოროტ მიმართულებას ძირიანად აღმოვფხვრი, დავკუწავ, დავ-კუ-წავ! (ფეხით აბრაზუნებს). (ამ დროს მოისმის ალათიას წივილ კივილი, მეორე ოთახიდან კი-პიანინოს ხმა).

ფაბრიკანტი—(ყველას) ბატონებო! მე ყოველ შემთხვევაში მაინტერესებს, თუ რისთვის და რაზედ აშენდა ეს ცეცხლის აღი? სიმაართლე გითხრათ, რაც საზღვარ გარეთ ვცხოვრობ, სულ ერთიანად ჩამოვრჩი რუსეთის ცხოვრებას. მე ესეც კარგად ვიცი, რომ რუსეთის გლეხკაცობას, ძალიან ღრმად მიაჩნია სარწმუნოება და თვითმპყრობელობა და, ამ დროს მესმის რუსეთში რევოლიუცია?!!

მოქმედება მეორე.

ოთახი გორდაძისა. მოწყობილობა მუშურია; მაგიდის ქვეშ ყრია ქალაღდები, გაზეთები, ბროშურები. საწერელი, წიგნაკები, ფანჯარი და სხვა. კედლებზედ სურათები ტოლსტოის, მარქსის და სხვ. მაგიდასთან ზის გორდაძე, ჰკიდია რეუოლვერი, ქალაღდებს ზოგს ხეყს, ზოგს ალაღდებს, ზოგს ჯიბეში ილაღდებს. იყურება საათისკენ. გადაღდამს რამოდენიმე ნაბიჯს და ლაპარაკობს.

გორდაძე—რა უნდა უთხრა მას საიმისო, რომ დავამშვიდო? უთხრა, რომ თავი უნდა დავანებო პარტიაში მუშაობას? არ მინდა, ვიცრუო. უთხრა მართალი და ეს გამოიწვეყს საშინელ ახალ ტანჯევა-წვალებას. ეხ. შესაცოდავო დედა ჩემო, რატომ არა გრძნობ ჩემს ტანჯვას? არ ხედავ, თუ როგორ ვიტანჯები და ეწვალობ?!

მარო—(შემოდის) გამარჯვება, ლაღო!

გორდაძე—(შეეგებება) გამარჯვება, მარო! დაჯექი, შენ სწორედ მოხეღ. (იყურება საათისკენ). აი, მარო, აქ ჩვენ გვექნება კრება ნახევარ საათის შემდეგ, და მანამდის მინდა მოგელაპარაკო ჩემს საკუთარ საქმეზედ. საქმე შემდეგშია: მე მაქვს ექვი, რომ ჩვენ შორის არის ვინმე გამყიდველი. აი, ამას წინად ამხანაგი გიორგი რომ დაიჭირეს, ის აუცილებლად გაცემული იყო, თორემ რა იცოდნენ ჯალათებმა იმისი ბინა? და რადგანაც ასეა, ხომ შეიძლება მეც დამიჭირონ. ამავე დროს იცოდე, მარო, რომ ბოქაულის მოკელისათვის სიკეთე არ მომელის. ამიტომ (ამოიოხრებს) მე უნდა წაეიდე აქედან, (თავს დაადებს მხარზე მაროს, ორივენი ალტაცებით მისჩერებიან ერთ წერტილს). გუშინ პეტრიაშვილმა მითხრა, რომ მას აქვს საბუთები, თუ ვინც არის ჯაშუში და უეკველია გამოარკვეყს; მანამდის კი უნდა წაეიდე რუსეთში. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოხვალ შენც და ისევ ერთად ვიცხოვრებთ. ხომ მარო? (უყურებს თვალებში). შენ ხომ გესმის და გრძნობ ამ ჩემს სიტყვებს? ვიცი, მარო, თუ რა ძნელი იქნება შენთან დამორება, მაგრამ რას იზამ? იმედი მაქვს, მარო, რომ შენ დარჩები ისეთივე, როგორიც იყავი დღემდის. (მწუხარებით) მაგრამ დედა!

მარო—მართალია, ლაღო! მე თვითონ მინდოღა მოლაპარაკება შენთან ამის შესახებ. წარმოიდგინე, სანამ არა იცოღა რა დეღამ შენი პარტიაში ყოფნისა, სულ ერთთავად მხიარულობღა, იცინოღა, ისეთი ჯანსაღი, გართული იყო, რომ ვერ აგიწერ; ეხღა კი ცრემლები და სულ ცრემლები... ჩამოხმა ქალი დარღით და უბედურობით; შენც ხომ ამჩნევ? ნახევარი აღამიანი აღარ არის.

გორდაძე—(ამოიოხრებს) ეხ! მე ამას ეხეღავ და, ამიტომ გთხოვე, მარო, როდესაც აქედან წავალ, მოუარე, იცრუე, მოატყუე, ოღონდ კი დაამშვიდე!.. ოხ, ბუნებავ, როგორ მაქვს შებორკილი ფრთები!

დეღა—(შემოდის) გამარჯვება, შეიღებო!

მე საზოგადოთ ვიცოდი, თუ როგორ მიდის მოძრაობა რუსეთში. ღმერთო ჩემო, რამდენი ცელილებია ამ ორ წლის განმავლობაში!

მემამულე — (ბოქაული დადის გაბრაზებული.) ხომ ხედავთ, ჩემო კარგო ვლადიმერ პავლესძე, უნდა მოგახსენოთ, რომ რევოლიუცია მოხდა შარშან ქალაქებში. იყო გაფიცვები. ჩვენი უდიდესი მონარხი ბურჟუაზიასთან ერთად, დიდ უწრადლებას აქცევდა გლეხობაში რევოლიუციის სტიქიურ მსვლელობას; მოიწვიეს სახელმწიფო სათათბირო, მისცეს ამნისტია, თავისუფლება სიტყვის და ბევედის. იმის მაგიერად, რომ მადლობა გამოეცხადებინად მთავრობისათვის, მათ ამით ისარგებლეს და თავიანთი მოქმედება სოფელში გადიტანეს. გაჩნდნენ უეცრივ ავიტატორები და მოუწოდეს გლეხებს — დახოცეთ მემამულენი და წაართვით, რაც აბადიათო და სხვა. როგორც სოკო ნაწვიმარზე, ისე მოეკიმა პროკლამაციები, რომლებშიაც იყო გატარებული ერთი აზრით: „მიწა ხალხისაა, და მით უნდა ისარგებლოს მან, ვინც მას დაამუშავებს“-ო. უბედურება ის არის, რომ ჩვენ სოფელში უკვე შეადგინეს მებრძოლთა რაზმები.

ფაბრიკანტი — ნუ თუ? მაშ, ეგრეთა?

მემამულე — უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ბანდები ამ დღეებში იქნებიან დაქერილი იმიტომ, რომ მათში მუშაობს ერთი ჩვენი კაცი, რომელიც დაწვრილებით გადმოგვეცემს მათს სახელს და გვარს. მართლა, ამას წინად იმან ერთი მათგანი გასცა, თუმცა ეკვი მიიტანეს იმაზედ, მაგრამ, ხომ იცი, საქმის კაცია და იმათ გააცურებს.

ბოქაული — დიახ, დიახ! საქმის კაცია. (გაალებს კაარებს.)

მემამულე — მერე ეს მომწამლაი საქმე თანდათან იზიდავდა ბრბო. გლეხებს. ერთი კვირას შემოკვიედენ გლეხების ბრბოები ჩემს მამულში კეტებით, ფიქლებით და მოუკიდეს ცეცხლი შენობებს და ყვირდდნენ. „მიწა თავისუფალია“-ო, ძირს თვითმპყრობელობა!-ო. სიკვდილი ჯალათებს! მე, რათქმა უნდა, გაეწნაღე იმ წამსვე ჩემი ცოლით ქალაქში, იქ მივმართე გუბერნატორს, რომელთაც მოახდინა სასტიკი განკარგულება, და გამოგვატანა სტრანეიკები ჩვენი გრიგორ პეტრეს ძის ხელმძღვანელობით, და ჩვენც გამოვსწიეთ; იქ კი თურმე გველოდებოდნენ ბანდები, რომლებმაც წინააღმდეგობა გავეციეს, მაგრამ ბოლოს გაიქცნენ, (ამ დროს ფაბრიკანტი სიამოვნებით თავს უქნევს.) თუმცა მოგვიცლეს სამი სტრანეიკი, რის შემდეგაც გრიგოლ პეტრესძემ შემოარტყა ალყა სოფელს, მაგრამ მათი მეთაური მაინც გაიქცა, სოფელი კი სასტიკად დასაჯა.

ფაბრიკანტი — როგორ დასაჯა, როგორ?

ბოქაული — სულ უბრალოდ: ჩაერეკე სოფლის ბოლოში ხალხი, გადავთვალე შვიდი კაცი და დაეხვრიტე; სამი მათრახის ცემით მოკვდა, ვინაილგან არ დაჯდნენ, დანარჩენნი კი სამი საათი უქუდოთ თოვლში დაჩოქილი დავაყენე. ჯერ მე ვსთხოვე, რომ თავიანთი წინამძღოლები გაეთქვათ, და როცა ჩენი თხოვნა არ გავიდა, მაშინ მივმართე ასეთ ზომებს, მე კი იკადრეს თქმა.

მემამულე — მოთავე ყავთ ვილაც ადგილობრივი მუშა, ლადო გორდაძე

ბოქაული — ო, ო, ო! თუ დავიჭირე, მე ვაჩვენებ იმას!

ფაბრიკანტი—საკვირველია, ლადო მე მახსოვს: ეგ ჩემი ძველი ნაცნობია, ფაბრიკაში მუშაობდა ჩემთან ათი წლიდან და ხედავთ, როგორ ფუქდება ადამიანი?! ისეთი პატიოსანი იყო, რომ ვერ აგიწერთ!

პეტრიაშვილი (შემოდის) ბ. ბოქაულო, მე ისევ გამომიცხადეს ნდობა, მთელი ორგანიზაცია ჩემს ხელთ არის. იყავით ფრთხილად. ლადოს თქვენი მოკვლა უნდა და ამის შესრულებას ფიქრობს ზეგ. თქვენ მიიღეთ ჩემი წერილი? **ბოქაული**—მერე? (მღვდელი იღვიძებს).

პეტრიაშვილი— თქვენი მოკვლა მზადდება ზეგ და, ხეალ კი კრება აქვთ, სადაც შეგვიძლიან ყველანი დავიჭიროთ, მხოლოდ იცოდეთ, ბატონო ბოქაულო, რომ მე აქ აღარ მედგომება და ფულიც არა მაქვს.

მემამულე—(იღებს ას მანეთიანს) დიდი სიამოვნებით.

ფაბრიკანტი—თქვენ ძალიან დაგვაყალბეთ. (აძლევს ფულს.)

მღვდელი—(იღებს ხუთ მანეთს.) დიდი სიამოვნებით. აუშმა ცოტაა, მაგრამ მე ვილოცავ თქვენთვის.

პეტრიაშვილი—(ფულს ყველას ერთმეცს, თავს უკრავს და მიდის.)

ბოქაული—ესეც თქვენ! ხედავთ?! ჩემზედ სიკვდილის განზრახვაა. ხა, ხა. ხა! პირველმა მიიღეს თითო საყენი მიწა და სძინავთ ტკბილად!.. (იციინან.) მაშ, ზეგ გინდათ თავდასხმა მოაწყოთ? ზეგ ყველანი ციხეში მესულებით. თქვენი სული ჩემს ხელშია, მაცალეთ?! ხა, ხა, ხა!..

მღვდელი—იმოქმედეთ, იმოქმედეთ; მე სამადლობელ ლოცვას შევუდგები; ნუ შევარტხვენთ ჩვენს მამულს და მოვკვდეთ მისთვის. (ღერეფანში ისმის ყვირილი-გასწიეთ, დააწვინეთ, მოიტათ როზგები. აბა, მოუქირე თოკი.— ქალის ხმა: ჯალათებო—შვილებო, მაპატივეთ, ნუ მომკლავთ; ოხ, ჩემო პატარა ბავშვებო, ობლად დატოვილნო. ფაბრიკანტი და მემამულე იყურებიან გაშტერებულნი პარტერისაკენ.)

მღვდელი—ეხლა კი მხეკი მოისპობა!..

ბოქაული—(სთელის) ერთი, ორი, სამი (შემორბის ლადო და დაუშენს რევოლვერს). სამი, ოთხი, ხუთი (ფაბრიკანტი და მემამულე მაგიდის ქვეშ შედგებიან, მღვდელს უნდა დივანის ქვეშ შეძვრეს, მაგრამ ვერ ეტევა-სქელია: ბოქაული გაშოტილი გდია. ლადო გაიპარება. ისმის ხმები—დაიჭირეთ. დაიჭირეთ. არ გაუშვათ კაცი მოკლეს.)

გორდაძე და მარო—გამარჯვება, დედა! დაბრძანდი.

დედა—(ჯღღება) სადამდის მივალწიე! დედა მიღის შვილთან და უნდა იმა-
ლებოდეს, რომ არავინ დაინახოს. ოხ, ოხ! ერთი გკითხოს კაცმა, რათ გვიშე-
რები ამ საქმეს? რისთვის? (მიიხედ მოიხედაეს და რომ ვერ დაინახავს ხატებს,
რომლებიც ეგულებიან, უმაცოფილოდ თავს აქნევს).

გორდაძე—რა უყოთ, დედა! ამიტომაცაა, რომ კაცი ფხიზელი უნდა იყოს.

დედა—ეხ შვილო, შვილო! არ გიყვარს დედა განა? ხომ იცი, შვილო,
დღე და ღამ ვმუშაობდი, არ ვზოგავდი არც ძალას, არც ღონეს იმისათვის, რომ
შენ ადამიანი გამომეყვანე და ეხლა კი რალა ვქნა? ერთი შვილი ომში მომიკ-
ლეს, მეორე საზღვარგარედ იმალება და შენც, რა თქმა უნდა, მოგელის ბორ-
კილები და ციმბირი. დამტოვეთ მარტო, ჩემთვის პატრონი არსაიდანაა; ოთხ-
კედელშუა უნდა ამომხდეს სული, ღმერთო ჩემო, რა შეგცოდი ისეთი! (სტი-
რის) ნუ თუ ვერა ხედავ, რას დავემსგავსე?! (კრემლებს იწმენდს) ნუ თუ შენში
არ მოიპოვება ცოტაოდენი ადამიანური გრძნობა, და სიყვარული მშობლისად-
მი?! დაფიქრდი, შვილო, დაფიქრდი!

გორდაძე—(რამოდენიმე წუთი ჩუმად არის, შემდეგ მკაფიოდ და გადაწყე-
ვეტით) მე ვხედავ, დედა, რასაც ეშვრები! მაგრამ, რა ვქნა, დედა, რომ მიყვარს
საწყალი, გაჭირებული ხალხი! მე არ შემძლიან გულცივად უყურო საწყალი,
დაბეჩავებული ხალხის ტანჯვას და გოდებას! როგორ ვიცხოვრო ისე, როგორც
ოთხფეხი საქონელი?! მე ეს არ შემძლიან. რას ვხედავთ ჩვენს ირგვლივ!.. წვა-
ლება, წამება, შიმშილი, სიცივე, კრემლები, ბორკილები, ციხეები, საბრძოლვე-
ლები და სხვა. მილიონებით უპატრონო ქვრივ-ობლები! მთელი ზღვა ადამიან-
ის სისხლისა! დახოცილ ადამიანების სისხლით მორწყული გორაკი და ველე-
ბი! ერთი პატარა ჯგუფი ბურჟუა-მემამულეებისა უნდა აწამებდეს რამოდენიმე
მილიონ მშრომელ ხალხს! რამოდენიმე სოფელი უნდა ოფლს ღვირდეს დღე და
ღამე იმისათვის, რომ კარგად იცხოვროს ვინმე მუქთა-ხორა მემამულემ?! ათი
ათასმა მუშამ უნდა იმუშაოს ფაბრიკა-ქარხნებში, იმიტომ რომ ფაბრიკანტი
ქეიფობდეს, და დროს ატარებდეს პარიზის სალონებში. ასი ათასობით უნდა
იღუპებოდეს ბრძოლის ველზედ კერძო ენიანობის გამო!.. მაგრამ მოვა დრო,
როცა ხალხი დასდებს თავის მსჯავრს და გაასამართლებს, როგორც გახრწნილი
და ზნეობით დაკემულ ადამიანებს! ჩემო საყვარელო დედა, ერთი მითხარო:
განა, ეს სამართალია?! განა, ეს კანონია, რომ შენი მოძმე სტანჯო, აწამო,
ამოართვა სული იმისთვის, რომ შენი პირადი ბედნიერება მოიპოვო?! დედა,
ხომ იცი, რამდენი დღე ვყოფილვართ ხოლმე ულუკმა პუროდ! განა, ბოქაული
კანონიერად მოექცა საწყალ მშრომელ ხალხს? მათ თამამად აღიარეს: „ძირს
გაბატონებული კლასებიო!“ და ამისათვის ააწიოკეს საბრალონი!

დედა—ეხ, შვილო! რაც სიტყვი, ყველაფერი მართალია, მაგრამ, შენ რათ
მიდიხარ იმთ წინააღმდეგ! ხომ არის მთავრობა? ხომ შეიძლება ჩივილი?

გორდაძე—მერე, ვისთან უნდა იჩივლონ? განა, რაც მთელი საწყალი ხალ-
ხის თავზე უბედურება ხდება. ეს მათ არ იციან?! როგორ არა, კარგად იციან,
მაგრამ?!

დედა—გინდა ეგრეც იყოს! ღონიერს ხომ ვერაფერს დააკლებთ, და მდიდართან არც უნდა დაიწყო ჩივილი; ისინი ძალიან ბევრნი არიან; მთელი ძალიან მათ ხელშია. თქვენ კი არაფერია გყავთ. რა უნდა გააკეთო შენ ერთმა?!

გორდაძე--მე ერთი არა ვარ, ჩვენ ათასნი ვართ, მილიონები!

დედა—მით უკეთესი, შვილო!.. უშენოდაც გააკეთებენ საქმეს.

გორდაძე--ეხ, ჩემო დედა! (პაუზა). აბა. ესლა ჩვენ კრება გვაქვს; წადით სახლში და სანამ წავიდოდე აქედან—შემოვივლი, რომ გამოგემშვიდობოთ. (დედას ეს სიტყვები ტყუილასავით ხედება გულში; რამდენიმე წუთი ზის ჩუმად, მერე უცებ წამოვარდება, მივიარდება და დაიჩოქებს ლაღოს წინ).

დედა—ჩემო ბიკიკო! ჩემო შვილო. ჩემო ღმერთო!..

გორდაძე—(აიყვანს დედას და დასვამს სკამზე; თვითონ დადის აღელვებული, მერმე აჩვენებს მაროს, რომ დედა გაიყვანოს.

მარო—(დედას გაიყვანს მკლავში ხელ გაყრით).

გორდაძე—(დადის აღელვებული და უცბად შესდგება ხოლმე). საწყალი დედა. ეგ ვერ გადაიტანს ამ შემთხვევას. საცოდავი, ძალიან იტანჯება...რა იქნება რომ... მე რომ... მოხბდე ციხეში?.. მოკვდება ტირილით. ჩემო საცოდავო დედა!.. ჩემი მისწრაფება, ჩემი იდეალი!.. (ხმას იმაღლებს) ჩემი იმედი, ჩემი სიკოცხლე! (ჩუმად) დაუგდო ყური მას? გამოვიდე პარტიიდან!.. არა, არა და არა! მე ხალხი შვილი ვარ, და მას ვერ ვუღალატებ! (ხმა მალავ). დედა ჩემო! როდესაც აიღო მომავალში გაბრწყინვალდება მზე სიხარულისა და თავისუფლებისა, როდესაც მწუხარების, გოდების და ტანჯვის მაგივრად გავიგონებთ სიყვარულის მუსიკას, მუსიკას ბედნიერებისა და ყოველგვარ უსამართლობისაგან განთავისუფლებისას, მაშინ შენ, კეთილო დედა, მეტყვი: „შვილო, შენ მართალი იყავი“-ო...

მარო—(შემოდის) ლაღო! დედა... მე... გთხოვთ... დედამ მთხოვა...

გორდაძე—(გაცხარებული) რა გინდა, რომ მითხრა? სთქვი გარკვევით... ისა გთხოვს... დედა გთხოვს... არაფერი არ მესმის!..

მარო—დედამ მთხოვა მომეხდინა შენზედ გავლენა, რომ შენ თავი დაგენებებინა პარტიაში მუშაობისათვის. დედა ამბობს, რომ მე შენ ძალიან გიყვარვარ და კიდევაც დამიჯერებ.

გორდაძე—მერე? შენ რა... შეპირდი?

მარო—(ჩუმად), ჰო!

გორდაძე—და შენ გინდა, რომ გამოვიდე პარტიიდან და ვიცეკვო—ჯანუშების ტაშტი?

მარო—(შეწუხებული) არა... ნე.. მე... ნინდა, რომ შენ... რომ შენ ციხეში არ ნახდეთ... რომ შენ იყვე დედის გვერდით... რომ შენ იყვე მუდმივ ჩემთან, ჩემო ყარგო! (მვიარდება, დაეცემა ფეხებთან, მერმე ეხევეა კისერზე, კოცნის ტუჩებში, და თვალეში შეჰყურებს).

გორდაძე—მარო, დაჯექი!.. მე ვხედავ, რომ შენ არა ხარ ნამდვილი რევოლიუციონერი. შენ მიიღე თავზე სიმედგრე და აიტანე კიდევ. ამ შემთხვევაში მე მართალი ვარ და, ჩვენ რომ ერთმანეთი შევიყვარეთ, მაშინ მე მო-

გეცი წინადადება, რომ ხაზი ჩენი სიყვარულისა, შეუძლიან გასწყვიტოს დღე-ვანდელ უსამართლობას; ესეც ვიცი, რომ ციხე-ციმბირი არ ამცდება. მე შენ გეძახდი საბედნიეროთ კი არა, არამედ გაკვირვებაში. შენ მითხარი—მე ყველაფერი აეწონე და მოვდივარ შენთანო, და ეხლა კი შენში მე რაღაც არა საიმედო სახეს ვხედავ... მე კიდევ ერთხელ გაძლევ წინადადებას, თუ შენ გწამვარ და მაჟსებ, ვიყვარდეს ის იდეაც, რომელსაც ვატარებ ამ ჩემს გულში!

მარო—არა, არა, ლაღო! მე მეტს აღარ გეტყვი... მე სულელი ვარ, მომიტოვე!.. წამოვალ შენთან, ვიყო ერთად!.. მაპატიე, ლაღო!

გოლდაქე—(კოცნის) ჩემო მარო! შენ მეუბნები: „მომიტევე“-ო, რა მოგიტევე? რა გაქვს მოსატევებელი. მე მესმის და ვგრძნობ ყოველივე შენს ნაამბობს. შენ გგონია—მე გული არა მაქვს? შენ გგონია, ჩემთვის ადვილია ყოველივე ეს? განა, არ მინდა ალერსი, სიყვარული? ეხ, მარო, მარო! (ამ დროს მოისმის კარების ბრახუნი და ხმა: „შეიძლება“- (ჯდება მაგიდასთან). შემოდით.

შემოდინ ოთხი მუშა, ერთი პროვოკატორი პეტრიაშვილი.

გოლდაქე—გამარჯვებათ, გამარჯვებათ! (ხელს ართმევს.) დაბრძანდით! (სხდებიან) მე დღეს მოგიწვიეთ, ამხანაგებო, იმისთვის, რომ გავარჩიოთ რამოდენიმე საკითხი, რომელიც ეხება ჩვენს ორგანიზაციას. (იღებს ქაღალდს.) დღიურ წესრიგში არის შემდეგი კითხვები: 1) დაპატიმრება ჩენი ამხანაგი გიორგის, 2) დახმარება მისი, 3) მისი განთავისუფლება, 4) ბოქაულის მოკვლა და 5) პაროლის შეცვლა. გთხოვთ ამოიჩიოთ თავმჯდომარე.

ყველანი—ლაღო, ლაღო!

გოლდაქე—გმადლობთ ნდობისათვის. ამხანაგებო, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ რამდენად, არასასიამოვნოა ის, რომ ჩვენს წრეში არის გამცემი, რომელიც გასცა გიორგი. ხვალ შეუძლიან გამცენ მე, მეორე და მესამე, რას იტყვით ამის შესახებ?

ხმები—არის, რა თქმა უნდა. (პეტრიაშვილი ყველაზედ მეტს ყვირის).

პეტრიაშვილი—გთხოვთ სიტყვას.

გოლდაქე—ინებეთ.

პეტრიაშვილი—მე უკვე მაქვს დასამტკიცებელი საბუთები, რომ ჩვენ შორის არის ვინმე ჯაშუში და პროვოკატორი. მომეცით ორი დღის ვადა და საბუთებით წარმოვადგენ... იმ პირს ამისთვის მოელის სიკვდილი, და რადგანაც ეგრეა, მაშასადამე, უნდა ფრთხილად ვიყოთ.

ყველანი—ქეშმარიტებაა, სწორეა.

გოლდაქე—რადგანაც ასეა, ამხანაგებო, მოდით და მივანდოთ ამხანაგ პეტრიაშვილს, რომ ყველა საბუთები იმის შესახებ, თუ ვინაა ჯაშუში, მოკრიბოს და მოგვეცეს მასალა კრებისათვის. წინააღმდეგო ხომ არავინაა?

ყველანი—არა, არა.

მუშა—ჩემი წინადადება ათ-ათი მანეთი მივცეთ ჩენი ჯიბიდან.

ყველანი—თანახმა ვართ, თანახმა ვართ.

გოლდაქე—შემდეგი: რაც შეეხება დახმარებას, მე ამხანაგ გიორგის ცოლს გადავეცი 5 გირ. მაქარი, 5 გირ. ძეხვი, ორი წყვილი თეთრეული და 50 მან. თული ორგანიზაციის კასიდგან. საწინააღმდეგო ხომ არავისა გაქვთ?

ყველანი—ძალიან კარგია! (ტაში).

გორდაძე—მესამე საკითხი—გიორგის განუზრახავს ყველიერში ციხიდგან გაქცევა. როდესაც ყველა ზედამხედველები მთვრალეები იქნებიან. მე უკვე გადავეცი საკირო მასალები ციხის კედლის ასაფეთქებლად. სეირნობის დროს ააფეთქებს კედელს, ამ დღისათვის ჩვენ უნდა დავნიშნოთ სამი ამხანაგი: ერთმა უნდა გაიაროს ფაიტონით ციხის მახლობლად, სადაც უნდა გადმოხტეს გიორგი, და ორმა უნდა სწოლა დაუწყონ გოროდოვოებს, თუ ისინი დაედევნებიან გიორგის.

ყველანი—მე წავალ, მე! (ყველაზედ მეტს ყვირის პეტრიაშვილი.)

გორდაძე—რადგანაც ყველანი თანახმა ხართ, მე ვიტოვებ უფლებას ეს დღე დავნიშნო ჩემი შეხედულობით. ხომ წინააღმდეგი არავინაა?

ყველანი—არა... არა...

გორდაძე—მე 4 საკითხი: მოკვლა ბოქაულისა, მოკვლა იყო დანიშნული ხელისათვის, მაგრამ, რადგანაც მე ეპქვი მქონდა, რომ ჩვენში არის გამცემი, რომელსაც შეეძლო მისთვის ეცნობებინა, ამიტომ ბოქაული მე უკვე მოეკალი. როგორც გადმომცეს, გლეხები ლოცულობენ ბოქაულის მკვლელზეო. (ილიმება). შეიძლება კიდევ ვიცოცხლოთ... მეხუთე საკითხი, ამხანაგებო, პაროლის გამოცვლაა. დღეიდგან იცოდეთ, რომ პაროლი „ვარსკვლავის“ მაგივრად, იქნება პაროლი „დამარცხება“. კარებს აბრაახუნებენ.)

გორდაძე—მობრძანდით. (შემოდის ჯარის კაცი) საიდან? რა გნებაეთ? გვარი?

ჯ.-კაცი—სამხედრო ორგანიზაციიდან—პავლიაშვილი.

გორდაძე—პაროლი?

ჯ.-კაცი—„ვარსკვლავი“

გორდაძე—დაჯექით, რა გნებაეთ?

ჯ.-კაცი—(ხმის კანკალით) მე მოვკალი მამაჩემი. გლეხების დამშვიდების დროს... გაფლენილი ხელმწიფის დისციპლინით. მტანჯავდა ნამუსი, უნდა ჩემი თავი მომეკლა... მერე ვნახე ამხანაგები და ჩავწერე პარტიაში, მაგრამ, იქ არაფერია გასაკეთებელი; მე კი მიინდა ვიმუშავო და შური ვიძიო იმ ჯალათებისა, რომლებიც გვაწვალებენ და გვტანჯავენ. სურვილი მაქვს ვიმუშავო მებრძოლთა ორგანიზაციაში,

გორდაძე—ამხანაგების სახელით გიცხადებთ სალამს და სასურველი იყოს თქვენი მუშაობა ჩვენს ორგანიზაციაში. (ხელს ართმევს. კარების ბრახუნი). შემოდით. (შემოდის ორგანიზაციის წევრი ქარხნის მუშა და ბოქაულის მდივანი)

ქარხნის მუშა—(გორდაძეს ეჩურჩულება ყურში და აძლევს რალაც ქალღღებს. (გორდაძე ყვითლდება და საშინლად აღელვებული წაიკითხავს თუ არა ბოლომდის, უეცრად ამოიღებს რევოლვერს, დაუყვირებს პეტრიაშვილს.)

გორდაძე—თქვენ დატყვევებული ხართ, საშიზლარო! (აძლევს ქალღღებს მუშას.) წაიკითხეთ ხმამალა.

მუშა—(კითხულობს.) მათ მალაკეთილშობილებას მე 4 უბნის ბოქაულს. ბატონო ბოქაულო! ჩემის ჩვენებით თქვენ დააპატიმრეთ მებადღირი, მაგრამ უნ-

დათ მისი განთავისუფლება. თუ რომელ დღეს, ამას შეგატყობინებთ. გვემა განთავისუფლებისა ჯერ არ არის შემუშავებული. ამის შესახებ ჯერ არ ქონიათ სჯა-ბაასი, მაგრამ გორდაძემ კერძო საუბრის დროს მითხრა ყველაფერი. ეს პირველი. მეორე: ის რომ ხვალ აქვს განზრახვა თქვენი სიკვდილისა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ აუსრულდება, რადგან თქვენ მათ ყველას დაიქვრთ კრებაზე 18 № სახლში, ოთახი გორდაძისა. ამითან ერთად დამიქვრთ მეც, რომ არ იყვეს ჩემზედ ექვები, თქვენი კეთილის მსურველი პეტრიაშვილი.

ყველანი—(მივარდებიან პეტრიაშვილს) საზიზღარო, ჯალათო, სულადაბალო! აი, ვინა ყოფილა იუდა გამყიდველი! (სჩხრეკენ და უპოენიან ქალაღდს, რომელსაც გადასცემენ გორდაძეს.)

გორდაძე—(კითხულოჰს) ბატონო პეტრიაშვილო! ჩვენ თან და თან ნაკლები მუშაობა გვაქვს. ეცადეთ ახალი წევრები მიიზიდოთ, იმათი პარტიის წევრები, თორემ ჩვენ მოგველის უმუშავრობა.—თანამშრომელი კაკაურიძე. ჰმ. აი. თქვე საზიზღარებო, ჯერ აცხოვრთ რევოლიუციონერებს და მერე ვაქრობთ მათით? ჯალათნო!

პეტრიაშვილი—(უნდა თავი გაიმართლოს, მაგრამ ნებას არ აძლევენ.)

გორდაძე - დამშვიდდით, ამხანაგებო! ეგ აქედან ვერსად წავა. (მუშებს). რა საშუალებით მიიღეთ ეს საბუთი და ვინაა ის პიროვნება?

1 მუშა—ეს არის ჩემი ძველი მეგობარი, ბავშვობიდან მუშაობდა ბოქაულთან მდივნათ, და გადასწყვიტა 300 მანეთად ემხილა ჩემთვის ეს საიდუმლოება, იმ პირობით კი, რომ პეტრიაშვილი... (უჩურჩულებს ყურში)

გორდაძე—(იღებს ფულს და აძლევს მდივანს.) მიიღეთ ფული, და რაც შეეხება თქვენს პირობას, ჩვენ ამას სიამოვნებით შევასრულებთ ხუთი წუთის შემდეგ. (პეტრიაშვილი შეშინდება). მაშ ასე! (მდივანს) თქვენ ჩვენთვის საპირო ალარა ხართ. (მიუბრუნდება სამ მუშას) თქვენ, თქვენ და თქვენც! (აძლევს რევოლვერებს) ეხლავე დახვრიტეთ პეტრიაშვილი, მისი სხეული კი გაუგზავნეთ დაბეჭდილი იაშჩიკით გუბერნატორს საჩუქრად. (პეტრიაშვილს პირს აუხვევენ, რომ არ დაიყვიროს) ეხლა თქვენ წადით აქედგან. ყველანი საითათოდ გადით. აქ კრება უნდა შესდგეს. იყავით მედგარნი, პატიოსანნი და ვაჟკაცნი. ატარეთ რევოლიუციის წითელი დროშა მალა და გაძლეთ სიტყვას, ამხანაგებო, რომ ვერაერთარი ბნელი ძალა ვერ დაგვაპარცხებს. ჩვენ ვართ აენგარდი მშრომელი ხალხისა, და არ დაუშვებთ, რომ ვინმე... (ამ დროს კარი იღება და ჩნდებიან სტრაჟნიკები თოფებით. დერეფანში ისმის ხმა: „ასწიეთ ხელები, თქვენ დატყვევებულები ხართ სულ ყველანი. ხელებს მალა სწევენ გარდა გორდაძისა, რომელიც ხვეს რაღაც საბუთებს, და მერმე მედიდურად გაუშვერს გულს და მიმართავს) აჰა თქვენი მონა მორჩილი, ჯალათებო!

მარო—(მივარდება გორდაძეს) მეც შენთან!

მოქმედება მისამე

ციხე-კუთუხა: იატაკზე აწყვია სამი მატრაცი და ბალიშები; ერთი მაგიდა და სკამეიკა. მაკიდაზე საჩივე წყლით, სამარილე, წიგნაკები და ფანქარი; კარებთან „კალუსკა“, გიორგი და ლადო, აცუათ: რუხი ფერის ღია ხალათები; უჩანთ პერანგები. ორივენი ბორკილებში არიან.

გიორგი—(სერიოზული სახით წევს მატრაცზედ წიგნაკით, მერმე წიგნს გადასდებს გვერდზედ!) ჯაერი... ფიქრი... დარდი... ეჰ.. ეშმაკმა იცის კიდევ რა! ნეტავი, ლადო მაინც შემოუშვან მალე კარცერიდან! ნუ თუ დრო არ არის? უკვე შეიდი დღე და ღამე ზის. (ისმის ფეხის ხმა და ბორკილების ჩხრიალი. (შემოდის ლადო.)

ლადო—გამარჯვება, ამხანაგო გიორგი! (დადის) სხეა-რა არის ახალი?

გიორგი—ახალი? საიმისო არაფერი! რა უნდა იყვეს, ზედამხედველი დაითხოვეს, რომელსაც გაზეთი მოქონდა. ეხლა ისეთი ძალი დააყენეს, რომ... ოი, ოი, ოი! დღეს ჩვენთან ჩასუამენ ვილაც ქურდს, გადმოიყვანენ საგამომძიებლო საკანიდგან, უფრო მხიარულობა იქნება. შენ რას იტყვი? მათრახით გცემეს?

ლადო—მცემეს.

გიორგი—რამდენი?

ლადო—ორმოცდა ათჯერ... როდესაც წამოვდექი და დავიყვირე: „დალიეთ, ჯალათებო, ჩემი სისხლი და ქედს მაინც არ მოვიხრი თქვენს წინაშე“, ციხის ზედამხედველი გაბრაზდა და კიდევ დამიმატა 25. მერე ჩამსვეს კარცერში. ამ მდგომარეობაში მე თავი ველარ შევიკავე და ვთხოვე, თუ შეიძლება მერე ჩამსვით კარსერში, როცა ტანი მომირჩება მეთქი, რაზედაც, ზედამხედველმა დაიღრიალა: ხმა! კრინტი!—გასწი! და წამიყვანეს კიდევ.

გიორგი—(მშვიდად უსმენს) შენ სად იჯექი? ჩვენს დაბლა, არა?

ლადო—ეჰ! რა მიშავდა, რომ შენს ქვეშ ვყოფილიყავი, აქ სიმშრალეა. კარგია! მე ჩამსვეს აბანოს ქვეშ; ირგვლივ ცემენტი, იატაკი ნოტიო, საშინელი სიცივე. მგონი. ეშინოდათ, რომ თავი არ ჩამომეხრჩო ქამარი ჩამომართვეს... აკრედვე ფეხთსახვევები, პოდკანდალიკები; ასე რომ ბორკილები ღე დამონა შიშელ ფეხზე. ამ საშინელ სიცივეში მინდა გავიქცე, ვირბინო, რომ დამთბეს, მაგრამ ტიტყელა კანქებზედ მხედებოდა ბორკილების რგოლები და მტკიოვდა. ვაკეთებდი გიმნასტიკას, ვიზულავდი ხელებს, ფეხებს და ასე შევთბებოდი ხოლმე ცოტა. დასაძინებლად დავწებოდი, თუ არა, იმ წამსვე დიდი ვირთხები დაიწყებდნენ ხოლმე სირბილს... პირდაპირ თავი შეგეზიზღებოდა. დავდებდი, თუ არა მაგიდაზედ ახლად მოცემულ ულუფა პურს, იმ წამსვე ობდებოდა ხოლმე. პარაშკაც აწსად მოსჩანდა, რომ... იღვა საშინელი სიმყრალე, დაჯდომაც ხომ არ შემიძლო, რადგანაც ტანი მათრახით მქონდა დაბეჭილი.

გიორგი—უნდა გეთხოვნა ფერშლისათვის და ის ვაზელინს წავისვამდა.

ლადო—თერშალმა წამისეა, მაგრამ ტყვიელები დიდი მქონდა. აი, ეხლა მე მინდა... (დაჯდომას აპირებს) ოი, ოი... (განაგრძობს სიარულს).

გიორგი დამიგდე ყური, ლადო! მე გთხოვ, ნუ იქნები ვგრე შენი სიტყვისა... იცოდე, რომ მაგის გულისათვის არ დაეინდობენ და კიდევ უფრო სასტიკად დაგსჯიან. თუმცა შენ ოცი წელიწადი კატორღა გაქვს, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგო... ეხლა ომია. ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს... მე ამ დღეებში შემხვდა გაზეთი და წაეიკითხე სხდომები სახელმწიფო სათათბიროსი... ასე რომ პურიშკევიჩი და ნაწილი სათათბიროსი ჩაუდგხენ მთავრობას ოპოზიციისში. ათი წელიწადი უკვე ვზივართ და როგორმე ათიე მოვიცადოთ... ვნახოთ, რა იქნება!

ლადო—ეჰ, ძმაო! შენ თვითონ ხედავ, რომ უკვე მიეჩვიე მონობას, მონურ ყოფას. ასე რომ ციხის უფროსს უკვე ვეძახი: „თქვენო აღმატებულებავ!“ მე ყველა დამცირებას ვიტან, რამდენადაც ეს შეხება მე, მაგრამ, როდესაც ეს ეხება მაროს სინდისს, ოხ, მაშინ მე!.. მე!..

გიორგი—ლადო! შენ გეტყობა, ამ ბოლო დროს, რაღაც მყუდრო ცხოვრებას შეფარებისარ და მიმალავ. შენ არც კი გითქვამს, თუ რად მოხდა ეს ყველაფერი! ან რისთვის გავამათრახეს?!

ლადო—მაშ დამიგდე ყური (იღებს ჯიბიდან ორ წერილს) აი, ეს დედა ჩემის წერილები და დაუგდე ყური რასა მწერს: „ჩემო ბიეკო, ლადო! მე დამიძახა თავის კაბინეტში სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა და მითხრა, რომ შენ ხელზე იქნები განთავისუფლებული თუ დაასახელებ შენს პარტიულ ამხანაგებს და იმუშავებ ამათ განყოფილებაში... ვინ იცის, შვილო, ეხლა იგონებ თუ როგორ გთხოვდი ხოლმე, რომ თავი დაგვენებებინა პარტიისათვის. ჩემო კარგო ბაეშო! მე ძალიან ავიდ ვარ; დამრჩა მე უბედურს სულ რამდენიმე დღე... არ ვიცი, ეხლა რა გზას დავადგე? რა გავაკეთო საცოდავმა და გამწარებულმა დედამ?! მხოლოდ ერთსა გთხოვდი, რომ შენი ხელებით დამხუქოდა თვალები“. (გაშტერებული უყურებს) როგორ მოგწონს, რას მეტყვი?

გიორგი—საზიზღრები!!

ლადო—დაუგდე ყური შემდეგს. (კითხულობს მეორე წერილს) საყვარელო ლადო. მე ვიყავი ენდარმების პოლკოვნიკთან და, როგორც შენი საცოლე, ვთხოვე ნებართვა შენი ნახვისა. მან ირონიულად მითხრა: „შენ ეკუთვნი დიდ არისტოკრატიულ ოჯახს და, შეგიძლიან გახდე ცოლათ რომელიმე ხელმწიფისა. თორემ ის რაღა ქმრობას გაგიწევს მაშინ, თუ კი ციხიდან 35 წლის ხანში შესული კაცი გამოვა? და გამოვა თუ არა—ესეც საკითხია—ო, დაუმატა ნან. მან სთქვა, რომ შენ დაუმორჩილებელი ხარ, რომ შენ ჩაგალობს კარცერში, რომ ოც წელიწადს ეერ გასძლებ და სხვა და სხვა. მე რე დამიწყო თვალებით კერეტა, გარყენილი გრძნობით, და უნდოდა დავეჯდინე მუზღზე. მე მას ხამავით შევეკითხე, რით შემიძლიან, რომ მას უშველო მეთქი, რაზედაც მან დაურცხვენლად მიპასუხა: „მას გაანთავისუფლებს შენი ერთ ღამეს ჩემთან დარჩენა—ო! (ლადო თავს მალლა აიღებს და შეხედავს გიორგის) როგორ მოგწონს?!

გიორგი—გათახსირებულნი... საზიზღარნი... რა უპასუხა თქვენმა მეუღლემ?

ლადო—მიაფურთხა თვალბში და წავიდა.

გიორგი—ყველა ასეთ უბედურებას რომ გაუძლოს. კაცმა, ქვის გული უნდა ჰქონდეს.

ლადო—(წვება ტახტზედ. მოისმის კაკუნი, რომელიც თან და თან ხშირდება. გიორგი აიღებს კოვზს და უპასუხებს. ამის შემდეგ ისმის გადაქარბებული კაკუნი). ერთი, ორი... სამი .. ორი... სამი... ოთხი... ხუთი... და სხვა... (ლადო ყუზს უგდებს).

ლადო—რა გაზეთი არის?

გიორგი—ჩუბინიძემ გადმოგვცა, რომ მან გამოატანა მეფარნეს ჩვენთვის, უნდა გავტეხო ლამპის მინა, ვითომ თავად გატყდა, ან არა და ჩავაქროთ, ვითომდა შიგ ნავთი არ არის. როდესაც ამას დაინახავს მეთვალყურე—შემოღწევებს მეფარნეს და ის გადმოგვცემს, (იღება კარები. შემოყავთ ქურდი აღმაზოვი).

აღმაზოვი--გამარჯვება, მეგობრებო!.. საკანი კი ნაცნობია. (უყურებს კედელზე) აი, ჩემი გაკეთებული მონოგრაფია კიდევ დარჩენილა.

ლადო —

გიორგი— } გაგიმარჯოს, ამხანაგო!

აღმაზოვი—(უყურებს ორივეს და თავისთვის ეცინება). ეს ფრინველები ჩვენი ვალიისა არ არიან.

ლადო—(გიორგის) თბთქოს სადღაც მენახულედა და მინახავს კიდევ!

აღმაზოვი—რა არის გასაკვირი! ალბად, სადმე ვიქნებოდით ერთად—ან მალინაზე, ან არა და ტრახტირში თუ მნახეთ. (ლადო და გიორგი ერთმანეთს ეღიმიებიან).

გიორგი—მერე და როგორ მოხვდი შენ აქ? (ძლივს იმაგრებს სიცილს) ალბად, ვინმეს რამეს ასწაპნიდი?!

აღმაზოვი—ჩემი საქმე ასე გახლდათ: ერთხელ ტრახტირში წავედი და ერთი დიდი თხლაშოვისა დავლეი; დალევისათანავე შეუდექი „ჩერტ“-ის თამაშს, ჩაყედი თუმანზე, თუმანით თითო თითო აჩკოზე; შევხედე—მოვიგე, ავდექი მერე და ჩავედი ხუთი თუმანი და ვფიქრობ—ამას მოვიგებ თუ არა—ალბად მიშავს რა მეთქი, მაგრამ კარტმა მილალატა, ალბად დამიჯერა და წავეგე. რალა ვქნა? საით წავიდე? ვაეიქცე ჩემს გოგოსთან? მაგრამ იმასაც არ ქონდა. დავრჩი ხახა გამომშრალი. ეხ! ისევ ჩვენ ხელობაზე მეთქი და წავედი ბნელ ღამეში საშოვნელად. ავდექი და შევედი ერთ ამონიშნულ ოთახში და ჯერ ავიღე ბიშპერი, მერე შმელი, კატია, შური და ფიქსი და რომ მოვდიოდი, მაშინ გაიღვიძა იმ ლემერთომ; გამომიდგნენ და დამიპირეს ქუჩაში, და აი, როგორც ხედავთ, ვიმყოფები თქვენთან. (ლადო და გიორგი სიცილს ვერ იკავებენ).

ლადო — რა გითხრა, ძმაო, რათ ლაპარაკობ მაგ ენაზე, მაგის გაგება ძალიან ძნელია. მე რომ ციხეში ათი წელიწადი არ ვყოფილიყავი, აბა რას გავიგებდი, რომ ბიშპერი საათია, შმელი—პორტმანია, ფიქსი—ფულია, კატია—ათ თუმანია, შური—ლომი და სხვა.

აღმაწოვი—ეხ. მართლა რომ ჰკვიანი ყოფილხარ და გქონია თავში. ესე ჩვენ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ არა ვინ გაიგოს. არა, ერთი მითხარი—შენ ჩვენი არა ხარ?

ლადო—არა, მე პოლიტიკური ვარ.

აღმაწოვი—რაო?!, პოლიტიკაო?! (ორონიულად). თუ ძმა ხართ, ღმერთს და ხელმწიფეს ნუ გადმოაგდებთ... არ უნდა, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენი საქმე და ხელობა რამდენად უფრო უკეთესია და ადვილი. იღებს წიგნს, რომელიც გიორგიმ გადასდო. ეს რაღა არის?! (იციქრება.) რაო, რაო? აჰა! მიწა როგორ ბრუნავს; ეს ხომ დიდის ხნით არის? აი, მე ვიცი, რომ დავლევ გემოზე მთელ ქალაქს შემოვივლი ხოლმე! მიწაზე უფრო ჩქარა, მაშ! მაგრამ, აფსუს! რა თავები ფუქდება! მაწ, ვსწავლობთ რაღა?! ერთი მითხარით, რამდენი ხანი დაგრჩათ კიდევ ციხეში?

გიორგი - ათი წელიწადი.

აღმაწოვი—აფსუს! აფსუს! ისწავლეთ, ისწავლეთ! მოკვდები—დაგვმარხენ ციხის გაღავენში და ის მიწა, სადაც თქვენ დაიმაჯებით, ჰკვიან ადგილად ჩათვლება.

გიორგი—მე ეხლავე ჩაეპრობ ლამპას, შემოვა მელამპე. მერე დაედგები კარებში და დაუცდი შემოსვლას. შემოვა, თუ არა მელამპე, იმ წამსვე აღარ დავასვენებ და თქვენც ისე დადექით, რომ, თუ გაზეთი გადმოაგდოს, ფრთხილად, მეთვალყურემ არ შეაშჩიოს. (მიდის და აქრობს ლამპას. მერე მიდის კარებთან და უძახის) ბატონო ზედამხედველო! ლამპა ჩაქრა, ნათი სულ გამოილია... (დაუძახებენ მელამპეს, რომელიც შემოდის, ჩუმად გაზეთს დასტოვებს და ლამპასაც აანთებს. ლადო იღებს გაზეთს და კითხულობს).

გიორგი—აბა, ლადო, ეგრე არ ვარგა! გუშინ წინ მეხუთე საკანში ნახეს გაზეთი; ეგ ნომერი ვერ გავა. მოდი შენ ასე გააკეთე: მე ავიღებ წიგნს, დაეჯდები კარებთან და დავიწყებ კითხვას, შენ კი გააკეთე გაზეთი და ისე წაიკითხე. როდესაც ზედამხედველი შემოვა, მე გაეაკეთებ რაიმე საეჭვო მოქმედებას და ამ დროს ის მე მეცემა გასაშინჯად; შენც უცებ როგორმე გადამალე გაზეთი. (ხუჯი წუთის შემდეგ შემოვარდება ზედამხედველი და მივარდება გიორგის. ლადო ამ დროს გაზეთს დამალავს. ზედამხედველი გადის და კარებიდან ილანძლება: „ну судяга, понадешься ты мне“).

ლადო—გაზეთი არის 23 თებერვლის, სათათფირომ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას და თხოულობს პასუხისმგებელ მთავრობას. მოსალოდნელია სათათფიროს დათხოვნა. ორატორების ყველა რეჩებში რაღაცა სიბნელეა. სასახლეში, მგონი, იწყება... (უყურებს აღმაზოვს). მითხარი ერთი-სად გნახე შენ?

აღმაწოვი—სად შეგეძლო ჩემი ნახვა. В Лопдон пик ходил дьявол ит-рати? У Аппы Ивановны был в красном фонаре?

ლადო—არა, არა მე იქ არ ვყოფილვარ. არ ვიცი, სად გნახე: რა გვარი ხარ? სახელი?

აღმაწოვი—სერგო აღმაზოვი.

ლადო—(იგონებს) აღმაზოვი... აღმაზოვი... ჰმ... მგონი, დედა შენი ცოცხალია?

აღმაზოვი—არა, ის მოკლეს მათრახის ცემით.

ლადო—მას სახელად ერქვა ალათია, არა?

აღმაზოვი—დიახ!

ლადო—(მივარდება და ეხვევა) სერგო, სერგო! როგორ დაეცი ასე და დამკირდი... ქურდი გამხდარხარ?... შენი მშობლები პატიოსანი ხალხი იყვნენ... მე ვიცი შენი ბოქაულზედ, დედა შენის სიკვდილის გამო; იგი მოვკალი...!

აღმაზოვი—მახსოვს... მახსოვს... ათი წლის წინად... ამიტომაც მე გავხდი ქურდი, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პატიოსანი მყავდნენ.

ლადო—მერე და როგორ?

აღმაზოვი—ეჰ! ღირს კი ამაზე ლაპარაკი?! ჩემი ცხოვრება რომ ავწეროთ, მას დასკირდება ერთი მთელი ბიბლია; საქმე უბრალოა. შეუფარებლობა, შიმშილი... მოვიპარე დღეს პური, ხვალ პორტმანი. შემდეგ ამხანაგებში არაყი, საერთო სახლი, ქალაღის თამაშობა და გავიკაფე ეს გზა. თქვენებურად, პოლიტიკურად ამას ეძახიან სოციალურ პირობებს! მე კი არ ვიცი სოციალურია, თუ სპეციალური, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ქამა მინდოდა და სამუშაო კი არ იყო; აედექი და მოვიპარე.

გიორგი—დედა შენი მსხვერპლია კაპიტალისტური, გარყენილი წყობილებისა. (შემოდის მღვდელი).

მღვდელი—გამარჯვება, შვილებო!

ყველანი—გაუმარჯოს მოძღვარს!

აღმაზოვი—მოხვედით, რომ თუთუნი შეგვეთავაზოთ?

მღვდელი—გორდაძე, მე შენთან მოვედი. აქ დაჯექი. (ლადო ჯდება). ეს-ლა მთხოვა მე თავის კაბინეტში სისხლის სამართლის პოლიციის უფროსმა, და გადმომცა. რომ როგორმე ღვთის და ღმერთის წყალობით მომეხდინა გავლენა. ის ამბობს, რომ შენ დიდი დამნაშავე ხარ, მაგრამ მას მიანიც გულში სწამხარ, როგორც მაგარი თვისების კაცი.

ლადო—მერე და რაშია საქმე?

მღვდელი—საქმე იმაშია, რომ შენ არ ემორჩილები კანონს, და სწორედ ამისთვის არის, რომ შენ გსვამენ ქარცერში და გამათრახებენ.

ლადო—მერე?

მღვდელი—ჩემი მოვალეობაა, როგორც სულიერ მამისა, გავიცხადო, რომ, რადგანაც შენ არ ემორჩილება მთავრობას, ამით სჩადიხარ დიდ დანაშაულებას მართო ხელმწიფის წინაშე კი არა, არამედ მათ წინაშეც, ვინც აკურთხა იგი; ღმერთის წინაშე.

ლადო—მერე?

მღვდელი—და იცოდე ჩემგნით, რომ ის სასჯელი, რომელიც შენ მოგივიდა აქ-ეს სრულებით არაფერია. საქმე იქ არის, იქ! ღმერთის წინაშე! (უჩვენებს წილს).

ლადო—(აღღებულად) მაშ, სიკვდილით დასჯა. წამება, მათრახები-ის არა ფერია და კიდევ იმ ქვეყნად უნდა ეშმაკებმა მწიფონ? (ყველანი იცინიან). ღმერთი, ღმერთიო, მაგრამ ბოქალის რომ ვესროლე, ის მაშინ დიენის ქვეშ შეძრა და ღმერთმა კი მაინც ვერ უშველა! არ მინდა თქვენი სამოთხე; რაეცი, იქნება იქ შემხედეს ჩემგან დახვრტილი პროვოკატორი პეტრიაშვილი (დღევანდელში ისმის ფეხის ხმა, ბორკილების ჩხრიალი და კომანდა. მოისმის. გულშემატკივარი და შემამრწუნებელი კიეილი: მშვიდობით, ამხანაგებო, მე ვკვლები თავისუფლებისათვის)

ლადო—წადით, მოძღვარო... ხომ ხედავთ წაიყვანეს ჩამოსახრჩობად... ჯალათები უკვე წავიდნენ და თქვენლა დარჩით; გაჰყევით თქვენც. (კარები იღება და გამოჩნდება მეთველყურის თავი.)

მეთვალყურე--მამა მღვდელი აქ არის? მამაო! უკვე წაიყვანეს, წადით. (მღვდელი პირჯვარს იწერს და მიდის.)

გიორგი—ნეტავი. ვინ წაიყვანეს?

ლადო—ჩეენი ორგანიზაციის წერი. ჯარის-კაცი პავლენკო. რომელმაც მოკლა ოფიცერი. (აუთხა). შემოდის მეთვალყურე და შემოაქვს რამდენიმე წერილი.

მეთვალყურე—(კითხულობს გვარებს.) სტეფანოვს. გრუდკეს. ათიანკს, ჩხეიძეს, ბრომაშტიენს. ბალხაჯი-ოღლის, გორდაძეს. (აძლევს ლადოს თავის წერილს, დანარჩენი მიაქვს და ხურავს კარებს.)

ლადო - (დასტკერებია წერილს, რაზედაც დახატულია ჯვარი; გრძობს რაღაცა უბედურებას.) კონვერტზე ჯვარი! ნუ თუ (წაიკითხავს რამდენიმე სტრიქონს და ტირილით დაეცემა იქვე ლეიბზედ.) დედა!.. ჩემო დადა! ოხ! მოკვდა ჩემი დედა!.. (ქვითინებს, გიორგი და აღმაზოვი ამშვიდებენ: თავი დაანებე გეყოფა.)

გიორგი—(ამშვიდებს) კარგი, გეყოფა: ტირილით რას გააკეთებ! მოლოდინში უნდა ყოფილიყავ... ეს აუცილებელი იყო!..

ლადო—(რამოდენიმე ხანს წევს გულაღმა, თვალები მალა აქვს მიბჯენილი; მერმე აღგება, ძარღვებ მოშლილი დადის, იწმენდს თვალებს, შეჩერდება შუა კარების წინ.) ჩემს სიცოცხლემში სამი რამ მქონდა, რაზედაც დამყარებულ იყო ჩემი სიცოცხლე: სიყვარული თავისუფლებისა, სიყვარული დედის და სიყვარული მაროსი. ეს გრძობა ანათებდა ყველა ბნელ ადგილებს. ჩემს გულში იგი მავიწყებდა მე ბორკილების ჟღარუნს, იგი მაიმედებდა და მიწვევდა საბრძოლველად და არ მამეორებდა ჯალათებისა და ციხის ზედამხედველის წინაშე, ის მიშუშებდა ჩემს ტკივილებს და მიაგებდა დაიარავებულ სხეულს! ის მამხნევებდა და მამხედრებდა მე დამყარებულ წესწყობილების წინააღმდეგ! ეხლა! ჩამოსცივდა ფოთოლი, დაიფურვლა ცეცხლი, დაწვდა სიშეპი და საკრავიც, რომელსაც მე სიამოვნებით უსმენდი ხოლმე, დაიმსხვრა. (სიცოცხლო, ვიწვალო, ვისწავლო! და რათა, რისთვის?! ნუ თუ იმისთვის, რომ იმ მიწას, სადაც მე დავიმარხები. წმიდა უწოდონ, როგორც აღმაზოვი ამბობს!.. დედა ჩემი მოკვდა!.. მარო! კიდევ ათი წელიწადი უნდა ვიყო აქ: თავისუფლება! ოხ! თა-

ვისუფლებავ! მე ხომ ვერ მოვესწრობი შენს ნათელსხივებს!.. მხოლოდ შორს, შორს, ზეცაში მოსჩანს მარტო დილის რიყრაყი, და მზის ამოსვლამდის კიდევ დიდი დროა! (დაფიქრდება და გადაწყვეტით) შორს არის და მერე ვითომ რაო?! დეე, მოვიდეს სიკვდილი! არც ერთი ნაბიჯი უკან! მე ძალიან კარგად ვიცი, სადაც მივდიოდი! შორს ჩემგან შავი ფიქრები! თავო ჩემო, გასწი წინ!. აენტეთ და გააშუქეთ ჩემო თვალებო! ჩემო თავო, გაშალე ფრთები, თავგამოდებით განაგრძე ბრძოლა, ბრძოლა მედგარი და უღმობელი, რაც მომტანია თავისუფლებისა. ბრძოლა დახვესებულ და დამპალ წესწყობილების დასანგრევად! მაშ, წინ, ამხანაგებო! (ამ დროს სცენის უკან მოისმის ჩუმი მარსელიოზა; იმა თანდათან ახლოვდება; გიორგი და ალმაზოვი წამოვარდებიან; სამივენი დაუგდებენ ყურს და თან არ სჯერათ).

გიორგი—ნუ თუ მართალია?!

ლადო—ნუ თუ ყოველივე ეს სინამდვილეა?! უცებ გაიღება კარები და შემოვარდებიან ჯარის კაცნი, მატროსები, მუშები და გლეხები. ყველას წითელი ბანტები აქვთ. ყველაზე წინ გამორბის და ეხვევა ლადოს-მარო.

ჯ. კაცი—ამხანაგებო, რუსეთში რევოლიუციაა! ხელმწიფე დატყვევებულია! თქვენ თავისუფლები ხართ! მე ჩამოსახრჩობად მიეყავდით, მაგრამ ხალხის შეერთებულმა ძალამ გამოგლიჯა ჯალათებს ჩემი თავი. ამხანაგებო! გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას!

ლადო—(გამოართმევს დროშას და მალა ასწევს). ჩვენო მსხნელო, წითელი დროშავ! ფიცსა ვსდებთ შენს წინაშე, რომ არ გაგიშვებ ჩემის ხელიდან, სანამ ტანჯული და წამებული სული მიდვას!. დღეს დაინგრა ყოველგვარი უბედურება, ბოროტება და, მის ნაცვლად, აღმოცენდა მზე დაჩაგრულ მშრომელ ხალხისა. ამხანაგებო, სიკვდილი ჯალათებს; გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!!

ფ ა რ დ ა .

—————

უდიდესი კომუნარი

(ტრილოგია).

თარგმანი პ. აბრამიანსი.



უდიდესი კომუნარი.

მოკმედიანი პირნი პროლოგში:

უდ. კომუნარი.

1-ლი მ უ შ ა.

2-ე მ უ შ ა.

3-ე მ უ შ ა.

1-ლი ტ უ ს ა ლ ი.

2-ე ტ უ ს ა ლ ი.

ე რ თ ი ქ ა ლ ი.

მ უ შ ე ბ ი.

პ რ ო ლ ო გ შ ი.

ფარდის ახდამდე მოისმის შორიდან სიმღერა, დაბალი ხმით. ხმა თანდათან ახლოვდება ქარხნის ყვირილი არღვევს მკვედრულ სიჩუმეს. ფარდის ახდის ხანს, ასპარეზზე ნახევრად სიბნელეა. ქარხნის უზარმაზარ მიღების უფერული სილუეტები, საიდანაც ამოდის ბოლი და ნაპერწკლები. სიბნელიდან ქარხნის ცეცხლი მოსჩანს ზღაპრულ ვეშაპივით. ცა მოლუშულია—ტყვიისფერი ნისლათ გადაგრაგნილია სივრცე. სიმღერა წყდება. სულშემზარაეი სირუშეა... უეცარი ქარხნის ყვირილი... ისევ სიმღერა... სცენაზე გამოჩნდება პატარა ჯგუფი მუშებისა. (5—6 კაცო) მტვრიანი და უსუფთაო ხალათები აცვიათ... გადამწვარი მრისხანე სახე აქვთ, ვით უძველეს დროთა წინასწარმეტყველთ.

(შეჩერდებიან. ორი ჩამოჯდება):

1-მათვანი—კარგათ მღერიან. უსმინეთ! (პაუზა).

1-ლი მუშა—როგორ მტკივია ტანი. ის ისე მოქანცულია, რომ არ ახლავს სიცოცხლის ნიშანწყალი. ნეტავ, თუ მალე მოვიხეხებთ?

2-ე მუშა—ნუ სწუხდებით. ჩვენ მალე დავისვენებთ. სამარეში. ხა. ხა. ხა. ხა. (ცივათ იცინის)

3-ე მუშა—აი, მე ხელი მომჭრა მანქანამ. რა კარგი იყო ხელი. მაგარიო როგორც ფოლადი. როგორ მწყინს. ქარხნის ღირეკტორი მეუბნება, რომ ამას ყურადღება არ მივაქციო. ეს არაფერიაო სთქვა... და შემადლია ასი მანეთი. როგორ ფიქრობთ ამხანაგებო, რამდენი ღირს მუშის ხელი?!

2-ე მუშა—თითონ უთქვამს. ასი მანეთი. ნამდვილი ფასია! (იცინის) იაფი საქონელია!

1-ლი მუშა—ჩემი ცოლი შიმშილით გარდაიცვალა. სინესტე. სარდაფი. ეხ! ჩვენ ზემოთ ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც არ იცოდა, რა ექნა. იწვევდენ ექიმებს. რომ მაღაზე მოეყვანათ. სასაცილოა. მე ჩემი ხელით და ჯანმრთელობით ვაძლევდი ქაჩხნის პატრონს შემოსავალს. თითონ კი სილატაკეში ვცხოვრობდი. ეს სამართლიანობაა? თქვენ გეკითხებით?!

2-ე მუშა—ჩვენ ყველაფერი ხელთ უნდა ჩავიდგოთ. მაშინ ჩვენ—მუშები-ეუჩვენებთ ყველას, როგორ უნდა ცხოვრება. ჩვენ შურს არ ვიძიებთ. ჩვენ არავის არ ჩავადგებთ ბნელ სარდაფში და შიმშილით არ ამოვწყვეტთ. ჩვენ ყველა პატიოსანს მივიღებთ ჩვენი ოჯახის წევრათ.

3-ე მუშა—ხა! ხა! ხა! როგორ კარგათ ლაპარაკობ. ცხადია, ჩვენც ადა¹ მიანები ვართ—გვინდა ცხოვრება. ჩვენც გვინდა სიხარული. სინათლე. სითბო. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი შვილებიც ბედნიერები გახდენ. ისინი ხომ საცოდავები არიან. ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ მათთვის? განა, ჩვენ ადამიანებათ გვთლიან? აი, ეხლა ხან ერთ-ერთ პოპულიარულ გაზეთში იყო დაბეჭდილი: „მატარებლის გადაყარდნის დროს, მოკვდა სამი კაცი და ორი მუშა“-ო. ჩვენ „იმათთვის“ ადამიანები არა ვართ.

1-ლი მუშა—დროა. დრო, კიდეც დიდხანს უნდა ვითმინოთ?

2-ე მუშა—ჩემი შვილი ჯარში გაიწვიეს. ზემდეგები სცემდნენ მას. ოფიცრები დასცინოდნენ. ცხვირ-პირში აფურთხებდნენ. ეხლა კი ის უკვე აღარ არის. აწამეს იმისთვის, რომ სთქვა: „მე ვერ წავალ კაპიტალის დასაცავადო“. ჩემი 20 წლის სერგო ნამდვილი გმირი იყო...

3-ე მუშა—რომ „მათ“ საშუალება ქონდეთ, თავიდგან ტვინსაც გამოგვიხრავდნენ. ჩვენ ხომ უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ.

1-ლი მუშა—წყუელიც იყოს მათი სახელი. მხოლოდ ჩვენ, ჩვენ... თუ არ ჩვენ, მაშ ვინ შეჰქმნა ეს ქვეყანა და მათი კეთილ დღეობა? ჩვენმა ხელებმა ააშენეს ქარვასლები, ქარხნები, ჯაეშნოსები, რკინის გზები, ჰაერობლანები, ცეპელინები, ციხეებიც კი—ჩვენ ავაშენეთ ამ კოჟრიანი ხელებით... ჩვენ ვართ მემკვიდრენი სიოცხლისა. ჩვენ გვსურს მივიანიკოთ ყველას ბედნიერება. ჩვენთვის ყველანი თანასწორ უფლობიანები იქნებიან.

2-ე მუშა—დროა. დადგა დრო, უნდა ანთოს ჩაუქრობელი წითელი ვარსკვლავი, რომელსაც გაეყვებით, რათა შემოვიართ მთელი სამყარო. უნდა ვაცნობოთ პროლეტარულ მსოფლიოს, რომ შოდის ჩვენი მხსნელი მესია.

3-ე მუშა—ახ, რა კარგია, რომ მოესწრო... მე 43 წლისა ვარ. სამი ბავში მყავს. ისეთი კარგები არიან. სასაცილონი, რომ იმათთვის ყველაფერს გაეაკეთებ. (1-ლ მუშას) შენ პარტიული ხარ?

1-ლი მუშა—მე პარტიაში 19 წლიდან ვარ. მე კომუნისტე ვარ. ჩვენ მუშათა კლასს ვერ ვუღალატებთ. ჩვენ მას ბოლომდის გაეყვებით.

2-ე მუშა—(აღფრთოვანებული) მე ვიცი. ჩვენ ყველანი ველით—უდიდეს კომუნარს.

(სცენაზე ჩნდებიან ნაცრისფერ ხალათებიანი, მოდიან ხოხვით, ჩუმათ ათვალიერებენ ირგვლივ მიდამოს. ფეხებში ბორკილები აქვთ. ორი კაცია—ერთი ქალა.)

ქალი—(შენიწინა მუწებს) ონ. თავს უშველეთ. (შიობენს მათთან, არ გაგვცეთ, ჩვენ გამოვექცით დარაჯებს. არ გაგვცეთ, ო, რა მძინეა ბორკილები...

1-ლი მუშა--ნუ გეშინიათ. ჩვენ არ გაგვემთ. არ გაგწირავთ.

2-ე ტუსალი—(ახალგაზრდაა, ტანჯული სახე აქვს) ნეტავ, მალე მოვლდება ბოლო ამ ტირანებს? (ხელებს იმტვრებს).

2-ე მუშა—მალე, სულ მალე, ჩემო ამხანაგო! მე მესმის ხმა. ძლიერი ხმა ელვა-ქუხილის. (სცენის უკან ძლივს გასაგონათ მღერიან „ინტერნაციონალს“.) მე ვგრძნობ, რომ ახლოა განთავისუფლების წამი. ახლოა ჩვენი მუშური-გლეხური სამეფო.

2-ე ტუსალი—ჩვენ სულ უცდით. მთელი მუშური სამყარო უცდის მას.

3-ე მუშა—ვის უცდით?

2-ე ტუსალი—უდიდეს ხელოსანს. უდიდეს კომუნარს. მოვა ის. დედა-მეწაზე გამეფდება კომუნისნი. სამყარო გადაიქცევა სამოთხის ბაღათ.

1-ლი მუშა—(აღტრთოვანებით) ის მოვა. (ხმები „ინტერნაციონალი-ს“ იზრდება. ნელ-ნელა ამოდის უზარ-მაზარი ცეცხლის მფრქვეველი წითელი ვარსკვლავი).

2-ე მუშა—(ქალს) რისთვის დაგადევს თქვენ ბორკილები?

ქალი—იმისთვის, რომ შე ქალი ვარ. იმისთვის, რომ მე გაგებდე, რომ მე გამოვიჩინე, სითამამე. მე გამაუპატიურეს იმ მხეცებმა, იმ პირუტყუებმა, რომლებიც სასახლეში ცხოვრობენ. გამაუპატიურეს, ნამუსი ამხადეს და მევე დამადევს მძიმე ბორკილი. მე მიინდოდა მომეკლა ის...

1-ლი ტუსალი--მე კი იმისთვის, რომ ხალხი საკუთარ თავზე უფრო მიყვარს, მე სიკვდილით დასჯა გადამიწვევითეს. მოყვასის სიყვარულისთვის დენილს და დამცივებულს, დამადევს მძიმე რკინის ბორკილი. ნაცრისფერი ხალათით დამამშვენეს. (ხმები „ინტერნაციონალის“ თანდათან მალღდება. ქუხილი. შემდეგ განთიადი. ცა წითლათ მოსჩანს).

1-ლი მუშა--გესმით? გესმით? გვატყობინებენ მის მოსვლას. „ის“ მოდის. დაკრბდეთ სიხარულით ჩვენს განთავისუფლებას.

2-ე მუშა—წითელი დროშა! ის მიტომაა ასე აღმოდებული, რომ შედეგბილია ჩვენი სისხლით. მასზე სიტყვები ანათებენ ცეცხლივით: ჩვენ ახალს ძვირფას ქვეყანას შეექმნით. (გორაკზე „ინტერნაციონალი“-ს ხმაზე ამოდის „უდიდესი კომუნარი“. მაღალი. ახოვანი, მუშური ხალათი აცვია. ხელში ჩაქუჩი უჭირავს).

ქალი—(მისკენ გაიწვდის ხელებს) ძლივს. ძლივს, ველირსეთ შენს მოსვლას, შენ ხილვას. დიდხანს გელოდით. ჩვენ დავიქანცეთ. ვეწამეთ.

უღ. კომ.—დიახ, დადგა დრო. ძირს ბოროტების ოქროს ტახტები! ძირს სიყალბე. გაიძვერობა. გარყენილება. მოძალადეთა ხროვა! მე მოვედი, რომ გაცნობოთ--კომუნისზმის მოსვლა. ის ეძახის მთელს მსოფლიოს თავისკენ, იქნება სიხარული და ბედნიერება. ჩვენ დიდხანს გეტანჯაედნენ. გეწამეს. ჩვენ დღეს შეეებრძოლებით ძველს სამყაროს, ჩვენ ავაშენებთ ახალ ქვეყანას, დავანგრეთ (არტყამს ჩაქუჩს) ძველს ძირ გამოძვალ სამყაროს. ახალი ერა, ახალი

ეპოქა. მაღლა ასწით, ამხანაგებო, წითელი დროშები! მაღლა! მაღლა! რამდენი საუ-
კუნეები ვიყავით მონები. უყურეთ, მეგობრებო, მე გიჩვენებთ თქვენ სურათებს.
ძველი ცხოვრებისას! თქვენ ეხლავე ნახავთ, როგორ ფარველობდნენ და უყვარ-
დათ შეფეებს თავიანთი ქვეშევრდომები—ხალხი. უყურეთ და თქვენ საუკუნოთ
შეგძულდებით მეფეთა ტახტები. ჩვენ არ გვინდა შეფეები. არ გვინდა თვით-
მცრობელები, უყურეთ. უყურეთ, როგორ უყვარდათ მეფეებს თავიანთი ხალ-
ხი. უყურეთ. (ბნელდება. „ინტერნაციონალი“-ს ხმები შესწყდება. თენდება).

ფ ა რ დ ა.

პ ი რ ვ ე ლ ი ს უ რ ა თ ი .

—კრულვა ტახტებს—

მომხმადნი.

კაროლი.

ელენორა . . . (მძევლი, „დედოფლად“ წოდებული)

ამირსპახალარი.

პროფესორი.

პაუი.

მოსამსახურენი, მემუსიკენი, მოცეკვავენი.

I ს უ რ ა თ ი .

დეკორაცია წარმოადგენს კაროლის სასახლის ერთ-ერთ დიდ დარბაზს. მაღლობზე ორი ოქროს ტახტია დადგმული—კაროლისა და დედოფლის. დედოფალი ზის. პაუი დედოფლის ფეხებთან არის ჩამომჯდარი.

პაუი—რათ მოგიწყენიათ, დედოფალო? უნდა მოითმინოთ, თქვენ ხომ ყველაფერი გაქვთ.

დედოფ.—ყველაფერი, ბედნიერების გარდა. ქვეყანაზე ამ სასახლეში ცხოვრებაზე უფრო საშინლებას არაფერი წარმოადგენს. აქ მხოლოდ მკლავენ და დამცინიან. აქ მხოლოდ სიკვდილია და დამცირება.

პაუი—(თითქოს თავისთვის) დედოფალი სწუხს თავისიანებზე. მას გაგიჟებით უყვარს მშობლები.

დედოფ.—ღიახ! მე უფრო ბედნიერი ვიყავი, საკუთარ სახლში. ვცხოვრობდი მშვიდათ, აუშფოთებლათ. დატრიალდა უბედურება: მე მოვეწონე კაროლს, წამომათრია, როგორც ნივთი, როგორც სათამაშო. (ცრემლებს იკავებს)

პაუი—ნუ სტირით, დედოფალო!.. თქვენი ცრემლები...

დედოფ.—აბ, რათ მეძახით დედოფალს, როდესაც კარგათ იცით, რომ მე მხოლოდ საყვარელი ვარ, ხასა, როდესაც მის ბრწყინვალეებას მოესურვება და მობეზრდება ჩემი სხეული, გარეთ გამაგდებს, როგორც უფაუგის ჩვარს. შენ კი მეძახი: დედოფალს... ნუ დამცინი...

პაუი.—მე ვიტანჯები... ვიტანჯები, დედოფალო!.. ჩემთვის თქვენ ნანდვილი დედოფალი ხართ.

დედოფ.—რომ იცოდე, როგორ მტანჯავს მე ის... დამცინის... მეტი აღარ შემიძლია... რომ იცოდე, როგორ მძულს მე ის... წყეულ იყოს მთელი მისი სამეფო. ო, წყეულიც იყავ, სასახლეე!..

პატი.—მოითმინეთ, დედოფალო. თქვენ რომ იცოდეთ, როგორ უყვარხართ. მე მეშინია ამ სიტყვების თქმის... მაგრამ მე მხოლოდ თქვენზე ფიქრით ვცხოვრობ, დედოფალო!

დედოფ.—ჩემად. ჩემად... მე ეს ვიცი.. და მეშინია კიდევ. მე მეშინია სიყვარულის.. სუ... ჩემად ის შენ დაგლუპავს...

პატი.—მე სიყვარულით და აღფრთოვანებით მივეგებები შენ სიკვდილს, თქვენს სანაცვლოდ... რა არის ჩემი ცხოვრება?—მასხრობა. (მიეკვრება ფეხებზე). მიყვარს, მიყვარს ჩემი დედოფალი.

დედოფ.—სიყვარული საშიშარია...

პატი.—მაგრამ სიკვდილზე უფრო ძლიერი, დედოფალო! ის ანიკებს ადამიანს სამოთხეს...

დედოფ.—ნუ მაცდენ... წადი. წადი. წადი. (პირისახეზე ხელებს მიიფარებს) ან უკეთესია, მითხარი რა ხდება ქალაქში, რა ამბავია იქ?...

პატი.—იქ, ჯოჯოხეთია, დედოფალო! იქ სიკვდილია. შეიე კირი გავრცელდა—უმოწყალო და საშინელი.

დედოფ.—ღმერთო! ღმერთო! რა საშინელებაა ცხოვრება. (ხანგრძლივი პაუზა).

პატი.—დედოფალო! ერთი სიტყვა მაინც მითხარით... დამამშვიდეთ. დამშვიდეთ ეს მოუსვენარი სული...

დედოფ.—მე... მე... მეშინია... წადი...

პატი.—(კოცნის ფეხებზე) ნუ გეშინიათ, დედოფალო! ცარებში გამოჩნდება კაროლი. მთელ სცენას ათვალთვლებს. ის ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ სახის გამოჩეტყველება მრისბანე აქვს; დეგენერატია)

დედოფ.—დამძახე მე (ჩემათ) ელეონორა. მე ასე მინდა... არ გაბედო დედოფლის დაძახება. ეს დაცინვაა... შენთვის მე ელეონორა ვარ...

პატი.—(აღფრთოვანებული) მადლობას გწირავთ დედოფალო, (ფეხებში კოცნის) მე ბედნიერი ვარ...

კაროლი.—(შემოდის. ხმა მალა) სალამი, დედოფალო! როგორ ატარებ დროს? (პატი შეკრთება. წამოდგება)

დედოფ.—(მშვიდით) არც ისე მზიარულათ, თქვენო უდიდებულესობა!

კაროლი.—ჩემის აზრით, არც ისე გლახათ... და ყოველივე ეს არ არის რომანს და პოეზიას მოკლებული. შენ პაესაც არა უშავს... მაგრამ ეს როგორი მამაკაცია! ეს ქალია შარვალში. ხა, ხა, ხა, ძველი ისტორიაა... პაეებმა არასოდეს არ იციან თავის დაქვერა, არა აქვთ ტაქტიკა... მათ ყოველთვის დედოფლები უყვართ. (პატი შეკრთება)

დედოფ.—ნუ დამცინით!

კაროლი.—მე მხოლოდ ისე... დღეს ძალიან კარგ გუნებაზე ვარ.

დედოფ.—რატომ? სამეფოში შეიე კირია...

კაროლი.—დიახ, დღეს კიდეც სამი ათასი მონა დაიხოცა...

დედოფ.—რა უბედურებაა...

კაროლი.—პატი, რას დაღვრემილხარ? მე დღეს მეტად კეთილი ვარ. დღეს დაგპატივენ ერთ კიქა მაგარ ლეინოზე.

დედოფ. — რა გინდათ მისგან?

ქაროლი — მინდა — ლეინოზე დავპატიყო. დავათრო უგრძობლათ. რითიმე უნდა გადაუხადო, თუ არა, დედოფლისადმი ასეთი ყურადღება. ხა. ხა. ხა! წაღი — ჩემს ექიმს დამიძახე. თან ვადაეცი, რომ მუსიკა დაუკრან. ჩვენი რა საქმეა, რომ იქ შავი ქირია. აბა, ჩქარა (პაეი მიღის) ნუ თუ მართლა გიყვარს ის? მოგწონს? ცუდი გემოვნება გქონია! მე მოგინახავ უკეთეს პაეს.

დედოფ. — მხოლოდ ერთს გთხოვთ: ნუ აწამებ მას. შეიბრაღე.

ქაროლი — მაგაზე არც მიფიქრია. რატომ? მან თითონ სთქვა: — სიყვარული სიკვდილზე ძლიერია-ო. (შემოდის პროფესორი — შემდეგ პაეი) როგორაა საქმეები?

პროფესორი — ო, ცუდათ. ძლიერ ცუდათ, თქვენო უდიდებულესობავ! ხალხი შემოდგომის ბუზივით იხოცება. იხოცებიან ასობით... ათასობით... ყოველ სახლში: კუბოა, ტირილი, მოთქმა...

ქაროლი — მერე, თქვენი მეცნიერება რას აკეთებს?

პროფესორი — ის უძლურია.

ქაროლი — ჩვენ ხომ აქ ვართ? — ის — აქ ვერ მოვა. ამ ქარვასლაში ვერ შევმოხედავს.

პროფესორი — უნდა რაიმე ზომები მივიღოთ... თორენ...

ქაროლი — (მრისხანეთ) რაო?

პროფესორი — თორემ ..

ქაროლი — რა უნდა ვქნათ?

პროფესორი — ჩვენ აქ, როგორც სიმარგეში უნდა ვისხდეთ! აქ, ქალაქიდან ვერაფერ ვერ უნდა შემოვიდეს. ხიდები უნდა ავეყაროთ... მხოლოდ. მაშინ ვიქნებით სამშვიდობოში...

ქაროლი — დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანეთ ყოველივე ეს... გიბრძანებთ... დეე, დაიხოცოს ეს შავი ხალხი, ოღონდ ჩვენ გადავრჩეთ უბედურებას... ჩვენ ხომ საკირონი ვართ ხალხისათვის (პროფესორს გაეცინება) შენ რას იციანი?

პროფესორი — თქვენ ძლიერ გულკეთილი ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ! (თავს მდაბლად დაუკრავს) ყველაფერი სისრულეში იქნება მოყვანილი.

ქაროლი — აი — კიდევ ეხლავე შეაზღადე შენი ჩინებული ქარვისფერი ღვინო. დღეს პაეი მინდა დავპატიყო. ის ღირსია პატივისცემის.

პროფესორი — მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ, ის ხომ ჯერ ახალგაზღადა? ჩემი ღვინო კი ისეთი მავარია, რომ ადამიანს წამსვე ფეხზე არ დააყენებს, მას ყველა ვერ აიტანს.

ქაროლი — მე გამიგონე! (სცენის უკან ხმაურობაა).

პროფესორი — იქ ხმაურობაა. მიბრძანებთ, წავიდე და გავიგო?

ქაროლი — გაიგე. უბრძანე მოცეკვენი მოვიდნენ აქ, ეხლავე. მე მოწყენილი ვაა. ჩემი სული გართობას ითხოვს. ან მუსიკა რათ არ უკრავს? (შემორბის აღშფოთებული ამირსპასალარი)

ამირსპ. — თქვენო უდიდებულესობავ! ხალხი აქეთცენ მოიწევს. ქაროლის ნაივან უნდათ. და მასთან ლაპარაკი

კაროლი—რა უნდათ ჩემგან?

ამირსპ.—აქი მოგახსენეთ. თქვენი ნახვა უნდათ. იხოცებიან შიმშილით, სიცივით... პურს თხოულობენ. ხალხი უფსკრულის პირზეა მიმდგარი...

კაროლი—მერე, მე რა ვქნა?

პროფეს.—იმათი დაშვება ყოველად შეუძლებელია... თორემ... თორემ.. აქაც შავი ქირი გავრცელდება.

კაროლი—(შეშინებული) არგამოუშვათ... ჩქარა... აიღეთ ხიდეები... გადაეცით... მე არ მინდა... ვერ მივიღებ...

დედოფ.—ეს ხომ შენი ხალხია?

კაროლი—არა. არა, მათ შავი ქირი მოაქვთ. მეშინია, ო, მეშინია. მონაშორეთ...

ამირსპ.—(ფანჯრიდან გადაიხედავს) ხიდეები უკვე გადმოიარეს. ახლოს არიან. გვიახლოვდებიან. (კულისებში ხმაურობაა)

კაროლი—დაუშინეთ ზარბაზნები... არ დაზოგოთ... ამოჟლიტეთ, მხოლოდ სასახლეს არ მოაკაროთ... მე გიბრძანებთ, ეხლავე... (სცენის უკან მუსიკა უკრავს)

ამირსპ.—მესმის, თქვენო უდიდებულესობავ! ეხლავე. (გადის)

დედოფ.—ო, რა მკაცრი და გულქვა ხარ.

კაროლი—ჩუმათ! (პროფესორს) მოიტანე ლეინო!

პროფესორი—ეხლავე (გადის)

კაროლი—მშვენიერო პაეო! რათა ხარ მოწყენილი? კაროლი ხომ კარგ გუნებაზეა დღეს? მე მოწყალე ვარ!

პაეი—დიდება კაროლს! (შემოდინ ამოცეკვნი:—ერთი, ან ორი წყვილი)

კაროლი— ძლივს-ლა გამოჩნდნენ (ჯდება ტახტზე— დედოფლის გვერდით) გამამხიარულეთ. იცეკვეთ, დაუკარით მუსიკა.—ჩქარა. (ცეკვა. უკრავს მუსიკა.)

დედოფ.—იქ შავი ქირია.

კაროლი—მეორედ არ გაბეღო მისი ხსენება. აქ ის ვერ მოვა. (ცეკვა გრძელდება. შემოდის პროფესორი)

პროფეს.—ლეინო მზათ გახლავთ! (სცენის უკან რამოდენიმეჯერ გავრდება)

კაროლი—ამირსპასალარი ძლიერ მამაცია. ო, რა კარგი იქნებოდა, რომ ის ასეთი მარჯვე, ბრძოლის ველზედაც იყოს. დაუკარით მუსიკა. (კიდევ სროლა)

დედოფ.—ეს ხომ სიკვდილია. ლალატი.

კაროლი—სულერთია, ეს შავი ხალხი რითიმე ხომ მაინც უნდა დაიხოცოს? ქირით იქნება. თუ სხვა რამით. ეს სულ ერთი არარის? ეხლა კი, პაეო, დალიე შენი კაროლის სადღეგრძელო!

პაეი—მე არ მინდა!

დედოფ.—არ დალიო. ნუ დალევ. გააგდე ქიქა. იქ საწამლავია.

კაროლი—(მრისხანეთ) მე შენ გიბძანებ: უნდა დალიო. ჩემი ბრძანება უნდა აღსრულდეს.

პროფეს.—ეს გადასარევი ლეინოა—ის ისმევა პირველად და უკანასკნელად.

ამირსპ.—(შემოდის) გაიფანტნენ. უბედურება აგვშორდა. მრავალი დაიხოცა. ისე ეყარნენ მიწაზე, როგორც ზღვის კენჭები.

კაროლი—მადლობელი ვარ, სამსახურისათვის. ელოდე ჩემგან საჩუქარს... უსათუოდ დაგაჯილდოვებ. (პაეს) პაეო, დალიე ეს!

დედოფ. მე გთხოვთ, მეფეე, შეიბრალოთ ის, (სასომოხდილი) არ მოგცემთ ნებას, რომ ის მოჰკლათ...

კაროლი—ხედავთ? (მრისხანედ) დალიე ჩქარა—მეფის სადღეგრძელო!

პაეი—(იღებს ქიქას) მე ესეამ ამას უმშვენიერეს ელეონორას სადღეგრძელოთ. შენ კი წყეული იყავ, მეფეო! (სვამს და უსულოთ ეცემა ძირს, დედოფლის ფეხებთან. ქიქა დაიმსხვრევა).

კაროლი—ბილწო! როგორ გაბედე... თქვენ ეხლავე გასწით აქედან (ყველანი გადიან. რჩება კაროლი და დედოფალი) დიაცო, შენ სტირი? ხა, ხა, ხა, (მიდის კარებთან. ხმა მალლა) მუსიკა—ხმა მალლა, რაც კი შეიძლება... მხიარულათ... ხა, ხა, ხა! კაროლი მხიარულობს (მიდის პაეთან, ფეხს წაქრავს) გაიძვერავე! (მუსიკა უქრავს, დედოფალი ტახტიდან ძირს დაეშვება).

მოკმედებათა შორის.

სცენაზე ნახევრად ბნელა. მოსჩანან მუშები, ფანრები უკავიათ. ოდნავი ბეჭტავი შუქი ფანრიდან. იშლება წითელი დროშა.

უდ. კომ.—ხომ დაინახეთ უბედურების დროს, როგორ ზრუნავდა მეფე თავის ხალხისათვის!

1-ლი მუშა—კრულვა ტახტებს!

2-ე მუშა—არც ერთი ტახტი არ უნდა დარჩეს დედა-მიწის ზურგზე. უნდა დაინგრეს. გვეყო მონობა.

3-ე მუშა—ჩვენ გვატყუებდნენ... ჩვენ გვაბრიყვებდნენ საცოდავი პარაზიტები. შენ კი, უდიდესო კომუნარო, მოგვანიქე სინათლე! ჩვენ აგვეხილა თვალები.

უდ. კომ.—ყოველი ხალხი მალე, სულ მალე გაიგებს ჩემს იდეას, მე გამოწყებიან, გაიგებენ ჩემს ქადაგებას. (გამოდის რამ. ჯ.-კაცები).

1-ლი მუშა—შეხედეთ! შეხედეთ! ჯარის-კაცები მოდიან თოფებით. უფრო-ბილდით. უფრობილდით...

2-ე მუშა—ესენი ხომ ჩვენი ძმები და შვილები არიან?

3-ე მუშა—მაგრამ მოტყუებულნი. ის ხომ უაზრო ავტორმატებათ არიან გადაქცეულნი.

უდ. კომ.—ჩუმათ. (ჯ.-კაცებს) რა გინდათ თქვენ, ჯარის-კაცებო?!

1-ლი ჯარის კაცი—ჩვენ გამოკვავზავნეს. უნდა მოვნახოთ და დაეხუროტოთ უდიდესი კომუნარი.

უდ. კომ.—ის თქვენს წინაშე სდგას გულ-მკიერ გაღვლილი. ესროლეთ. გახსოვდეთ ერთი რამ, რომ თქვენ ათასი ტყვია მიაყაროთ ამ გულს, მაინც ვერ მოკლავთ კომუნიზმის დიად იდეას.

2-ე ჯარის კაცი—ამხანაგო! ჩვენ არ გესურს შენი მოკვლა. ჩვენ გამოგვაგზავნა მალაღმა წოდებამ, ამ ქვეყნის წარჩინებულებმა საზოგადოებრივ ბრძანების სისრულეში მოსაყვანათ. მაგრამ არა! ჩვენ მოვედით, რომ ქელი მოვიხაროთ შენს წინაშე. კმარა. კმარა, რაც გვაწამეს, გვატყუეს და ცხვირ-პირში გვირტყის. ჩვენ გვიბრძანებდნენ დაგვეხეობოდა ჩვენი საყვარელი ძმები, დები და მშობლები. მოთმინების ფილა აივსო. კმარა—ესტკით ჩვენ. ჩვენ გვერეგებოდნენ ბძობის ველისკენ, რომ დაგვეთხია უმანკო სისხლი, იმისთვის მხოლოდ, რომ იპათ ეცხოვრათ მეფურის კმაყოფილებით ქარვასლებში. თუ კი ჩვენ, ავიმალლებდით ხმას, იქვე იყო სამხედრო-საველე სასამართლო, მაშინვე დახვრეტა მოგველოდა... კმარა მოთმენა!. კმარა, ესტკით ერთად... და აი, ავიღეთ თოფები, გამოვექეციეთ მათ და მოვედით, რომ გემსახუროთ შენ, უდიდესო კომუნარო!

მუშა—(სიხარულით) ვაშა!—ისინიც ჩვენთან არიან. გამარჯვება ჩვენია. ხედავთ? წითელი ვარსკვლავიც ამოგორდა?..

ქალი—ძვირფასო შეილებო, საყვარელო ჯარის კაცებო!.. ძლივს, ძლივს, თქვენც ჩვენთან ხართ არა?

უდ. კომ.—მოგესალმებით თქვენ! დღეიდან თქვენ იქნებით სახელგანთ დამკველი რევოლიუციის. თქვენ იქნებით პირველი ყველგან. თქვენ იქნებით ჩვენი წითელი ლაშქარი, რომელსაც არ ეცოდინება დამარცხება, რადგანაც თქვენს დროშაზე ეწერება: „ვიბრძვით დაჩაგრულთათვის“. (საერთო სიხარული. ხმაურობა. ქალი სიხარ. სტირის).

ქალი—ხედავთ! აქეთ მოდიან, მეზღვაურები. ყველანი ალტაცებულნი არიან. წითელი ლენტები აკერიათ გულზე. (მეზღვაურთა სიმღერა, შემოდიან რამდენიმე მეზღვაურები).

მეზღვაური—სალამი უდიდეს კომუნარს! ჩვენ დავინახეთ აღმოდებული წითელი ვარსკვლავი. მაშინათვე, როგორც მოკვები, გამოვეყვით მას, შენ საძებრათ. ჩვენ გესურს ეწუთ შენთან. სანამ მთელს მ.წის პირს არ დაეიპყრობთ. (საერთო სიხარული).

უდ. კომ.—სალამი თქვენ, ძმებო! მე თქვენ გელოდით! ყოველ საათობით, საგანობლათ გაიზრდება ჩვენი ძალა. ჩვენთან მოვლენ მთელი ქვეყნის, ყველა ერების მუშები, ჯარის კაცები და მეზღვაურები... თანდათან უფრო ბრწყინვალეთ იკიმციმებს წითელი ვარსკვლავი, რომელმაც გვაუწყა სიმართლისა და ახალი ცხოვრების მოახლოება. შევეიცოთ ერთი-მეორეს, რომ ყველგან გავიმარჯვებთ, მტერს არ ჩაუყარდებით.

ყველანი—ჩვენ გავიმარჯვებთ, (რაიმე რევოლიუციონური სიმღერა. შემოდის ორი გლეხი).

უდ. კომ. მოითმინეთ, ამხანაგებო! სად მიხვალთ?

1-ლი გლეხი—(უჩვენებს ზურგზე აკიდებულ ტომარაზე) აი... ეს ფქვილი მიგვაქვს ქალაქში, უნდა გავყიდოთ...

1-ლი მუშა—თქვენ ბევრი გაქვთ პური?..

2-ე გლეხი—აბა, საიდან გვექნება ბერი?.. ნახევარჯერ მშვირები ვყრივართ საულში!..

ქალი—მაშ, რატომ ყიდით, როდესაც თითონ არ ჯყოფნით?!

1-ლი გლეხი—(ბრაზით) თქვე სულელებო, თქვენა... განა, არ იცით, რომ ჩვენ აუარებელ გადასახადებს გვაწერენ?.. ერთი მითხარი, რომელ თანხიდან უნდა გავისტუმროთ ის?.. (თითქოს თავისთვის) ნეტავ, ჩაეძაღლდებოდე მაინც...

2-ე გლეხი—გვახრჩობენ... კისერში გვიქერენ...

1-ლი მუშა—ნუ დანებდებით!.. გადაიგდეთ უღელი...

1-ლი გლეხი—ადვილი სათქმელია:—გადაიგდეთ უღელი!.. აბა, ჩვენ რა ვიცით... ჩვენ ერთი გაუნათლებელი, უსწაველი ხალხი ვართ...

უდ. კომ.—თქვენ, მრავალ-ტანჯულნო მიწის შეილნო!.. თქვენი შრომით და ოფლით სუქდება წარჩინებული წოდება... თქვენ თქვენის კოჟრიანის ხელეებით აძლებთ მუქთა ხორებს... როგორც დღეს ისე შორეულ წარსულიდან ისინი ზედპეტ ბარგათ აწვა თქვენ წინაპართ, და სწოვდა სასიცოცხლო ძალას... დღეის შემდეგ ეს აღარ იქნება... დღეიდან მიწა იქნება თქვენი... ჩამოჰკრა განთავისუფლების საათმა... თქვენ საუკუნეთა განმავლობაში. მონები იყავით... თქვენს წინაპართ ავიწროებდნენ... უყურეთ, მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ დასცინოდნენ და ავიწროებდნენ აზნაურები და მემამულეები... შეხედეთ, შეხედეთ და დამეთ ის... კრულვა მას... (ბნელდება. წითელი ვარსკვლავი გარკვევით ანათებს).

ფ ა რ ა .

უამღებო მოქმედება.

II სუკათი.

„დამცირებულნი და შეურაცყოფილნი“.

მოქმედნი:

მ ე მ ა მ უ ლ ე .

მ ა ი ო რ ი .

ე რ მ ო ლ ა ი (კამერდინერო).

ხ ე ლ ი ს - კ ა ც ი .

ს ი მ ო ნ ი .

ფ რ ო ს ი ა

ნ ა ტ ა შ ა ,

გ რ უ შ ა ,

ვ ა ს ი ლ ი ო კ .

ხ ა ლ ხ ი .

I ს უ რ ა თ ი

სცენა—ბატონის ეზო. სახლის წინა ნაწილი გარეთ გადის. ასეველი კიბე, რბილი სავარძელი. სცენის უკან მოისმის ძველის-ძველი სიმღერა. სკაძე ზის კამერდინერი—მოხუცი, გვერდით ხელის კაცი.

ერმოლაი—ო, ნეტავ მალე მოგვედებოდე... რა საჭიროა ჩემი სიცოცხლე?... ჩემი თვალები მაინც არ ხედავდეს ამ საშინელებას... გული მისკდება... ვით-მენტ... რისთვის?... დამცირებული და ფეხქვეშ თელილი ვართ... ოხ, როგორ მეზიზღება ის... (კანკალებს, ბრაზმორეული სახლისკენ იშვერს მჯიღს) ცოლი წამართვეს... შეილი დამილუპეს... მთელი სიცოცხლე ტანჯვით გავატარე... რამ-დენს მირტყამდნენ... მეგრე რისთვის, რისთვის, ჩემო სიმონ?..

სიმონ—ეე, ჩემო მოხუცო... ასეთია ჩვენი საქმე... ჩვენ. აბა რისთვის ეცხოვ-რობთ?... მოესურვებათ—დაგველუპავენ... მიტომაცაა ბატონთა უფლება...

ერმოლაი—გაიძვევრები... შენ კიდევ მათ წინაშე როგორც ერთგული მო-ნა—მორჩილი, ტრიალებ... როგორ არა გრცხვენია. იმათ ხომ შენი ძმა...

სიმონ—(აწყვეტივნებს) სამსახურს ვასრულებ!.. მუქათათ ხომ არა ვკამ პურს?... თუ გიბრძანეს, შენც დატრიალდები, ჩემო მოხუცო.. ხა, ხა, ხა...

ერმოლაი—მონავე!.. სულმდაბალო!.. იუდავე!..

სიმონ—აბა, წირეს ნუ გადახვალ!..

ერმოლაი—მე უკვე აღარაფრის არ მეშინია... ცოტა ხანი კიდევ მოითმინე და მათ სერიხს ნახავ... მოვა დრო და ისინი, ვით შარშანდელი თოვლი, უგზო-უკვალთ დაიკარგებიან... ჩვენ ვიცხოვრებთ მათ ეზოებში, ვიცხოვრებთ ტყბილად და ძმურათ...
სიმონ—ხედავ, როგორი ფანტაზიას აპყლია?.. დაუცადე, დაუ(კადე)!.. (გამოდის ლამაზი ყმაწვილი ვასილი, რომელსაც მეტსახელათ „ვასილიოკ“-ს ეძახიან).

ვასილიოკ—ჩემი უმდაბლესი სალამი, პატივცემულ ერმოლაის...
სიმონ—მეჯრათ არ მესალმები?.. თუ აღარ მთელი ღირსათ...
ვასილიოკ—შენ ხომ კაცი არა ხარ!. ყურმოკრილო მონავ!..
სიმონ—ასე რათ ანჩხლობ?.. მთვრალი ხომ არა ხარ?..
ერმოლაი—ნუ ცხარობ, სიმონ!.. ის ჯერ ახალგაზრდაა... სისხლი უდღულს...
რას დაღვრემილხარ, ვასილიოკ?!

ვასილიოკ—მგონი, გულზე ხელები დავიკრა, ისე გამომელია არაქათი... (სკამზე დაეშვა).

(სახლიდან მოისმის ბატონის ხრინწიანი ხმა) კვასი, კვასი!..

სიმონ—უნდა გავიქცეთ, თორემ ყველას მოგვხთება... (საჩქაროთ მიდის სახლში).

ერმოლაი—ო, ღმერთო!.. რატ აყენებ ასეთ ადამიანებს ქვეყანაზე?! ეხლა კვასი უნდა მთართვა... თუ ყინული ცოტაა, ყველას თავლაში შეყრის...
ვასილიოკ—რომ იცოდე, მოხუცო, როგორ მეზიზღება მე ისინი... მე ვგრძნობ, სადაცაა მოთმინების ფილა აივსება, და ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ხელებით დავახრჩობ ამ ვაჟბატონებს... ამათ დახრჩობის მეტი ვერაფერი ჩააჩუმებს...

ერმოლაი—ახალგაზრდა სისხლი გითამაშებს... ჩვენ უკვე მოდუნებული ვართ... ჩვენ ჩუმათ ვიყავით, როგორც ბლახი... როდესაც ცხვირპირში გვირტყამდნენ, ხელებში ვკოცნიდით...
ვასილიოკ—სირცხვილია მაგიბი მოგონება... მოვა დღე... ჩვენ განთავისუფლდებით... ჩვენვე ავაშენებთ საკუთარ ბედნიერებას...
ერმოლაი—სად არის შენი თვალის ჩინი—შენი სინათლე ნატაშა?..
ვასილიოკ—(ხელს ჩაიქნევს) ნუ მომაგონებ... წამართვეს ჩემი ღულუნა მტრედი... არ იცი, რა მოუვიდა?.. ის უკვე ერთი კვირაა, რაც დამწვევდელია ბოსელში... სცემენ მას...
ერმოლაი—რას ლაპარაკობ?! მე ეს არ ვიცოდი.
ვასილიოკ—როგორ? სიმონს არ უთქვამს?.. (მწუხარებით) დატანჯეს ჩემი საყვარელი ნატაშა...
ერმოლაი—რისთვის?... რატომ?..
ვასილიოკ—უბედურება დატრიალდა, ჩემო ძმაო!.. მოეწონა იმ ჩემს გაიძვრა ბატონს... ბრძანა: მიეყვანათ ღამით მასთან... ხომ იცი, რომ ნატაშა მა-

გისთანა არაა?.. არ დანებდა... სცემეს... დაკბინა ყველა. ბატონი ფრჩხილით გა-
კაწრა... განხეცებულმა ბატონმა დაამწყვდია სანამ არ დასთანხმდებოდა...

ერმოლაი—(პირჯვარს გამოსახავს) ღმერთო!.. ღმერთო!.. რას ვხედავ ამას?..
ღმერთო. წებბალე შენი მონა ნატაშა!.. ჩააღობს იმ საწყაულს... არ გამოუწე-
ვებს.

ვასილიოკ—მაშინ, ბატონი იძულებული იქნება სიცოცხლით მიპასუხოს...
ნე მისთვის ეცხოვრობ?.. თუ ნატაშა მოკვდა, შურს ვიძიებ... სასტიკს და შეუ-
წყნარებელს... ჩემთვის მაშინ უძირო ზღვა მუხლებამდე გადაიქცევა... (სახლი-
დან გაშობის სიმონი).

სიმონ—გაშმაგებულია დღეს... არ გაეკაროთ სიახლოვე! გველშაპივით
აღებს პირს... ეცადეთ. რომ არ ჩაუვარდეთ... ბრძანა, რომ ქალებს დაუძახო.
განხიარულებას ითხოვს...

ვასილიოკ—მიფრთხილდი... იქ ნატაშა არ შემეწუხო...

სიმონი—(დაცინებით) ის თითონ ყელს გამოკრის ყველას...

ვასილიოკ—შემშილით არ მოქანცო.

სიმონი—რატომ? ვკვებავთ ჩინებულათ, პური და არაყი არ აკლია... ხა,
ხა. ხა. (გარბის).

ვასილიოკ—(მოუღერს მუშტს) დატანჯეს საბრალო ბავშვი. ჩემო მტრედო...
კიდევ მოითმინე და...

ერმოლაი—(თავს აქნევს) ღმერთო, შენ გვიშველე!... რა იქნება?.. რა მოგვე-
ლის?!

ვასილიოკ—რისთვის გტანჯავენ. მოხუცო?! გეკითხები:—რისთვის?.. თუ
ნათლავ ღმერთი სადმე არსებობს, რატომ ადამიანთა ასეთ უსამართლობაზე ხმას
არ იღებს? რათ გაჩუმებულა?.. განა, კაცთა სიმხეცეს საზღვარი არ უნდა დაე-
დვას?.. (წემოდინან რამოდენიმე წყვილი ქალ-ვაჟნი, რომლებიც სწნავენ თაიგუ-
ლებს: თან მღერინან).

ფროსია—სალამი ვასილიოკს. ნატაშამ მოგეკითხა... თან ჰაეროვან კოც-
ნასა კ გიგზავნის... კუქრუტანიდან დაველაპარაკე... მეტად გამხდარია, აჩრდილს
დამსგავსებია... ალბათ, ჯაპრისაგან თუ არის. მისმა შეხედვამ ამატირა პირდა-
პირ...

ვასილიოკ—ნუ ნეუბნები, ფროსია... ცეცხლის საშინელი ალი მედება გულზე...

ფროსია—ბატონს, მგონი, გაუგია რომ შენ ის გიყვარს... ნუ დაენახებები,
ერიდეთ თორემ ჯავრს, იყრის, ჯარში გიკრავს თავს და საუკუნოდ დაიღუპები...

ერმოლაი—მართალს ამბობს ეს ქალი... შორს, ჩემო ვასილიოკ, ფრთხილათ
გეკვიროს თავი უბედურებისაგან... რატომ გინდა დაიღუპო?.. (შემობრბის სიმონი).

სიმონი—სიმღერა რათ შესწყვიტეთ?! იმღერეთ განუწყვეტლივ, რაკი გიბრძა-
ნეს. დაბრმავდით, თუ როგორაა საქმე?.. იმღერეთ რაც ძალი და ღონე გაქვთ!..
(ხორ მღერის, შემდეგ სოლო).

ვასილიოკ—მაშ, მე წავალ... გადაეცი, ფროსია, ნატაშას, რომ მე, მის-
თვის ეცხოვრობ, თუ მოვეკვდით, ერთად!.. მის შემდეგ წუთითაც არ მინდა ვი-
ხილო ნათელი დღე... (გადის)

(სცენის უკან ცხენების ფეხის ხმა ისმის, ეყენები ვლარუნებენ, ისმის მეტ-
ლეს უწმინაური სიტყვები).

სიმონი—ეს ვინ ეშმაკი მოვიდა კიდევ! გავიტყე ერთი, შევხედო მაინც...
თქვენ კი იმღერეთ და იცეკვით, თორემ არ ვარგა... (გადის)

გრუშა—როგორ ვერთაგვასავით დახტუნავეს... შენი სინსილა კი გაწყდეს,
შე გლახავ, შენა... (ქალები იცინიან)

ერმოლაი—გრუშა! აბა, რათ ეცინი?!

ფროსია—მით უფრო, რომ მას შენზე თვალი უქირავს... მალე შეიძლება
კოლად შერთვის —წინადადებაც კი მოგცეს...

გრუშა—ეს-ლა მაკლდა!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. ეს მურტალი, კიდევ ცოლის შე-
რთვაზე ფიქრობს?!. ხა, ხა, ხა, ხა!!

(სცენის უკან ისმის მემამულის ხმა) ერმოლაი!.. სად ხარ, შე ბალღინჯოვ,
შენა?!. აი, ეშმაკი კი წაგიღო, შე კუდიანო, შენა!.. ერმოლაი!!

(ერმოლაი და ყველანი—შეკრებიან. სიჩუმეა. ერმოლაი საჩქაროთ სახლში
გაბნის. სცენაზე შემოდის მაიორი, უკან მორიდებული ნაბიჯით მოყვება სი-
მონი).

მაიორი—(მიმოაგლებს თვალს ირგვლივ) ააა. რა მშვენიერი, თაიგულია
ქალწულთა... (ულვაშებში იცინის) ო, როგორ მიყვარს ახალგაზრდობა!.. კიტ-
რივით ქორთა ქალები... (ქალები მდაბლათ თავს უკრავენ) სად არის პატივცე-
მული დემიანი?..

სიმონი—გამოიღვიძებს... მას ასეთი ჩვეულება აქვს... გვიანამდის ისეენებს
მეტად მძიმე ძილი იცის, მთელი საათი უნდება გამოფხიზლებას... ხშირათ მე-
ტათ მრისხანებს ხოლმე... ეხლავე მოეახსენებ თქვენს მობრძანებას... დაბრძან-
დით, ბატონო, ქალიშვილები შეეცდებიან გაგაოთონ, იმღერებენ, იცეკვებენ,
რასაც მოისურვებთ...

მაიორი—აბა, მოაყვანე შენი ბატონი, უთხარი, რომ მაიორი მოვიდა თქო..
ძლიერ სერიოზული საქმეები მაქვს მასთან... (სიმონი მიდის. მაიორი ულვაშებს
იგრებს) რათ გაჩემდით, ქალებო?!. ნუ გერიდებათ, მე ძალიან კეთილი და მო-
სიყვარულე კაცი ვარ... (ფროსიას) შენით კი მუდამ ვნებიარულობ, მშვენიერო...
(თვალბში მიაჩერდება) ო, რა თვალები გაქვს?!. შენი სახელი?..

ფროსია—(უკმაყოფილოთ) ფროსია!..

მაიორი—ძალიან მომეწონე... მე მიყვარს შენისთანა შეთვალწარბა გო-
გონები... (უგემურათ ეცინება. აივნიდან ჩამოდის მემამულე. ფერადი ხალათი
აცვია, მოუპარსავია, ნამძინარევი, თმა აბურძგენილი. ხელში ჩიბუხი უქირავს.
ქამარში სახირე აქვს გარკობილი. უკან მოყვება ხელის კაცი.)

მაიორი—(მიეგებება) სალამი მეგობარო!.. როგორ გიკითხოთ?.. (ხელს
ართმევს) ხომ მშვიდათ მოისვენეთ?..

მემამულე—ბუზებმა არ დამაძინეს!.. ან როგორ შემიძლია მოვისვენო,
როდესაც ნერვები აშლილი მაქვს?!. წუხელის მთელი ღამე არ მძინებია... ჯა-
ერისაგან ისე გაშმაგებული ვარ, როგორც ტყის ნადირი... სისხლი გამიშრეს,
სული ყელში მომიყვანეს, მაგრამ მე ჩემსაც მაინც მივალწევ. (ჯდება) ცეცხლი!..

(სიმონი უკიდებს ცეცხლს დიდ ჩიბუხში) შენ როგორ გიკითხო? ხომ კარგათ ცხოვრობ?...
მაიორი—ვარ მარტო... მოწყენილობაში გადის უფერული დღეები... არავითარი სიმხიარული, არავითარი გართობა არ არის, ჩემო ძმაო!.. ქალები კი, რამდენიც გინდა, მყავს, ზოგი ელამი, ზოგი კოკლი, ზოგი ნახშირითი შავი... ერთი სიტყვით, რა ჯიშის გინდა, რომ არ მოგიწინაბო... სიმხიარულე მაინც არ არის...

მემამულე—(ბოროტათ გადაიხარხარებს) აი, შე ძველო ქინკავ, შენ...

მაიორი—ეხლა კი როგორც ხედავ, შენთან მოვედი: ერთი რომ მოგიწინაბულე, მეორე კი, ცოტა საქმეცა მაქვს...

მემამულე—აბა!.. რა საქმეა?! სთქვი. მე დიდათ მოხარული ვიქნები, თუ რითიმე შემეძლება გემსახურო...

მაიორი—მოძვიდე შენი ორი ქალი... ცოტა კარგები მინდა... ფასს არ დავიშურებ... შენ მაინც ბევრი გყავს...

მემამულე—ჩემი ქალები?!. ო, ეს წყეულები ესენი... მეტათ თავხედები არიან... გაკვირვებასა ვაო, საიდან გამოვიდნენ ასეთები... ბიძა ჩემის დროს, ისეთი თავმდაბლები იყვნენ, რომ მეტი არ შეიძლება, ეხლა კი ისე აიწყვიტეს, რომ ერთის ნაცვლათ ხუთს შემოკობრუნებენ... ო, ეს გასაწყვეტები ესენი... აირჩიე, რომელიც გინდა, მე თანახმა ვარ...

მაიორი—მე კი ძლიერ მინდა დასამშვიდებლათ, აი მაგალითად, ეს შავთვალწარბა... (უჩვენებს) ფროსიას რომ ეძახით, იქნებ ცოტათი მაინც დავეკმაყოფილდე. —

ფროსია—(ამ სიტყვების გაგონებაზედ მემამულეს მუხლებში ჩაუვარდება) ჩემო ბატონო, შემობრალეთ, თქვენი კირიბე... მე არ მინდა, არა... (ტირის) თავს მოვიკლავ...

მემამულე—(მკაცრათ) კიდევ!!! ლაპარაკი!! კრინტი!!! რას ნიშნავს ეს?!, ნე თუ კი მოვისურვე, ყველას თავგებივით მოგწამლავთ!... თქვენ ვინ გკითხავს. რა თქვენი საქმეა უჩობა?.. თქვენ იმას უნდა დაემორჩილოთ, რასაც მე გიბრძანებთ...

ფროსია—(დგება) მე ვიცი, ბატონო, რომ საბედნიეროთ არ! მყიდულობთ ნე... (ტრემლი ერევა)

მაიორი—არა უშავს, მაგაზე იქ მოვილაპარაკოთ... აბა, მოემზადე!.. ჩქარა წავიდეთ!.. (მემამულეს) რამდენი მოგართვათ ფასი?..

მემამულე—20 ვერცხლი... პირველი ხარისხის ქალია... ჯანმთელი, ორის ადგილზე იმუშავებს... (ყურში რალაცას ჩასჩურჩულებს) მეტათ კარგია... ყველაფერში გამოდგება!...

მაიორი—(იციინს) ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფასი მაინც დიდია.. მართალი უნდა ითქვას, ღვთის წინაშე, არა უშავს ქალს... ცოტა მაინც დაუკელით...

მემამულე—ჩემის აზრით, კიდევ ცოტა გითხარით... ნაღდი საქონელია...

მაიორი—რა გაეწყობა!.. აბა, ეხლა ფროსიამ ერთი ჩამოუაროს... ცეკვანი მეტათ აქებენ..

ფროსია—(სასომიხდილი) არ შემიძლია... არ მინდა, ბატონო!

მემამულე—როგორ ბედავს?.. ხომ არ გინდა რომ ბოსელში დაგამწყდიო?!

ოცეკვე!.. (ცეკვა)

მაიორი—ძეტათ კარგია!.. მეტათ!.. მე კმაყოფილი ვარ ჩემი ნაყიდობით...

მემამულე—კარგი. ეხლა გეყოფათ. დაითანტენით, მაგრამ შორს არ წახვიდეთ... აქვე იყავით, სადმე ახლოს...

სიმონი—(ღრეჯით წარსდგება ბატონის წინაშე) თქვენო ბრწყინვალეება, მოიღეთ მოწყალება. მომისმინეთ...

მემამულე — რა არის?.. რა გინდა?..

სიმონი—მინდა ჯვარი დავიწერო!.. უბრძანეთ, რომ გამომყვეს!..

მემამულე—ამას ხედავ?.. აბა რომელი გინდა?..

სიმონი—(მხიარულათ) გრუშა. გრუშა, ბატონო!..

გრუშა—მე შენ პირველ დამსვე დანით ყელს გამოვაკლი...

მემამულე—(ფეხებს აბრაახუნებს) ჩუმათ!.. ამოგელიტავთ!.. (სიმონს) მოკიდე ხელი. წაიყვანე...

გრუშა—(ტირილით) თავს დავიხზობ. . წყალში გადავვარდები...(გარბის)

ერმოლაი—(რომელიც ხედავს ამ სურათს) ო. ღმერთო!.. ღმერთო დიდებულო, შენ ხედავ ჩვენს უბედურებას... (პირჯვარს იწერს).

მემამულე—(მოუბრუნდება) შენ. ეი, რას წუწუნებ, მოხუცო ძაღლო?!

სთქვა—თავს დავიხზობ... ვერ შეგვაშინებთ მაგითი... ო, თქვე გველის წიწილებო თქვენა...

მაიორი—(შემპარავის ხნით) მოითმინეთ, ქალო—შეგიყვარდებით... (ქალები გადიან. მემამულეს) შენი საქმე როგორაა, ნატაშასთან?.. კიდევ აღარ გნებდება?..

მემამულე—(ბრაზით) ო, ის წყეული ისა. ბოსელში დავამწყვდევინე... გონს უნდა მოვიდეს... რამდენია, ბატონის სახლში შემოსულასაც რომ ვერ ღირსე-

ბიათ?! ოცნებაშიაც აღარ მოუვათ, თუ კი ოდესმე გახდებიან ამისი ღირსო... მაგათ კი ბატონობა მოინდომეს აქა... სიმონ, არაყს აძლევ იმას?!

სიმონი—დიახ, ბატონო... როგორც ნაბრძანები მაქვს...

მემამულე—სეააჰ?..

სიმონი—მთელი დღე გაღეშილია, ღორივით გორაობს...

მემამულე—მოითმინე... ცოტა კიდევ და .. (ხვარი გახდება...)

მაიორი—მე ვფიქრობ, რომ საქმე სხვა გეაართ უფრო ადვილათ ვაკეთდება. მას, მგონი, შეეყვარებული ყავს... მასთან ტკბილის ენით უკეთესი იქნება

ლაპარაკი... ხომ იცით, ბატონის კარგათ მოპყრობა. მათ უფრო ადვილათ ვააბრიყვებს?! ჩემის აზრით, აი, რა უნდა უთხრათ (ყურში).

მემამულე—მართლა!.. შენ ძალიან ჰკვიანი და მოფიქრებული კაცი ხარ... (სიმონს) მოიყვანე ის ბიჭი აქ...

სიმონი—რომ არ ვიცი, სად არის!?

მემამულე—მიწიდანაც, რომ ამოიყვანო ეხლავე აქ მომგვარე...

სიმონი—მესმის, მწყალობელო. (გადის)

მემამულე—შენ კი, რას ხენეში აქ?.. დროა შენი გამგზავრების...

ერმალაი—მალე ჩაქაღლდები, ჩემო ბატონო, ფიქრი ნუ გაქვთ... მე თითონ მომბეზრდა სიცოცხლე... ო, ღმერთო, ღმერთო, მაღალო!.. (პირჯვარს გამოსახავს რამოდენიმეჯერ სცენაზე ბნელდება ოღნავ, შორიდან ნელი სიმღერა მოისმის).

სიმონი—(შემოყავს ვასილიოკი) ინებეთ, ბატონო!..

ვასილიოკ—რა გნებათ ჩემგან?..

მემამულე—ყური მიგდე. მინდა მოგელაპარაკო...

მაიორი—(თაღლითად) ო, მეტათ კარგი ყმაწვილი სჩანს...

მემამულე—ჩენი საუბარი შენთან იქნება მოკლე, მაგრამ მეტათ საქმიანი...

შენ გიყვარს ჩემი შოახლე ნატაშა, არა?..

ვასილიოკ—უფრო, ვინემ საკუთარი თავი...

მემამულე—გინდათ, რომ ჯვარის წერის ნება მოგცეთ?..

ვასილიოკ—(სმენას არ უჯერის. სიხარულით) მოწყალე!.. ღმერთმა გადღეგრძელოს... ჩემო ძვირფასო ბატონო. (მუხლებში ჩაუვარდება)

მემამულე—ერთის პირობით მხოლოდ. შენ უნდა მოგელაპარაკო ნატაშას, ნუ ურჩობს... მეც ცოტა მომხედოს ხოლმე, ამით არც მას მოაკლდება რამე და შენც მიადწევი მიზანს... მეც გავიხარებ... გაიგე?.. შემდეგ კოცნეთ ერთი მეორე, იგორაკეთ თავისუფლად რამდენიც გინდათ!.. პირველი ღამე კი მე დამითმე...

ვასილიოკ—(წამოვარდება) კუჟაზე ხარ?.. უმაღლ მე ჩემივე ხელებით ორთავე თვალებს დავითხოვი... როგორ?.. მე თქვენ მოგყიდოთ ჩემი საყვარელი არსება, ჩემი ფიქრი და ოცნება—ნატაშა, იმიტომ, რომ თქვენ ბატონი ხართ?! ნადირო!!! მხეცო!!!

მაიორი—ნუ ყვირი!..

ვასილიოკ—მცემით!.. მომკალით!.. ჩამოგყიდეთ!.. სისხლის მსმელნო!..

მემამულე—(სიმონს) წაათრიეთ ეხლავე ეს ქოფაკი ქალაქში... მიეცით ჯარში, ჩვენ ასეთებს აქ ვერ დავაყენებთ!.. ნატაშა სად არის ეხლა?..

სიმონ—(გაიხედავს) აი, ისიც მოდის ბატონო!..

ვასილიოკ—(შეხედავს) შენ მთვრალი ხარ?.. (მოდის ნატაშა. მეტათ ლამაზია. ბარბაცებს. ტანისამოსი სოველი აქვს. თმა გაწეწილი).

ნატაშა—ახ, ყველანი აქ არიან!.. გამარჯობა, ვასილიოკ!.. რა გიკვირს. ხომ ხედავ შენი სატრფო რა დღეში ჩააგდეს?.. ნუ სტირი!.. სულერთია ჩვენ შინც დაკარგული ვართ!.. საუკუნოთ დავიღუპეთ... ტირილი ვერაფერს გვიშველის... ხედავ, მე როგორ მზიარული ვარ... მთვრალი...

მემამულე ნატაშა.. ჩემო მზეო... როგორ მიყვარდი მე!..

ნატაშა—გეყოფა, თორემ ცხვირპირში მივაფურთხებ... კიდევ რა გინდა?.. ნატაშას იმედი ნუ გაქვს!.. გესმის?.. ცოცხალი არ დაგნებდები!.. მკვდარს, რაც გინდათ, ის მიყავით...

მაიორი—ქალო, გონს მოდი!.. შენ განიკებენ ბედნიერებას და უარზე ხარ?.. როგორ შეიძლება, აბა, დაფიქრდი?..

ნატაშა—გაჩუნდით!.. თქვენც მხეცი ხართ!.. იცოდეთ, რომ დიდხანს ვერ იზივით ჩვენს ზურგზე... კმარა დამცირება და დაცინვა... ო, წყულო მოღგმაგ...
(შემოდინ რამოდენიმე ქალ-ვაჭნი. ჩერდებიან გვერდზე).

მეშამულე—(მრისხანეთ) წაიყვანეთ ეხლავე ეს ყმაწვილი... შექარით ბაწრით... შეაგდეთ ბოსელში... ასი როზგი... შემდეგ ათასა... სცემეთ, სანამ არ მოკვდეს... ჩქარა...

ერმოლაი—ო, ღმერთო!.. ღმერთო დიდებულო, რას ხედავს ჩემი თვალები!..

ნატაშა—მშვიდობით!.. მშვიდობით ჩემო მშვენიერო!.. (მივარდება) შენი ვარ... შენი ვიქნები სამარის კარამდე... დეე, გვაწამონ... მოვა დრო, და ჩვენს მაგივრათ შურს იძიებს ვინმე სხვა...

ვასილიოკ—მე არაფრის არ მეშინია, მე სიამოვნებით მივეგებები შენს სიკვდილს.. ჩემო კარგო.. ჩემო ღულუნა მტრედო!.. (კოცნის)

მეშამულე—კმარა სინაზე!.. (ყვირის) ბოსელში ეხლავე... (შემოდინ რამოდენიმე ახალგაზრდები, ვასილიოკი გაყავთ).

ნატაშა—მეტი რალა გინდათ?.. გიხაროდეთ... გიხაროდეთ... მალე თქვენზედაც დადგება ჯერი... წარსდგებით სამსჯავროს წინაშე, სადაც მეტათ მძიმე იქნება ყოველივე ამისთვის პასუხისგება... (შემობრბის ფროსია).

ფროსია—გრუშა დაიხრჩო... წყალში გადავარდა!.. უშველეთ!.. ვინა ხართ ქრისტიანი!..

მაიორი—ეს მართლაც, რომ უთავბოლობაა... ამბობებაა!.. შეთქმულება...

მეშამულე—დაიხრჩო!.. ძალიან საქმე მომხდარა, თქვენმა თავის ტეხამ...

ერმოლაი—ო, ღმერთო, კიდევ უბედურება! მსხვერპლი!.. რატომ მეხს არ დასცემ ამ ქვეყანას და ქვესკნელში არ ჩაიტან!!

მეშამულე—სუს... დაჩემდით, თქვე გველის წიწილებო!..

ნატაშა—როგორ?.. შენ ფიქრობ, რომ ქვეყანაზე სიმაართლე არ არის?... (ჩუმათ იღებს დანას. ეცემა ბატონს. უნდა დაკრას, მაგრამ იკერენ)

მეშამულე—ახ, შე კუდიანო, შენა!.. ახლა კი ვიცი, რაც უნდა გიყო!.. გაწამებ!.. ცოცხლად გაგატყავებ და ცეცხლში გადაგადებ... გაათრიეთ ეს სიძაგელი აქედან!..

ნატაშა—შენ კიდევ მოგაგონდები მე...
მეშამულე—დაიკარგეთ აქედან!.. (ნატაშა გაყავთ. ყველანი გადიან. სცენაზე რჩებიან: მეშამულე, მაიორი, სიმონი და ერმოლაი.)

მაიორი—ეხ, ჩემო ძმაო, შენ მეტათ თავაშვებული ხალხი გყოლია სახელში... როგორ შეიძლება ასე... მე ეხლავე უნდა წავიდე, უკვე დროა... ფროსიაზე შემდეგ შემოვივლი... მშვიდობით... (ხელს ართმევს)

მეშამულე—მშვიდობით!.. (მაიორი გადის) არ დაგვივრწყოთ, ჩქარა ჩამობრძანდით!..

სიმონი—(სტირის) გრუშა!.. გრუშა!.. ჩემო კარგო გრუშა!..

მეშამულე—როგორ არა გრცხვენია, რომ ქალზე სტირი!.. აბა, რასა გავს შენი საქციელი?! მოდი აგე, მომეხმარე სახლში ასელაზე... (სიმონი ეხმარება,

ადიან კიბეზე ორივე საღამოა. შორიდან მიმავალ ეტლის ცხენების ეყენების ჟღარუნის მოსმის. მაიორი წაეიდა. სცენაზე მხოლოდ ერმოლაი. პაუზა ჩუმად შემოდის ნატაშა ხელში თივა უკირავს.)

ერმოლაი—(შესძახებს) სად მიხვალ?..

ნატაშა—ახ, შენა ხარ, მოხუცო?... როგორ შემეშინდა?! ნუ მიშლი!.. მე ჩემი საქმე უნდა გავაკეთო!.. ესლავე მოეკიდება ბელელს, ბოსელს და სხვებს-საც... ამ მგლის ბუღესაც გავხვევ ცეცხლის აღში... უნდა ავგაეო მიწის პირი-დან ეს ცოდვით საესე სასახლე, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს...

ერმოლაი—მერე ღმერთი?! ღმერთს რას ეუბნები, შვილო?... აღარ გეშინია?...

ნატაშა—კმარა შიში!,. ყოველივე ამით უნდა დასრულდეს... აი, ამას ესლავე დაეკეტავ (ბოქლომით დაკეტავს კარებს, სადაც ბატონი შევიდა) ესლავე კი გავაჩაღებ ცეცხლს... (ანთებს ცეცხლს) ასე... მოჰკალით ჩემი ვასილიოკი?! თქვენც ინეტარეთ ცეცხლის აღმურში... ნახეთ, როგორია მწარე სიცოცხლე... ტანჯვის წუთები...

ერმოლაი — ღმერთო!.. დიდებულო მეუფეო!.. (ქვითინით ძირს დაემხოდა)

ნატაშა—ო, როგორ მხიარულად გაჩაღდება ცეცხლი... როგორ განთავისუფლდება შენგან დატანჯული თაობა... იგიზგიზე, იგიზგიზე ცეცხლის ზვირთო, შენზეა ჩემი უკანასკნელი იმედები... შენ გაბარებ ჩემს დამტანჯველს, მხეცს და გულქვა ბატონს. . (სცენის უკან დიდი ცეცხლი მოსჩანს, თან საყვირის ხმაც ისმის) იგიზგიზე, იგიზგიზე!.. (უგრძნობლად ეშვება)

მომქმედებათა შორის.

ბ ნ ე ლ ა .

ბურუსიდან მოისმის ხმა „უდიდესი კომუნარი“-ს. ძმებო!... თქვენ დაინახეთ როგორ გვეტანჯავდნენ ჩვენ. თქვენ ნახეთ, როგორ დაგვეცინოდნენ და გვამცირებდნენ მემამულეები... შავი დღეები ჩაესვენა... მოვიდა ჩვენი სატრფიალო „წითელი დღე!“.. ხალხი გადასხვადებოდა. იქაც, ჩვენს მტერთა შორისაც არიან პატიოსანი და კაცთ-მოყვარე ადამიანები. ესლა თქვენ ნახავთ „წითელ ლენერალს“ ჩვენს სიამაყეს და ჩვენი გამარჯვების უკვდავ სიმბოლოს... ის იყო გმირი და მოკვდა ჩვენთვის... უყურეთ!.. უყურეთ!..

III ს უ რ ა თ ი .

„წითელი ლენერალი“

რეკ. ეპიზოდი.

მ მო მ ქ მ ე დ ნ ი :

1. ნიკოლაევი . . წითელი ლენერალი. ყოფ. გენ. მაიორი ძველი არმიის
2. ელენე . . . მისი ქალიშვილი.
3. ზუბოვი . . . ლენერალი (თეთრ-გვარდიელი).
4. ადიუტანტი.
ჯარისკაცები.

მოქმედება სწარმოებს ნარვასთან სანოქალაქო ომის დროს. 1919 წ. დეკორაცია წარმოადგენს ოთახს, უბრალო მიწურ სახლში. საღამოა. შორს ისმის სოფლა... ხანდახან მუსიკის ხმაც.

ზუბოვი—(გაშმაგებული, ჩქარის ნაბიჯით დადის სცენაზე... დეზებს არაჩხუნებს. მის წინ სმენად ქცეული ადიუტანტი სდგას) ძლიეს!.. ძლიეს ჩავიგდეთ ხელში!.. რა შერცხვენაა!.. ო, სირცხვილო!.. სირცხვილო!.. ეს პირდაპირ წააშო-უდგენელი რამ არის... ლენერალი სახელოვანი და ბრწყინვალე მეფის ჯარისა უეცრათ წითელ ავაზაკებთან... პროლეტარულ ლაშქარს მოუძღვის ჩვენს საწინააღმდეგოთ!.. რა არის ეს?.. ლალატია, თუ შეისყიდეს ის?.. ვერაფერი გამიგია!.. თითქოს ბურანში ვარ!.. თუ ოქროზეა საქმე, ჩვენ ის ცოტა გვაქვს?.. ჩვენ მიეცემთ მას სამჯერ მეტს!.. ოქრო-ბრილიანტში ჩავსვამთ... რას ლაპარაკობს?

ადიუტანტი დაკითხვის დროს მხოლოდ ორ სიტყვას ამბობდა: „კი“ და „არა“. თან რაღაც მხიარული ლამილი დასთამაშებდა ტუჩებზე... დაკითხვისას სთქვა: „საამოუკუნო, აღფრთოვანებით, მოვკვდები კომუნიზმის წმინდა სადა-რაჯობით“.

ზუბოვი—წყურულიც იყავ?... (ფეხებს აბრაახუნებს) ამ სიტყვებს ისე მხიარულათ და გრძნობით იმეორებ, თითქოს ძალიან გინდოდეს სულითა და გულით შენც მათ ემსახურო. ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა?!. მოიყვანეთ აქ ელავე, მე მოვახერხებ მასთან ლაპარაკს... მოვნახავ მასთან საერთო ენას... მოვიყვან, მოვიყვან გონს იმ უბედურ ადამიანს, ის ნამდვილათ შერყეული უნდა იყოს... მეგრე, რა კარგი ანხანავი იყო ჩემი... ერთად ვსწავლობდით ლენინალურ შტაბის აკადემიაში... მოიყვანეთ ახლავე...

ადიუტ—მესმის, თქვენო უმაღლესობავ (გადის).

ზუბოვი—რას ნიშნავს ეს?.. ნუ თუ ჩვენი უკანასკნელი წუთები დადგა მართლაც?... სანარცხვინო ბოლო. (ჯარის კაცებს შენოყაეთ ნიკოლავეი. მას აცვია ჯარის-კაცის უბრალო ფარაჯა. ღონიერი სახის—გამომეტყველება აქვს).

ზუბოვი—(ჯდება. არ უყურებს ნიკოლავეს) ტყვევ!..

ნიკოლავეი—(მშვიდათ) მე სახელოვანი წითელ არმიის ჯარის-კაცი ვარ... შენიძლია ვიამაყო მხოლოდ ამით

ზუბოვი—თავი დაანებეთ თქვენი წოდების წარმოდგენას... ტყვევ, თქვენ ის სახელი და გვარი?..

ნიკოლავეი—მე უკვე გიპასუხეთ: ჯარისკაცი პროლეტარული არმიისა—ნიკოლავეი.

ზუბოვი—(წამოვარდება) იაფ-ფასიანი კომედიიაა!! რა საჭიროა ეს თამაზი? როგორ არ გრცხვენიათ გენერალო?..

ნიკოლავეი—აქ გენერლები არ არიან. მე უკვე დიდი ხანია ჩამოვიგლიჯე გენერლის ეპოლეტები... მის ნაცვლათ ვატარებ წითელ ვარსკლავს, რომელმაც მიჩვენა სწორი გზა...

ზუბოვი—გენერალო! თქვე კუიდან შერყეული ხართ... როგორ შეგიძლიათ თქვენ ასე ილაპარაკოთ?!. თქვენ იმ მაწანწალებთან?.. წარმოუდგენელია!..

ნიკოლავეი—(ამაყად) მე ბედნიერათ ვრაცხ. ჩემს თავს, რომ მათთან ვარ. და არა აქ, სადაც ირგვლივ გაისმის მუქთა ხორების ღმუილი... ყველა პატიოსანი და ხალხის მეგობარი მათთან უნდა იყოს, იმიტომ, რომ სიმართლე მხოლოდ მათ მხარეზეა.--

ზუბოვი—(მრისხანეთ) ჩუმათ!.. ჯარის-კაცებო, თქვენ გასწით აქედან! (ადიუტანტს) თქვენც!.. დაგეტოვეთ მარტო...

ნიკოლავეი—(ღიმილით) მე ყოველთვის ერთსა და იმავეს გეტყვით... მე მხოლოდ მებრალება (უჩვენებს ჯარ. კაცებზე) ეს საწყლები, რომლებიც მოატყუეთ თქვენ და იმსახურებთ თქვენი ბნელი საქმეების გასაკეთებლათ...

ზუბოვი—(ჯარის-კაცებს) რას სდგებართ აქა?! ეხლავე გასწით აქედან!.. (ჯ.-კაცები და ადიუტანტი გადიან. პაუზა)

მე მინდა შინაურულად მოგელაპარაკოთ თქვენ, როგორც ძველს ამხანაგს...
ნიკოლაევი—მე ხალხის გამყიდველთა და მოლაღატეთა შორის ამხანაგები არა მყვანან...

ზუზოვი — (ბრაზით) როგორ ბედავ!.. თქვენ გავიწყდებათ, სადაც ხართ!..
მე თქვენ გიჩვენებთ იმას, რაც ჯერ არ გინახათ!..

ნიკოლაევი—მე იმას გელაპარაკები, რასაც ვფიქრობ. გახსოვდეთ, რომ მე არავეისი არ მეშინია. როდესაც კაცმა იცის, რას აკეთებს, ვისთვის, ან რად მისთვის არავითარი შიში არ არსებობს. ჩემი სიამაყე იმაშია, რომ მე არავეისი არ მეშინია, რადგანაც ღრმათა ვარ დარწმუნებული ჩემს სიმართლეში... მე ისე მაგრათ ვსდგევარ ამ ნიადაგზე, რომ შემძლია სხვაც დეარწმუნო ამაში...

ზუზოვი—შესწყვეტეთ!.. ნუ გადააქარბებთ უკბილო პროპაგანდით!.. მე ისედაც გეთანხმებით... (პაუზა) მითხარით, გენერალო... რამდენი?!. თქვენ შეურაცყოფათ არ მიიღოთ!.. ეს საკითხი არც ისე... ჰო, მაინც რამდენი მიიღეთ იმათგან?!..

ნიკოლაევი—(სიცილით) თქვენ ფიქრობთ, რომ მე მოსყიდული ვარ?.. რა გულუბრყვილო ხართ?.. ერთი მიპასუხეთ, ბატონო გენერალო, რა იქნებოდა. რომ აი, ის, რაზედაც თქვენ მელაპარაკებით, თქვენგან ამელო?.. მითხარით, რა იქნებოდა, რომ იმათთვის მელაღატანა?..

ზუზოვი—ეს კი არ მესმის!..

ნიკოლაევი თქვენთან ისევე ძველებურათ ფულით კეთდება... თქვენთან ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მაგრამ გახსოვდეთ, ბატონო გენერალო, რომ მუშათა კლასი სულს ვერ შეეღვევა, იგი მას ვერ მოგყიდის...

ზუზოვი—არაფერი მესმის... არ შემძლია დავიჯერო, რომ თქვენ... სულითა და გულით... თქვენ, მეფის ყოველგვარ ორდენებით გულმკერდ დამშვენებულმა გენერალმა... თქვენ, რომელსაც მეფის რეჟიმმა მოგანიჭათ ყოველგვარი პრივილეგიები და ბედნიერება... თქვენ... და თქვენ მოღიხარტ ჩვენზე იარალით... მოგაქვთ საბედისწერო იერიშები, გუშინდელი თქვენს ამხანაგებზე!.. ვერ დავიჯერებ.

ნიკოლაევი—დიახ, მე მოვდივარ თქვენზე. დარწმუნდით, ბატონო გენერალო, რომ ისინი თავიანთ თავს ემსახურებიან და არა სხვას... მე 50 წლის კაცმა, შევიგინე, რომ ძველი ქვეყანა უნდა დაიჭკეს... მის ნანგრევებზე დღეს უნდა აშენდეს ახალი... ეს უდიდესი საქმე თავს იღვა პროლეტარიატმა, და მისმა ერთგულმა შეიღმა წითელმა არმიამ... მეც მათკენ გავეშურე... არავითარ ფულსა და ძალდატანებას აქ აღგილი არა აქვს... თქვენ ტყვილა გგონიათ ასე... მე ჩემის სურვილით მივედი მათთან...

ზუზოვი—დაანებეთ თავი ამ ამაფეთქებელ სიტყვებს... დაუბრუნდეთ საუბრის საგანს... თქვენ ეხლა ტყვეთა ხართ... თქვენ გელით...

ნიკოლაევი—მე ვიცი ეს... კარგათ მესმის... სიკვდილი... მე არ ვითხოვ შებრალებას... მე არ მივიღებ თავისუფლებას თქვენი სისხლით ვასვრილი ხელბიდან...

ზუბოვი—ჩვენ კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ—გადმოხედეთ ჩვენაკენ... ჩვენ დაგიბრუნებთ წინანდელ მდგომარეობას... აგამალღებთ გენერალ-ლეიტენანტს ხარისხამდე...

ნიკოლაევი—(სიცილით) არ შემაცდინოთ, ბატონო გენერალო... მე არ მესაქიროება ეს ყალბი იარლიკები...

ზუბოვი—(აგრძელებს) თქვენ მიიღებთ ყველა ზრდენებს...

ნიკოლაევი—წინახეთ... ბავშვების სათამაშოთ გამოგადგებათ...

ზუბოვი—(ჩუმათ) აუარებელ ფულსაც მოგცემთ... ოკროში ჩაგსვამთ...

ნიკოლაევი—ამაო ცდაა... მე მათ ვერ ვულალატებ...

ზუბოვი—ყოველშემთხვევაში, თქვენ მაინც მოიფიქრეთ... იქნებ დაგიჯლეთ ქუჯაში ჩემი წინადადება...

ნიკოლაევი—მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს... მე თქვენთან არასოდეს არ ვიქნები.

ზუბოვი—ჯაბა მოგცემთ...

ნიკოლაევი—მოტყუებულს და გაბოროტებულ ჯარის კაცებს, რომლებსაც თქვენ უმოწყალოთ მიუტოვებთ ბრძოლის ველისაკენ, აბა?! არ მინდა... თქვენს ჯარი ისე დაიშლება, რაგორც ხეხულა.

ზუბოვი—ყოველ შემთხვევაში, მომეცით პატიოსანი ოფიცრის სიტყვა, რომ ჩვენზე მეტათ არ გამოილაშქრებთ...

ნიკოლაევი—სანამ შევიძლებ ხელში თოფის დაქვრას, ვეცდები დაიცვა წითელი დროშა და ვიდგე იმ წმინდა სადარაჯოზე, სადაც ის ააფრიალა რევოლიუციამ...

ზუბოვი—(ბრაზით) მოლაღატევი... თქვენ... თქვენ... თქვენ უნდა ჩამოგკიდონ... ნუ თუ ასე მოგწამლათ იმ მაწანწალებმა?!

ნიკოლაევი—გენერალო ზუბოვო!.. ეხლა უკვე სხვა დრო დადგა... დაიციწყეთ. რაც იყო. ის არ განშეორდება... თქვენ მუშათა და გლეხთა მოზღვავებულს ტალღებს წინ ვერ აღუდგებით... თქვენ არა გაქვთ ამისი უნარი... მეუროგდით იმ აზრს, რომ ერთხელ და სამუდამოთ ძირი ეცლება თქვენს დესპოტიურს რეჟიმს... ისწავლეთ ხალხის პატივისცემა... დაყარეთ იარაღი. შესწყვიტეთ ეს უაზრო ომი და ძმათა შორის სისხლის ღვრა... ჩვენ გვეწყურია სიმშვიდე და მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთ... ჩვენ ყველას მივმართავთ დაიტიონ ჩვენთან მებრძო კავშირი... შესწყვიტეთ თქვენი ყაჩაღური თავდასხმები... ნოდით ჩვენთან... მიგიღებთ საამოყენებით, თუ კი პატიოსნებით ემსახურებით ხალხს...

ზუბოვი—ჩვენ კიდევ შევებრძოლებით იმ შავ ხალხს... თქვენ დაბრმავდით... თქვენ გაჩერჩეტებული ხართ... თქვენ აზნაური ხართ, გენერალი, თქვენი შვილები ჩვენთან იფიქრებათ არიან... თქვენი ქალიშვილიც ჩვენთანაა... თქვენ კი, ისე დაკარგეთ კუჯა და მოსაზრება, რომ მოღიხართ შავი ურდოებით ნათხე გასალაშქრებათ მათეილით ხელში... ნუ თუ თქვენი საკუთარი ბავშვები მაინც არ გებრალღებათ?

ნიკოლაევი—(სიხარულით) როგორ?.. ლენა აქ არის?.. თქვენ... მართალს ამბობთ?.. ჩემო ბავშო!.. ჩემო საყვარელო გოგონაე!..

ზუბოვი—იქნებ მათი სიყვარულის გამო შინც... ..

ნიკოლაევი—არა!.. არასოდეს!.. მე ვერავისი სიყვარული ვერ შემაცდენს ამ შემთხვევაში... მე ხალხს ვერ უღალატებ!.. ქრისტე ამბობს: დასტოვე შენი ცოლი, ბავშვები და გამომყევე მეო... და აი, მეც ყველაფერი მივატოვე და გავხდი უბრალო ჯარის-კაცი დიდი რევოლუციისა, მაგრამ მე ჩემი ბავშვების საწინააღმდეგოთ კი არ მოვდივარ, არამედ მათ დასაცავად... მე უნდა დავიპყრო მომავალი ბედნიერი და მშვიდობიანი სამყარო... მე სრწამს ბრწყინვალე გამარჯვება .. ის ახლოა...

ზუბოვი—ხო? არ გინდათ ნააოთ თქვენი ქალი?..

ნიკოლაევი—ლენა?.. ღმერთო!.. ჩემო საყვარელო ბავშო!.. რაძენი მწუხარე დღეები დავალიმე მასზე ოცნებით!.. არ ვიცოდი, სად იყო!.. მომეცით საშუალება, რომ ენახო!.. მე მას ორიოდ სიტყვას ვეტყვი, ან სრულიად არაფერს, ნხოლოდ შეგხედო შინა... შემდეგ კი, რაც გინდათ, ის მიყავით... მე მსათა ვარ...

ზუბოვი—ეხლავე...

ნიკოლაევი—ეხლავე?.. აჰა!..

ზუბოვი—ის ცოლია პოლკის უფროსისა.

ნიკოლაევი—მერე მან იცის, რომ მე აქ ტყუეთა ვარ?..

ზუბოვი—ის საშინლათ სწუხს. რომ მისი მამა, რომელიც მას გაგიყვებით უყვარდა და ..

ნიკოლაევი—არა უშავს... შემდეგ ის იამყავს მისი მოხუცი მამით. და პატივისცემით მოეპყრობა მანის ძვირფას ხსოვნას...

ზუბოვი—მე გთხოვთ აშანაგურათ, თქვენი ოჯახის საკეთილდღეოთ, გამოერკვიოთ, სანამ კიდევ გვიან არ არის...

ნიკოლაევი—მე ვიცი. რაც უნდა გვაკეთო...

ზუბოვი—როგორც გენჯბოა. ასე—თქვენ გადაქრით უარს აცხადებთ ჩვენსკენ ვადმოსვლაზე?..

ნიკოლაევი—უღაოთ და გადაწყვეტით.

ზუბოვი—თქვენ ინანებთ, მაგრამ უკვე გვიან-ლა იქნება... (იძახის) მო-რიგე!.. (შემოდის ადიუტანტი) სთხოვეთ ელენეს ეხლავე მოვიდეს აქ... თითოინ იცის რაზე... ჩქარა!..

ადიუტანტი—ის უკვე დიდხანია მეზობელ ქოხში ზის და გიცდით... გთხოვთ, თქვენო აღმატებულებაე. .

ზუბოვი—(ჩქარა) ვიცი!.. ვიცი!..

ნიკოლაევი—ჩემო ბავშო!.. ჩემო საყვარელო ბავშო!

ზუბოვი—უთხარით, რომ მოვიდეს ჩემთან... (ადიუტანტი გადის) თქვენ არ გეშინიათ ელენას შეხვედრის?.. შეძლებთ—მას თვალეში შეხედოთ?.. რო-დესაც აქ თქვენზე საუბარი ჩამოვარდება,—მას სიწითლე გადაკრავს პირის-სა-სეზე და არ იცის, როგორ გამოვიდეს უხერხულ მდგომარეობიდან... ..

ნიკოლაევი— დეე, მამაკოს!.. მან ჯერ არ იცის კეშმარიტი გზა... მისთვის სინამდვილე ბუროსით არის მოცული. შემათურთხოს. ეწამოს. დაიტანჯოს. კარგია. როდესაც ეწამები... .

ზუბოვი— მაშ, თქვენ არ ლალატობთ თქვენს გადაწყვეტილებას?..

ნიკოლაევი— სიკვდილის ჟამსაც ვიტყვი: გამარჯვება ჩვენია... (კარებში გამაზრდება ლენა. შეჩერდება. სასომხილილი).

ნიკოლაევი— შეილო!.. გამარჯვება ჩემო სიხარულო... ჩემო კარგო!.. ველაზ მცნობ?.. მე სხვა ვარ...

ელენე— (მოხევევა) მა—მა!! საყვარელო მამა!.. (ოოიენი სტირიან).

ზუბოვი— მე ხელს შეგიშლით!.. წავალ!.. აქვე ვიქნები. თქვენ... მე იმედი მაქვს ელენა, რომ... მამა თქვენი საშინელი შეცდომაში იმყოფება... საპიროა მისი მოზრუნება... თქვენ შესძლებთ ამას... (გადის. ხანგრძლივი სიჩუმეა მამა და შვილი დიდხანს უსიტყვოთ შესტკერიან ერთი მეორეს).

ელენე— მამა, ძვირფასო მამილო... შენ რა ჰქენი?.. რა ჩაიღინე?.. (სტირის) სირცხვილი... სირცხვილი...

ნიკოლაევი— ნუ სტირი, შეილო!.. მე ვქენი ის, რაც მიკარნახა ადამიანურმა სინიღისმა... შენ უნდა იცნობდე შენს მოხუც მამა... მის შესყიდვას ვერაინ ვერ შესძლებს...

ელენე— არა... არა... შენ მოლალატე ხარ... შენ გვილალატე მამა. .

ნიკოლაევი— ვის?.. ვის ვულალატე, შეილო ლენა?.. მიპასუხე!.. ერთ ნუქა მოძალადე გენერლებს?.. მართალია, მე მათ ულალატე... სამაკვიროთ, მე დაერჩი ერთგული ხალხის... ჩემო ბავშო!.. დეე, გეზიზღებოდე, მე მაინც მაგარი ვარ სალ-კლდესავით შეურყვეველი ჩემს გადაწყვეტილებაში... ჩემი არჩევანი სწორია... დამწყველე... შემაჩვენე... ვიცი, რომ ეს ჯალათები ბოლოს მომიღებენ აქ... ვიცი ყოველივე ეს... მე მაინც არ შეუშინდები სიკვდილს, მე ვიცი, მოვა დღე, და შენც, შენც ლენა, მოხვალ ჩემთან და თავს დახრი ჩემს საფლავთან... არა გაქვს შენ უფლება მიწოდო მე მოლალატე...

ელენე— მამა, ის აზრი, რომ შენ ჩვენთან არასოდეს არ იქნები, მალონებს...

ნიკოლაევი— არასოდეს... მე არასოდეს არ ვიქნები, სადაც ადამიანთა პატივისცემა და სიყვარული არ არის... კაცობრიობის უდიდესმა სიხარულის გარიჟრაჟმა უკვე ინათა... დღეს ყველა პატიოსან ადამიანთა გზები მხოლოდ აქვე თქვენ მიდის. .

ელენე— მამა, მე თითონ არ ვიცი, რა მემაართება... მე... მე... ო, მამავ!.. როდესაც აქეთ მოვდიოდი, მრავალი მქონდა სათქმელი... მინდოდა შენი ჰალარა შემიგინებია... ჩემი ფურთხის ღირსდავაც არ მინდოდა გამხდარიყავი... მინდოდა უარმეყო შენი შეილობა... რომ სამარადეამოთ დამეიწყებოდი... რამდენი. ქალის სიტყვები მოვამზადე წინასწარ, რომ მაგრათ შეგხვედროდი, რომ დამერწმუნებინე შენს საზიზღრობაში... ჩემში შენს მიმართ არავითარ შებრალებას აღვილი არ ჰქონდა... სასტიკი და უღმობელი შურის ძიება ფეთქავდა მკერდ ქვეშ... ეხლა კი, როგორც ხედავ, ყოველივე ეს გაქრა... დამარჩა მხოლოდ ერთი გრძობა: განუსაზღვრელი პატივისცემა და სიყვარული შენდამი...

ნიკოლაევი—(სიხარულით) ეს უდიდესი ჯილდოა... ხელთუქმნელი საჩუქარი ჩემო კარგო!!!

ელენე—შენ, მამაჩემო, კეთილი კაცი ხარ!.. სიამაყით გართმევ ხელს... შენს შვილებს,—ჩემს—ძმებს, მე გადავცემ, რომ შენ გმირი ხარ... შენ მართალი ხარ, თუ არა, მე ეს არ ვიცი.. ჯერ ეს ჩემთვის ბურუსით არის მოცული, მაგრამ ვგრძნობ, შენში გიზგიზებს ცეცხლი. რომელიც ღირსია პატივისცემის...

ნიკოლაევი—(აღფრთოვანებული) მეტი არაფერი მინდა!.. ეს უდიდესი საჩუქარია... ეს ჩემთვის განუსაზღვრელი სიხარულია, რომელსაც მე არ მოველოდი ასე ჩქარა.. ეხლა კი მე მძლავრი ვარ, ვით პროლეტარიატის ნებისყოფა... შენ შექმენი ჩენში საოცარი ენტუზიაზმი... შენ კიდევ უფრო გამახალისე... ჩემო საყვარელო შვილო!.. აკოცე ჩემს შვილებს, გადაეცი ჩემი უკანასკნელი ანდერძი: ნუ წაველენ ხალხის ბედნიერების წინაღმდეგ... იყონ მათთან ყოველთვის, ქირშიც და ლხინშიც. ამ ქვეყნიურ ბედნიერებას დასაწყისი მხოლოდ იქ არის.. ახლოა ის დროც, როდესაც შენც იტყვი: „მამა ჩემი მართალი ყოფილა“...

ელენე—მე... არაფერი არ მესმის... მე... გული საშინლად მიცემს! (შემოხევევა) მე პატივს ვცემ შენს სურვილებს... მე ქედს ვიხრი შენს წინაშე... ჩემს სულში ქარიშხალია... მე სხვა ვარ... სულ სხვა... ახალი... მე წავალ აქედან... აქ ველარ მოვიციდი ამის, მეტათ... წავალ იქ.. მათთან..

ნიკოლაევი—(აღფრთოვანებული) ჩემო ბავშვო!.. ჩემო საყვარელო გოგონა!.. ჩემო სიხარულო.. ჩემო სიამაყე... შენც ჩემთან?! ასე უეცრად?! ასე მოულოდნელათ?.. (შემოდის ზუბოვი)

ზუბოვი—ქალბატონო ელენე!.. მოახებრხეთ მამის დარწმუნება?.. შესძელით მისი გამომთხიზლება?..

ელენე—მე მას ბევრი ველაპარაკე... მაინც არ თანხმდება... ველარ ტოვებს წითლებს...

ზუბოვი—როგორ მშვიდათ ლაპარაკობთ, ქალბატონო ლენა!.. მე თქვენ ველარ გცნობთ!..

ელენე—დაიხ... მე უკვე სხვა ვარ... სრულიად ახალი... იქნებ გაგივირდეთ, მაგრამ, მე უკვე აღარ ვარ თქვენი... (მამას) მშვიდობით!.. მშვიდობით ჩემო საყვარელო მამა!.. ნუ გეშინია, შენი ქალიც შენთანაა... იყავი მხნედ... შეუპოვარი და მაგარი, როგორც ფრიალო კლდე...

ნიკოლაევი—(მოხევევა. კოცნის) მშვიდობით, ჩემო ლენავ... (ელენე გადის)

ზუბოვი—(ბრაზმორიელი) ისეთები, როგორც თქვენ, თუ გამრავლდენ ჩვენ დავიღუპებით...

ნიკოლაევი—(დაცინებით) გვიან გაგივიათ, ბატონო გენერალო... თქვენთვის ხსნა აღარ არის... ჩვენ უკვე ინტერნაციონალის მძლავრი ხმებით უმღერეთ უკანასკნელი საგლობელი ცოდვილ სამყაროს... ჩვენ მოგვაქვს თავისუფლება მთელი ქვეყნის მრავალტანჯულ ხალხისათვის, რომელიც სულს დაფავდა საუკუნეთა შორი მანძილზე თქვენს უღმობელ კლანკებში... მოვედივართ მრავალმილიონიანი რაზმებით, რომ უკანასკნელი იერიში მივიტანოთ ძველ სამ-

ყაროზე... ჩამოგვეცალეთ!.. წინ ნუ გვედობებით, თორემ ჩვენი შურისძიება სასტიკი და უღმობელი იქნება... დღეს თუ ხვალ თქვენ. თქვენის, დამქაშებით წარსდგებით ისტორიის სამსჯავროს წინაშე...

ზუბოვი—(გაცოფებული) ჯარისკაცებო!..

ნიკოლაევი—(იციინის) საბრალონი!.. ესლა დაგრჩენიათ-უკანასკნელ იმედათ!.. (შემოდინან ჯ-კაცები)

ზუბოვი—ისმინეთ!.. (კითხულობს) „ჩრდილო-დასავლეთ არმიის სამხედრო საველე სასამართლოს დადგენილებით, მეფის ჯარების: ყოფილი, გენერალ-მაიორი, ნიკოლაევი, უნდა დისაჯოს ჩამოხრჩობით!.. ლალატისა და წითელ ბანდუქში გადასვლის გამო... დადგენილება ესე სისრულეში იქნეს მოყვანილი 24 საათის განმავლობაში...“

ნიკოლაევი—ერთი ტყვიაც ვერ გამოიმეტეთ?. თქვე მზეცებო, თქვენა!..

ზუბოვი—ვერა!.. ბაწრიო უნდა ჩამოგკიდოთ, როგორც ცოფიანი ძაღლი... აბა, ჯარის-კაცებო!.. წაიყვანეთ ეხლავე ეს არამზადა ესა... (ადიუტანტს ცრემლი ერევა) თქვენ სტირით?.. გებრალეხათ ეს ძაღლი?.. (ჯარის-კაცები სტაყენ ხელს ნიკოლაევს).

ნიკოლაევი—თქვენ შეგიძლიათ წამართვათ: ხარისხი. ორდენები, ფული... ყველაზე უდიდესი განძი—სიცოცხლე, მაგრამ გახსოვდეთ, ბატონო გენერალო, თქვენ ვერ შესძლებთ წამართვათ რწმენა. და სიყვარული კარზე მომდვარ პუნდორებისა... ვერ შესძლებთ წამართვათ ბრწყინვალე გამარჯვება, სიყვარული ხალხთა განთავისუფლების დიადი იდეისა, რომელიც განთიადს ამოყვანს საუკუნეთა საზღვართან... მე სიხარულით და აღფრთოვანებით ავალ ეშაფოტზე. რევოლუციისა და კომუნისტების სამსხვერპლოთ... მივეგებები სიკვდილს, საკაცობრიო იდეების წმინდა სადარაჯოზე.

ზუბოვი (ჯარის-კაცებს) ჩქარა ვაათრით აქედან!! ჩამოჰკიდეთ!! აწამეთ!.. ჩქარა. თორემ წითლები გადმოვიდნენ შეტევაზე... გასწით!!! (ნიკოლაევი მიჰყავს).

ნიკოლაევი—ჩემს სიკვდილში არ არის თქვენი ხსნა... გაუმარჯოს წითელ, არმიას... გაუშარჯოს ახალ ქვეყანას!..

ე კ ი ლ ო გ ი.

სენა წარმოადგენს უხარბახარ დედა-მიწის ზურთს, რომელზედაც სდგას „ე დ ი დ ე ს ი კ ო მ უ ნ ა რ ი“. ცალ ბელნი უქირავს ანთებული ჩირაღდანი, მეორეში გაშლილი წითელი დროშა. ამოდის ნელ-ნელა „წითელი ვარსკვლავი“. მიწის გარშემო სხედან რევოლუციის ყველა ბელადები, გვერდზე – მსოფლიოს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები. თავიანთი ნაციონალურ ტანისამოსებში... ხელში წითელი დროშები უჭირავთ... ფარდის ახდისას „ინტერნაციონალი“ ს ძლიერი ხმა, რომელიც ეპილოგის დასასრულს გადაიქცევა მქუხარე აკკორდათ.

უღ. კომ.—უკვე აენთო წითელი ვარსკვლავი მთელს მსოფლიოზე. გამოფხიზლდა კაცობრიობა... დღეს ყველანი ჩვენთან არიან...

(მოდინან მუშები, იშლება მრავალფეროვან ლოზუნგებით აქრელებული დროშები. რევოლუციონური სიმღერა. შემდეგ მოდის ჯარი სიმღერით და მუსიკით-მეზღვაურები, გლეხები; დროშებზე გამოსახული აქვთ გუთანა და ნამგალი). ყველანი გახდენ უსაყვარლესი ძმები ერთი მეორისა. არ ყოფილა დასაბამიდან უკეთესი ზიმი, დედამიწე-ზე... დღევანდელი დღე საძირკველია ბრწყინვალე გამარჯვებისა.. შეხედეთ, რა რიგად გაბრწყინებულია მთელი ქვეყანა... არ არიან მონები, ყველანი ადამიანები ვართ... ჩვენ, გამარჯვებულები შურს არავისზე არ ვიძიებთ, პირიქით, სიყვარულით მივიღებთ ყველას, ჩვენს საერთო ოჯახის წევრათ. ჩვენ გვსურს მივანიჭოთ ყველას ბედნიერება და დაუბრუნოთ ადამიანს მისი უფლებები... დიდება ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლთ'.. დიდება სამარადისო კომუნისათვის წამებულ გმირებს...

ისინი იქნებიან რევოლუციის წმინდანები... (სამგლოვიარო ჰიმნი) ო, რა ბედნიერები იქნებიან ჩვენი შვილები... მათთვის—უნივერსიტეტები. მუზეუმები. სასახლეები. ყველაფერი—მათთვის... ისწავლეთ. იმუშავეთ და იყავით შრომის ერთგული დამცველნი .. იყავით მედგარი დამცველი შრომის უფლებებისა.

(ხმები:—„გაუმარჯოს უდიდეს კომუნარს“) ჩვენთან მოვლენ ყველანი. იმღერეთ. იმხიარულეთ. იზეიმეთ. დიდება... დიდება წითელ-არმიას... შესძახეთ ვაშა და გამარჯვება ახალ სამყაროს... აუშვით საყვირები. აცნობეთ ყველას, შორეულ პლანეტებსაც ჩვენი უდიდესი მეჯლისი... აუწყეთ ყველას, რომ დაღვა მეთუება კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა!

(ინტერნაციონალის მძლავრი ხმები ფარავს უკანასკნელ სიტყვებს).

ახალგაზრდა მემსიკელი

(გეკ ლონდონის მოთხრობა გადაკეთებული სცენისათვის).

თარგმანი ოლლა ჭრელაშვილისა.

ახალგაზრდა მექსიკელი.

მოკვამლნი პირნი:

პაულინო ვერა—ჩასკენილი, მაღალი ტანისა, მტკიცე სიტყვის, გამბედავი, დამოუკიდებელი. მოზრდილ ბავშვს წააგავს, რევოლუციის რომანტიკი.

არელანო—მოძრაი, ათასნაირათ ეცვლება გუნება, ოცნება იტაცებს და ალტაცებაში მოჰყავს.

რამონი—გულჩათხრობილი, ქვეშ-ქვეშა საეჭვო პესიმისტი.

მექსიკის რევოლუციონური პარტიის ბელადები-მოთავენი „ზუნტი“.

მეი-სეტები—მდივანი „ზუნტისა“, 35 წლის ქალი, სამაგალითო კეთილი და რევოლუციისთვის თავგანწირული.

რივერა—მუშა, ჯერ ისევ თითქმის ბავშვი, არა ჰგავს 18 წლისას, განზღობილი, შუა-ტანისა, შავგვრემანი, იმის შავ თმას ლურჯი ფერი დასცემს, თვალები განყენებულ მიბრჯნილს (ფანატისკ) უგავს, იმაში მოძრაობს ნახევარი ისპანელისა და ნახევარი ინდოელის სისხლი, ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ იმის ნათქვამს თითქო ცეცხლი უკიდიაო.

კელლი—ბოქსერის კანტორის პატრონი, მსუქანი, შუა ტანისა, წითლური, ლოყა გაბრწყინებული.

მაიკალი—ამისი ძმა, ტოტალიზატორის პატრონი. მსუქანი და მოუხეშავი, რამდენიც უნდა ჰქონდეს, მაინც კიდევ ცდილობს შეძენას, გაურკვეველათ ლაპარაკობს, ლულულულებს.

კელლის—კანტორის მდივანი, 23 წლისა, წვრილი, გრძელი, კორფლიანი. სულ იღრიკება.

როზერტისი—ბოქსერების ტრენერი, 45 წლისა, მაღალი, ხმელ-ხმელი; იმისი ლაპარაკი, როგორც იმისი სიარული, ნელია, მოსაწყენი და გაჭიანურებულია.

დენი უორდი—შესანიშნავი ბოქსერი, ყოველთვის მზიარული, თავისი თავი გასაშტერებელი ლამაზი ჰგონია, ყოველთვის ხუმრობს, უზრუნველ ადამიანათ გაჩვენებთ თავს, სულ მუდამ იღიმება, ნამდვილათ კი სულ იმაზე ფიქრობს, საღრას გამოერჩეო, თავის ანტრეპრენერს სულელათა სთვლის.

სნაიდერ-ზაგარტი—პირველი სეკუნდანტი რივერასი, სქელი, შუა ტანისა, გასუქებული სახე ბუტყუჩა, კელლს ემსგავსება.

ანტრეპრენერი—უორდისა.

შიკრიკი—(მუშა).

ა რ ბ ი ტ რ ი.

მექსიკელი რევოლუციონერები, მუშები, ანტრეპრენერები, ტრენერები, სე-
კუნდანტები, ცირკის მოსამსახურენი და მაყურებელნი.

პ რ ო ლ ო ბ ი.

სცენა წარმოადგენს სამუშაო ოთახს, უსაჰიროვის საგნებით მორთულს. უკანა კედელში
კარი აქვს; ტალანში გასასვლელი. ყველას სპარტანელის სიმტიკის ბეჭედი აზის სახეზე. მაგი-
დასთან, ავანსცენაზე, სხედან პაულინი, ვერა, არელანო, რამოსი და კალადებს არჩევენ. მან-
ქანაზე მუშაობს მეი-სეტები. ოთახი საესეა ხალხით, ზოგი დავალებით მოსულა, ზოგი ამხანა-
გების შესახვედრათ, ზოგს ახალი ამბები მოუტანია. განუწყვეტელი ხმაურობაა, თუმცა ცდი-
ლობენ მუშაობას ხელი არ შეუშალონ.

ხ მ ე ბ ი:

- თქვენ იცით? ყველგან მღელვარებაზე ლაპარაკობენ.
 - მართალია, რევოლუცია გვიახლოვდება.
 - ჰა, ხუან, თქვენ ხომ მოახერხებთ პრეზიდენტის ბრკალებიდან თავის დახწევა.
 - ჰო! მაგრამ რის ვაი ვაგლახით! იმ დიახს ყოველ ნაბიჯზე ჯაშუშები უყენია.
 - ხომ არა იცი რა კორრენცოზე?
 - ის დაიპირეს და დაამწყვდიეს სატუსალოში.
 - ასე, ამხანაგო. აბა, გზას გაუდექი!
 - ძალიან კარგი, მე, სიცოცხლეთ რომ დამიჯდეს, მაინც ყოველისფერს შევასრულებ, რაც საჭიროა.
 - ნუ თუ მართლა ფერიზიდო მთლათ, ამხანაგებით დაიპირეს?
 - იმათ უკვე საზღვარ გარეთა ჰგზავნიან.
 - დასახერხტათ?... წყეული დიახი!..
 - ჩუმათ, კაცო, რა გაყვირებს!
 - ამხანაგს გაუმარჯოს! აბა, ახალს რას მეტყვი?
 - საზღვრებიდან შემოთვალეს, რომ ყველანი მზათა ვართო
 - საიდუმლო პოლიცია ქუჭრუტანებიდანაც კი თვალს გვადევნებს,
 - მართალია; დიდს გაკირვებას განვიციდით...
 - ჯაშუშები მოსვენებას არ გვაძლევენ.
 - რაღაც მოხდება!..
- ამ დროს გააღებს კარებს რივერა; დინჯათ შემოვა ოთახში, და მტიციე ნაბიჯით ხალხის ზრბოს არღვეს. მანამ ის გაივლის, ყველანი ჩუმდებიან, კრინტს აღარავინა სძრავს. რივერას ყველანი გაკვირვებით და ეჭვის თვალთ შესცქე-
რიან; იმის თვალის მკაცრ გამომეტყველებას ვერაგინ ვერ უძღღვეს. ის მივიდა მაგიდასთან. ხელმძღვანელიც ეკვიანის თვალთ და გაკვირვებით შეჰყურებს. სამარისებური სიჩუმე გრძელდება.

რივერა—მე მქვიან ფილიპე რივერა.

(ძალ-დატანებული, არა სასიკეთო სიჩუმე გრძელდება. აქა-იქ მუქარით ყურება, შეუმჩნეველი მოძრაობა. რივერა მიაჩერდა მისიგტბის; იმათი თვალე-ბი ერთმანეთს შეხვდნენ. მისიგტბიზე დიდი გავლენა იქონია რივერას თვალის-გაპომეტყველებამ, ასე, რომ წერილის წერის გაგრძელება ველარ მოახერხა, ვინემ თავიდან არ წაიკითხა.

რივერა—მე მსურს რევოლუციისთვის ვიმუშაო.

(ხელმძღვანელთ ერთმანეთს შეხვდეს, თითქოს რალაცას ეკითხებოდნენ ერთი მეორეს ყოყმანით. ისევ ეგვის თვალთ ცქერა და უხერხული სიჩუმე).

პაულინო—(ცივათ და გადაწყვეტით) ძალიან კარგი! თქვენ გსურთ რე-ვოლუციისთვის მუშაობა? მაშ, გაიხადეთ პალტო, დაჰკიდეთ აი იქ; მე გაჩე-ნებთ—წამომყვევით, სადაც წყლით ჭურჭელი სდგას და იატაკის საწმენდი ტი-ლო სძეეს. იატაკი მეტათ ჭუჭყიანია. თქვენ მუშაობას დაიწყებთ იმით, რომ გ რეცხავთ ამას, აქაც და სხვა ოთახებშიაც, საფურთხებლებიც გაასუფთავეთ და შემდეგ ფანჯრებიც გაწმინდეთ.

რივერა—განა, ყოველივე ეს რევოლუციისთვის არის საკარო?

პაულინო—ყოველივე ეს რევოლუციისთვის საჭიროა.

რივერა—(შეხვდავს ყველას ეგვის თვალთ, ცივათ და იხდის პალტოს) კარგი!

1 - ლ ი მ ო ძ მ ე ლ მ ა .

იგივე ოთახი. მისიგტბი თავის ადგილზევეა. მაგიდასთან არელანო და რამოსი ამზადებენ დასაბუკდათ ფურცლებს. რივერა იმათ შველის; ერთი ტუ-ჩი შუაზე გაპობილი აქვს, თითებიდან სისხლი სდის, იმას მუშაობა დიდათ ემძიმება, ტკივილისაგან სახე ეპრანკება.

პაულინო—ვერა. ოთახში ბოლთასა სცემს ალელვებული. გუნებაზე ვერ არიან.

არელანო—უკიდურესი მდგომარეობაა. ისევ უფულოთა ვართ.

რამოსი—მე აღარაფერი აღარა მამადია რა. მთლათ ჩემი გროშები სულ ერთიანათ მივეცი.

არელანო—განა, მარტო თქვენ? შეხედეთ ვერას: იმას მამისეული უწინ-დელი ოქროს საათი აღარ აქვს; მისი სეტიმ თავისი ბეჭედიც კი მისცა.

პაულინო—(აწყვეტინებს სიტყვას), ეგ რა არი! გამოქცეულმა რკინის გზის მუშებმა ნახევარი თავის მცირე შემოსავლისა შესწირეს, განა ესა, კმარა იარაღის და ამუნიციის შესაძენათ.

არელანო—დრო მიდის, რევოლუციის ვითარდება და ყოველივე დამო-კიდებულია...

რამოსი—(მწარე ღიმილით) „ზუნტის“ უმწეო, ჯიბე გახვრეტილ წვერებზე.

პაულინო—დიახ, იარაღი და ამუნიცია! ამუნიცია და იარაღი! ამას მოით-ხოვენ ყველანი ჩვენგან. მე კარგათ ვიცნობ ჩემს მექსიკას, თუ კი რევოლუცია

დაიწყებოდა, ის თავისთავს თვითონვე გაუძღვებოდა. კიდევ ერთი შეტევა. კიდევ ერთი გმირული ძალა, და გამარჯვება ჩვენი იქნებოდა.

არელანო—(აღლევებით). ო! დიახის მთელი მანქანა დაიშლებოდა, როგორც ქალღმრთის ციხე. მოსაზღვრე მაზრები დიდხანია მზათ არიან საწინააღმდეგოთ გამოსასვლელათ. ის იანკი, რომელზედაც მე გვიამბეთ, მხოლოდ ბრძანებას ელოდება, რომ გადმოლახოს მიჯნა და დაიწყოს ომი სამხრეთ კალიფორნიის დასაქვრათ.

რამოხი—ის უიარალოთ რას იზამს?

არელანო—წყეულიმც იყოს!

პაულინო—ამხანაგებო, მაგრე უიმედოთ ყოფნა არ შეიძლება, ხოზე ამერიკო, ჩვენი ახალი მომხრე, თქვენ ხომ იცით, დაგვირდა ფულს გიშოვნითო.

მეი სეტბი—ვინ იცას. როდის იშოვის თქვენი ამერიკო, ფული კი ჩვენთვის ეხლავეა საკირო. პაულინო, განა ვერა ხედავთ, რომ სამასი წერილი, ის წერილები, რომლითაც თქვენ თვითონ მიმართეთ მუშათა ორგანიზაციებს, აქვე აწყვია? თქვენი მიმართვა გაზეთებით... ესეც ხომ ისევე აქვე არის. ფოსტა უფულოთ მარკებს არ იძლევა.

პაულინო—მაშ, რა გვეშეელება?

(რივერა, როგორც ეტყობა მუშაობით, დაიღალა, ის პალტოს იცვამს და ვადის, იმის წასვლის შემდეგ, თითქოს ყველამ თავისუფლათ ამოიუსნთქა).

არელანო—შეატყეთ, რა გაკვირვებით მუშაობდა? ეტყობა ხშირათ სცევენ ნაგას.

რამოხი—ეს, უსათუოდ, ბუნაგებში დაეთრევა.

პაულინო—ნეტა, სად შოულობს ფულს? მაგალითად, დღეს პარტიის ქალღმრთის ფასის ანგარიშში ის გაუსწორდა. მისცა ასი მარკა დოლლარი.

მეი-სეტბი—როგორც სჩანს, როცა აქედან მიდის, მაშინ შოულობს ფულს. ეგ თავის დღეში არ გეტყვით, რად მიდის, სად იკარგება.

რამოხი—უნდა ჯაშუში ავაღვენოთ.

პაულინო—მე ვერ ვაგებდავ მაგის ჯაშუშობას, რადგანაც თქვენ მე ველარა მნახავდით ჩემი დამარხვის დღემდინ. ეგ ემორჩილება დიად მისწრაფებას. თვით ღმერთსაც კი არ მისცემს ნებას ჩადგეს მაგისა და მაგის მისწრაფების შუა.

რამოხი—(გულახდით) არ დაიჯერებთ, მე მაგის წინ ბოვშათა ვგრძნობ თავს.

არელანო—მე ის მეჩვენება ბუნების მოვლენათ, ის როგორც გარეული ნადირი, ან კიდევ ვეშაპი, ან შხამიანი მწერი.

პაულინო—არა, თქვენ ის ვერ გიცენიათ. ის თვითონ გამოცხადებული რევოლიუცია არის. ის არის რევოლიუციის ალი და იმისი სული. ის თავის არსებით ახორციელებს თვით გაუმძღარ სურვილს სამაგიეროს გადახდისას, რომელსაც არ მოსდევს ყვირილი, მაგრამ უხმოთა ჰქლავს, უსიტყოთ იმარჯვებს, ის არის ძველის დანგრევის ანგელოზი, უალიაქოთოდ, შეუმცნეველათ მოძრავი ღამის წყვილიაღში.

მეი-სეტბი—იმას რომ უყურებ—ტირილი მომდის. იმას არავენ არ უყვარს. იმას ყველანი სძულს. ის ჩვენთან მხოლოდ იმიტომ არის, რომ ჩვენ იმისი სურვილის გზას ვადგევართ, ის სრულიად მარტოდ მარტოა, იმას არავენ აზა ჰყავს. (თვალები ცრემლით ევსება).

(შემოდის რივერა. მტკიცე ნაბიჯით და უსიტყოთ მიდის მეი-სეტბის მაგიდასთან, იმის წინ აწყობს ზღვა მარკებს, მერე გაბრუნდა და წაეიდა. რამდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა).

რამოსი—ნეტა, ვიცი, ეს მარკები წყეული დიახის ოქროთი ხომ არ არის ნასყიდი?

პაულინო—არა, აზა! მაგან სულ ბევრჯერ გადაარჩინა „ზენტა“, მე თავის დღეში არ დამავიწყდება, სახლიდგან რომ უნდა გამოეყარათ ჩვენი თავი. უბინაოთ რომ ვრჩებოდით, მაგან არ გვიშველა და გადაგვარჩინა? განა, მარტო მაშინ?!

არელანო—გახსოვს, პაულინო, მე რომ ერთხელ ორი დოლარარი შევთავაზე, იმან, უარის ნიშნით, მხოლოდ თავი გაიქნია, შენ რომ ძალას ატანდი აელო, იმან რამდენჯერმე გვიპასუხა: „მე ვმუშაობ რევოლიუციისთვის“-ო.

რამოსი—მაინც და მაინც ჩვენ იმას ვერ ვიცნობთ. იმისგან კი კაცი ხომ ვერრას გაიგებს.

არელანო—რა არის? ის შეიძლება იყოს უმაღლესი, მაგრამ ვამარტოებულნი სული, მხოლოდ მე იმას ვერ ვიცნობ... (უიმედოთ) ვერ ვიცნობ...

რამოსი—იმაში კაცობრიული არაფერი არ მოიპოვება რა. იმის თვალეში სიყვარული არ მოიპოვება, იმათში მხოლოდ მუქარა გამოიხატება, ისინი ისეთივე სასტიკი არიან, როგორც ვეფხის თვალეები. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ საქმეს უღალატე, ის მე ცოცხალს არ დამარჩენს. ის უფულოა, ის ფოლადივით შეუბრალებელია, ის ცივია, იმის სიცივე ძვალ-რბილში გვიჯდება, როგორც ყინვა. ისა ჰგავს ზამთრის ყინულიან ღამის მთვარის შუქს, ამისთანა ღამეში რომელსამე უდაბურ მწვერვალზეა კაცი უჩვეულათ იყინება. მე არც დიახისა, არც იმისი მტარვალეებისა არ მეშინიან, მაგრამ ამ ბავშვისა კი, გარწმუნებთ, მეშინიან. ამას თანა სდევს სიკვდილი.

(შემოდის რივერა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო ამათ ერთმანეთში საერთო არაფერი არა აქვთ რაო. რივერამ მოიტანა წყალი, ტილო და იატაკს დაუწყო რეცხვა).

პაულინო—ამხანაგებო, რას მეტყვით ფურცლების შესახებ?

რამოსი—იმათ მალე დავამზადებთ.

არელანო—(მოსაჩვენებლათ) გაცხარებული მუშაობაა.

მეი-სეტბი—(არელანოს კილოთი). წერილები საღამოზე უკვე დაიკავებება. კარი ბრახა-ბრუხით იღება. გამალებული შემოდის დიდინის ჩქარი სიარულით დალილ-დაქანცული შიკრიკი).

პაულინო—რა ამბავია, ამხანაგო?

შიკრიკი—მე დამავალეს გადმოგკეთ... ხოზე ამერიკო... დაიპირეს ჩიხუ-აგუაში და... ტირანის ჯარის კაცებმა დახვრიტეს.

(საზოგადო მოძრაობა). საშინელი სულის კვეთება გამოიხატა ყველას სახეზე. არელანო და რამოსი თავის გრძელ უღელშეობს იგრებენ. პაულინო სკამიდან წამოხტება. მეი-სეტის ხელები უნებლიეთ ძირს დაეშენენ. რივერას სახეს აზაფერი არ დაეტყო, გარდა სამაგიეროს გადახდის ცეცხლისა, რომლითაც აენტენენ იმისი თვალები).

პაულინო—(არც კი შეუძლიან თავს იკაეებს). კარგი, ამხანაგო, ეხლა თქვენ თავისუფალი ხართ, შეგიძლიანთ წახვიდეთ.

შიკრიკი —(მიდის).

არელანო—გაპქრა ჩვენი უკანასკნელი იმედი!...

რამოსი—ამით ჩვენ სრულიად მოგველო ბოლო.

მეი-სეტები—ო, „ზუნტა“-ე! წინათ რომ ხელმოკერილი ჰყოფილიყავ!!

პაულინო—ასე, ჩემო კარგებო, ჩვენ ფული არ გვექნება.

არელანო—იარალი! ახ! თუ იარალი გვექნებოდა.

პაულინო—ნუ თუ მართლა აზაფერი არ გვაქვს რა?

არელანო—არც ერთი დოლლარი.

პაულინო—რა სამწუხარო ამბავია! მექსიკის თავისუფლება დამოკიდებულია რამდენსამე საცოდავ ათას დოლლარზე!

არელანო—ვაკრები ნისიათ არც იარალს და არც ამუნიციას არ იძლევიან.

პაულინო—და ეს ეხლა, როდესაც ყველანი მიისწრაფიან სიომრად, როდესაც დიახი ნამდვილათ დაღუპის გზაზე სდვას. ჩვენ მხოლოდ დაწყება გვიქირს, ქალაქები და შტატები მთლიანათ წინ აღდგებოდნენ.

არელანო—(უმატებს). და ჩვენი გამარჯვებული ჯარები შევიდოდნენ სატახტო ქალაქში, დიახის უკანასკნელი თავშესაფარში.

რამოსი—დამთავრდა, ბოლო მოელო...

პაულინო—იარალი და ამუნიცია! სრულიად საკმარისია განა, ტირანი გაგვიძლებდა, განა, გაჰბედავდა?...

(ამ ლაპარაკის დროს, რივერა დაჩოქილი იატაკსა რეცხავდა, შეჩერდა ცოცხით ხელში, რომლიდგანაც ჩამოდიოდა ჰუქყიანი, საპნიანი წყალი).

რივერა—მითხარით, ხუთი ათასი დოლლარი იკმარებს?

(ყველანი გაოცდებიან. პაულინომ ჰოობის ნიშნათ თავი დაიქნია, თითქოს ენა ჩაუვარდაო).

რივერა—შეუკვეთეთ იარალი, (შემდეგ ის ამბობს გრძელ სიტყვას, რანაირიც იმისაგან ჯერ არავის გაუგონია), ცოტა დროა. სამი კვირის შემდეგ, მე მოგიტანთ ხუთი ათას დოლლარს. ესე ემჯობინება. უფრო გათბება. მეომრებისათვის უკეთესი იქნება. აი, ამის მეტი შეველა მე არ შემიძლიან.

პაულინო—(გაუბედავათ). თქვენ ხომ ჰკუაზე არ შეიშალეთ?

რივერა—სამი კვირის შემდეგ... შეუკვეთეთ იარალი!.. (ის ადგა. ჩამოიშვა დაკვალთული სახელოები. ჩაიცვა პიღაკი). შეუკვეთეთ იარალი მეტქი!. ეხლა მე წაეალ.

II მ ო ჯ ე ლ ე ბ ა .

სცენა წარმოადგენს კელლის კანტორას. დიდი საწერი მაგიდა, კანცელარიის მაგიდა, პატარა მაგიდა, ტელეფონის ქუხუნა, ტყავით გადაკრული სავარძელი. ყოველივე ეს მასსიური, ტლანჭი და უმწო. ეს ოთახი სრულიად სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე პირველი სცენისა, ამის მორთულობის მასალა უნდა მაგარი და ულახათო იყოს. მარჯვნივ კარია.

სალამოა. ულექტრონი ანთია, მაგიდაზე სასმელები და საუბზე აწყვია. ოთახში სხედან კელლი, მაიკალი და მღვიანი.

კელლი—(მაიკალს). მე, როგორც ხაჭი, ისე ვიმუშავე, გავაკეთე ყოველი-ვე, რაც კი შემეძლო, მაგრამ ბედმა მიმტყუნა. ნიჟიორკიდან მოვიყვანე დენნი უორდი, რომელსაც უნდა სამი კვირის შემდეგ ექიდავნა ბილლი კარტიესთან, ეს უკვე გამოცხადებული იყო და წარმოიდგინეთ, რა მოხდა?!

მაიკალი—რა?

კელლი—ნაცემ-ნატყეპი, ავთმყოფი კარტიე, ეს ორი დღეა, წევს.

მაიკალი—რას ლაპარაკობ? ნუთუ მართალს ამბობ?!
კელლი—მართალს, მაშ! კარგა მოხდა ის, რომ საიმედო ადგილას და-

მალე, თორემ გაზეთის ჯაშუშები სუნს აიღებდნენ, ყველაფერს იმეიტყოიდნენ და მე, რასაკვირველია, კარგს არ დამაყრიდნენ.

მაიკალი—ჩემი ტატოლობატორი!

კელლი—ჩემი დაკარგული ფულები კი არა სტირიან?

მაიკალი—ეხლა რა წყალს მივეცეთ? რალა ვქნათ?!

კელლი—აი, აკი თავს ქვას ვახლი და ვერას გამხდარვარ. ყველას ტელეფონით ველაპარაკე, ტელეგრამები დავგზავნე, ჩემდა საუბედუროთ, ცოტაოდნათაც კი თვალში ჩინიან მოკიდავებს სხვებთან აქეთ პირობა შეკრული. ეშმაკა წაილოს ჩემი თავი.

მაიკალი—მაშ, რა გეშეველება?!

კელლი—წყალ წალბებული ხავს ექიდებოდაო, მეც რალაც იმედი მაქვს. რობერტსი დამპირდა: ერთ ბიქს გამოგიგზავნიო. (შემოდის რივერა)

კელლი—შენ ვინა ხარ?

რივერა—მე ფილიპე რივერა ვარ.

(სიჩუმე).

მე მინდა კილაობაში დენნი უორდთან გამოვიდე.

კელლი }
მაიკალი } —(ერთხმათ) რაოო?!

რივერა—მე რობერტსი მიცნობს.

კელლი—(თავით ფეხამდის აათვალ-ჩაათვალეირებს). თქვენ ნამეტანი გამბედავი ჰყოფილხართ, და დიდი იმედიცა გქონიათ თქვენი თავისა.

რივერა—(აუშფოთებლივ. მხოლოთ თვალბეში სიმძულვარე გამოეხატება). მე უორდს ვიცნობ!..

კელლი—თქვენ ეგ საიდან დასკვნით? ეგრე რათა გგონიათ? თქვენგინახავთ როდისმე, ის როგორა კილაობს?!

ირივერა უარის ნიშნათ თავს იქნევს)
კელლი—ის ერთის ხელის მოქნევით, თვალხუჭულა რომ იყოს დაგამარ-
ცხებთ.

(ირივერა მზრებს იშმუშნის.

კელლი—(ბუტბუტით) შეგიძლიანთ რამე მიპასუხოთ?

რივერა—მე იმას კარგათ მივბნედამ.

მაიკალი—თქვენ გიკიდინიათ ვისთანმე?

(ირივერა პასუხს არ აძლევს, მხოლოდ ბოროტათ შეხედავს მას. მდივანი
ბნა მაღლა ხარხარობს)

კელლი—თქვენ იცნობთ რობერტს. ის ეხლა აქ მოვა. მე დავიბარე. და-
ბრძანდით და მოუყადეთ. თქვენი შეხედულობა ამტკიცებს, რომ ლელოს ვერ
გაიტანთ. (მდივანი იცინის)

კელლი—მე ხალხს ვერ ვაჩვენებ უვარგის მოქიდავეს. კარგათ იცით, რომ
ეა ადგილების ფასი თხუთმეტი დოლლარია.

(შემოდის დამთვრალი რობერტი.

კელლი—(აჩქარებით). გამიგონე, რობერტს, იკეხდით, რომ თქვენ აღმოა-
ჩინეთ ეს პატარა შექსაკელი. თქვენ ხომ გაიგეთ, რომ კარტიმ ხელი მოიტე-
ხა. ეხლა ეს პატარა ყვითელი დაბრანძული გამომეცხადა და მეუბნება, რომ
კარტის მაგივრობას გაეწევო. თქვენ რას იტყვით ამაზე.

რობერტსი—დიხაც. მაგას შეუძლიან შეებრძოლოს იმას.

კელლი—(მოუზიდებლათ). თქვენ იქნება ისიცა სთქვათ, რომ ეგ უორდს
დაამარცხებს.

რობერტსი—(ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ) არა, მაგას ვერ ვიტყვი, უორ-
დი დახელოვნებულია თავის საქმეში და გენერალია მოქიდავებისა, მაგრამ არ
გეგონოს, რომ ორი შეტევით რივერას აჯობოს. მე ხომ ვიცნობ რივერას. ეგ
თავის დღეში თავს არავეს წინ არ მოიხრის.

კელლი—მითხარით, მაინც და მაინც რას უნდა მოველოდეთ მაგისაგან.
თქვენი მთელი სიცოცხლე, მოქიდავებთან გაიტარებიათ, მე მუხლს ვიდრეკ
თქვენი ცოდნის წინაშე, მითხარით, მაგას შეუძლიან ხალხს გაუმართოს საყუ-
რებელი, რომლისათვისაც ღირდეს ფულის დახარჯვა?

რობერტსი—რასაკვირველია, შეუძლიან, გარდა ამისა, ეგ უორდს კარ-
გათ შეახურებს კიდევ, თქვენ ამას არ იცნობთ, მე კი ვიცნობ, მე არ მივაგენ
მაგას?

კელლი—კარგი. (მდივანს) ტელეფონით დავლაპარაკეთ უორდს. მე დავ-
პირდი ამ ვაქცაციის ჩვენებას, თუ ეს ამათა ღირს. ის ეხლა ისლლოუსტონში
ჰანდრაკს თამაშობს, ხალხის ყურადღების მისაქცევათ. (რობერტს). დავლით.

რობერტსი—(ლაპარაკის საღერდელი აეშალა). თქვენთვის არ მიაბნინა,
როგორ მივაგენ ამ პატარა ეშაკს. ის პირველათ ცირკში გამოვიდა, ამ ორის
წლის წინ. მე მაშინ პრეინი უნდა გამომეყვანა დელანეემთან საქიდათო. პრეინი
ხომ საშინელი ბოროტია, კიდაობის დროს, მეტად შეუბრალებელი. ის ისე სა-
სტიკათ ეპყრობა თავის პარტნიორებს, რომ დიდის გაქირვებით ვშოულობდნი

იმასთან კილაობის მოსურნეს; მე შეენიშნე ეს პატარა ბრანძებში გახვეული მექსიკელი ჩვენს გარშემო მოხეტიალე და, რადგანაც მე სასოწარკვეთილებაში ვიყავ ჩავარდნილი, ამას ვტაცე ხელი, ჩაეცვი ხელთათმენები და დავაყენე რკალში, მაგან, თასმაზე უფრო ხმელმა, უბრალო კილაობის ხერხიც კი არ იცოდა, პრეინმა ეგ საკატლეტე ხორკათ გადააქცია, მაგან მინც რკალის შემოვლამდის გაუძლო, მერე გული შეულონდა, ისიც შიმშილით. ისე იყო ნაცემი, რომ კაცი ვეღარ იცნობდა. მე მაგას ნახევარი დოლლარი მივეცი და კაი სადლით გადაძლე. უნდა გენახათ, როგორ მივარდა საქმელს. თურმე ორი დღის განმავლობაში პირში ნამცეცი არ ჩაედო. მე მეგონა, რომ ვეღარ იცოცხლებს მეთქი, მაგრამ მეორე დღეს ისევე გამომეცხადა დატანჯული და ავადმყოფი, საქიდაოთ კი გამზადებული ნახევარ დოლლარისა და კარგი სადილისთვის. კილაობაში ყოველ დღე წარმატება ეტყობოდა. ჩემის აზრით, ეს ნამდვილი ბუნებრივი ბოქსერია და თანაც საკვირველი გამძლე. მაგას გულის მაგიერათ ყინულის ნაქერი უძევს. იმას აქეთ, რაც მე მაგას ვიცნობ, თერთმეტი სიტყვა არ უთქვამს ერთმანეთზე მოყოლებული. ეგ მხერხავია, გარდა ამისა, მუშაობს, როგორც ბოქსერი.

მდივანი—მე ის მინახავს.

მაიკალი—ეს თქვენსა, მგონი, კარგა ხანი მუშაობდა?

რობერტი—დღი და პატარა მოკიდავენი მაგასთან ვარჯიშობდნენ და ყოველ იმათგანიდან თითო რომ შეისწავლა, ზოგს აშარცხებდა, მაგრამ ამას ამ ხელობაზე გული არ მისდის და, მგონი, არც უყვარს.

კელლი—(ლოლნით) ეს ამ რამდენიმე თვის წინ, ბევრჯერ გამოვიდა პატარა კლუბებში.

რობერტი—დიახ, ვიცი. არ ვიცი კი, რა აიბულებდა. ეტყობა, ფული უქირდა. ეს სრულიად სხვანაირია, არაეინ არ იცის, რას აკეთებს და. როგორა სცხოვრობს. ცირკშიაც, რა წამსაც მუშაობას ათავებს, მაშინათვე გაქრება, ვერაეინ თვალს ვერ მოჰკრავს ხოლმე, ხან მთელი კვირაოდნით იკარგება. მაგას რომ სერიოზულათ ხელი მოჰკიდოს ვინმემ; დიდათ განდიდრდება, მხოლოდ მაგასთან საქმის დაქერა მეტად ძნელია. პირობის დაწერის დროს, ეგ დიდ გაუმძღრობას იჩენს ფულის შესახებ.

(დენნი უორდი შემოდის მთელი ამალით. იმასთან, სხვათა შორის-ანტრე პუნერი და ტრენერი. უორდს ტუელი, მოჩვენებითი მხიარულება ეტყობა)

უორდი—სალამი-ქალამი, ბატონებო (რივერას შენიშნავს და კრიტიკულად დაუწყებს თვლიერებას). მაშ, ეს არის ჩემი მეტოქე? როგორ გიკითხოთ, ძველო ნაცნობო?

(რივერას თვლები ბოროტი ცეცხლით აენთენ)

უორდი—(კელლის). ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი! ნუ გგონიათ რომ ნუ ყრუ-მუნჯთან გამოვიდე კილაობაში.

(სიცილი.)

უორდი—ლოს-ანდელოს, როგორც ეტყობა საქმე გასკირება, თუ ეს კაბუკი ყველაზედ უკეთეს ბოქსერათ ითვლება თქვენთვის. ერთი მითხარით, თქვენი კირიმე, რომელ საყმაწვილო ბალიდან გამოიყვანეთ?

(სიცილი)

რობერტი—(ექომაგება) ეს უკეთესი ყმაწვილია, მერწმუნე, დენნი, მაგასთან საქმის დაქერა ისე ადვილი არ არის, როგორცა გგონიათ.

კელი—(ხეყნის თვალთ). ნახევარი ბილეთები უკვე გაყიდულია. თქვენ ჩემი ინტერესიც უნდა მიიღოთ სახეში, დენნი! ჩვენ ყოველი ლონის ძიება ვიხმარეთ, მაგრამ ამაზე უკეთესი ვერ ვიშოვეთ.

ჟორდი—(მოჟრიდებლათ უყურებს რივერას და ობრავს) უნდა შეეიბრალა. იმ შემთხვევაში, თუ ჯავრობას არ დაიწყებს.

(რობერტი ფრუტუნებს)

ანტრეპრენერი—თქვენ მაგასთან ფრთხილათ მოაქეციოთ, წელში არ გადასწყვიტოთ. ამას უნდა მიაქციოთ ყურადღება.

ჟორდი—(დაცინვით). მე ძალიან ფრთხილათ ვიქნები; პირველ რიგის მასურბლებსათვის მე უნდა გაუფრთხილდე. რას იტყვით კელი მე რომ 15-ჯერ შემოვატარო და შემდეგ მოულო ბოლო?

კელი—ჩინებული იქნება. თუ თქვენ მაგას ისე მოახერხებთ, რომ ხალხმა ბუნებრივად, ნამდვილათ მიიღოს თქვენი საქციელი.

ჟორდი—მაშ, მოდიოთ, პირობა დაესწეროთ (ჩუმათ ანგარიშობს).

რასაკვირველია მე და ეგ ერთათ 65⁰, მივიღებთ ბილეთების ფულიდგან, როგორც კარტესთანა გეკონდა პირობა შეკრული. მხოლოდ, შემდეგ სხვანაირათ გავიყუაუთ ნარგებ ფულს. მე იქიდგან 80 პროცენტს ავიღებ. (ანტრეპრენერს) ეს კარგი არ იქნება?

ანტრეპრენერი—რასაკვირველია.

კელი—(რივერას). ეი, თქვენ თანახმა ხართ ამ პირობაზე?

(რივერა უარის ნიშნათ თავს იქნევს).

კელი—(უხსნის). ჩვეულებრივ ასეა ხოლმე. საზოგადო ჯამი უდრის 65 პროც. შესვლის გადასახადისას. თქვენ—დამცემი პირი ხართ, ამასთან უცნობი. დენნის უნდა ერგოს 80 პროც., არა, რობერტი?

რობერტი - ნამდვილია. იცით, რივერა, თქვენ არაფრით არა ხართ გამოჩენილი.

რივერა—რამდენია 65 პროც. შესავლელი ფულისა?

ჟორდი—ხუთი ათასი დოლლარია, შესაძლებელია 8-ც! ასე რომ თქვენი ნაწილი უდრის 1000 დოლლარს. ეს მეტად კარგი ფასია იმისი, რომ თქვენ მიეტყუავეთ სახელოვანი კაბუჯი, როგორიცა ვარ მე. რას იტყვით იმაზე?

რივერა - (გადაკვირვით). სულ გამარჯვებულმა უნდა აიღოს. (სამარისკებული სიჩუმე).

ჟორდი - (თავს იქნევს). მე ამ საქმეში ხომ ახალი არა ვარ... აქ მე, არავისა ვდებ ბრალს, მხოლოდ უნდა ვსთქვა, რომ ამისთანა მოქიდავისთვის, როგორიც მე, ეს კომბინაცია შეუფერებელია. მე მინდა სრულიად უზრუნველ ყოფილი ვიყო. აბა, მე რომ უცაბედათ ხელი მოვიტეხო? არა, მოვიგებ, თუ წავაგებ, 80 პროც. უუპეველათ ჩემი უნდა იყოს. მექსიკელო, თქვენ რას იტყვით ამაზე?

(რივერა უარის ნიშნათ თავს იქნევს).

უორდი — (გაცხარდა). ეი, კუქუიანო აბრანძულო, ხომ არ გინდა, რომ ეხ-
ლავე მოგიგრიხო ყინწი...

(რობერტი აჩქარებით მათ შუა ჩადგება).

რივერა — (დაღვრემილი). სულ გამარჯვებულმა უნდა აილოს.

(უორდი ვითომ და პიდუაკს იხდის. ანტრუპრენერმა იცის იმისი ოინები
და წყნარათ იქერს).

ხ მ ე ბ ი:

— თავი დაანებე!

— დაიკარგოს აქიდგან!

— ღირს ხელის გაქუქუიანება?

კელი — დათქრლით, თქვე უგუნურო ბავშო. თქვენ ხომ არაფერს არ
წარმოადგენთ. ჩვენ ხომ არ ვიცით, რას აკეთებდით ამ უკანასკნელ რამდენიმე
თვის განმავლობაში — თქვენ მხოლოდ ადგილობრივ ბოქსერებთან კიდაობდით.
დენნის სახელი კი განთქმულია. მაგისი შემდეგი, — გამოსვლა უკვე ჩემპიონატი
იქნება. თქვენ კი არავინ არ გიცნობთ. ლოს-ანდელოსში თქვენი ხსენებაც
კი არა ყოფილა.

რივერა — (მხრებს იშმუშნის). ამ კიდაობის შემდეგ, ჩემზედაც დაიწყებენ
ლაპარაკს.

უორდი — (მივარდება). თქვათაც არ უნდა მოგდიოდეთ, რომ თქვენ მე
მაჯობებთ!

(რივერა ჰოს ნიშნათ თავს აქნევს).

კელი — (ხეყნით). მოიკრიფეთ კეთილი გონიერება. იფიქრეთ რანა-
ირი რეკლამა არის ეს თქვენთვის?!

მაიკალი — დიხაც რეკლამა!

რივერა — ჩემთვის რეკლამა კი არ არის საქირო, მე ფული მინდა.

უორდი — თქვენ მე თავის სიცოცხლეში ვერ მაჯობებთ.

რივერა — მაშ, რათა სკირვეულობთ?

უორდი — აღსრულდეს თქვენი სურვილი. მაგრამ, მაგ ქცევისთვის ისე გცემ,
რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ გეტყობოდეს, ჩემო კარგო! დასწერეთ
პირობა.

კელი — გამარჯვებული იღებს სულ მთლიანათ....

უორდი — მე ვაჩვენებ მაგას ეს რასაცა ნიშნავს...

(მდივანი სწერს).

რობერტი — (რივერას ყვედრებით). თქვენ მეტად ბევრი დაჰკარგეთ და,
სწორეთ რომ ვსთქვათ, ეხლავე გეტყვი, რომ თქვენ წააგებთ. დენნი მოზვერი-
ვითა ღონიერია. თქვენ სისულელე ჩაიდინეთ: გატყუების მეტი ხელში არა დაგ-
რჩებათ რა.

(რივერამ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ ზიზლით და მძულვარებით
შეხედა).

III მოქმედება.

სკენა წარმოადგენს ცირკის ასპარეზს. დიდათა ზრუნავენ იმ მაცურებლებისათვის, რომელნიც ამფიტეატრალურად რკალის შიგ იხსდებიან. მარჯვნივ, წინა მხარეზე სჩანს ასპარეზის ნაწილი, მოაჯირით გადაღობილი. წინ, ასპარეზზე სკამი სდგას; იქავე, უფრო შიგნით, ეილის პატარა მაგიდა. კულისების აბლო, ასპარეზზე, წელის სიმაღლეზე თოკია გაბმული, ცირკის ტევა არ არის. კელი, მაიკალი. გაზეთების რეკონსტრუქციები სხედან პირველ რიგში. მეორე რიგში. იმათ უკან... რობერტსი. ხალხი ერთმანეთს უზიარებს შთაბეჭდილებას.

ხ მ ე ბ ი:

- გაიგეთ, კარტეი არა ქიდაობს.
- დიახ, დიახ, სამწუხაროთ!
- ემშაკმა, წაილოს გამმართველების თაეი!
- მაგიერს იცნობთ თქვენ?
- არა, ვილაცა ახალიაო.
- დენნი მისტყუავს!
- მაშ, არა და.
- ეხ, ვერ გვეღირსა კარგი ქიდაობის ნახვა!
- ბედი არა გვაქეს.
- სმაილს, ვისთვის დაგვანაძლევედები?
- ხუთ დოლლარს ჩამოვალ, რომ უორდი გაიმარჯვებს.
- საინტერესო იქნება!
- დ... დიახ, ჯერ გვიან არ არის!
- ის ლამაზიც როა!
- დენნი? ის მშვენიერია!
- ეგონებ საინტერესო არაფერი იქნება!
- რა უნდა იყოს?
- ეს ახალი კარტეის მაგიერობას ვერ გასწევს!
- დაენიძლევედეთ, რომ დენნი გაიმარჯვებს!
- მოდინ.

(შემოდის რივერა სნიდერით, ხეგარტით და სხვა სეკუნდატებით. ხმაურობა ერთ წუთსაც არ შეჩერებულა, შემდეგ ნელ-ნელა სიჩუმე ვარდება. რივერა ძლივს შენიშნენ. აქა-იქ ტაშს უკრავენ. რივერა გადახტა თოკზე და ჩამოჯდა სკამზე—ეს იმის კუნძულია. რეზინის პერანგი აცვია. სეკუნდანტები გვერდში ამოუდგნენ.

ხ მ ე ბ ი:

- ეს არის უორდის მეტოქე?!
- ალბათ, ეგ უნდა იყოს...

- უ, რასა. გავს!
- იპ, რა სანახავია!
- აბა, როგორ გამოდის დენნისთან საკილაოთ?!
- ოხ, უორდი რა დღეს დააყრის მაგ საცოდავს!
- შენ რას იტყვი, სმაილს?
- განა ეს კილაობა იქნება?
- ათს ერთზე გენიძღავეებით დენნისთვის!

სნაიდერ—(რივერას). ეხლა თქვენ ფრთხილათ უნდა იყოთ. რაც კი შეიძლება, დიდხანს გაუძღელით—ასეთია კელლის ინსტრუქცია. თუ თქვენ დიდხანს ვერ გაუძღებთ, გაზეთები ამ კილაობას ხალხის ყვლეფას დაუძახებენ, და ლოს-ანდელს თვალში ცირკი დაფოლდება.

(რივერა ამის ლაპარაკს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამას ყველანი სძულს. ის იგონებს თავის პატარაობას, პარტიას... იარაღს...).

ხ მ ე ბ ი:

- დენნი რატომ არ მოდის?
- რა უშავს, დეე მოიცადოს ამ კაბუქა.
- ფუი, რა საზიზღარია!
- აფუტკნულს არა ჰგავს?
- ნამდვილათ, ნამდვილათ. .
- ეხლა კი, უეკველია, მალე დაიწყება.
- ჩქარაც გათავდება...
- ხა, ხა, ხა...

კელლი—ეი, სნაიდერ, ერთ წუთს ჩემთან მოდი!

სნაიდერი—(მიდის).

კელლი—უთხარი მაგ მექსიკელს, პირველსავე დაკერაზე არ წაიქცეს.

რობერტსი—მაგისი ნუ გეფიქრებათ.

სნაიდერი—ველაპარაკე. ის ყელ გამოკრილივით ჩუმთ არის.

კელლი—ერთხელ კიდევ მოაგონეთ. (ყურში რალაცას უჩურჩულებს).

სნაიდერი—კარგი (მივიდე რივერასთან) დასაწყისშივე არ დანებდეთ. ამ ნაირია ინსტრუქცია. კილაობა დიდხანს განაგრძეთ, როცა კი შეგიძლიათ (დაბეჯითებით) გესმით?

(რივერას ესმის ამისი ხმა თითქო შორიდგან. ის ისევ შეურყეველია, მხოლოდ იმისი ხელები შეუმცნევლათ შეტოკდნენ).

ხ მ ე ბ ი:

- სად არის დენნი უორდი?
- დროა, დაიწყონ...
- დაგვიანებულა!
- რადის დაიწყება? ეი, თქვენ!
- მოდის! მოდის!
- აი, ხედავთ იმას!
- გაუმარჯოს, დენნის!

— ვაშა, ვაშა!

— ყოჩაღ, დენნი!

— ვაშა, ვაშა!

(დიდებული ოვაციები, ალტაცებული მისალმება, გაუწყვეტელი ტაშის ცემა. ამ აურ-ზაურში რივერა შეუმცნევლათ ოდნავ თითქო შეხტაო, ერთი წამით მიიბრუნა თავი, შემდეგ ისევ ცივად დაუწყო ლოდინი. შემოდის დენნი უორდი სეკუნდანტებით. იმას მოსდევს არბიტრი. ეს თაკზე გადახტება. უორდი გახანებული ხუმრობს და ილიმება).

უორდი. (კელის). როგორ გუნებაზე ხარ? (რობერტს). კიდაობის შემდეგ ხან დაველეთ? თქვენ ხომ უარს არ იტყვით! ამხანაგებს ვახლავარ!

არბიტრი. დავიწყით დენნი!

უორდი. მე მზათა ვარ. (იხდის).

ხ მ ე ბ ი:

— აი, ტანი ამნაირი უნდა!

— რა ვაჟკაცია!

— რა კუნთები აქვს!

— ხომ ნახეთ, ბიცეპსი, ჰა!

— სწორეთ რომ მშვენიერი ვაჟკაცია!

— სულო! რა ტურფა რამ არის!

— ო—ო—ო! რა მკერდი აქვს!

— ვაშა დენნი, ყოჩაღ!

სნაიდერი. (რივერას). ნუ შეგეშინდება. ინსტრუქცია კი არ დაივიწყო. თუ კაცი ხარ, არ დასწევ. თუ დასწევებით, საპირისფარეშოში უნდა გცემოთ, ასე გვაქვს ნაბრძანები: გეცმით?

(სნაიდერი რივერას ფუფაიკას ზევიდან აძრობს. იმისი გამხდარი და შეგვგრემანი ტანი, ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე და ვერც ერთმა მათგანმა ვერ შენიშნა მისი ძლიერი კუნთები და განიერი მკერდი).

ხ მ ე ბ ი:

— ეს რა ბოქსერი?!

— ავაზაკები! ეს ვინ მოგგვარეს!

— ძალიან კი გაბერეს და!

— ვილაცა ბიქია!...

— ფუ, რა მახინჯია!...

— ნამდვილი...

— მეტოქეს დამიხე!..

— კიდევაც....

(რივერა და უორდი ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ. იმათი განსხვავება უფრო თვალსაჩინო გახდა).

არბიტრი—ეხლა დავიწყებთ. თქვენ, დენნი, დადექით იქ. (უჩვენებს კულისების იქით), თქვენ, რივერა, აქ. ეხლა გაშორდით ერთმანეთს.

(მოწინააღმდეგენი თოჯზე გადახტნენ და გაშორდნენ ერთმანეთს თავის სეკუნდანტებითურთ. რივერა დადგა დანიშნულ ალაგას. რობერტს შეატყო რომ ძლიერ დამთვრილიყო)

რობერტსი. გული მაგრათ შეინახე, რივერა. ხომ არ მოგკლავს, კაცო! ის უცბათ მოგვარდება, არ შეგეშინდეს, დაიცავით თავი და ეცადეთ მღვდამმა გაუძლოთ. წარმოიდგინეთ თითქო ის უბრალოთ ვარჯიშობს თქვენთან და არა სერიოზულათ.

(რივერა ისეთ სახეს ლებულობს, თითქო არაუფერი არ ესმისო)

რობერტსი—(ბუტბუტებს). სწორეთ დაღვრემილი ქაჯია. (მეზობლებს) ეს სულ ასეთია, (საქიდაოს უკრავენ. რივერა ადგილს თავს ანებებს. კულისებში: კიდაობა დაიწყო).

ბ მ ე ბ ი:

- უუურე, უუურე!
- რას. აბა, სად?
- დაიწყო!...
- შეეჯახნენ?
- ბიკოს! ჩხუბიც ასეთი უნდა!
- დიახ! ძალიანია!
- ვაშა, ვაშა!
- შეხედე ღენნის!
- როგორა სცემს! ვაშა, ვაშა!
- ცოცხალს აღარ დაარჩენს.
- ო, მეშინიან!
- რხ, ეს დედაკაცები.... შეხედე, თითქოს მუხუდოს აბნევსო.
- ოჰ, რა ძალიანა სცემს მექსიკელს!
- ხა, ხა, ხა, ხა. მერე რა ხერხიანათ!
- გააფიცხე, ღენნი! დაჰკარ!
- ეს კიდაობა კი არა, ცემა-ტყეპაა.
- ასე იყოს. სცემე, ღენნი!
- მართალს ამბობდნენ გაზეთები... მაგრე უნდა მაგას!
- უჰ, აღარ შემიძლიან! შეხე, როგორ გადისროლა მოაჯრიდგან!
- უკანვე... ყოჩაღ ღენნი!
- არ შეიბრალო, ღენნი, კადე, კიდე!
- აი, ეს მესმის!

(უცბათ, ვით მშვენიერ დღეში ქუხილისაგან, ჩამოვარდა სიჩუმე ერთი წუთით. ვილაკამ შეწუხებულის ხმით დაიძახა: „ღენნი წაიქცა!“ არბიტრი ანიშნებს. რივერა გამოჩნდება და თავის ადგილს იკვრს. იმას ყურადღებას არაეინ არ აქცევს. ტუჩი გაჰხეთქია და სისხლი გადმოსდის, მაგრამ წყნარათ სუნთქავს).

არბიტრი—ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა..... (თელის დროს, საზოგადო სიჩუმეში ისმის რობერტსის აღტაცებული ხმა).

როზერტსი—მე ხომ გეუბნებოდით, რომ ეს წარჩინებული მოქიდავეა მეთქი!
(ამ დროს რივერა ასპარეზს გარშემოუფლის, ხან გამოსჩნდება სკენაზე, ხან იკარგება. ცხრის თქმაზე, არბიტრმა თანედაუქერლათ ხელი ჰკრა და მიაგდო თავის ადგილს:

ხმა—ეგ უწესობაა.

ხ მ ე ბ ი:

— სუ... ჩუმათ... კარგი...

(ბრძოლა გრძელდება მაყურებლების გულ შემზარ და ძალ დატანებულ სინჟეში)

ხმა—დენნი იღიმება.

(ბრბომ თავისუფლათ ამოისუნთქა და გამხიარულდა).

ხ მ ე ბ ი:

— მაგან მუდამ ასე იცის....

— ვაშა, დენნი!

არბიტრი—შესვენება!

(გონგი. რივერა სკამზე ჩამოჯდა. უორდიც გამოდის. სეკუნდანტები სველი ტილოთი სწმენდენ ოფლს).

უორდი—ამ დაბრანძულის მუშტი საშინელება იყო!

ხეკუნდანტი—მოწიწებით სამაგიეროთ ეხლა....

უორდი—ო, მე მაგას....

(საქიდაოს უკრავენ. მოპირდაპირენი შო-დებიან ერთმანეთს).

ხ მ ე ბ ი:

— ყურადღება!

— გრძელდება... უყურეთ!

— უორდმა ძალ-ლონე მოიკრიფა!

— ყოჩაღ! ყოჩაღ!

— როგორ ურტყამს!

— დენნი როგორ მოიკრუნჩხა!

— ავი დლე დაადგება ბიქს!

— უყურეთ, უყურეთ!

— ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს დენნის!

(თავდაუქერელ ალტაცების ღრიანცელში ბურთივით შემოგორდება წაქცეული რივერა. ის ძლივსლა ეყრდნობა ერთ მუხლს. არბიტრი აჩქარებით სთელის) **რივერა**—(თითქმის გულწასული). იარალი და ამუნიცია....

ხნაილდერი—(პირმოთნეთ) თქვენ ადგომას ნუ დაეჩქარებთ. ეცადეთ შეისვენოთ.

(ცხრის ვაგონებაზე რივერა აჩქარებით დგება. უორდი იმისკენ მირბის. რივერამ მოასწრო გაქცევა).

ხ მ ე ბ ი:

— ეხლა კი ცხადია!

— ბოლო მოუღე, დენნი!

- ახ, რა კარგია!
- ვაშა! საკვირველებაა!...
- დიახ, დიახ. კიდევ, კიდევ!
- აი ასე!

(ისევ ერთი წამი სიჩუმე. ისევ შეწუხებული ხმა: „დენნი კიდევ წაიქცა“. არბიტრი სთვლის).

ხ მ ე ბ ი:

- ეშმაკი მექსიკელი!
- ვინ მოათრია აქ ეს საზიზლარი!
- ნეტა, რასა ჯიუტობს? ხომ იცის, რომ კარგი არ დაეყრება.
- კიდაობენ, კიდაობენ!

(ბრბოში ძალდტანებული სიჩუმეა. სცენის იქიდან უორდის ხმა).
უორდის ხმა—ოხ, შე დაბრანძულო, შენა! დამაცადე, საყვარელო. მე შენ გაჩვენებ მექსიკელო ბიჭო! ამპარტოვანო პლუტო!

ბრბო—(უეცრათ, გაკვირვებით). ახ...

(რივერა თავის ადგილზე. იმან თვალი მოჰკრა მაიკალს, მიმავალს რობერტ-სისაკენ).

მაიკალი—(ვინემ არბიტრი სთვლის). დენნიმ უნდა აჯობოს.

(რობერტი თავს უქნევს). წინააღმდეგ შემთხვევაში მე... მეტად ბევრს ვიზარალებ: თუ მექსიკელმა გაუძლო, —მე დავიღუპები. ეს უნდა როგორმე მოვახერხოთ.

(რივერა შეურყევლათ ჩუმათ არის).

(ამ სიტყვებს რივერამ ყური მოჰკრა. კიდაობაა).

ხ მ ე ბ ი:

- საწყალი დენნი!
- როგორ უნდა აიტანოს!
- უყურეთ, დენნი ძლივს უძლევეს.
- ეს არაფერი.
- ძირს მექსიკელი.
- ეშმაკის კერძია? რა არი! ბოლო აღარ აქვს?

არბიტრი—შესვენება.

(საქიდაოს უკრამენ. რივერა სკამთანა სდგას. სეკუნდანტები მოსაჩვენებლათ პირსახოცებით უნიავებენ. რობერტი მოაჯირზე გადადის და მიდის იმასთან).

რობერტი—(ავტორიტეტულათ). ეყოფა (უჩვენებს უორდზე). გაათავეთ.

კელი—(ამანაც უჩურჩულა სასტიკი კილოთი). დაანებეთ თავი, შე ეშმაკის კერძო, შენა! თქვენ უნდა თავი მოიხაროთ. შემობრალეთ, რივერა, და თქვენი მომავლის მომწყობი მე გავხდები. მერე შეგიძლიან მისტყუპო დენნი, მაგრამ ეხლა კი თქვენ ის უნდა გამოიყვანოთ გამარჯვებული.

(რივერას სახეზე არ იხატებოდა თანხმა არის, თუ არა)

კელლი—(გახარებით). რატომ პასუხს არ იძლევი?

ხნაიდერი—თქვენ ხომ უეჭველათ წააგებთ. არას დროს არბიტრი თქვენ გამარჯვებულს არ გამოგიყვანთ. გირჩევთ კელლის გაუფგონოთ და დანებდეთ.

(რივერა ჯიუტათ გაჩუმებულია)

კელლი—(მუდარით). მე თქვენ ძლიერ დაგეხმარებით შემდეგში, ეხლა კი თქვენ მე მიშველეთ.

(ხედავდნენ, რომ ტყუილათ იწუხებდნენ თავს)

(კელლი—თავის კამპანიით მივიდა უორდთან და რალაცაზე ბქობა დაიწყო. რივერამ რალაცა უბედურება იგრძნო)

ხმები:

— გეყოფათ!

— დაიწყეთ!

— დროა!

(საქიდაოს უკრავენ. კელლის კამპანია, კულისების იქით მიდის, არენის მეორე მხარეს. ვინემ კიდაობა დაიწყება, რივერა შეწუხებული აქეთ იქით იყურება).

ხ მ ე ბ ი:

— კიდაობენ.

— ნეტა რით გათავდება?

— ხმა მალლა, ეი!

— დენნი, დაჰკარ მაგას!

— ჰა, რაც ძალა და ლონე გაქვს, დენნი!

(უცბათ რივერა გამოჩნდება სცენაზე, იმის უკან უორდი).

რივერა—ტყუილათ დაეცემა. უორდი ყვირილით მივარდება. „წყეულო, დაბრანძულო!.. რივერა ხელიდგან გაუსხლტდება, კულისებისკენ გაიქცევა. ამ დროს იქიდან მოისმა საშინელი ხმა).

ვილაცის ხმა: (ძლიერი მაგრამ ბავშური). იმათ მაგას რალაცა მოუხერხეს! (რივერა გამოჩნდა, შემდეგ უორდი.

იგივე ხმა: ვერას გახდნენ!

(რივერა მშვიდათ მირბის. კულისების იქით ბრძოლაა კელლის კამპანია შეწუხებული გამოდის სცენაზე. მაყურებელნი უკიდურესათ აღშფოთებულნი არიან).

ხ მ ე ბ ი:

რივერა მირბის!

— იმას შეეშინდა!

— რატომ თავს არ იცავთ?

— თქვენ გეშინიანთ!

— რივერა მშიშარაა!

— გულს ნუ გაიტებს!

— გასწორდით!

— დენნი, მოუღე მაგას ბოლო!

— თქვენ მაგას მალე მოუღებთ ბოლოს!
(მოულოდნელათ სსამარისებჯლი სიჩუმე ჩამოვარდება. მხოლოდ მუშტების
ტყაპა—ტყუპი ღა ისმის).

კელლი—(დაბნეული არბიტრს). ბილლ, ბილლ!

არბიტრი—(თითქმის სტირის ჯავრისაგან). აბა, მე რა უყუა! უსაბუთოთ
იმის შეჩერება არ შემიძლიან.

მაიკალი—პოლიციელს დაუძახეთ!

რობერტი და კელლი—პოლიცილებო, აქ მოდიო ჩქარა!

(ყველანი აღშფოთებულნი არიან. სქელ—სქელი პოლიციელი მოუხეშავათ
გადავიდა მოაჯარზე).

კელლი—ამ შეუბრალებელს გამოჰგლიჯეთ ხელიდგან დენნი.

(სექუნდანტები გაიქცნენ კულისების იქით, სადაც საშინელი ცემატყეპა
იყო. პოლიციელებმა და არბიტრმა ჩაჰკიდეს ხელი რივერას და ძლივ-ძლივო-
ბით გამოათრიეს).

რივერა—(ხრიალით). დათვალეთ.

(არბიტრი სთელის—საზოგადოების მთელი ყურადღება მიქცეულია დამარ-
ცხებულ ჩემპიონზე.)

ხ მ ე ბ ი:

— ოოვე, ჩვენო დენნისო?!

— საწყალი!

— ორ კვირამდინ აღარც კი გამოდგება და!

— ვინ იფიქრებდა ამას!

— რა ძლიერ მეცოდება ჟოორდი!...

— ვაი, შენი ბოალი, დენნი!

(სექუნდანტებს მოჰყავთ დენნი უოორდი და აწვენენ სკამზე, რომელიც
რივერას წაართვის).

რივერა—ვინ გაიმარჯვა?

(არბიტრი უკმაყოფილოთ რივერას ხელს მალლა სწევს. რივერა თავის
ადგილზე მიდის. სკამი თავისუფალი არ დახვდა და მოაჯირზე გადაეყუდა. იმი-
სი თვალეზი მძულვარების ცეცხლს აფრქვევენ. მუხლები აუკანკალდა, ღონე
გამოეცალა და თავშეუკავებლათ ღრიალს—ტირილი მოჰყვა. თავბრუ დაესხა.
უცბათ იმის სახზე გამოიხატა სინარულისა და ნეტარების ღიმილი. სცენა ჩაბ-
ნელდა. იქ რივერას გარდა, არავინ სჩანს. ნელნელა თენდება. შორი ახლო
მინდორია. მარშის ხმაზე მუსიკას უკრავენ და შეფერებული ჯარის ფეხის ხმა
ისმის—ეს მექსიკელების რევოლუციონური ბატალიონები მიდიან. მზის სხივე-
ბით გაბრწყინებული იარაღი ელვარებს.)

შურის-მამიკელი.

მ. მ. ალბანიევის მიერ

კლდელას მთისრთმ-დან კადმუკიუშული პიესა
ერთ სიქშიქუშათ.

(თარგმანი.)

შურიხ-გაქიეგელი.

მოკამეღნი პირნი:

ხარდოკ—კომუნის დამცველი ფედერალისტების რაზმის უფროსი, ყოფილი კაჩეგარი, 40 წლისა. შავი შეკრებილი მოკლე თმები და შექალაქავებული უღვაშები. მალალი ტანის. ფართე შუბლი, გაბეღული, ღია სახე. გამოწყობილია სამხედრო ფორმაში. თავი შეხვეული აქვს სისხლით გასვრილი თეთრი ცხვირ-სახოცით.

ღონა—ამისი ცოლი; ნახევრად ტიტელია, აცვია შემოფლეთილი ტან-საცმელი. საუცხოო წაბლის ფერი თმა დაყრილი აქვს მხრებზე, აწეწილ-დაწეწილათ. ფერმკრთალი, მოღლილი სახე, ცეცხლის მურქვევი თვალები. მას ხელში ჰყავს ბავშვი, რომელიც შეხვეულია ჩითის კაბაში. ფეხშიშველია.

ძველი ფედერალისტი—გათეთრებულია, ცოტათი კოკლობს. გამოწყობილია ეროვნული გვარდიის ფორმაში. ცისფერი კურტკა სპილენძის ფოლ აქებით, ცისფერი შარვალი წითელი ლამპასებით, რუხი კეპი, წითელი კანტებით. თეთრი ფეხსაცმელები. ტანსაცმელი აცვია შემოფლეთილი და ტალახში გასვრილი. მხრებზე მოგდებული აქვს ჯარის კაცის მაზარა. მრისხანე სახე. ჩახლვჩილი ხმა.

ღარაჯი—შემოფლეთილი მაზარა რუხი (ან მწვანე) ფერის, ახალგაზრდა, უწყვერული.

1-ლი, 2-რე და 3-მე ფედერალისტები—სიმაგრის დამცველები. ხალხი ას კაცამდე. აცვიათ სხვა-და სხვანაირად. ყავის ფერი, რუხი, მწვანე, მაზარები, ეროვნული გვარდიის მუნდირები, მუშური ტანსაცმელები. არეული იარაღები სხვა და სხვა სისტემისა. ყველანი ტალახში ამოსვრილნი არიან, გაწვირიანებულინი და მოღლილნი. ისინი მ დღეა, აწარმოებენ განუწყვეტელ ბრძოლას.

სასაფლაო პერ-ლაშეზ. სცენას შუა ჰყოფს, მარცხნიდან მარჯვნივ, სასაფლაოს გაღაენი. სცენის სიღრმეში დასობილია გაკეპილული, ტყვიებისაგან გახვრტილი და დაფხრეწილი წითელი დროშა. დამსხვერუელი ძეგლები. ბატარეას გარს შემოვლებული აქვს. ნახევარი ზღუდე, რომელიც გაკეთებულია ძეგლების რიგებს შორის. სანგარი, რამდენიმე ზარბაზანი და მიტრალიეზები. ალიონის ხანია, ნისლიანი დილა თენდება. ცა მოლუშულია. პერსპექტივაში მოსჩანს ხანძარი, რომელსაც დღის სინათლე თანდათან ამკრთალებს. დროგამოშვებით შორიდან ყრუთ ისმის ზარბაზნების სროლის ხმა, რომელიც არ სწყუდება მთელი მოქმედების განმავლობაში. თოფის სროლის ხმები ხან მისწყდება,

ხან გაძლიერდება. ისმის ნიშნის მიმცემა საყვირის ხმები. ფედერალისტები და-
ლაგდებიან სანგრებში, ზღუდების იქით, უმზავლესობას რამდენიმე დღის გა-
ნუცხვეტელ ბძოლისაგან მოქანცული სძინავთ.

შურის-მაძიებელი.

მოქმედება აწარმოებს პარიზში 27 მაისს, 1871 წ. პარიზის კომუნის დაცემის დღეს.

გამოსვლა 1-ლი.

ძველი ფედერალისტი. (ხარბაზნის ახლო ზის). უკვე თენდება და რაზ-
ნის უფროსი არსად სჩანს. ვერსალებთან შეთანხმება ძნელია.

1-ლი ფედერალისტი. არ იყო საჭირო მოლაპარაკება. ეს პატარა ძალი
ტყევი ღირსია წიკვლებისა და არა მოლაპარაკების. რაზმის უფროსი თიქრობს,
რამ ისინი გამოიჩენენ სულგრძელობას.

მ-მე ფედერალისტი.— შორს გათხსირებულთა სულგრძელობა! გავევგზა-
ვნა ვერსალში ერთი ორმოცდაათი ყუზბარა.— ეს იქნებოდა უმჯობესი, მაგრამ
ჰა, (უჩვენებს ხარბაზნებზე) ამათ დაჰკარგეს ხმა. რაზმის უფროსი იქ არ უნდა
წასულაყო. მე არ მინდა ჩავბარდე სამოწყალოდ ვერსალის ავაზაკებს.

ძველი ფედერალისტი.— რაზმის უფროსს არ უნდა გაიწიროს ზედმეტი
ნახევრული. ჩვენ გარშემორტყმული ვართ. წინააღმდეგობა თითქმის აღარავი-
თარ სარგებლობას აღარ მოიტანს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სინდისიერად მო-
ვახდინოთ კაპიტულიაცია იმისათვის, რომ...

1-ლი ფედერალისტი.— რომ ჩვენზე უჩვენებდნენ თითით: „აი მზიშარები,
რომელთაც შეეშინათ სიკვდილის“, რომ ბურჟუაზიულმა ბრბომ საცინლად
ავცილოს და გვაფუტოხონ სახეში. გადავიჩინოთ თავი იმიტომ, რომ არ გავხდეთ
სამარცხენოთ!

ძველი ფედერალისტი.— არა იმიტომ, რომ სამარცხენოთ გავხდეთ, არა-
მედ შურის-მაძიებლად. ჩვენ დამარცხებული ვართ დღეს. კომუნა დაეცემა. მა-
გრამ ჩვენ დავრჩებით მისი იდეის მატარებლები. ჩვენ ვიქნებით შურის მაძიებე-
ლნი ჩვენი ძმების, მამების, ცოლების და ბავშვების სისხლისათვის, რომელიც
დაიღვარა პარიზის ქვაფენილებსა და ბაზრიკადებზე. ამისათვის ღირს
სიციცხლე.

1-ლი ფედერალისტი. კომუნა არ დაიღუპება ჩვენი სიკვდილით. ისე
იცოცხლებს უჩვენოდაც, და ხალხის რისხვა თავს დაატყდება საფრანგეთის გა-
მკემ ბურჟუაზიას, და ჩვენი სახელები იქნება საუკეთესო ემბლემა, ის აინთება
ჯველას წინაშე, ვინც არ მოისურვებს არ დაჩქეს მონათ, ვისთვისაც ძვირფასია
თავისუფლება, რომლის გულისათვისთ ვიბრძვით ჩვენ, ჩვენი რაზმის უფროსი კი...

2-რე ფედერალისტი. — (სიტყვას აწყვეტინებს) შენ გინდა შეურაც-
ყოფა ნიაცენო რაზმის უფროსს? გინდა სთქვა, რომ მისთვის ძვირფასია საკუ-

თარი სიცოცხლე? ნუ სჩადიხარ ამას. მე დიდიხანია ვიცნობ სელდოკს. ჩვენ ერთად დავდიოდით ორთქმავლით პარიზსა და ბორდოს შუა. ის იყო კაჩეგარი, მე კი მამანქანე.

1-ლი ფედერალისტი—ეხლა შენ კაჩეგარი ხარ და ის...

2-რი ფედერალისტი—მე ვემორჩილები მას, მაგრამ საქმეა მაში არ არის. სარდოკისათვის სხვების სიცოცხლე იღვა ყოველთვის საკუთარი სიცოცხლის მაღლა. მე მახსოვს: ერთხელ, დილა ადრიან, როცა პარიზს მივუახლოვდით, მატარებელი გავუშვით სრული სისწრაფით. როცა სადგურს უახლოვდები, ყოველთვის გინდა გააქანო სრული სისწრაფით... და... მე თმები ყალყზე დამიდგა... დაინახე ლიანდაგზე... კაცი... გაეაჩროთ მანქანა... მაგრამ ჩვენ მივდივართ დღემართში. უბედური დაიღუპა... მაგრამ, ამ ხანში სარდოკი უკვე ორთქმავლის ქვაბის წინ გაჩნდა, მე გავიგონე, მხოლოდ: „ჟან, მიეცი საყვირი, მიამაგრე თოკი და გამომეცე!“ მან ფეხები შემოაქლო ბუფერს და თოკით გადაეშვა... და ჩვენ დავეჯახეთ იმ საწყალს. მე არ მჯეროდა, მისი გადარჩენა მაგრამ ის უკვე სარდოკის ხელში იყო. მას რკინის თათები აქვს. ეს იყო ქალი... ის შეატდინა ახალგაზრდა ბურჟუამ და მიატოვა. და ის დაწვა ლიანდაგზე. სარდოკმა გადაარჩინა ის.. და ის ქალი გახდა მისი ცოლი.

1-ლი ფედერალისტი—მაგრამ სად არის ეხლა ის?

2-რი ფედერალისტი— ის იქ დარჩა. მას ადრე უნდა ეყოლოს შვილი, მაგრამ შეიძლება კიდევ მოკვდა დაბადებამდე... და სარდოკი ჩვენთან არის...

ძველი ფედერალისტი—ზოგჯერ საჭიროა უკან დაიხიო, რომ უფრო კარგად გადახტე.

3-მე ფედერალისტი—მე ვიცი ეს ძველი ამბავია, მაგრამ...

(დაფ-დაფის ხმა აწყვეტინებს მას).

ღარაჯი—ვინ არის?

ხმა—თავისიანი.

ძველი ფედერალისტი—ჩვენ გისმენთ...

(გამოჩნდება სარდოკი...ის თავისუფლად გადმოხტება ძეგლების ნამსხვრევებზე, და ზღუდეებზე და მაშინვე მივა ცეცხლთან. მასთან არის დაფ-დაფის დამკვრელი და ორი ფედერალისტი. ხიშტზე ერთს თეთრი ბაიჩალი აქვს. ის გაბრაზებული მოჰგლეჯს მას. ჯარის კაცები მოგროვდებიან ირგვლივ).

ძველი ფედერალისტი—ჩვენ გისმენთ...

ხმები—რა ამბებიან? რა პასუხია?..

სარდოკი - (თვალს გადაავლებს ყველას დაკვირვებულათ). ჩვენ წინადადება მოგეცეს ჩაებარდეთ, ყოველივე პირობის გარეშე. ოცდა ხუთი წუთი გვაქვს ებდა მოსათქმობლათ, ძვირფასო ამხანაგებო...

ხმები—ყოველივე პირობის გარეშე...

(ყველანი ერთად): გაუმარჯოს კომუნას!

ძირს ტიერი!

სიკვდილი ჭერსალეუბს!

ხარდოკ—ოცდა ხუთი წუთი მოფიქრებისათვის... თავ-თავიანთ ადგილებზე. ამანაგებო, უნდა მოხდეს გამოძახება და დაეითვალათ რამდენი გვაქვს უღმბარები. (დაფიქრდება).

ძველი ფედერალისტი — (მიუახლოვდება სარდოკს). ყოველივე პირობის გარეშე და თორმეტ-თორმეტი ტყვია თითოს, ეს არის გამარჯვებულის წყალობა. ზედმეტი კიკა სისხლი ვერსალისათვის... ტიერი მთვრალია სისხლით და კიდეც სწუწორია... ო, იმათ ჯერ კიდეც არ იციან, როგორ შეგვიძლია ჩვენ პასუხის გაცემა...

ხმა მეორისა—სამასი კაცი, მათ შორის ორასი დაკრილი, ათასი უღმბარა.

სარდოკ—მაშ, ოთხმოცდა ცამეტი რომელთაც შეუძლიათ ბრძოლა, ათი უღმბარა თითო კაცზე.

ძველი ფედერალისტი—ჩემი ათი უღმბარა არ დაიკარგება უბრალოთ. მე მათ მოვაძებნინებ კარგ ადგილს.

სარდოკ—ჩემთან შეგობრებო! (ფედერალისტები გროვდებიან მის ირგვლივ) შეგობრებო! ძმებო!... თუთხმეტი წუთის შემდეგ, დამამშვიდებლები იქნებიან აქ... დეე, თითუღლმა ჩვენგანმა მოემზადოს მათთან ღირსეულად შესახვედრად. დეე, ჩვენმა შეილებმა ილაპარაკონ, თუ როგორ შესძლო ოთხმოცდაცამეტმა კაცმა დაღუპულიყო პერ ლაშეზის სასაფლაოზე. ჩვენი სისხლით ჩაიწერება ეს დღე ისტორიაში ჩვენი საყვარელი საფრანგეთის, ისტორიაში, ღიადი სახალხო კოშუნისა.

ხაერთო ამოძახილი—გაუმარჯოს კომუნას!..

სარდოკ—(განაგრძობს). ის, ვინც მოვა და აიღებს ჩვენს წმინდა სისხლში განდანილ ღროშას, სიამაყით იტყვის: „მათ იცოდენ თავდადება;“ და კომუნა აღსდგება. კაცობრიობის ბედი არ შეიძლება დაიღუპოს. ის ნაყიღია სისხლით. დღეს შეიძლება ჩვენ წაგვართვან ის, მაგრამ საფრანგეთის ხალხი ისევ მოიმარჯვებს თავის მძლე ხელებს და ქვეყანა გაიფრინებს ისევ: „გაუმარჯოს კომუნას“, და მოგვიგონებენ ჩვენ.

დარაჯი—ვინ არის?.. შესდექ!.. (ისმის ნიშანის მიმცემი ზარის ხმა. სარდოკ გაეშურება ზარის ხმისაკენ. ფედერალისტები იფანტებიან. სარდოკ შეეჩებება ქალს, რომელიც მოჰყავთ ორ დარაჯს).

სარდოკ—(ვეცემა ქალს) შენ?..

ლეონა—ჰო, ეს მე ვარ... მე მოველ, რომ მოვეკვე შენთან ერთად, სარდოკ!

სარდოკ—(ეხვევა მას).

ლეონა—(უტყერის მას ხანგრძლივით). ჰო, მე გიპასუხებ მასზე, რასაც მეკითხებიან შენი თვალები. ისინარმა, კსაიემ, სარრაზარმა და ყველა ჩვენმა მეგობრებმა შეასრულეს თავისი მოვალეობა და დაიღუპნენ...

(შეჯგუფებული ფედერალისტები იხდიან ქუდებს და თავს დაბლა ხრიან). (აგრძელებს). ალბენ შენი ძმა მამაკათ და უშიშრად დაიღუპა მათთან ერთად. რამდენიმე საათის წინ ჰე დაეინახე, თუ მისმა სისხლმა როგორ შეღება ბრინჯაო. რომელზედაც ოქროს ასოებით ამოქრილი იყო შენი მამის სახელი. რომელიც დაიღუპა 1830 წელს. ბასტილიის მოედანზე აუარებელი დახოცილები

ჰყრია. მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები, ვინც ბრძოლაში მონაწილეობდა და ვინც არ მონაწილეობდა, ყველანი დახვრიტეს. ვერსაღეღები არ ზოგავდნ არავის.

ძველი ფედერალისტი—ავაზაკები!..

(ფედერალისტების შორის, ისინი გულსწყრომის და აღშფოთების გამომხატველი ამოძახილები).

ლეონა—მათ უთხრეს: „მოკალით“ და ისინი ჰკლავდნ... შენი და, და სიძე ტყვეთ წაიყვანეს და დახვრიტეს. ერთი საათის შემდეგ შეიძლება ჩვენც ისე გვიყონ... გუშინ შუალამისას მე გამოვედი სახლიდან და რვა საათი ვიარე, გამოვიარე მთელი ქალაქი, სადაც გაისმოდა ტყვიების განუწყვეტელი ზუზუნი. მთელ გზა მორწყული იყო სისხლით, და ყველგან გაჩაღებული იყო ხანძარი. პარიზი დაიღუპა, ის იწუის და დაიღუპება რევოლუციისთან ერთად. ჩვენებმა შეჰკრეს პირი: „თუ ვერსაღეღებს ჰსურთ ჰყავდეთ მეფე, დეე, მაშინ იმან აუგოს ახალი ქოხები“ პალე-როიალი აღარ არის, აღარაა არც ტიულიერი...

ფედერალისტები—(ერთხმად) ვაშა, ვაშა!..

ლეონა—ეხლა უთუოდ დაიჯერებენ ფიცს კომუნარებისა: „ან განარჯვება, ან სიკვდილი“, ისინი არ უღალატებენ თავიანთ სიტყვას და დაიღუპებიან თავიანთი ოცნებით თავიანთი ქალაქის ფერულთან ერთად. ზამთარში ჩვენ გვარწმუნებდნ, რომ ჩვენები ერთ საათსაც ვერ გაუმკლავდებიან მტრებს. იმათ ცხად ჰყვეს. რას შესძლებდნ, რომ ისინი გაეგზავნათ პრუსსაკების წინააღმდეგ. ეხლა ისინი დამარცხებულნი არიან. სენა გაწითლდა სისხლისაგან, ყოველი ქუჩის ხიდი დაფარულია მით. პარიზსა სძინავს წითელ საწოლზე. (ექსტაზით). მაგრამ ეს მიცვალებული როდისმე ისევ გააცოცხდება და გაინძრევა. ის აღზდება ისევ. მაშინ თვით ქვეები დაიწყებენ ღალადს...

(მოწონების ხმები. ფედერალისტები ხარბათ უსმენენ ლეონას).

ლეონა--ღმერთო. რა არ განვიცადე. ნუ მკითხავთ, როგორ მოვახწიე აქ, ნუ მკითხავთ... მე მდევნიდნ. მკემდნ. გადამიწყვიტეს დახვრეტა, მაგრამ მე გადადარჩი ცოცხალი და ისე მოველ... მე არ მაშინებს სიკვდილი, მაგრამ მე მინდოდა მენახე შენ, ეხლა მე მზათა ვარ შევხვდე სიკვდილს. (ჩამოადებს ხელებს მხრებზე სარდოკს) მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე აქ მოვედი არა მარტო...

სარდოკ—რაო?.. განა, შესაძლებელია?.. შენ ხუმრობ... (ის მეტისმეტად ღელავს, ფედერალისტები გაკვირვებით უცქეპრიან მას).

ლეონა--შეხედე... (ხსნის ჩვრებს, ხელში აიყვანს ბავშვს და უჩვენებს) ეს ჩვენი ვაჟია!.. (ფედერალისტები ტაშს უკრავენ და ისინი მოფერებითი სიტყვები ბავშვის მიმართ).

სარდოკ—(ბავშს ხელში აიყვანს) მე ის უკვე ენახე, მე მგონია, მას ცნობილობ.

ძველი ფედერალისტი—შენი შეილი შენა გგავს.

სარდოკ—არა, მე მგონია, ის ჰგავს თავის პაპს...

ლეონა—(აღტაცებით) ნუ თუ?...

ხარდოკ—თავის პაპას, რომელიც დასჯილ იქმნა გრევის მოედანზე. ის იყო პუტიტანელი. მას არ ჰსურდა ეთხოვა შეწყალება მტრებისაგან და ის მოჰკლეს. ის მაგარი კაცი იყო. ჩემი ვაჟი ჰგავს მას.

ძველი ფედერალისტი—მოქალაქე რაზმის უფროსაო, რა ჰქვიან შენს ვაჟს?

ლენა—(ჩაფიქრებულად) მას არა აქვს სახელი. ის არ არის მონათლული. მე არ ვიცი მისი სახელი. (ბავშს დებენ მაზარაზე, რომელიც გაკიმულათ უკირაკთ ხელში ფედერალისტებს).

ძველი ფედერალისტი—(საზეიმო გამომეტყველებით). მეგობრებო! თქვენ გახსოვთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ჩვენი ძველი წინაპრები, გახსოვთ მათი დიდი ანდერძი: „როცა მეფის მთავრობა არღვევს ხალხის უფლებას,— წინადა და პირდაპირი მოვალეობაა უკანასკნელისა აღსდგეს მის წინააღმდეგ“. ჩვენ დავრჩით ერთგულნი მათი ანდერძისა. ჩვენ აუჯანყდით. მაგრამ ჩვენ დაგვაპარცხეს. დღეს შეიძლება უკანასკნელი დღე იყოს, როცა ჩვენ გვინათებს პაზე, და ვფიცავ ჩემს ძველ კრილობებს, ჩვენ არავართ გულ გატეხილები. ჩვენ დავებარებოდით, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენ ევკლებით იმიტომ, რომ ვიცოცხლოთ, ჩვენ დავეცემით ვერსალელების ტყვეებით განგმირულნი, მაგრამ არ დავიღუპებით უკვალოთ. ის იქნება ჩვენი იმედი, იქნება ჩვენი გამარჯვება. ის უარჩება მემკვიდრეთ ჩვენი უკვდავი რისხვისა, ცოცხალი განსახიერებათ ჩვენი ღიიდი იდეების მომავალი დიდებისა.

საერთო ამოქაზილი—გაუმარჯოს ბრძოლას!

გაუმარჯოს კომუნას!

ხარდოკ—იჩქარეთ მეგობრებო! უკვე დრო არის!

ძველი ფედერალისტი—ჩვენ მონათლავთ მას ჩვენი სისხლით და დავარჯმევთ სახელს, რომელიც მუდამ გამახსენებელი იქნება ტირანებისადმი ზიზღისა, თავისუფლების სიკვარულისა, სიკვდილის წინაშე უშიშრობისა და ჩვენი დაუდგროველ ბრძოლის წყუოვილისა. ჩვენ მას დავარჯმევთ...

ყველანი—(მიუხვდენარა აზრს) შურის მაძიებელი.

ძველი ფედერალისტი—შურის მაძიებელი. დეე, ის გაიზარდოს ამ სახელით და იქნეს ღირსიული შვილი სამასისა, რომელნიც დაიღუპენ კომუნისათვის.

ლენა—დღე, ის გაიზარდოს, როგორც თქვენი ვაჟი, მე მოუთხრობ მას, როგორ დაიღუპა მისი პაპა, მისი მამა და თქვენ, მისი ნათლიები. თქვენ შეგიძლიათ დაიხოკოთ დამშვიდებით და სიამაყით, ეს იცოცხლებს, რომ შური იძიოს თქვენს მაგიერ.

მე, ლენა, ვფიცავ თქვენს წინაშე, რომ ის იქნება ღირსი იმ სახელისა, რომელიც მან მიიღო დღეს.

(ისმის დაფ-დაფის ხმა).

ძველი ფედერალისტი—მოიმარჯვეთ იარაღები! ვერსალელები!...

ხარდოკ—(დამშვიდებით) მათ დაიგვიანეს სულ ცოტა, ათი წუთი... მშვიდობით, მეუღლევ... (ეხვევა მას). მშვიდობით, ჩემო ბიჭუნა (ჰკოცნის ბავშვს). წინ. მეგობრებო... ჩვენი საქმე არ დაიღუპება. ჩვენი შვილები იძიებენ შურს. რაფერი არ დაკარგულა...

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

ყველანი—გაუმარჯოს კომუნას!..

3. 3. იზნატიევი.

„რ ი შ რ ა შ ნ ი“

პროლეტარული რევოლუციის ინსცენიროვკა რუს მუშათა მგოსნების
ნაწარმოებით.

„რიქრაქსნი“

ნაწილი პირველი

დღე პირველი მაისის.

ველი ქალაქის განაპირა ტყეში. მზიანი დღე. სიღრმეში მოსჩანს ამაღლებული სერი.

(სცენაზეა ინა).

(ნიკიტა და მიტო შემოდიან ისე, რომ ინას ვერ ამჩნევენ).

ნიკიტა

ბიქოს, როგორც სჩანს, ჩვენ პირველნი ვართ. აი მართლაც მშვენიერი ველი, თითქო განგებ ჩვენი კრებისთვისაა გაკეთებული (ისევე ველზე) აი, იქ დღეა, აქ ამაღლებულია სერი, ხოლო მეორე მხარეზე ხშირი ტყეა. ერთის სიტყვით, ალაგი მშვენიერია და საიმედო, და თუ დაგვკირდა, შეგვიანახავს და დაგვიფარავს. (მათეს) ხომ მართალია, ამხანაგო?

მიტო

მე მაგ საქმეების არა გამეგება რა. პირველად ვარ.

ნიკიტა

(შემამჩნევს ინას) ახ, ინა, შენ უკვე აქა ხარ, და ყველაზე უწინ, ყოჩაღ ინა, ყოჩაღ! მათე. შენ ჯერ კიდევ რომ ირყევი და ყოყმანობ, ვერ გამოჩვენებულხარ. აბა შეხედე ჩვენს ინას, აქ ძმაო, ძნელია დაუჯერო საკუთარ თვალებსაც კი: არისტოკრატი ქალია, რომ ესთქვათ ნამდვილი არისტოკრატი და ჩვენი გულითადი ამხანაგი.

მიტო

ეს მე მაგალითად ვერ გამომადგება. თუ ვინმე დიდგვაროვანთა წრიდან არის, ვინ იცის, რა მოუვლის თავში: დღეს ერთი, ხვალ მეორე; მათთვის ეს ისეა, როგორც ქარი,—საითაც დაუბერავს, ისინიც იქითკენ გადაიხრებიან.—ჩვენს სოფელში იყო ერთი მასწავლებელი ქალი და ერთიც სტუდენტი, მემამულის ვაჟი. ესენი ამბობდნენ, რომ მეფე უნდა ჩამოეადროთო. ციხეშიაც კი ჩასვეს ამისთვის. დაბოლოს კი, სულ სხვა გამოირკვა: ეხლა ის სტუდენტი ჩვენში ერობის უფროსია, ხოლო მასწავლებელი ქალი კი—მისი მეუღლე.

ნიკიტა

ყოჩაღ, მიტო! ბატონების ჩამომავალთ სწორეთ აფასებ. ისინი ყოველთვის ექვს ქვეშ უნდა გყავდეს, მაგრამ უნდა ისწავლო მათგან ყოველივე იმის შეთვისება, რაც სასარგებლოა ჩვენი საქმისთვის. ინა ყველაზე უკეთესია, რაც ბატონებს ეკუთვნოდათ, ეკუთნოდათ და დღეს ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. ინა ჩვენი ერთგული მებრძოლი ამხანაგია. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა მუშათა

პოეტმა თავის ლექსით, ასე ესთქვათ, მოაწერა მისი სახელი მუშათა რევოლიუციის დაუახზე. მე შენ ძალიან გირჩევ იმ ლექსის წაკითხვას. ეს, ძმაო, ისტორიული სიტყვაა პროლეტარული პოეტის, მიძღვნილი ინას სახით ინტელიგენციის იმ ნაწილისადმი, რომელიც შეუღისხლხორცდა მუშათა კლასს და მას არ უღალატა. იმ ლექსს ეწოდება: „ქალი“. უკანასკნელ სტრიქონებში ნათქვამია:

ყველას რომ აგრე შეეძლოს
სუნთქვა მსგავს ამაყ ძალითა,
მსწრაფლ აყვავდება ოცნება
ბნელს შესძრავს გაშლით ჩქარითა.

(შორიდან მოისმის სიმღერა).

გესმის, მიტო თუ ყველანი არა, ნაწილი მაინც რომ ჰგავდეს ინას, ჩვენთვის უფრო ადვილი იქმნება. ხომ მართალს ვამბობ, ინა? შენ ყურს არ გვიგდებდი? იკითხე, იოცნებე, სიტყვას აღარ ვიტყვი. —მათე მოდი თამბაქო მაინც მოეწიოთ.

(თამბაქოს ეწევიან).

ი ნ ა

(წიგნს გადასდებს).

გაზაფხულის ქარი, ნაზათ რომ სისინებს,
ეწეებოთა დილით ფანჯრის მღუმარ შინებს,
ხმაურობდა რალაც იღუმალი კენესით,—
და უცებ მოვარდა ოთახის სიღრმეში...
ო, რა გაქანება მოაქვს ქუჩის ხმაურს,
ვით ოცნებას გიჟურს, ცისაკენ მოგზაურს.
და ჩემს დალლილ ხელებს ისევე ეამება,
რომ მზის სხივთ ალერსში ასე ნაზათ თბება.
და ასე მგონია, დილით საამურით
გაზაფხულის ჰანგზე მღერის სალამური,—
და ჩემს ფანჯარასთან შევებით შეარხია,
მწვანეთ შევებითქული ძირს რომ ნაძვის ხეა.
და მწვანე სამოსში, ტურფად დანამული,
აციმციმდა აუალი წმინდა გაზაფხულის.
ხოლო შორს კი, როგორც ლურჯი სივრცის თმები,
იღუმლად ბრწყინავდა მთების ჩუქურთმები.
და მეგონა, თითქო კლდეზე გამძაფრებით
გადავარდნილ წყაროს სცევივა აღმასები,
და ვით სიყვარულის გაშლილი აფრები,
იწვის მზის შხეფებით წითელი ვარდები.

ნ ი კ ი ტ ა

„წითელი ვარდები“. იწვის მზის შხეფებით წითელი ვარდები. რა კარგია, რა კარგი!

ი ნ ა

ლიახ ნიკო, ეს მშვენიერია. (იმეორებენ ერთად.) იწვის მზის შხეუებით წითელი ვარდები.

ინა—(მიტოს)

მიტო მითხარით, რიტომ ხართ თქვენ შეპყრობილი მაგ ფიქრებით? ვინ აღგიძრათ იგი,—იმ მასწავლებელმა და სტუდენტმა ხომ არა?

მ ი ტ ო

არა, ჩემამდის მათ არ მოუხწევიათ. მხოლოდ ის მათიქრებს, რომ მე ყაზახი მოვკალი, მათი ოფიცერი.

ნიკიტა

ეს როგორ მოხდა! ასეთ საქმეს მე შენგან არ მოველოდი.

მ ი ტ ო

ჩვენს სოფელში გამოგზავნილი იყვნენ ისინი მამულის დასაცავათ, და ყოველივე სისამაგლეს სჩადიოდნენ. ყოვლად უმიზეზოთ სცემდნენ გლეხებს, სცემდნენ ისე, გასართობად და ეს ჩემზე საშინლად მოქმედებდა. და აი, როდესაც ის ოფიცერი ერთ სოფლის გოგოს შეეხო, მე ველარ მოვითმინე: დავეუდარაჯდი მას ღამით დიდ თხრილთან, დავარტყი თავში, ჩავაგდე თხრილში და იქვე ჩავახრჩეე კატასავით, ხმაც კი არ ამოვალეზინე.

ი ნ ა

„თქვენ ვაგასამართლეს?“

მ ი ტ ო

არა, არავის არ დაუნახავს... ქვასავით ჩაიძირა წყალში. მას შემდეგ არის, რომ შეპყრობილი ვარ მოუსვენარ ფიქრებით. მე კაცი მოვკალი და სინილისი კი არა მაქვს დამძიმებული, თითქო მე კი არ მომეკლას. არამედ მეხსნას ადამიანი. რატომ არის ეს ასე--ვერ მიმზღარეარ, ხოლო სინილისი კი დამშვიდებული მაქვს.

მართალია; მართალი, ჩვენო გულ-მაგარო ნიკო, კი არ მოგიკლავს, არამედ იხსენი ადამიანი. და შენ იქნები მხსნელი კაცობრიობისაც, ინა (მათეზე უთითებს) აქ მთელი საუნჯეა ჩვენთვის, მთელი საუნჯე. ახ, რა კარგია, რა კარგი!—

ხმაურობს ზევით ფოთლების ფარდა,
როგორცა დროშები ასიათასი;
ნორჩ ყვავილების ტკბილ სურნელებით
წმინდა ჰაერის საესეა თასი.

(ხმები სცენის სიღრმიდან).

ნიკიტა

აქეთკენ მოდით, მეგობრებო, ტურფა თალის ქვეშ:

ი ნ ა

აქეთ, ჰო, აქეთ, მეგობრებო, ტურფა თალის ქვეშ.

კუდრიაში

(შემოდის).

შემოვკრბეთ ჩრდილის ქვეშ.—და ვით კანდელი,
შემდეგ მრავალ ჯერ ვიწრო სარდაფში
მოკვაგონდება ეს დღე ნათელი.
(ხმები შემომავალთა).

ჰაი, ჰაი, არა ერთხელ მოვიგონებთ, არა ერთხელ.

კუდრიაში

დე ჩვენი ყოფნა მუდამ მღვლეღარე
წუთით გარდიქმნეს ამ ტყით მზიანით.
უჩვევის ტერფით გადმოიარეთ
ნოხები მწვანე, ხავერდიანი.

შემომავალინი

ვიშ, რა იშვენიერია! ვინც ასეთი ალაგი ამოირჩია—ქების დირსია. ნე-
ტარებაა სწორეთ.

ძმებო, ეს ხომ ნამდვილი სამოთხეა,—მართლაცა კარგია აქ სიკვდილი.
ჩვენ კი დაეძებდით სამოთხეს და იგი თურმე აგერ ყოფილა, ჩვენს გვერდზე,
ლამაზ ლელესთან.

გერასიმე

ახლოა, მაგრამ ვერ მისწვდები.

ნეფედიჩი

რას ვერ მივსწვდები? აბა უყურე, ეხ, ჩემო კარგო, ძალიან მომენატრე.
(წვება მუცლით და ბალახებს ჰგლეჯს). ბიჭებო, არ ჩამომრჩეთ, თქვენც დაპ-
კრიფეთ, თორემ მე მარტო დავკრებ მთელს სამოთხეს.
(მას ვანო დააგორდება).

ნეფედიჩი

დამაცა, დამაცა, გამსრისავ. სამოთხესთან ერთად გამსრისავ. (ახლაგა-
ლები დააგორდებიან ნეფედიჩს, ის სწრაფად მოიშორებს მათ და განზე გადგე-
ბა) რა? იგემეთ, თუ როგორ ყოფილა ჩემი ხელის მოკიდება! ცარიელი ხელე-
ბით ჩემთან ნუ მოდიხართ. მე ძველი ძარღვები მაქვს, მაგარი. თქვენისთანა
ახლაგალებს მკვრივით დავანაფოტებ.—ჰეი, თქვენ ქალებო, გასურთ ამ ახალ-
გაზღებისაგან ბურბუწელა დაგიხვიოთ? ჰა, გეცოდებათ? კეთილი, მხოლოდ თქვე-
ნი პატივისცემისათვის დაეთმოზ.

ქალიშვილები

აბა, შენ რა შეგიძლია, ისე ტრაბახობ.

ნეფედიჩი

არა, მე მართლა ვანობ, აი, შეხედეთ (სწვდება ფეხებში ერთ ახალგაზღას.
ის ყვირის).

ქალიშვილები

(უძახიან)

ბიძია, ნეფედიჩი, ბიძია ნეფედიჩ!

(ნეფედიჩი თავს ანებებს ახალგაზღვებს)

გრუზიკო

ბიძია ნეფედიჩი, რატომ არის, რომ შენც პატარა ხარ და მეც, მაგრამ შენ მაინც ასეთი ჩასკენილი და ჯანმრთელი ხარ, მე კი არაფრად არ ვარგი ვარ... რისთვის არის ასე. ბიძია ნეფედიჩ?

ნეფედიჩი

აბა, მე რა ვიცი, შენს დედმამას ჰკითხე.

გრუზიკი

არა, ძია ნეფედიჩი, შენ მასწავლე. მე სულით ისეთი მტკიცე ვარ, უტყუბი, მხოლოდ ეს არის, რომ ღონე არა მაქვს.

ერთი მოხულთაგანი

ბიჭებო, მოდიტ ღონე ვაბანაოტ.

(სიცილით მიათრევენ გრუზიკს ღელესკენ).

გრუზიკი

მე თქვენ გიჩვენებო, დამაცადეთ, დამაცადეთ.

ნეფედიჩი

(გამოართმევს).

ისევ საქმე, საქმე. კმარა, საკმაოთ იხტუნავეთ. (ხელებით ანიშნებს) აბა, დავსხდეთ, ბიჭებო, შევკოათ წრე, წრე-მეთქი!

კულარიაში

ამღერდი ძლევიტ, ფიქვნარო, მწვანევი

და ჩვენი ჰანგი მწყობრი გუგუნით,

ქარული ფრთებით შორს გააქანე.

დეე, ქალაქი, ბინდ-დაფენილი,

ისმენდეს ჩვენს ხმებს, გულს რომ ახურებს:

რომ ჩვენ მოვდივართ ალთქმულ ხმაურით

და კელავ ავანთებთ დაზგებს და ქურებს.

წუთმა დაჰვარა მონა მანქანის,

ნათელ მომავლის ასხივოსნებით,

მწყობრად ვუმღეროთ თავისუფლებას

მწვერვალთა ჩრდილს ქვეშ, მზიურ ოცნებით.

ვანო

ახ, ამხანაგებო, რა კარგათ სთქვა მან:

„და მწყობრად ვუმღეროთ თავისუფლებას“.

ნეფედიჩი

მართალია, ვიმღერებთ თავისუფლებაზე. ოო, თავისუფლება, გესმით, გესმით, თქვენ ცელქებო! (ქალიშვილებს) მხოლოდ როგორ უნდა ვიმღეროთ, აი რაშია საქმე.

ვანო

აბა, დაიწყეთ. ბიჭებო, აბა, აბა...

ნეფედიჩი

აბა, კი არა—ტაბა. დაიცადე ცოტა. უცებ ვერ ამღერებები, ერთიც ენახოთ, აქ ყველა ბუჩქებში იმალება ჯაშუში და გვზკურავს, მალე ყაზახებიც გამოჩნდებიან და ისინი აგამღერებენ კარგად.

გერასიმე

აწრსთვის გყავს ჩვენ დაყენებული გუშაგი.

ფროლი

დაიცა, ნეფედიჩ. სულერთია, ვერ იმღერებენ. არც ისე ადვილია სიმღერა თავისუფლებაზე. ჩვენ არ გვქონია საშუალება შეგვესწავლა ჩვენი სიმღერები. მე მხოლოდ გადასახლება მასწავლა იგი.

გერასიმე

აზხანავო, ფროლ, იმღერე აი, ის ჩვენი... უმთავრესი.

ნეფედიჩი

მხოლოდ შენ, ხმას ძლიერ ნუ აუწევ, ისე ნელა დაიწყე, რომ მწყობრათ გამოვიდეს და პოლიციელებიც არ შევაწუხოთ.

ფროლი

ჰო, კარგი, კარგი. მხოლოდ ვიმღეროთ კარგათ. ამხანაგ ანდრეისაც ვთხოვოთ, მან ეს საქმე ჩვენზე უკეთ იცის. ის გვიმღერებს ჩვენს მუშათა ჰიმნს—ინტერნაციონალს.

ხმები

დავიწყეთ, დავიწყეთ ანტარნალი, ანტარნალი დავიწყეთ.

ფროლი

არა, არა, ამხანაგებო! თქვენ სტყუით პირველ სიტყვიდანვე: აციონალი კი არა—ინტერნაციონალი, ინტერნაციონალი.

ხმები

დავიწყეთ სულერთია,

ფროლი

არა, სულერთი არ არის. უწინარეს იმისა, სანამ მას იმღერებდე, უნდა ისიც იკოდე, თუ რას ნიშნავს სიტყვა ინტერნაციონალი. თქვენ კი ეს არ იცით.

შეიძლება ორ-სამ კაცს ესმოდეს, დანარჩენებს კი არა, ამაზე თუ გინდათ დაგენიძლავებით.

ხმები

მართალია, მართალი.

ფროლი

მაშ დაიმბახსოვრეთ: ინტერნაციონალი არის მუშათა საერთაშორისო ამხანაგება, რომელიც პირველად დაარსდა ლონდონში, 1864 წელს, და მიზნად ისახავდა მთელი ქვეყნის მუშათა შეკავშირებას, რათა საერთო ძალით ებრძოლათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ეკონომიური თავისუფლების მოსაპოვებლად და სოციალიზმის დასამყარებლად. ეს ინტერნაციონალი დაიშალა სამოცდაათიან

წლებში, პარიზის კომუნის დამაჯცების შემდეგ, და განახლებულ იქნა. მეორე ინტერნაციონალის სახით, 1889 წელს მუშათა პარტიების ყრილობაზე პარიზში — ეხლა კი ყური მიგდეთ. — ახა, ანდრეი...

ნეფედიაი

მხოლოდ, შენ ხმას ძლიერ ნუ აუწევ, ისე ნელა დაიწვე, რომ მწყობრად გამოვიდეს და პოლიციელებიც არ შევაწუხოთ.

ფროლი

(მღერის)

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს,
მათი ხსენება შეუერთოთ მტვერს.
ზიზლით ვუტყერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მონა-მამვრალთა მოსისხლე მტერს.
ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენ ტანჯულ მოძმეს,
და შეუერთდეთ დამშეულთ ბანაკს.
წყველა და კრულვა შეუთვალეთ მტერს
და ბრძოლის ველზე ვეკვეთოთ მას.

აღსდევ ყოველ მხრით მუშავ ჩაგრულო,
აღსდევ ყოველ მხრით და მტერს ეკვეთე.
შუროსძიებით აღმართე დროშა
და მედგარ ბრძოლით გასწი, გასწი წინ!

მშიერ მგლებივით მდიდართა ხროვა
ჩვენს ნაწვავ ნადავს იტაცებს სულ.
და ჩვენის ოფლით სუქს მუქთა ხორა
ცხოვრების სახსარს ხელიდან გვეგლეჯს.
შიმშილით მოკვდი, რომ მან ილხინოს,
შიმშილით მოკვდი, რომ მან ბირეაზე
სინდის-ნამუსი თვისი გაჰყიდოს
და დაგცინოდეს მარად შენ ის.

აღსდევ ყოველ მხრით... და სხვა.

სისხლისფერ ცისკარს დააფრქვევს სხივებს
თავისუფლების და ძმობის მზე.
თუმც დაგვიჯდება იგი ჩვენ ძვირად
და მიწას გაჰბანს სისხლისა ზღვა.

მაგრამ გაქრება მთლად ბოროტება
თავისუფლების იელევეს მზე.
და ყველა ერი შეკავშირდება,
შრომის სუფევის დროშათა ქვეშ.

აღსდევ ყოველ მხრით... და სხვა.

ფროლი

ვაიგეთ. ამხანაგებო, „ინტერნაციონალით ჰპოვებს შვებას ყველა“. ინტერნაციონალით, ამხანაგებო, წარმოიშვა ახალი, ჩვენი მუშათა მუსიკა...

ხმები

(ინტერნაციონალის გამო).

ნეფელიჩი

სიმღერა კი არაა ეს. ძმებო, არამედ—სული უსაყვარლესი...

პავლე

მე, კი მომაგონდა, ამხანაგებო, ჩვენი პირველი მაისის კრება. ჩვენ მაშინ მკირე ვიყავით. და რამდენი შიში იყო მაშინ, იკვიანობა. ეხლა კი სულ სხვაა... და მე ნახსოვს:

შვეიკობით უღრან ტყეში,
ვიზეიმით დღე ნათელი.
ალთქმულ სიტყვის ალვებით
ნორჩ სულს სწვავდა ჟრუანტელი.
ჩვენ—შრომა რომ გვკლავდა მძიმე,
დღეს ვნატრობდით მოციმიციმეს.

ბუჩქებსა და ხეთა მწვერვალს
არხევდა ხმა, იღუმალი;
ჩურჩულებდენ იქეთ, აქეთ,
თვალს ანთებდა უცხო ალი.

ყველა წამი უეცარი
იყო ყრუ და საშიშარი.

ალი მოსწყდა ხეთა მწვერვალს
და მიმკრთალა სხივთა ჩქერი,
მწუხრის ბინდმა ფრთა გაშალა ..
ჩუ! ვიღაცა სადღაც მღერის!

სადღაც ძარღვებში დაქაჩული
ქმენს ქალაქი დასალტული.

ჩვენ დავდუმდით. ვიღაც ადგა
ჩვენს წინაშე ხელ-აპყრობით,
და აანთო მკრთალი სიტყვა
მომავლის სხივოსნობით.

ფიქრს მივყვებით, სიზმარიანს;
შუქს გვაფრქვევს და გვიხარია.

გაზაფხულის თბილ ჰაერში
ნესტი მძიმე სულთქმას ღლიდა.
ღამე ცივთ დავგყუ რებდა
მიუწოდოვლ სიმღლიდან.

ჰე, ქალაქო, უსულდგმულო, დახშულ კარით.
მაქ იელეებს იღუმალი ეს სიზმარი!

მაქ აღემართავთ ძვირფას დროშას,
წინსწრაფევით რომ გულს ახელებს.
ვისაც ბრძოლა შეიწირავს—
მოვიგონებთ მათ სახელებს.

და შეეხვებით ნათელ მაისს—
გამარჯვებას უზენაესს!

ამხანაგებო, მოვიგონოთ. ყველანი, ვინც ჩვენთან არ არიან, მაგრამ ვის
საქმესაც ჩვენ განვაგრძნობთ, და მომავალშიაც არ ვულალატებთ მას, რაც არ
უნდა გველოდეს ჩვენ ცხოვრების გზაზე.—ბიჭებო, ამ შემთხვევის გამო ვიმლე-
როთ ჩვენი საერთო.

(მღერის):

თქვენ ბედითს ბრძოლაში სწირავდით თავს,
ემსხვერპლეთ მოძმეთა სიყვარულს წრფელს.
შესწირეთ გმირულად სიცოცხლე მას.
დაეციოთ დიდებით მოსილი თქვენ.
დაგვიდგა დღეს ძღვევის ნანატრი დრო,
ელვარებს ნათელი ძმობისა მზე.
მშვიდობით ძვირფასნო, დიდება თქვენ,
რომ ასე მხნეთ განვლეთ ბრძოლისა გზა

ოსიპ

ამხანაგებო, ჩვენი სიმღერის გამო ჩემს წინაშე გადაიშალა გუშინდელი სურათი
და მე მინდა მის შესახებ მოგიყვეთ თქვენ.

გუშინ ვიყავი მე ტაძარში...

და მე მესმოდა ამბიონიდან:—

ქრისტეს წინაშე ლოცულობდა მღვდელი ცბიერი,

ძმობა-ერთობის მოციქულსა ევედრებოდა—

მისთვის, ვინც მუდამ სისხლიანი ხელი ძლიერ

ხალხზე აღმართა, სასაკლაოთ ერეკებოდა;

ვინც ქვეშევრდომთა სისხლით არის შემოლაქული,—

ეხლაც გარს უვლის გაგიჟებულს სისხლის რკალები,

ევედრებოდა მას, ვინც მოგვცა ძმობა აღთქმული—

მეფე—მკვლელისთვის ჩაენერგა გულში ძალები,

რომ ხალხის სისხლით შეეღება თვით ცის ტატნობი,

რომ კვლავ აღეგო სახრჩობელა ურჩებისათვის.

მღვდელს მატყუარას ყურს უგდებდა ხალხი დანდომით,

და ლოცულობდა აზრ-დახშული მტარვლისათვის.

ბედშავი ხალხი, მაცდურთაგან მოტყუებული,

ვერა ხედავდა, სად უხმობდენ მას იმ ლოცვებით.

მღვდელი კი ისევ, ხატების წინ დაჩოქებული,
ქრისტეს შესთხოვდა: „შენის მადლით შევიმოსებით“...
საშინელებით შეპყრობილმა მე უნებურათ
ჯვარცმულის სახეს დავაცქერდი ათრთოლებული,
მეგონა, თითქო მას ცრემლები გადმოეპყურა,
რომ ის აკენესდა მაცდურებით აღშფოთებული.
და მე გავშეშდი, მე ველოდი ელვას ციურსა,
მაგრამ არ მოხდა სასწაული მოულოდნელი;
ხატის წინ ისევ უსირცხვილოდ, როგორც იუდა,
მეფის სახლისთვის ლოცულობდა მღვდელი გულბნელი.—
დე, ბრმა, ვერ ხედავს, რომ სიმართლის ელვით ანთებდა,
დღეს თუ არა ხეალ, დაიქექებს, როგორც გრიგალი,
და ბნელ ქაობის შავი-ნისლი გაიფანტება,
და გაბრწყინდება ყოფნა მზესთან შესარიგალი.
ახლოა ჟამიც განკითხვისა,—ჰაერს ედება
შორეულ ელვის მოციმციმე ხმათა გუგუნნი,
ყველა ღრუბლები ცის თალიდან გადიხვეტება,—
ამას ლაღადებს ნორჩ ფოთლებში ქარის დუდუნნი.
მოდის გრიგალი, რომ გაჰფანტოს, როგორც ნაცარი,
ძველი ღმერთების საბუდარი დახავეებული,
რომ მის ნანგრევზე აღიმართოს ტურფა ტაძარი,
ტაძარი, ძმობა-სიყვარულით გაშუქებული.

ენნატე

გრიგალი ახლოა. ის წალეკავს წარსულის ბრმა ღმერთებს.

ნეფელიჩი

დიახ, წალეკავს! ისევ წალეკავს, რომ მისი ნატამალიც არ დარჩება. წყეული იყენენ ისინი, წყეული. წარმოუდგენელია, თუ როგორ აბრმავებდნენ ისინი ჩვენს ძმებს. გავიგსენოთ, ამხანაგებო, თუნდაც 9 იანვარი...

მარია

(უცებ შემოსძახებს)

ჰო, ჰო, 9 იანვარი!

ნეფელიჩი

ბიჭებო, აბა ყური დაუგდეთ, ცხრა იანვარის შესახებ ჩვენ მოგვიყვება ამხანაგი მარო. მაშ, გვიანმბე, მარო, დეე დაიხსომონ და თავიანთ შეილებსაც გადასცენ, თუ როგორ ეპყრობოდნენ ისინი ჩვენს მოძმებს.

მარია

მე იქ ვიყავი, ამხანაგებო, და გამბობთ ყოველივეს დაწვრილებით. ო, რამდენი ხალხი მიდიოდა იქ, რამდენი ხალხი...

გულ-დანდობილი მიდიოდა ურიცხვი ჯარი,
მეფის სურათი ეპყრათ ხელში, კრძალვით აღვსილებს;

წინ მღვდელი, შემდეგ აღმართული ხატები, ჯვარი, ირგვლივ დროშების ვრცელი მწკერი მიაქვთ ნაწილებს. პაერს გაყინულს აშუქებდა მზე შორეული, ხალხის ნაკვალევს, შორით მოსულს, თოვლი აქრობდა. ჩადგება ქარი, ცივი ქარი, ფიქრ-მზარეული: ამდენი ხალხი ამ ქუჩებში მას არ ახსოვდა. აქ მოდიოდნენ მეგობრები, დები და ძმები, დედა შეილებით, მამები და ამხანაგები, მოხუცებულნი, დატვირთულნი მრავალი წლებით, ჩამწკრივებული უღუვაშო ახალგაზდები.

ისინი იყვნენ ათასობით... ლოცვას ჰგალობდნენ, სურდათ მეფისთვის გადგეშალათ გული ტანჯული, სურდათ ეთხოვათ: მტკიცე სიტყვით, მეფევე, გეწყუალობდეთ, ბრძანეთ მოგვეცეს ხალხს უფლება. შეება აღთქმული; ვენი მსახურნი, ქურდები და გაიძვერანი. გველავენ შიმშილით და მგლებივით გვასობენ კბილებს; შნამათ გადიქა უფლებო ყოფნა ვერანი... მეფევე! გვისმინე, როგორც მამა მოუსმენს შეილებს!

ისინი იყვნენ ათასობით... მაგრამ არ ახდა მათი სურვილი, გატანჯული სულის კვეთება: ხალხის მწკერივები ტყვიებმა და ხმალებმა დალახტა, ბედშავათ უღმობლათ შემეუსრავი ალი ედებთ... და შედრკა ხალხი. წამს შეჩერდა უკუქცეული, ძირს დაიხარა... და ხმა ისმის წყევის დანებათ: „მკვლელნო ძმებისა, თქვენ ნონებო, იყავთ წყეული, და სამჯერ მეტად—ის, ვინც გასცა ესე ბრძანება... ამ წუთს საშინელს თითქო ქარმაც აიღვა ენა, ახვეტა თოვლი და ზუზუნით იწყო ხმაური.. მოკვდა მრავალი. მაგრამ მათთან მოკვდა ის რწმენაც, თითქო მეფეა ხალხის მხსნელი და მეთაური. ხალხს დაღუმებულს, აღშფოთებულს და შავფიქრიანს იპყრობდა აზრი: ასე ყოფნა კვლავ არ იქნება... ჩაპქრა მზის სხივი. გადეთარა ქალაქს სისხლიანს მწუხრის ბინდები... და სინათლევც არსად ინთება. ბნელა ქუჩებში. მოედანებზე არ სჩანს არავინ, მხოლოდ გუშავთა კარავებში ცეცხლი ციალებს, და საღლაც ისმის ბავშვის კენესა გულ-შემზარავი, და ვით ქვითინი მაღალ სახლებს გარს უტრიალებს... და ვილაც, როგორც მოსვენება გულ-სევდიანი, შურისძიებას გაჰკიოდა მრავალხმიანი.

(პაუზა. ქალებში ზოგიერთები ყრუდ ქვითინებენ, მამაკაცებში ისმის ოპერა და კენესა).

უგნატე

დიახ. ულმობელია შავრაზმელების თარეში, ულმობელი... მაგრამ, ამხანაგებო, აპან არ უნდა შეგვაშინოს. შავრაზმელები თვითვე სთხრიან თავისთვის ორ-ნოს. ისინი ვერ გადაგვირჩებიან ჩვენ, ვერა.

ქარიშხალის უტებს სრბოლით
ირგვლივ ხმები დაიქსელა,
რომ მუშათა მედგარ ბრძოლით
თავს ვერ იხსნის ძალა ბნელი,
თავს ვერ იხსნის ძალა ბნელი,
არც იქნება მათი შველა!
არასოდეს, ჰყეფს ქარხანა,
არასოდეს, მოსთქვამს ღვედი...
ჩვენ დავანთებთ ცეცხლის ალებს,
რომ გავსკედოთ ჩვენი ბედი,—
და მით დავსწვავთ შავ-ბნელ ძალებს.

ბნელ ქარხნებში ნუ გვიმონებს
კენესა, მოთქმა და ტირილი.
არ ვართ მონა,—მილიონებს
სული გაქვს, ვით დროშა შლილი,
ჩვენ ვართ მზის და მიწის შვილი!
ჩვენ ლოცვისთვის არ მოვსულვართ...
სარდაფებში შევიფიცეთ,
რომ სისხლიან ბრძოლის ველზე
ფოლადივით ვიყოთ მტკიცე.

ამაოთ ხომ არ აენტო
ამაყი და სანაქები
შრომის შვილთა მტკიცე ძალა,
ყოველ მხრივ რომ გაიშალა,
და ამღერდა ქალაქები...

ქარიშხალის წითლად სრბოლით
ირგვლივ ხმები დაიქსელა,
რომ მუშათა მედგარ ბრძოლით
თავს ვერ იხსნის ძალა ბნელი,
თავს ვერ იხსნის ძალა ბნელი,
არც იქნება მათი შველა!

ხმები

ბნელი ძალა თავს ვერ იხსნის, თავს ვერ იხსნის ბნელი ძალა, არც იქნება მათი შველა, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს.

სენია

აბა, მიტო, შენ როგორ ჰფიქრობ, შავი რაზმი თავს ხომ ვერ იხსნის, თუ შენ ჯერ კიდევ თავისინებაზე გატარებს სოფლის უმეცრება?

მიტო

მე ეს ჯერ კარგათ არ გამეგება, ამხანაგებო. ვერ მივხვდარავარ, როგორ, საკი-როა. მე პირველად ვარ ქალაქში და ქარხნებში. მე არ უარყვოფ, ვიცი. რომ გლეხისა და მემამულის გზები არ ერთდებიან. მაგრამ მაინც რალაც გამოღურ-კვეველი შიში მიპყრობს, თითქოს გზა-არეული ვიყვე.

კუდრიაში

(მიტოს ეხვევა)

მოითმინე ცოტა, სულ მცირე ხანი და შენც გაიგებ. მალე მიხვდები. თუ რას უკარნახებს მუშის სულსა და გულს ქარხნის ხმაური, რას უკარნახებს ელექტრონი, რაზე გვაქვს ხოლმე ჩვენს კარებებზე და წრეებში მსჯელობა. ხელ ქარხანაში რომ მიხვალ, ყური მიაპყარ მის ხმაურს და აი, რას გეტყვის შენ იგი:

ბორბალთ სრბოლის ქარისშხალში

რომ ზუზუნებს ეს ღვედები...

— ამხანაგო, ნუ შეკრთები!

დე იმღეროს რკინის ძალამ,

დაიდუაროს ცრემლის ზღვები,

მრავალთ ყოფნის ალი ჩაქრეს,—

ნუ შეკრთები!

შორს დასტოვე ეშვიდი წუნარი

ნაკადული და მინდვრები,

მაგრამ მაინც ნუ შეკრთები!

აქ აღსრულდა ყოველივე

და აღმოჩნდა სულ სხვა გზები.

ამომავალ მზის წინაშე—

ნუ შეკრთები!

ამობრწყინდა ჩვენი ბედი

ცხოვრების ზღვის ზედაპირზე,

ტანჯვა-კენესის სამეფოში

აციმციმდა ნათელი მზე

და ელვარებს დღის შხეფები,—

ნუ შეკრთები

იდექ მტკიცეთ, ნუ შეგაკრთობს

ეგ ღვედები სწრაფად მსრბოლი...

დეე მძლავრად ჰქროდეს თვლები...

ჰა გადექდო რგოლს სხვა რგოლი...

დაიკექებს ბრძოლის ძმები—

— ჰეი ძმაო, ნუ შეკრთები!

ნუ შევკრთები, ამხანაგო! აბა შეხედე ჩვენს ოლიას, ის შენი სოფლიდანაა. და მას არ ეშინია.

მიტო

ოლია ქალიშვილია. მისთვის სულ ერთია, მსუბუქი ადამიანია, როგორც კიაფა, ისე იკუნტრუშებს.

ოლია

ეს შენთვის დაიტოვე, ჩემო მიტო მე უკვე შევიგნე, ესენი ეხლა ჩემთვის უფრო ძვირფასნი არიან, ვიდრე ლეიძლი დედა. მე გადავწყვიტე მთელი სიცოცხლე მათთან გავატარო.

ხმები

ვაშა, ოლია, ვაშა!

პავლე

აი, მიტო ჩემო, ვისგან უნდა აიღო მაგალითი.

მიტო

არა, ამხანაგებო, თქვენ მაგას ამაოთ მეუბნებით, ოლია მსუბუქი ადამიანია, მე კი—მტკიცე. ჩემთვის ეს ძნელია, მაგრამ თუ გადავწყვიტე, მაშინ მორჩა, სიკვდილის წინაშეც არ დაეხამხამებ თვალებს. აი, მაშინ მომეცით მე თქვენი ბატონი, მღვდლები და თუნდაც თვით მეფე და ისე გავსრისავ, როგორც კიას.

ნეფელიჩი

მაცალეთ, ბიკებო, მაცალეთ, მე მას ჩვენებურად ავუხსნი. მიტო გამოიხედე აქეთ, ყური დამიგდე:

ჩვენ ვართ ძმები, ლეიძლი ძმები:

მე-ჭეშა და შენ კი—გლეხი.

ჩვენი ძმური გადახვევა

მტარვალთათვის არის მეხი.

მე ვსკედავ და შენ მიწას ხნავ,

ძძიმე შრომით ლუკმას ვიგებთ,

ორივენი — მომავლისკენ,

ყოველ ნაბიჯს ბრძოლით ვიღებთ.

მე ვთხრი უღრმეს მაღაროებს,

ფოლად-რკინით ქალაქს ვავსებ,

შენი შრომის ნაყოფი სურსათს

მე სიუხვით დავაფასებ.

ჩვენი შრომა მძლეთამძლეა,

ძალა მტკიცე ანთებს გულებს:

ძმა ძმას მუდამ უერთგულებს!

ჩვენ ვართ ძმები, ღვიძლი ძმები,
მე—მუშა და შენ კი—გლეხი,
ჩვენი ძმური გადახვევა
მტარვალთათვის არის მცხი!

მიხვდი თუ ვერა?

მიტო

(მიმხედარი)

ბიძია ნეტელი, ბიძია ნეტელი, რატომ ამდენხანს არ მითხარი შენ ეს?
ამხანაგებო, რატომ ამდენხანს არ მელაპარაკებოდით თქვენ ასეთი სიტყვებით?
აი თურმე რაში ყოფილა საქმე! უბრალოზე უფრო უბრალო. დიახ, ამიერიდან
მე სიკვდილის დღემდე თქვენთან ვიქნები, ამხანაგებო!

ხმები

აი, ვაშა, მიტო ვაშა!

ნიკიტა

ჰა გადექლო რგოლს სხვა რგოლი,
ლაშქარს ძალა მიემატა.

ოლია

(შემომავალთ)

ქალებო ქალებო, აბა მოიტანეთ ჩქარა გვირგვინი მიტოსათვის, გვირგვინი
მიტოსათვის

მიტო

რის გვირგვინი რას ხუმრობთ.

(სცენა გვირგვინით)

ფროლი

ამხანაგებო, ერთის აზრით და ერთის მისწრაფებით მინდა გადავიხროლო უსა-
ზღვრო სივრცეში—მთელი ქვეყნის მუშების გასაგონად—ჩვენი მოწოდება. დეე,
იმავე დახილით გვიპასუხონ ჩვენ!

ჩვენ გეძახით ბრძოლის ველზე
მთელი ქვეყნის შრომის შვილებს,
აღზდექით, ჩვენ შეგვიერთდით,
და დავლენავთ ხუნდ-ბორკილებს.
ჩვენ გვაქვს ძალა, ჩვენს მხნე გულში
სისხლი სჩქეფს და სისხლი ლელავს;
ვერ შეგვაკართობს ქარიშხალი,
გზას სიმტკიცით გადავცელოვთ.
ჩვენ ლალატი რას დაგვაკლებს,
როს ნათელ მზის სხივები ვსვით,
ჩვენ ვიმღერით შეგების ჰიმნებს,
ტყუეობიდან გამოვიხსნით,

ჩვენ ტრფობისას დავსწნაეთ გვირგვინს
და შევამკობთ, ზეიმს დიადს...
მაშ აღზღეპით, ძმებო ყველგან,
მივეგებოთ მხსნელ განთიადს!

• • •

ვაქებდეთ დიადს მაისის პირველს,
შრომის დიდებას, ბორკილს რომ ამსხვრევს.
ვაქებდეთ დიადს მაისის პირველს,
თავისუფლებას ყვაეილებს აფრქვევს.

დებო. ჩაიციეთ საქორწინო ტანისამოსი
და გზა მოჰფინეთ ყვაეილების გირლიანდებით;
განვლილი არის წლები ტანჯვის, წლები ქაოსის,—
ძმებო. დაჰკოცნეთ ერთმანეთი გრძნობის ანთებიძი!

ფაბრიკებიდან და უბნებით, გადაბინდულით,
გამოდით ყველა და იგემეთ ეს სიხარული.
მიწავ. წინ გასწი, გადათალე გზა რაინდული,
დღეს შენთან არის მტკიცე რაზმი პროლეტარული.

ჩაჰბერეთ საყვირს და აღმართეთ დროშები მაღლა.
ვაქოთ, ვადიდოთ დღე მუშათა, ნათელ-მზიანი,
ვაქოთ მებრძოლნი, ვინც არ უწყის, რა არის დაღლა,
ლაშქარი მწვანე, შემოლაქულ ხალათიანი.

ვაქებდეთ დიადს მაისის პირველს,
შრომის დიდებას, ბორკილს რომ ამსხვრევს.
ვაქებდეთ დიადს მაისის პირველს—
თავისუფლებას ყვაეილებს აფრქვევს.

ეგნატე

ანხანაგებო, ეხლა ჩვენ დავიშლენით, მაგრამ ყოველ ჩვენგანს ახსოვდეს:

აბა, სად არის ქვეყნად სხვა ძალა
სოლიდარობის უძლიერესი,
და ან თუ კიდევ—ბედნიერება
მზიურ ძმობაზე უფრო უტკბესი.

ნაწილი მესამე

მუშათა ოქტომბერი 1917 წ. და დასაწყისი წითელი ბრძოლების.

ზევით მიმავალ წითელ ფონზე მალალი მოედანი: ეს არის საგულშაგო აღ-
გი.—მოედანზე—იგივე წითლად მოსილი ასული. ეხლა ის გამოსახავს ბრძო-
ლის მთავარ შტაბს, მუშათა კლასის ნებრძოლ მეთაურს—რ. კ. პ. (ბოლშევიცი).

ნათლად ისმის განცალკევებული ხმები. იგი შორიდან მოისმის, მაგრამ
სიტყვები გასაგებია.

ესაა გამოვიდენ და მიდიან მტერთან საბრძოლველად წითელი ბრძოლე-
ბის—პირველი მახარობლები.

მათი ხმები გამომხაურებაა პარტიის, და პარტიის საპასუხო ხმები წარ-
მოადგენს მათ გამოძახილს.

პარტია—ასული წითლად მოსილი—ელაპარაკება მათ, ჯერ კიდევ შორე-
ულებს, მაგრამ თვალსაჩინოებს, დარაზმულთ დამკვრელ რიგებად. ისინი გასძა-
ხიან მისგან ნაკარნახევ ხმებს მთელ მშრომელ ხალხს, დაჩაგრულთ, ლარიბთ-
ლატაკთ სოფლებისა და ქალაქებისას, გაჰკივიან ქუჩებში და მოედნებზე, ქარ-
ხნებში და ფაბრიკებში. ეძახიან: აღსდგეჰით და დაევიპიროთ ცხოვრებაში ალა-
გი არა მონისა, არამედ ცხოვრების ოსტატების.“

ბრძოლაში მიმავალთა აზრი და სიტყვები ეთანხმება აზრს და სიტყვას
პარტიისას—და იგი იქნება მუშათა კლასისის—აზრად და სიტყვად.

ხმა ფროლისა

ვამსხვრევთ ყველა დაბრკოლებას
და მივდივართ უტებ ნებით...
ჩვენ აევანთებთ მთელ ქვეყანას
მიღწევათა ახალ გზებით!..

ასული წითლადმოსილი

ჰოი, მპყრობელო მთელი ქვეყნისა, მრავალხმიანო,
ვისიც რწმენაა—მხოლოთ მონება და ძალა—შრომა,—
დღეს ჩემი ქნარის ყველა სიმები და ყველა გრძნობა
მხოლოდ შენთვის აჟღერს,
მძლეთა, მძლეველო,
მხოლოდ შენ გიმღერს!

ნიკიტას ხმა

ძალა მოწოდების,
ბრძოლის სიყვარული,
სწრაფვა გატაცების,
რწმენა, სიხარული,

ბრწყინაედა ჩვენს გულში,
ელაედა ჩვენს სულში!..
ასული წითლად მოხილი
მწვანე ხალათით დაფარული შენი მხნე გული —
არის ახალი ყოფნის სხივით გაშუქებული!..

ოლია

ჩვენ ვართ მისწრაფება
ძლევის, გამარჯვების;
შუქი ინაკეთება
წითლად განათების...
ასული წითლად მოხილი
შენ ხარ მეხი პირველი
მომავალ გაზაფხულის —
ამბოხებით აღსაესე,
ხმებით — გადაძარწეულით.
და შენში იმალება
გამართლების სხივებად,
ყველა ტანჯვა-წვალება
და წამებით ძიება...

ხმა ნიკიტახი

წ ი ნ:

გზა ეკლიანი, ნაპრალებიანი —
და ჰა, ჩვენ ავანთეთ ძახილი შუქებათ...
ელავენ ალები ჟინჯლიანები,
აჩრდილი სიკვდილის ველარ იმუქრება!

ასული წითლად მოხილი

როდესაც მქექარებს შენი აჯანყება, —
მახვილი, წითელი,
კვამლში ელვარება
მტერთა გამწყეტელი —
ის როცა ჰკლავს, ამსხვრევს,
მაშინ სხვა ქვეყანას
ჰქმნის, ნათელ სხივს აფრქვევს...

შ უ რ ა

ვარღვევთ ფარდებს, ღამით ნაგებს,
და ვუყივით ამხანაგებს —
შეეგებონ ნათელ დილას,
წითელ მზით რომ შემოსილა.

ასული წითლად მოხილი

არ სთხოვ ყრუ ზეცას,
რომ მოგანიკოს
პურის ნათუკენი, —
მწამს მხოლოდ ძალა
შენი მარჯვენის!...



მ ა თ ე

იქნება შეხვედრა,
ფიცი და სიტყვები...
და სოფლებს, მძინარეს.
შეარხვეს ზეირთები...

ასული, წითლად მოხილი

შენი ლოცვები
იქნება მხოლოდ ჰიმნები ბრძოლის,
ახალ ყოფნისთვის მარად წინ სრბოლის.

კუდრიაში

მხოლოდ რწმენა აცისკრავნეთ,
სულში ფრთებს შლის ბაირალი.
რკინაზე და ლითონებზე
აყვავდება ყვავილთ ბალი!...

ასული წითლად მოხილი

ყველა, ვინც დაეცა
სინათლის ძიებით,
ის შენ გადმოგეცა
ბრწყინვალე სხივებით.
და პასუხს მოელის
ის შურის ძიების.
ჯვარცმულთა ოცნება
დაწყველილ დროების
შენში სხივთსნდება.

(ისმის აჯანყების შორეული გუგუნე)

ასული, წითლად მოხილი

გასწი, დასკეპე ამბოხების ხმით, ძლიერით,
მიწა მოჰფინე გაჯაფხულის ნაზი იერით;
შავი ნეწარი ბნელ მსოფლიის გადაახიე,
თავისუფლების, ბოჰკილთ-მსხვრევის ხმა დაარხიე!

(პ ა უ ზ ა)

(ასული, წითლად მოსილი, თან და თან მეტის ყურადღებით ადევნებს თვალს — თუ როგორ უახლოვდებიან ბრძოლის ხაზს წითელი რაზმები.)

(ის იმეორებს საერთო ხმაურში)

წითელი ბრძოლების. ბრძოლების, დიადის,
ეპი დამდგარია...

წითელი ბრძოლების, ბრძოლების, დიადის
ეპი დამდგარია...

(მოახლოვებული და გაძლიერებული ყიყინა. და ამ ყიყინაში—ხმები:)

„ჩვენ მოვდივართ, რომ გავგლიჯოთ ქამანდები ყელზე რომ გვიქერდა“

„ჩვენ მოვდივართ თავისუფალ შრომისათვის.“

„ჩვენ მოვდივართ რომ ვიხსნათ ბავშვები მონისა და კატორღელთა ხვე-
დრისაგან.“

„ვინც პატიოსანია, როგორც მამა, ვინც პატიოსანია, როგორც დედა,
ყველანი ჩვენს რიგებში უნდა იყვნენ.“

„რომელნიც ხარტ პატიოსანნი, როგორც დაჰ და ძმა—იარეთ ჩვენთან.“

„რომელნიც ხარტ პატიოსანი, როგორც შვილი—გამწყრივდით ჩვენს რი-
გებში.“

„არ გვინდა ჩვენ ძალა-უფლება ბატონებისა და ლაქიების.“

„არ გვინდა ჩვენ ძალა-უფლება ბატონებისა და ლაქიების; არ გვინდა,
ძირს ისინი, ძირს!“

(ბრაზიანი გუგუნით ისმის სიტყვები აღწოფოთებისა და თავ-განწირვის)

(მათ უცებ შეაჩერებს დაფდაფის ხმაური. დაფდაფის ხმების შეწყვეტი-
ეკსოვება გამაფრთხილებელი ძახილი: „ამხანაგებო, დაწეკით, დაწეკით, დაწე-
კით. დაწეკით.“ სიტყვები გადადის ჩურჩულში, და შემდეგ საშინელი ჩურჩუ-
ლით მასსა იმეორებს: „ნაბიჯი, ნაბიჯი, ნაბიჯი“.

(პაუზა) პულემიოტი!

(პაუზა) ზარბაზნები!

(პაუზა) ლახერები!

(მძაფრი, ხანგრძლივი სიჩუმე)

(სიჩუმეს არღვევს მხიარული ხმა: ამხანაგებო, ისინი ჩვენთან არიან, ჩვენ-
თან არიან, ჩვენთან არიან,—გადადის ხალხში)

გაუმარჯოს კავშირს, ძმურსა,

მუშის, ჯარის და გლეხების!

„გაუმარჯოს საბჭოთა ძალაუფლებას!“

(იმეორდება საერთოდ — გადადის სიღრმეში)

ნიკიტა

(შემორბის სცენაზე)

აღსდგნენ და გამოვიდნენ წითელი ქარხანები!

მიტო

-აღსდგნენ უბნები განაპირების!

პავლე

აღსდგნენ, აჯანყდენ იქ, ყაზანში.

ფროლი

აღსდგა ფლოტი. აჯანყდენ ათასეულები. მაღლა აფრიალდა წითელი დროშები. უმწეობამ შეიპყრო მინისტრები. სასახლეები 'ბრაზმორეულ შიშით ირყევიათ. მთავრობა დაეცა, ისინი დაპატიმრებული არიან.

ნიკიტა

გველივით იკლანებიან და ირხევიან. შხამიანი სიტყვები ბრაზისა და შიშისა. უიმედობისა და სასოწარკვეთილების, შავი სიტყვები

მიტო

მეხივით დასქევა მზესავეით ნათელმა, აღფრთოვანებით, გამარჯვებით, რწმენითა და ძალით აღსავსე წითელმა სიტყვებმა.

ავაკუში (ჯარისკაცი)

დაირხა ხმები: ხალიფები ერთის საათით. ავანტიურისტები! ბარბაროსები!

კუდრიაში

დასქევა ხმებმა: „გაუმარჯოს პროლეტარიატის ძალა-უფლებას.“
გაისმა სახელები კომისართა, კომუნის სამეფოსაკენ წინამძღოლთა,
—ლენინის ზინოვიევის, ტროცკის, ლუნაჩარსკის.

(უკანასკნელ სიტყვებს იმეორებენ ერთხმად ყველა სცენაზე და კულისებში მყოფნი).

ფ ა რ დ ა უ ა ნ ტ რ ა ქ ტ ო დ.

მეორე სურათი

ნაცრისვერ ფარდის ფონზე.

(კულისებში ისმის და ხმაურობს გამუდმებულის კენესით:)

-გვიშველეთ, გვიშველეთ.“

(ყველა შემომავალნი, გარდა „ფრენჩით“ მოსილისა, ლაპარაკობენ შეკუნ-
შულ ტონით, ისინი გრძნობენ, რომ გარემოცულნი არიან. და ფიქრობენ, რომ
ეს არის ერთად ერთი ალაგი, რომელსაც შეუძლიათ დაებლაუქონ და შესაძ-
ლებელია... და შესაძლებელია... თავს უშველონ. თავის გამოჩენა, გამოაშქარა-
ვება ნიშნავს დალუქვას.

(გამოდინ სხვა და სხვა მხრიდან)

ქალი ბრილიანტით

ისმის ხმაური, ჯახა-ჯუხი და ნაბიჯი, ნაბიჯი ნაბიჯი...

ქალი წარჩინებული

ოხ, ქვეყანად მოდის ქამი უდიდესი, ყველაფერს ამსხვრევს, ყველაფერს ანგ-
რებს... აჰა, ის მოლის, უზრდელი და მოუხეშავი...

კაცი სერთუკით

გიჟურ ქროლვაში
გზები დავეგუბა!
ლიციის სტუდენტი
სასახლეები სულ დაიღუპა,
დაწესებულება
და სამმართველო
შერყეს, გასვარეს!..

დეკადენტი ქალი

გიჟი ოკნების და სილამაზის
ყველა საფარი
შერყენილი არის!...

დეკადენტი

(იმეორებს დეკადენტი ქალის ძმურ ნათქვამს):

ვაჰარი

უფლის ტაძარი და კანონები,
და ქორწინება ნაკანონები
შერყენეს უღმერთოდ!..

კაცი ხერთუკით

მწარე დღეების გაეხდით ხიზანი,
მოკლეს ცხოვრების აზრი, მიზანი

ბიუროკრატი

(მასთან მოხელე, კანონების ვეებერთელა წიგნით. მღვდელი, სექტანტი ქალი, სექტანტი, მეეზრვე).

მხეცმა, აწყვეტილმა,

ჩვენ მიერ დატული

ყოელის საფუძველი —

კანონები წმინდა

შერყვნა, წაწყმინდა...

(სცენის სიღრმიდან სიგნალი მესაკრავისა. მასში ისმის რაღაც იმედების აღძურელი. — ისევ ხმები მესაკრავისა)

კაცი ფრენით

ამიერიდან

ყველა გრძობათა იღუმალთა წმინდათა წმინდა,

აწმუოს დიდება და წარსულის ნაშთი დიადი

ბარბაროსთ ფეხქვეშ დაუნდობლად განთხმული არის...

მაგრამ მე ამას მოუღებ ბოლოს. რკინითა და სისხლით გადაეხვეტა პიროსაგან მიწისა აჯანყებულ მონებს.

(კობტათ შემოკრავს ფეხს ფეხზე. დამებს გაუცინებს და ლამაზათათეს დახრის ბიუროკრატის მიმართ.)

(3 ა უ ზ ა)

(გამოჩნდება მატროსი და ჯარისკაცი, კაცი ფრენით თვალისდახამხამებანი იმალება).

(ნაწილი გამოეკიდება მას, გადაეჩეხებიან ბიუროკრატს და ბნელში კენესით იკლანებიან).

(3 ა უ ზ ა)

ფარდა უანტრაქტოთ

ციცაბო კლდის მწვერვალზე რ. კ. პ. (ასული, წითლად მოსილი) გულგაღელილი. თმებ—დაწეწილი. ტანისამოსი—შავი. მთელ ტანზე ჩამოფენილი აქვს წითელი ფარჩა. იგი დაშვებულია კლდეზე და ეფინება მიწას.

ასული დგას კლდის მწვერვალზე, მარჯვენა ხელში უპყრია ვინტოეკა. შარცხენაში—საყვირი. ირგვლივ კლდეებია, ფერდოეებზე—ბრძოლის შტაბი—ნიკიტა, მიტო და სხვები—მუშები და მუშა ქალები, ახალგაზრდები, მატროსები და ჯარისკაცები. ყველანი ვინტოეკებით. ეს არის ბრძოლა წითელი პეტროვრადისათვის, იუდენიჩის ბანდების წინააღმდეგ.

სიტყვები—მიმართული წითლად მოსილი ასულისადმი.

მ ი ტ ო

ჰოი, დედაო. საყვარელო. დედაე, საბჭოთა,
ჰოი. აკვანო უძვირფასეს საუკუნეთა,
შენ ხარ კუნძული, გამაჩვევების მზემ რომ აკოცა,
ზარი, მონათა შესაკრებად რომ გუგუნებდა.

ავაკუმი

შენ მონგოლეთის და აზიის ბასრი ბრკეალებით,
მპყრობელ მეფეთა ბატონყმური ხუნდით, მდალველით,
შემონთებული ვნებიანი ცეცხლის რკალებით—
მოხველ კომუნის ძვირფას დღეთა გამომსახველი!

კუდრიაში

როგორც კანდელი, სხივებს აფრქვევ გზა-არეულებს,
და ფიზელ გულებს ამღელვარებ ცეცხლის ალებით,
აჯანყებისკენ მოუწოდებ ძმებს, შორეულებს,
რომ გაარღვიონ სისხლიანი ყველა რკალები.

ნეფედიჩი

მხოლოდ შენ ერთი. შეუცვლელი, დაუღალავი
გმირულად ებრძვი ყველა ტირანს ხვალ-აღმართული. -
გულზე გაჩნია კრილობები, დაუთვალავი,
ბოროტ მტერთაგან ფოლადივით შემოსალტული...

მუშა კალი მარია

მე მესმის, როვორ გიძგერს გული, ათრთოლებული,
ვხედავ—სახეზე დაღლილობის ფერი ორწილობს...
მაგრამ კვლავ წინ, წინ! სჩანს სამანი ამიზნებული,
დაჰკრავს საათი, ძლევის ეამს რომ დაგაქორწილოت...

ეგნატე

აჲ იხნაურებს ქარიშხლის წინ გამოძახილი.
ყური მიაპყარ, აფეთქების ალი ენთება...
შებნდე, როგორ აციმციმდა ელვა გახრილი,
და თოჯის წამლებს უცნაური კვამლი ედება...
აჰა, ჰაერი ელექტრონით ჰფეთქს და მძიმდება,
ყველა ქვეყნები ვულკანების ალათ მღელვარებს ..
მე ვგრძნობ, რომ მალე ყველა გზები გადიწმინდება
ძმობა-ერთობის, სიყვარულის მზე იელვარებს...

ნიკიტა

ნესმის სამღერა, ჩვენის ჰიმნით სხივ-დანაფრქვევი,
და შორეული ნაბიჯების მწყობრი ხმაური...
ვხედავ ხრეგილებს... და სელას ხალხთა, ხმებით, ზღვაურით...
ბანკირთა ლენებს ბორკილების ჰუარავს ნამსხერვევი...

მე ეხედავ--შორით გარიჟრაჟი წითლად ციმციმებს,
უთვალავ დროშით დარბეული შვების ქარია...
და მის ქვეშ მდგარად, და გაბედულად მიაქვს სიმძინე
ჩვენსა მსოფლიო ამხანაგსა—პროლეტარიატს.

მიტო

ის მოდის, როგორც ტეცხლის ზეაეი. ქვეყნის მპყრობელი,
მთელი მსოფლიოს ძმურ ზეიმზე ძმური ნათელით...
დახავსებული, ყრუ ლოცვებით ბედის მგმობელი,
შიშით, ცახცახით მზეს შეეუბნებს ქვეყანა ძველი.

მარია

ცად აღიმართა მარმარილოს კოშკი, მაღალი:
მშრომელთა საბჭო მთელი ქვეყნის, გულის ნაწრთობი...
შენ ხარ, ძვირფასო, თავმჯდომარე მისი მაღალი,
შენით ამაყობს დედა მიწა—მწვეანე მნათობი.

ოლია

მე ეხედავ მიწას, ყვავილებით დამშვენებულსა,
შემომქმედ შრომის სინარულით სუნთქავს დამტკბარი...
შური, მკელელობა, ტანჯვა-კენესა არ ზღუდავს სულსა,
და დედამიწა სიყვარულის არის ტაძარი.

ნიკიტა

იყავ ამაყი,—მე განვსკერიტე შორი ზმანება,
მე—შენი შეილი და მებრძოლი—შენ გიერთგულეებ,
ჩემში ენთება შენი აზრი და გაქანება,
და შენ ჩემს გულში ამლეღვარებ—მილიონ გულეებს.
და მათის ძგერით მე მიეწვდები შორეულ კარებს,
უჩინარ დროთა ეპოქების გადავხსნი რეალებს,—
მარადისობა უკვდავების მზეთ იელვარებს,
და მთელ ქვეყანას სიყვარული მოაფრქვევს ალებს.

ნეფელიჩი

ქვეყანავ, ჩემო, საყვარელო, სისხლით იცლები,
მაგრამ ძმებს, გვიანს, მოუწოდებს წუთი ყოველი...
გულო მუშათა, შენს დროშებზე შენათეციები,
აღსდგება იგი, მძლეთა მძლევი, შენ რომ მოელი,

კუდრიაშა

ქვეყანავ, ჩემო, იყავ მტკიცე! ეამს-უქანასკნელს
უახლოვდება ელვარებით უცხო მზე იგი...
მთელს ქვეყანაზე აჯანყება აანთებს კანდელს...
თავისუფლების, გამარჯვების გელის ზეიმი.

ჰოი, აკვანო კომუნისა! მოუხმე ძალებს,
და ახალ ყოუნის სხივთა ელვა აციმციმდება...
ქარიშხლიანი ნიაღვარი სძლევეს ნაძირალებს
და ქვეყნად ძმობა შენის ბრძოლით დაგვირგვინდება!—
(ნიკიტა და მატროსი ბინოკლებით გაჰყურებენ შორს)

(პ ა უ ზ ა)

ასული. წითლად მოსილი

ქალაქო ბარიკადების,
წითელო და მშვენიერო,
უცხო მზით გაშუქებულო,
ოჰ, პიტროგრადო ძლიერო!

ქალაქო, უპირველესო,
შენ ახსენ ციხეს კარები...
მტერი ვერ ნახავს შენს ბჭეებს,
თუნდ სჩქედღეს სისხლის ღვარები.

მტერმა ვით ნახოს წითელი
დროშები დანამცირები...
და, თუ საჭირო იქნება,
უსიტყვოთ შევეწირები.

ქალაქო, უპირველესო,
შენ ახსენ ციხეს კარები...
მტერი ვერ ნახავს შენს ბჭეებს,
თუნდ სჩქედღეს სისხლის ღვარები.

(პ ა უ ზ ა)

ნიკიტა

ბრძოლაში მიდის რაზმი, მთავარი,
წინ—კურსანტების სულით მხნე ჯარი,
მშვენიერი და შეუპოვარი
მიეღინება მტკიცე შედგარი.

ასული წითლად მოსილი

წითელი ლაშქარი... მტკაცე ნაბიჯებით,
წითელ სახეებით, ბედნიერ თვალებით,
ხალხის სიხარული, რწმენის განმტკიცებით,
მიდიან სიმღერის ნათელ ბრწყინვალეებით.
ძალა უძლეველი და ძარღვებ—მაგარი...
მასთან შებრძოლებას, ახ, ვინ გაბედავს!
ძალები ხალხისა—წითელი ლაშქარი
ყველაფერს დაამსხვრევს, ყველაფერს დალეწავს.

წითელი ლაშქარი... გუგუნე, ზღვაური,
ნათელ აღმაფურენის ზღვებით გაფენილი,
ცეცხლოვან სტიქიის მტკიცე მეთაური,
უსაზღვრო სიერცემი მძლავრათ გაფრენილი.
მზისკენ გამარჯვების გმირებს მოუწოდებს
იმათი ბელადი, ხმებით უთვალავათ,
რომ მტრების ბანაკი ცახცახით გარბოდეს,
თვით კი წინ ვილოდეს მხნე. დაულალავი.
როგორც საზეიმოთ, ბრძოლებში მიდიან,
მათ არ დაივიწყებს ქვეყანა, შვებული,
მთელი დიდება, სახელი, ქებული!

კუდრიაში

ცეცხლის ზევეებით გადაიქრა ბრძოლაში წითელი მეზღვაურებიც: მატროსები.
კული-მედგარი მატროსები, მატროსები.

ასული, წითლად. მოხილი

გმირებო, ზღვათა ტალღებზე მფრინაო აღბატროსებო,
ქექა-ქუხილის სტუმრებო, უძლეო, მხნე მატროსებო,
გაფრენილი ხაბთ მარადის არწივის ფრთებით, ძლიერით, —
თქვენ გიმღერთ ლალის სიტყვების აციმციმებულ იერით.
თქვენშია მზის ბრწყინვალება და სტუქიონის ალები,
თქვენ ხართ თავისუფალი, უძლევი ქარიშხალები.
და თქვენს სიტყვაში წკრიბალებს ზღვათა უტეხი ძალები.
და ლაქვარდების სიშორით ანთებული გაქვსთ თვალები.
არ დაგითმიათ მტრისათვის ბრძოლები, სისხლით ნანამი,
და არა ერთხელ აღმართეთ თქვენ გამარჯვების ალამი.
ქვეყნის ზღვებმა და ნაპირმა რაც თქვენგან იბედნიერეს, —
შთამომავლობას უანბობს ამბებსა, უმშვენიესს.
გადაშლილ ასპარეზიდან მტერს უცქერთ თქვენ გახელებით,
მტკიცეთ გიპყრით ვინტოვკა ავტორთოლებზე ხელებით,
ყოველთვის მზათ ხართ გადიქრეთ, მტერი ჩასქედით რგოლებში, —
ასეთი იყავთ თქვენ მარად წითლად ანთებულ ბრძოლებში.
როგორც სალი კლდე აღსდექით თქვენ შეუღრეკელ ძალებათ,
თავისუფლების გუშაგად, კომუნის დამცველ ხმალებათ —
მიჯნასთან, სადაც ციმციმებს მუშის ნათელი იმედი,
სადაც კაშკაშებს, როგორც მზე, ბრწყინვალე წელი ჩვიდმეტა.
გმირებო, ზღვათა ტალღებზე მფრინაო აღბატროსებო,
ქექა-ქუხილის სტუმრებო, უძლეო, მხნე მატროსებო,
გაფრენილი ხაბთ მარადის არწივის ფრთებით ძლიერით, —
თქვენ გიმღერთ ჩანგი პოეტის ლალის სიტყვების იერით.

მტერი დამარცხდა, ამიერიდან წითელ ქალაქს ისინი ვერ ელირსებიან.
(მეორდება კოლექტიურად)

ახული. წითლად მოსილი

ქალაქო ბარიკადების,
წითელო და მშვენიერო,
უცხო მზით გაშუქებულო,
ო, პეტროგრადო ძლიერო!
ქალაქო, უპირველესო.
შენ ახსენ ციხის კარები...
მტერი ვერ ნახავს შენს ბჭეებს,
თუნდ სჩქედდეს სისხლის ღვარები!..

ნიკიტა

წითელმა ქალაქმა შესძლო თავის დაცვა. მტერი დამარცხდა. წითელ ქალაქს ამი-
ერიდან ის ვერ იხილავს. (მეორდება კოლექტ.)

ფარდა ნელა ეშვება.

პ. მებრალიშვილი.

ვინ გაიმარჯვებ?

აგიტ. პიესა 4 მოქმ.

(დალესტნის რევ. ცხოვრებიდან)

უკლვნი ამხ. სერგო მებრალიშვილს

შინ გზიგარჯვა?

მომკმედი პირნი:

- 1) პეტროვი, იაკობ პავლესძე. { გენერალი 60 წ., სამხედრო ტანისა-
მოსში, ხმალი და რევოლვ. ჰკილია,
სამხედრო საველე სასამართლოს თავ-
მჯდომარე.
- 2) ხანბეკოვი, მუსლიმ ომარისძე. . . { პოლკოვნიკი 45 წ.,
სამხ. ტანის.. იმპალი } სამხ. საველე სა-
და რევოლ. ჰკილია | სამართლოს წევ-
რები.
- 3) კოროლიოვი, მიხეილ გრიგოლისძე { კაპიტანი. 30 წ.,
სამხ. ტანის., ხმალი }
და რევოლ. ჰკილია |
- 4) სლეპოვი. . . პორუჩიკი, 25 წ., სამხედრო ტანისამოსში
მდევანი სასამართლოსი.
- 5) მირზოევი. სოფლის მეუბა, 25 წ.- ჩერქესკა აცვია
- 6) ბედნოვი. ქარხნის მეუბა, 40 წ. { სასამართლოში მი-
ცემული კომუნის-
ტები.
- 7) ბორცოვი კანცელარიის მოხელე, 32 წ.
- 8) მაგომაევი სოფლის მასწავლებელი, 30 წ.
- 9) ჯაფაროვი. უბრალო კოსტიუმში, 40 წ., ბუხრის ქუდი ხურავს, იარაღშია.
რევოლიციონერ კომ. თავმჯდომარე.
- 10) კავაზოვი. { სამივეს ჩერქესკა აცვიათ. } რევოლიუციონური კომიტეტის
11) მუსხუდინოვი { რევოლუერი და ხანჯალი } წევრები.
- 12) ისლამოვი. { ჰკილიათ. }
- 13) გუსენოვი. . . 25 წ., რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.
- 14) სმირნოვი . . . 25 წ., წითელ ოფ. ფორმაში— სამხ. კომ. და ჯარის უფრ.
- 15) კარიბოვი . . . 35 წ., პეტროვსკიდან ჩამოსული აშხანავი.
- 16) შუბინი. . . მეშის ტანისამოსში—პეტროვსკის კომპ. თავმჯდომარე.
- 17) პარმენოვი . . . 30 წ., რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე.
- 18) სუხოვსკი . . . 28 წ. }
- 19) პენიაევა . . . 25 წ. } ტრიბუნალის წევრები.
- 20) ბრალმდებმლი. . . ახალგაზრდა კომუნისტი.
- 21) დამცველი ქალი. 25 წ.
- 22) მოსკოვიდან ჩამოსული აშხანავი.
- 23) საველე სასამართლოს საგანგებო ოფიცერთა გუნდი. . 6 კ. ოუიკრ. ტანის.
- 24) დარაჯი. . . სამხედრო საველე სასამართლოსი.
- 25) წითელ-არმიელები.
- 26) ზ ა ლ ხ ი.

მოქმედება პირველი.

პიოველი მოქმედება სწალობებ ჭალაქ პეტროვსკაში 1919 წ. სენა წარმოადგენს მოხრდულ დაზახს. მარჯვნივ სდვას მაგიდა სამხ. საე. სასამართლოს წევრებისა და მდივნისათვის. მარჯვნივ ზრძელი სკამი დამნაშავესათვის. კედლებზე კოლჩაკის, დენიკინის და სხვა ლენერლების სტრალები ჭკიდა. ოოდესაც ფარდა აიხდებდა. სენა ცარიელია. შემდეგ შემოდინ სამხ. საეველ სასამართლის წევრებო. პეტროვი იქურს შუა ალაგს მაგიდასთან. ხანბეკოვი და კოროლიოვი იქით-აქეთ შოუსხლებან. მღივანი მაგიდის თავში დაჯდება. ყველანი თამბაქოს ეწეიან.

მ ა მ მ ს ვ ლ ა I.

თავმჯღ.—დღეს. მგონი. ოთხი „რაზბოინიკი“ ბოლშევიკები უნდა გაეასამართლოთ!

მღივანი—დიახ, ოთხი. თქვენო აღმატებულებავ!

თავმჯღ.—მაღე ნოვრჩეთ მათ საქმეს, თორემ პოლკოვნიკ ხანბეკოვს ლიუბა ანდრეევნა უტდის (ყველანი იცინიან). ლმერთმანი, მიკვირს, რისთვის არსებობს ეს ზედმეტი გაქიანურება, ბოლშევიკების გასამართლება? ჩვენ ხომ სიკვდილით დასჯის განაჩენი უნდა გამოუტანოთ მათ. ამას გეიკარნახებებს ჩენი სინილისი და ბრძანებაც ასეთი გვაქვს. აილონ და ჩამოკილონ გაუსამართლებლად. მორჩა და გათავდა. ფორმალურ მხარეს, თუ ეს აუცილებელია, კაბინეტშიაც შეგვასრულებთ. ჩვენ საქმის მსვლელობა შევამოკლოთ. რა საქირია მისი გაქიანურება?

კოროლიოვი—ჩემის აზრით, აგრე უნდა მოიქცეს მთავარ სარდალი დენიკინი. გამოსცეს ბრძანება, რომ მოაგროვონ სადმე ერთად ყველა ბოლშევიკები და მათი თანამოაზონი. დაუდგან ტყვიის-მფრქვეველები და გასწმინდონ რუსეთი ამ არამხადებისაგან.

ხანბეკოვი—ვითომდა. ისინიც სოციალისტებია. მე მრწამს სოციალისტობა მილიტოვის, გუჩკოვის და სხვების. მე მათი მონხრე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები.

თავმჯღ.—(მღივანს) დამნაშავენი მოიყვანეს?

მღივანი—მოიყვანეს, თქვენო აღმატებულებავ!

თავმჯღ. დაუძახეთ. შემოიყვანონ (მღივანი გადის და მაღე უკანვე ბრუნდება. საგანებო ოპირთა რაზმს შემოყავთ დამნაშავენი. მათ გააჩერებენ მათთვის მონხადებულ ადგილას. დარაჯები უკან გაუჩერდებიან. დამნაშავენი და მთავრული ზიხლით უცქერიან ერთმანეთს. დამნაშავენი მთელი სასამართლოს მსვლელობის დროს, მხნედ არიან და დამშვიდებულნი).

ბ ა მ ო ს ვ ლ ა II.

ოგინიე, დარაჯები და დანაშაუნი: ნირზოევი, ბედნოევი, ბორცოვი, მაგო-
მაევი.

თავმჯდ.—სამხედრო საველე სასამართლოს სხდომას გახსნილად ვაცხა-
დებ. (დანაშაუნი ნირზოევს) შენი გვარი—სახელი, მამის სახელი?

ნირზოევი—ნირზოევი. მაგომედ ნირზასძე.

თავმჯდ.—რამდენი წლისა ხარ?

ნირზ.—25 წლისა.

თავმჯდ.—პროფესია?

ნირზ.—სოფლის მეურნე.

თავმჯდ.—რომელი გუბერნიისა ხარ?

ნირზ.—დალესტინის ოლქისა.

თავმჯდ.—რომელ პარტიას ეკუთვნი?

ნირზ.—(მხნედ უპასუხებს) რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

თავმჯდ.—დაჯექი (ბედნოევს) შენი გვარი, სახელი, მამის სახელი?

ბედნოევი.—ბედნოევი. ივანე ანტონისძე.

თავმჯდ.—რამდენი წლისა ხარ?

ბედნოევი.—40 წლისა.

თავმჯდ.—პროფესია?

ბედნოევი.—ქარხნის მუშა.

თავმჯდ.—რომელი გუბერნიისა ხარ?

ბედნოევი.—ასტრახანის.

თავმჯდ.—რომელ პარტიას ეკუთვნი?

ბედნოევი.—(მხნედ) რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

თავმჯდ.—დაჯექი. ბორცოვის, შენი გვარი, სახელი, მამის სახელი?

ბორც.—ბორცოვი. ნიკოლოზ პეტრესძე.

თავმჯდ.—რამდენი წლისა ხარ?

ბორც.—32 წლისა.

თავმჯდ.—პროფესია?

ბორც.—კანცელარიის მოხელე.

თავმჯდ.—რომელი გუბერნიისა ხარ?

ბორც.—სამარის.

თავმჯდ.—რომელი პარტიას ეკუთვნი?

ბორც.—(მხნედ) რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

თავმჯდ.—დაჯექი. (მაგომაევს) შენი გვარი, სახელი, მამის სახელი?

მაგომაევი.—გთხოვთ მელაპარაკოთ არა „შენ“-ოდით, არამედ „თქვენ“-
ობით. ამას მოთხოვს უბრალო ადამიანი ზრდილობა.

თავმჯდ.—როგორ ბედავ, შე ძაღლო, ზრდილობის სწავლებას? შენ ვის
რა უნდა ასწავლო? მე ვიცი ვის ველაპარაკო შენობით და ვის თქვენობით.
(მდივანს) გთხოვთ მონათესაოთ ოქმი და მითხრათ, გვარი, სახელი, მამის სახელი
და სხვა.

მდივანი—ეხლავე (კითხულობს) მაგომევი. აბას მაგომასძე, 30 წლი-
სა, სოფლის მასწავლებელი, მცხოვრები დაღესტანის ოლქისა...

თავმჯდ.—რომელ პარტიას ეკუთვნით, ბატონო აბას მაგომასძე?

მაგომ.—(მხნედ) რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

თავმჯდ.—დაბოძანდით აბას მაგომასძე! (მდივანს) წაიკითხეთ ოქმი მათ
უანაშაულობის შესახებ.

მდივანი—(წამოდგება და კითხულობს) 1919 წ. მაისის 2, მე, საგანგებო
რაზმის უფროსმა მივიღე ცნობა ჩემი აგენტებისაგან, რომ მეფის ქუჩაზე, ოცდა
ოთხ ნომერ სახლში, თავს იყრიან ხალხის მოლაღატენი და რუსეთის გამყიდ-
ველნი. ბოლშევიკები. გავეშურე რა, იქ, ჩემი რაზმით, შამოვარტყი სახლს ალყა.

და ერთ ოთახში აღმოვაჩინე ოთხი კაცი. მირზოევი, მაგომევი, ბორცო-
ვი და ბედნოვი. ისინი რალაცაზედ ისე გაცხარებულად მსჯელობდენ, რომ ჩე-
ნი მისვლა ვე-ც კი შეამჩნიეს. როდესაც უბრძანე - ხელები ასწით თქვა—წარ-
მოსტყვეს: -ჯალათები მოვიდნენო!..- სხვა ქალაღებთან, აღმოჩნდა ერთი რა-
დიო მოსკოვიდან შემდეგი შინაარსის: -დაღესტნის ოლქის კომუნისტურ კო-
მიტეტს: შავი რეაქციის მოციქულები გვამარცხებს. ირგვლივ რკინის რკალი
წაშოვარტყეს. რევილიუცია განსადელშია. გვეაღებათ მოაწყით დაუყონე-
ბლივ აჯანყება მთელ ოლქში. მსხვერპლი ნუ შეგამინებთ. ეცადეთ აჯანყებამ
ღართე ხასიათი მიიღოს, რათა მტერი იძულებული შეიქნას მოხსნას ჯარის ნა-
წილი, მთავარ ფრონტზე, და ჩვენ საშვალება მოგვეცეს ჯერ მათი გამკლავების
შემდეგ, კი დამარცხებისა. რუსეთის კომუნისტურ ცენტრალნი კომიტეტი?.

როდესაც შევეკითხე, სად გაქვთ რადიო საღგური თქვა.—ღაციწვით მი-
ქასუხეს: -კიბეშიო!- რამდენი არ ვაწვალე შემდეგ, ვერ აღმოვაჩინე რადიო
საღგურის არსებობის აღგილი. თან აღმოაჩნდათ ერთი მილიონი ფული. რაიც
აჯანყების მოსაწყობათ ქონდათ, მათი განცხადებით. ეს ოქმი ეგზავნება და-
ღესტნის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს, საგანგებო რაზმის უფროსი შტაბს-
კაპიტანი ზვეროვი.

გადაეცეს სამხედრო-საველე სასამართლოს. სამხედრო გენერალ-გუბერნა-
ტორი ვზიატკოვი.

თავმჯდ.—(პოლკოვნიკ ხანბეკოვს) გთხოვთ დაუსვათ კითხვები, მე რალაც
შეუძლოთ ვარ.

ხანბეკოვი—ღიღი სიამოვნებით. (მირზოევის) დამნაშავე, მირზოევი! გრძობ
თუ არა თავს დამნაშავეთ იმაში, რომ თქვენ გინდოდათ მოგეწყობთ აჯანყება
და დაგემხოთ არსებული მთავრობა?

მირზოევი—ეგ დანაშაულობა არ არის, ეს ყველა კონუნისტის წმიდა
რევილიუციაა.

კოროლიოვი—ამ მოვალეობის სისრულეში მოსაყენად თქვენ სხვს და სხვა სა-
შვალებაც გქენებოდათ. როგორც, მაგალითად წითელი ჯარი?

მირზოევი—ეგ ჩენი საიდუმლოებაა.

ხანბეკ.—დაჯექი. ზედნოვ! გოდნობ თუ აზა თავს დამნაშავედ იმაში, რომ თქვენ გინდოდათ მოგცნოთ აჯანყება და ამით შეგესუსტებოდათ მთავარი ფრონტი, რომ მტერს ადვილად შესძლებოდა ჩვენი დამარცხება?

ბედნოვი — ეგ, ჩემის აზრით, დანაშაულობა არ არის.

თავმჯდ. — დაანებეთ თავი. შეეკითხეთ შემდეგს.

ხანბეკ.—ბოოცოვ! გოდნობ თუ აზა თავს დამნაშავედ იმაში, რომ თქვენ გინდოდათ არსებული წესწყობილების გადატრიალება?

ბორც. — თქვენი მსოფლმხედველობით, დამნაშავე, ჩენით — კი-არა.

ხანბეკ.—დაჯექი. მაგომაევი—გოდნობ თუ არა თავს დამნაშავედ იმაში, რომ თქვენ გინდოდათ არსებული მთავრობის დამნობა და მის მაგიერ საბჭოთა ხელის-უფლების დამყარება!

მაგომაევი — კი — დამნაშავე ვარ იმაში, რომ მე მიწოდდა და დღესაც მიწადა საბჭოთა ხელის უფლების დამყარება, ნაცკლად ბურჟუაზიის მეფობისა.

თავმჯდ. — რა საშუალებით გინდოდათ თქვენ ეს?

მაგომაევი — რასაკვირველია. იარაღით! ისე ხომ არ დათმობს ბურჟუაზია თავის მეფობას!

თავმჯდ. — (კოროლიოვს და ხანბეკოს) გაქვთ რაიმე შეკითხვა? (ისინი უარს ამბობენ) მირზოევი — შენ გეძლევა უკანასკნელი სიტყვის ნება.

მირზოევი — მე უარს ვაცხადებ უკანასკნელ სიტყვაზე, იმიტომ რომ, მა. არავითარი მნიშვნელობა არ ექნება სასამართლოს მსჯელობაზე.

თავმჯდ. — დაჯექი. ბორცოვი — შენ გეძლევა უკანასკნელი სიტყვის ნება.

ბორც. — მეც უარს ვაცხადებ. ვამბობ მხოლოდ, რომ მე კომუნისტი ვარ, და ამით თავიც მომწონს.

თავმჯდ. — დაჯექი. (დაცინვით) მაგომაევი, აბას მაგომას ძევ, თქვენ გეძლევათ უკანასკნელი სიტყვის ნება.

მაგომაევი — მე მსურს ვისარგებლო თქვენი გულ-კეთილობით, და რამდენიმე სიტყვა გითხრათ, თუმც ეს თქვენთვის ფუჭი იქნება, მაინც ვერ მიხვდებით.

თავმჯდ. — თუ ასეთი სიტყვები იხმარეთ, მე სიტყვის ნებას წაგართმევთ.

მაგომაევი — ეცდებით. ის, რომ ჩვენ დღეს აქ ვზივართ დამნაშავეთა სკამზე, გასაკვირალი რამ არის. იმის მაგიერ, რომ აქ ისხდნენ ხალხის მუკლფეულნი და პასუხს აგებდნენ მის წინაშე, ჩვენ ვზივართ, მათი მოსარჩლენი, თქვენ რომ გელაპარაკოთ იმ იდეაზე, რასაც კომუნისტი ქადაგებს, ვერას მისწვდებით. შეიძლება მიხედეთ, მაგრამ სულ-სხვა დასკვნა გამოიტანათ. ამიტომ ამაზედ თქვენთან ლაპარაკი წყლის ნაცვა იქნება...

თავმჯდ. — უკანასკნელათ გაფრთხილებ — ილაპარაკეთ თავის გასამართლებლად რაიმე. ჩვენთვის ავტიტაცია არ არის საჭირო, ვიცით, ვინც ბრძანდებით.

მაგომაევი — რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო თავის გასამართლებლად, მაინც არაფერი გამოვა. ვიცი, განაჩენი სიკვდილით დასჯა იქნება. აბა, სხვა ვინ დაინდევთ ჩვენი ამხანაგები, რომ ჩვენ დაგვინდოთ? მაგრამ ხედავთ, როგორ ვეგებებით ჩვენ სიკვდილს? — შუბლ შუხრულად. იმიტომ რომ გვრწამს, ჩვენი

სიკვდილი რევოლუციის მსვლელობას არ შეაჩერებს და არ გაივლის ერთი წელი, რომ აქ აფრიადდება წითელი დროშა; ძმობა-ერთობისა, ნამგლითა და ჩაქუჩით— საერთაშორისო პროლეტართა გერბით. ჩვენ საერთო საქმისთვის ვზრუნავთ, ჩვენთვის პირადად „მე“ არ არსებობს. დეე, ჩვენ მოვკვდეთ, ოღონდ კომუნამ კი გაიმარჯვოს! ეს არის ჩვენი სურვილი.

ჩვენ ადვილს კი აქ—(უჩვენებს დამნაშავეთა სკამებზე) თქვენ დაიქერთ. ნახავთ. როგორ ხასიათზე დადგებით მაშინ, როგორ დაუწყებთ ხვეწნას მსაჯულებს, რომ სიცოცხლე გაჩუქონ. მაგრამ ნუ გეშინიათ მუშურ-გლეხური მთავრობა არ იქნება დაინტერესებული თქვენი სიკვდილით, ის თქვენ გამუშავენს და ამით საარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს. იცოდეთ, გაიმარჯვებს ის, ვინც მდგრად ადგია თავის რწმენას და არასოდეს მას არ ლალატობს, ვინც შუბლ-შეუხრელად ადის თავის რწმენისთვის სახრჩობელაზე. ასე მდგრად კი, რუსეთში ადგია რწმენას კომუნისტური პარტია, და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩება. ამის ნიშანი დღეს უკვე სჩანს იმ ფრონტებზედ. რომელზედაც ომს აწარმოებს საბჭოთა მთავრობა, ბურჟუაზიის და მათ ლაქიების წინააღმდეგ...

თავმჯდ.—მე მოვიკრიბე მოთმინება და გისმინე შენ, მაგრამ შენს სიტყვებში ვერაფერი ვპოვე საგულისხმო. ეხლა კი სიჩუკის ნება გერთმევათ. ჩვენ უფრო კარგად ვხედავთ, თუ ვინ გაიმარჯვებს. დღეს, თუ ხვალ მოსკოვი ჩვენს ხელში იქნება და მაშინ, ლენინს და ტროცკის გამოკვიდებთ ერთ ბოძზე (დახედავს საათს) სასამართლო ომდის განაჩენის გამოსატანათ (პეტროვი, ხანბეკოვი. კოროლიოვი და სლუპცოვი გადიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

(რამდენიმე წუთს სიწყნარა)

მაგომაევი—(ამხანაგებს) ნუ გეშინიათ, ამხანაგებო! ყველანი სიკვდილის შვილი ვართ. ჩვენ არაფერს არ შევადგენთ რევოლუციისათვის. მდგრად უნდა შევხედეთ სიკვდილს. საბოლოო გამარჯვება ჩვენების იქნება: კომუნიზმი გაიმარჯვებს! კომუნიზმის იდეია უკდავია. ჩვენს საქმეს ჩვენი ამხანაგები განაგრძობენ.

I დარაჯი—გაჩუმდი, შე ძაღლო! რა ბედნიერებაა. რომ შენ ხვალის იქით აღარ შეგძლეება ლაპარაკი! (დარაჯები იცინიან)

II დარაჯი—გახსოვს, გუშინ წინ რომ ჩამოვახრჩეთ, ისიც აგრე ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ როდესაც თოკმა მოუქირა კისერში, ჩაჩუმდა სამუდამოდ, ამასაც ეს დღე მოელის.

III დარაჯი—მე ყოველთვის ვეხვეწები გენერალს. რომ წამიყვანონ მაგათ დასჯაზე. ისეთი სიამოვნების ერუანტელი დამივლის ტანში, როდესაც ჩამოვიდებენ მათ, რომ, ასე მგონია, ვერიჩკა მომეხვია კისერზე და მკრცნის თქვა.

I დარაჯი—შენ მუღამ, შენი ვერიჩკა გახსოვს. (იცინიან)

დარაჯთა უფრ.—კარგი, გაჩუმიდით. თორენ, სადაც არის, სასამართლო გამოვა. მათ წინ და წინ აქვს განაჩენი შედგენილი. მდივანმა სლუპკოვმა ის სასამართლოს მსჯელობას დაწყებამდე შეადგინა. იქ წაიკითხავს და ხელს მოაწერენ. მგონი კიდევ მოდიან (ყველანი კარებისკენ იუფრებიან. ცოტა ხნის შემდეგ შემოდინ სასამართლოს წევრნი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

იგინივე და სასამართლოს წევრნი.

თავმჯდ.—(ყველანი ფეხზე დგანან. კითხულობს) სამხრეთ რუსეთის მობალისეთა ჯარის მთავარ სარდალი გენერალ დენიკინის სახელით, სამხედრო საველე სასამართლომ შემდეგი შენაღებლობით: თავმჯდომარე—გენ. პეტროვი, წევრები: პოლკ. ხანბეკოვი და კაპ. კოროლიოვი, მდივანი-პორუჩიკი სლუპკოვი, თავის სხდომაზე, 1912 წ. 25 ივნისს. გააჩია რა საქმე № 106, მიწოვევის, მაგომაევის, ბორცოვის და ბედნოვის, რომლებსაც ბრალად ედებათ კომუნისტური პარტიის წევრობა და არსებული მთავრობის დასამხობათ აჯანყებების მოწყობა, რომელი ბრალდებაც დამტკიცდა ძიების დროსვე და ეს დამნაშავეთაც არ უარყვიათ, ამიტომ სასამართლო გამოვიდა და ბრალდებიდგან, ადგენს: მიწოვევს, მაგომაევს, ბორცოვს და ბედნოვს, როგორც რუსეთის ხალხის მოლაღატეებს, მიესაჯოს სიკვდილი—ჩამობრზობით. დადგენილება ეს სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი 24 საათში, ქალაქის მოედანზე. (დარაჯთა) გუნდი ტაშს უკრავენ და მათ სახეზე მხიარულება გამოიხატება).

თავმჯდ.—გაიყვანეთ დამნაშავენი. (გაყავთ).

გ ა მ ო ს ვ ლ ა V.

სასამართლოს წევრნი და მდივანი

თავმჯდ.—რა დავილაღე. ეხლი კი თავისუფალნი ვართ. თქვენ, პოლკოვნიკო, გასწით ლიუბა ანდრეევნასთან, თქვენ კაპიტანო, ღვინით სავსე პოთლები გიცდის კლუბში. მე კი წავალ და ცოლს ვახარებ, რომ პეტრის რიცხვი ოთხი კაცით შემცირდა თქვა. (გაღიან)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VI.

(სცენა ცოტა ხანს ცარიელია. შემდეგ შემოდის დარაჯი ცოცხით და შუა აღაგას გაჩერდება) მტრის რიცხვი ოთხი კაცით შემცირდაო, ის კი არ იცის მისმა ფუტურთო თავმა, რომ ამ ოთხი ამხ. კომუნისტის სიკვდილით დასჯით, მათზე გენერლებს მოემატა ოთხი ათასი მტერი. ნეტავ, მალე მოვიდოდეს ჩვენი მხსნელი წითელი ჯარი. (დაიწყებს ოთახის გალაგებას).

ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

მოკმელება მეორე.

მეორე მოკმელება აწარმოებს დაღესტნის მთებში სოფელ აწ, სადაც არის მთავარი შტაბი აჯანყებულთა და რევოლუციონური კომიტეტი. სცენა წარმოადგენს მოზრდილ დაბალ ოთახს. რომელსაც ერთი კარი აქვს, ორი ფანჯარა. მარცხნივ დგას ერთი მაგიდა, ზედ აწყვია სხვა და სხვა წიგნები, და საწერ-კალამი. მარჯვნივ მეორე მაგიდა, იმაზედაც ქაღალდები და საწერ-კალამია. კედლებზე გავსილია ქაღალდები, სხვა და სხვა ლოზუნგებით სოციალურ რევოლუციისა. როდესაც ფარდა აიხდება, ერთ მაგიდასთან ზის რევოლუცი. კომ. თავმჯდომარე. ჯაფაროვი, და სწერს. რევოლუციონერი მაგიდაზე უდევს.

ზ ა მ ო ს ვ ლ ა I.

(ჯაფაროვი მარტო).

ჯაფაროვი—მაშ, აგრე. მოწოდება ხალხისადმი მზად არის. ხალხი მონჯადებული უნდა იყოს, რომ პირველ დამახილზე იარაღით ეკვეთოს მტერს, შავი რეაქციის მოციქულებს, დენიკინს და სხვებს. მე იმედი მაქვს. დაღესტნელების, რომ თავისუფლებისათვის თავს არ დაზოგვენ. მათ ყოველთვის უყვარდათ თავისუფლება და მას ისინი უთუოდ არავის დაუთმობენ. (გაივლ-გამოივლის) კარგი ხანი გადის, რომ პეტროვსკიდან არაფერს იტყობინება ამხ. მაგომაევი. ნუ თუ ვერ მოაწყო საქმეები? ვერ შეაჯგინა რაზმი? ჩვენ უცდით იძის ცნობას, რომ შემდეგ ვიმოკმელოთ. (შემოდის მდივანი გუსეინოვი).

ზ ა მ ო ს ვ ლ ა II.

(ჯაფაროვი და გუსეინოვი).

გუსეინოვი—ამხ. ჯაფაროვი—კარიბოვი ამოვიდა პეტროვსკიდან. (გუსეინოვი მაგიდას მიუჯდება, ჯაფაროვი კარებისაკენ მიდის).

ჯაფაროვი—(კარებიდან ელაპარაკება) მობრძანდი, ამხანაგო! რა ამბავი მოგვიტანე ახალი?

კარიბოვი—(შემოდის და მიესალმება) კარგი ვერაფერი. კომუნისტური პარტიის პეტროვსკის კომიტეტმა დამავალა გადმომეცა თქვენთვის, რომ თქვენი გამოგზავნილი ამხანაგები: მაგომაევი, ბარცოვი და სხვები დაიჭირეს და ჩამოახრეს. (ამის გაგონებაზე ჯაფაროვის ძლიერ აღელვება ემჩნევა და სკამზე მოსხლეტით ეშვება).

ჯაფაროვი—ნუ თუ მართალს ამბობ? მაგომაევი—ჩვენი საუკეთესო ამხანაგი და საშავალითო მებრძოლი ჩამოახრეს? ვის ქონდა უფლება, რომ ისეთ:

სპეტაკ აღმზიანს შეხებოდა? (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მიაშბე, ამხანაგო, როგორ შობდა ეს?

კარიბოვი—(დაჯდება) ნაგომადევი ხშირად იწვევდა კრებებს სხვა და სხვა კითხვების გამოსარკვევად, მაგრამ მოხალისეთა ჯარის აგენტებმა ვერ იპოვეს. ბოლოს როდესაც, მან მიიღო თქვენგან ასლი რადიო დეპეშისა, მოიწვია ამხანაგები. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ძალა ეყოლებოდათ აჯანყების მოსაწყობათ და უნდა შემემუშავებით აჯანყების გეგმაც. მსუწავს მტერს აუსრულდა თავისი წადილი და გაიგო კრების ადგილი. ჯერ კიდევ ოთხნი იყვნენ მოსულნი, რომ შემოარტყეს ალყა და დაიკირეს ოთხივე. მათში მოყვა მაგომადევიც — მათი საქმე გადასცეს სამხედრო საველე-სასამართლოს და მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, რაიც სისრულეში იქნა მოყვანილი. ამბობენ, სასამართლოში ძლიერ ყოჩაღად ეკირათ თავი და შუბლიც არ შეუხრიათ. როდესაც მათ გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი.

ამხანაგებმა დამავალეს გადმომეცა. რომ მუშაობა მათი სიკვდილით ცოტა შეფერხდა, მაგრამ ეხლა კვლავ გაორკეცებულ ენერჯით სწარმოებს. რამდენადაც მეტ რეპრესიებს მიმართავს მტერი ჩვენს წინააღმდეგ, იმდენად მეტი იქნება ჩვენსკენ ხალხის თანაგრძნობა. მტრის ჯარში კომუნისტური მუშაობა სწარმოებს და არის იმედი, რომ, ჩვენს პირველ შეტევაზე, მტრის მთელი ვარნიზონი ქალაქში ჩვენსკენ გადმოვა.

ჯაფაროვი—(წამოდგება; ამხანაგო, მაგომადევი! ვფიცავ შენს ხსოვნას, რომ იმ იდეას, იმ რწმენას, რომელსაც ჩვენ ვატარებდით ერთად. არ ვუღალატო და განუახორციელო, ან სიკვდილი ან გამარჯვება. სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს. შენმა სიკვდილმა მეტი ენერჯია შთაბერა ამ ბრძოლაში, ბრძოლაში სოციალიზმისათვის, (გუსეინოვს რომელიც თავ ჩალუნული ზის) ამხ. გუსეინოვი! რას ჩაფიქრებულხარ! თავი რად დაგიხრია? რათ სტირი? ცრემლები არ არის კომუნისტის საქმე, ეს ლაჩრების მოვონილია. ჩვენ ვიბრძვით და ბრძოლა უმსხვერპლოთ არ იქნება. (გუსეინოვს მეტი აღელვება ემჩნევა).

კარიბოვი—მტერს გაუგია რომ აქ რადიო სადღური არსებობს. არის მზადება, რომ ზარბაზნის ყუმბარით დაანგრეოს, ამიტომ მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ჯაფაროვი—ეგ არაფერია—ისინი მთებში შემოსვლას ვერ გაბედავენ, ეაი მათ დღეს: ერთიც ვერ დაბრუნდება უკან. ამხ. კარიბოვი, შენ რომელი გზით ამოდი? ამბობენ. გზები ძლიერ შეკრულია!

კარიბოვი—დერბენტიდგან ლევაშზე ამოვედი, იქიდან—ხოდალმახოზე.

ჯაფაროვი—როგორი შთაბეჭდილება გამოიტანე, ხალხი ხომ ჩვენსკენ იქნება!

კარიბოვი—ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია; გავსცემთ თუ არა მოწოდებას, ყველა ფეხზე დადგება, როგორც ერთი კაცი, და მტერს ეკვეთება..

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

(იგინივე და სმირნოვი).

სმირნოვი—(წითელ ოფიცრის ფორმაში. პირზე ღიმილი უთამაშებს და სიმზიაოულე ეტყობა) გამარჯობათ, ამხანაგებო! რაზედ მოგიწყენიათ? გამარჯვება ჩვენების არის. აი წაიკითხეთ რადიო მოსკოვიდან. (გადასცემს ჯაფაროვს).

ჯაფაროვი—(კითხულობს) მტერი სასტიკად მარცხდება. ის უკუქცეულ იქნა ტულის მიდამოებიდან, და აწრაფად იხევს უკან. ჩვენმა სახელოვანმა წითელმა ჯარმა დაიკავე არიოლი, ვორონეჟი, კიევი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, ჩვენი კავალერია სდევნის მტერს. გვეალებათ, თქვენც დაუყონებლივ დაიწყეთ შეტევა, რომ არ მიეცეს მტერს საშუალება გამაგრდეს სადმე. სასწრაფოდ აცნობეთ ეს ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებს ჩრდილო-კავკასიაში. რევოლიუცია მოითხოვს თქვენგან ეხლა მეტი ენერჯის და სიფხიზლის გამოჩენას. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას. რუსეთის ცენტრალური კომუნისტური პარტიის კომიტეტი.

დღევანდელი ცუდი ამბავი სიხარულით შეგვეცვალა. ამხანაგ მაგომაევის და სხვების სიკვდილი რას ნიშნავს იმ გამარჯვებასთან, რომელიც მოუპოვებია წითელ ჯარს. რაკი მტერმა ერთხელ დაიხია უკან, ის ვერსად გამაგრდება. ხალხს ის სძულს, და ყველგან ზურგში ჩასცემს მახვილს.

სმირნოვი—(გაკვირვებით) რომელ მაგომაევის სიკვდილზე ამბობ, ამხანაგო?

ჯაფაროვი—მაგომაევი, აბასი, ბედნოვი, ბორცოვი და სხვები ჩამოუხრჩვიათ პეტროვსკში. მაგრამ ეხლა ჩვენ ამაზედ ლაპარაკის დრო არა გვაქვს. სასწრაფოთ მოვიწვიოთ რევოლიუციონური კომიტეტის სხდომა, და უკანასკნელად გადავსკრაოთ საკითხი პეტროვსკზე გალაშქრებისა. ამხ. გუსეინოვო, დაუძახეთ წევრებს, მგონი მეორე ოთახში არიან. (გუსეინოვი მოდის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა V.

(იგინივე გუსეინოვის გარდა).

ჯაფაროვი—ამხანაგო კარიბოვო, შენ მოღალღული იქნები, წადი მეორე ოთახში და დაიძინე, თორემ ხვალღიდან ძილის დრო აღარ გვექნება. (კარიბოვი გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VI.

(იგინივე კარიბოვის გარდა).

სმირნოვი—საუკეთესო ამხანაგი, მომზადებული, პატიოსანი გამოგვლიჯეს იმ ჯალათებმა ხელიდან. (ჩაფიქრდება) ვფიცავ, ამხანაგებო, თქვენ ხსოვნას, რომ მოკლე დროში, მთელ რუსეთის ტერიტორიაზე წითელი დროშას ავაფრია-

ლებთ და გავსწმენდთ მას, იმ არამზადა გენერლებისაგან და ყველა მავნე ელემენტებისაგან, ვინც კი ბედავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას.

ჯაფაროვი—შემდეგ კი, ევროპის ბურჟუაზია უნდა ჩამოვავდოთ ტახტიდან. ეხლა სამკვდრო სასიცოცხლო ომი სწარმოებს ბურჟუაზიას, და პროლეტარი-ატს შორის. გამარჯვება ჩვენსკენ იქნება. თავდებია კომუნისტების თავდადებულ ბრძოლა, და ევროპის მუშათა კლასის გამოსვლა ჩვენ მოწოდებაზე. სხვა სოციალისტები მტრის ბანაკში გადასახლდნენ, ეს უფრო კარგია ჩვენთვის. მომავალში გვეცოდინება, რომ ისინი ჩვენი მტრები არიან და მათთან სალაპარაკო ენა იქნება ზარბაზნის და ტყვიის მფრქვეველის სროლა.

სმირნოვი—კომუნისტური პარტია ისე ძლიერია, რომ მისი დამარცხება ძნელია, მას ბურჟუაზიის მუქარა და ტყვიები ვერ შეაშინებს, ჩვენი გზა აკრის სწორი, ის მედგრად მიდის სოციალიზმისაკენ, ხალხიც ჩვენთან არის. დოგა მიხვდეს ყველამ, რომ ვისაც ხალხი მიემხრება, საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩება. (შემოდინ რევოლუციონური კომ. წევრები: ისლამოვი, მუხუდინოვი, ვაგაბოვი და მდივანი გუსეინოვი, მისაჯუმების შემდეგ შამოუსხდებიან მაგიდას).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII.

(ივინივე, მუხუდინოვი, ისლამოვი, ვაგაბოვი და გუსეინოვი).

ჯაფაროვი—ამხანაგებო, ჩვენი სხდომა უნდა დაჩეს მოკლე და საქმიანი. გვაქვს გადასაქრელი პრაქტიკული საკითხი, რომ ჩვენი ჯარი დავძრათ მთებიდან და ვეკვეთოთ მტერს, რომელიც მოკალათებულა დალესტინის ქალაქებში, ხალხს აწიოკებს და ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს სიცოცხლეს ასალმებს. წინადადება შემომაქს ფეხზე ადგომით პარტივი ვცეთ პეტროვსკში ჩამოხრჩობილ ჩვენი ამხანაგების ხსოვნას—(ყველანი დგებიან) გაუმარჯოს კომუნისმს, რომლისთვისაც იმათ თავისი სიცოცხლე შესწირეს.

მოსკოვიდან რადიო დეპეშა მივიღეთ, რომ წითელს ჯაარს მტერი სასტიკად დაუმარცხებია, რომელიც ეხლა იხვეს უკან—კავკასიისკენ. ალბად, აქ შეეცდება გამაგრდეს და უკანასკნელად შეებოძლოს წითელ ჯარს. მაგრამ ჩვენ ამის საშვალეა არ უნდა მივსცეთ მათ, რომ ამით არ გაგრძელდეს დრო წითელი ჯარის მოსელისა—იმ ჯარის, რომლის დროშაზე აწერია: „ხსნა მშრომელთა ექსპლოატატორებისაგან, და ძმობა-ერთობა ყველა ხალხისა“. ჩვენ უნდა შევეუსუბუქოთ წითელ არმიას ის მედგარი ბრძოლა, რომელსაც თავდადებულად აწარმოებდა თითქმის სამი წლის განმავლობაში. ვთხოვთ, ამხანაგებო, გამოსთქვათ თქვენი აზრი აღძრული საკითხის გარშემო!

სმირნოვი—ამხანაგებო! ჩვენ მოგვიწოდებს ცენტრალური კომიტეტი კომპარტიისა მოსკოვიდან, რომ მტერს ვეკვეთოთ ზურგიდან. ეს გამოტანა ჩვენ უნდა შევასრულოთ დაუყონებლივ. მე მაქვს გამოუმუშავებული გეგმა შეტევისა. ამ გეგმის თანახმად, ჩვენი ჯარი უნდა გავყოთ სამ რაზმად. ერთი რაზმი დაი-

ძვრის პეტროვსკისაკენ. მეორე — დერბენტისაკენ და მესამე — ტემირ-ხან-შურისაკენ. ჩვენ ამით მტერს არ მივეცემთ საშუალებას ერთი ქალაქიდან ჯარი მეორეში გადაიყვანოს. მთავარ ფრონტზე კი, ის ჯარს ვერ მოხსნის საშველად. ამის საშველდა მას წაართმეული აქვს. თუ თქვენი თანხმობა იქნება, მე გავსცემ სათანადო განკარგულებას და ხვალ დავიძვრით. ჯარში ყველაფერი მომზადებულია. მტრის ჯარებში, რომლებსაც ზემოდ — დასახელებული ქალაქები უჭირავთ, ნიადაგი უკვე მომზადებულია, ამხანაგების ცნობით, და არის იმედი, რომ პიოველ ჩვენ შეტევაზე ისინი ჩვენსკენ გადმოვლენ.

ვაგაბოვი — მე ქისტებში ვიყავი, იქ უკვე მზად იყვნენ და დღეს გადმომოცენ. რომ დაუწყიათ შეტევა ხასანიურტის რაიონში, რომ ერთა-ერთი რკინის გზა მტრის უკან დასახვევი მოუქრან. ანდიის მაზრაში ხალხში მოუთმენლობაა. ამბობენ. როდის გადავალთ სიტყვებიდან — საქმეზე. როდის დაეამყარებთ ჩვენს. ხალხის წესწყობილებასო. ჩვენ იმათ ანგარიში უნდა გაუწიოთ, რომ ხალხი თვითონ უწესრიგოდ არ გამოვიდეს ბრძოლის ველზე.

ისლამოვი — მე მთელი კოზიკუმების მაზრა შემოვიარე, იქ ვერ ნახეთ სოფელს. რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყვეს. ამბობენ: სურსათის და ტანისამოს ჩვენ მივაწვდით ჯარსო. ჩვენ ვიქნებით ნახევრად მშვირბები, ნახევრად შიშვლები. ოღონდ ჩვენი მსხნელი ჯირი კი უზრუნველყოფილი იყვესო.

მუხუდინოვი — გუნიბის მაზრაში ორი კომუნისტი ჩამოუხვრჩია დენიკინელბს. იქ ყოფნის დოოს, და ხალხი ამას ძლიერ აუღელვებია, გარდა რაზდენინე „კულაკებისა.“ ხალხს, „კულაკების“ დასჯა მოუწოდებია, მაგრამ ამხ. კომუნისტებს არ დაუნებებიათ. ისინი გაიგებენ თუ არა, ჩვენი ჯარის დაძვრას ქალაქებისაკენ, მ წამშივე წამოვლენ. ჩვენ ყველანი თანახმა ვართ ამხ. სმირონოვის წინადადებაზე, რომ ხვალიდანვე დავიწყეთ მოქმედება. მე, ამხ. ვაგაბოვი და ისლამოვი წავალთ მაზრებში და სურსათის მოწოდების საქმეს ცოვაწესრიგებთ. ამხ. ჯათაროვი კი. ამხ. სმირონოვთან ერთად გაყვება ჯარს.

ჯაფაროვი — ეს კარგი წინადადებაა და ჩვენც თანახმა ვართ, მხოლოდ გახსოვდეთ. ამხანაგებო, რომ ხალხს უფულოდ არაფერი გამოართვათ. საერთოდ ხალხს მოეპყარით ფრთხილად და მორიდებით, რომ მტრებს არ მიეცეს საბაბი ჩვენა წინააღმდეგ პროვოკაციისა.

ხშირნოვი — მე, როგორც სამხედრო კომისარი და ჯარის უფროსი. გავსცენ განკარგულებას. რომ სასწრაფოდ შეუდგენ მოწოდებას და ხვალ დავიძვრით ქალაქებისაკენ.

ჯაფაროვი — დიახ, ხვალ წავალთ ბრძოლის ველზე ჩვენ, და ეს ამხანაგები (უთითებს რევეკომის წევრებზე) სურსათს, და და თუ საჭირო დარჩა, ახალ ძალას მოგვაწვდიან.

მაშ. გაუზარჯოს ჩვენს სწორს და მართალ საქმეს. მე იმედი მაქვს, მალე პირის პირ შევხდებით სახელოვან წითელ ჯარს. და ერთმანეთს გადავკოცნით. (ამ დროს შემოდის შეიარაღებული ლეკი და გადასცემს სმირონოვს ქალაქს, თვითონ კარბებთან გაჩერდება)

გამოსვლა VIII.

იგინივე და ლეკი.

ხმირნოვი—ამხანაგებო, ახალი დეკემბა, სახელოვან წითელ ჯარს აუღია ცარიკინი, აგრეთვე დაახლოვებია დონის ქვანახშირის მალარობებს, როგორც სჩანს, მტერი რამდენიმე კვირაში შემუსრული აქნება და მათი სახელიც გაქრება სამუდამოდ. აგრეთვე ცნობებია, რომ გერმანიაში დიდი შეიარაღებული შეტაკებებია კომუნისტებს და მთავრობის ჯართა შორის. ინგლისში მუშები გაფიცულია. მოუთხოვიათ. რუსეთის საქმეში ნუ ერევა ინგლისიო. როგორც სჩანს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ჩვენთან არის. ისინი ჩამოადგიბენ მუშათა კლასის მტარვალებს ტახტიდგან და ძმურად ხელს გამოგვიწვდიან. დღევანდელი ბლოკადის მაგიერ. მაშინ მოელება ბოლო ყოველივე ომებს სახელმწიფოთა შორის, და ხალხის სისხლით აღარ მოირწყება მინდვრები ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ. (ლეკი მოულოდნელად წანოიძახებს: -გაუმარჯოს ბოლშევიკებს! მას აპყვებიან სხვები და ისინიც გაიმეორებენ სიტყვებს.)

ჯაფაროვი—(გუსეინოვს) თქვენ აქ დარჩით, ამხანაგო გუსეინოვო, და ყოველივე ცნობები, აქ მიღებული. დაუყონებლივ მოგვაწოდეთ ბრძოლის ველზე. მტერს ძლიერ უკვირს თუშე, ჩვენ რომ აქ რადიო გვაქვს. ის კი არ იცის, რომ ყველა აპარატები მათ თვალ წინ გამოვატარეთ. მაშინ ბრძები ხომ არ იყენენ. (ამ დროს გარედგან მოისმის ხმები, გაუმარჯოს კომუნისტებს. გაუმარჯოს რუსეთის წითელ ჯარს. ყველანი წამოდგებიან და იქით იცქირებიან. შემოდის ერთი წითელ არმიელი)

გ ა მ ს ვ ლ ა IX.

იგინივე და წითელარმიელი

წითელ—**არმიელი**—აი, ეს არის მოვიდა რუსეთიდგან ორი ამხანაგი, და წითელი დროშა მოგვიტანა საჩუქრად.

ჯაფაროვი—აბა, დაუბახეთ, (მაგრამ ამ დროს შემოდის ორი ამხანაგი და საერთო სალამს აძლევენ ყველას. მათ უკან მოყვება რამოდენიმე წით.-არმ. ლეკები ერთ ხანში შესულ კაცს მოაქვს წითელი დროშა. მას ორივე მხრით ხმალ ამოღებული ორი წითელი-არმიელები უდგას. დროშაზე წარწერაა: დაღესტნის არწივებს-რუსეთის ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის კომიტეტისაგან. ყველანი განცვიფრებით შესცქერიან დროშას, როგოო ჩამოიტანეთ. ამხანაგებო, ეს დროშა? როგოო გამოეპარეთ ჩვენს მსუნაგ მტერს?

ერთი მათგანი—დიდი შრომა გადაგვწყდა მაგის ჩანოტანაზე. ყოველ წამში ველოდით დაჰკრას და სადმე ბოძის დამშენებას. ასტრახანიდგან ნავით გამოვედით ბაქოს ქვევით, შემდეგ დაეიხვიეთ დროშა ტანზე და ბაქოში ჩავედით. ბაქოს ამხანაგებთანაც დავალება გექონდა. როდესაც იქ საქმეს მოეჩით, გზა გვასწავლეს და გავვისტუმრეს. ბაქოდგან თითქმის სამი კვირაა მოვდივართ.

ჩვენ შევასრულეთ ცენტრალურ კომპარტიის კომიტეტის დავალება, რომ ეს დროშა დაღესტნის წითელ-ჯარისთვის ჩაგვებარებია და ეს კი — თქვენთვის. (აძლევს ამანათს). აქ არის სახელმძღვანელო ინსტრუქციები და სხვა რამ. ჩვენც აქ დავრჩებით თქვენთან, რომ ჩვენი გამოცდილებით ხელი შევიწყოთ საბჭოთა აღმშენლობის დროს.

ჯაფაროვი — მე თქვენ, ამხანაგებო; მადლობას არ გუთხნებით. ეს თქვენი; როგორც კომუნისტის მოვალეობა იყო, რაიც თქვენ პირნათლად შეასრულეთ. რომ კომუნისტისთვის არ არსებობს არავითარი დამაბრკოლებელი გზა, ეს თქვენც დაამტკიცეთ. მოსკოვიდან დაღესტნის მთებში ჩამოსვლა, მტრის ბანაკების გამოვლა, ნახევარ ჯერ ფეხით სიარული, ზღვის უბრალო ნავით გადაცურვა — ეს ხომ ნამდვილი გმირობაა. (მიმართავს წითელ აპრილებს) ამხანაგებო. ეს დროშა მოვეციდენა ჩვენ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ. ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ისინი ხედვენ ჩვენში ნამდვილ ამხანაგებს და მეომრებს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენ არ ვუღალვებთ მათ, არავითარ გაქირვების დროს. ჩვენ უნდა გავამართლოთ მათი აზრი, ჩვენზე. თავისუფლება — ეს დაღესტნელების იდეალია. ამისთვის ომობდენ ჩვენი წინაპრები საუკუნოებით. თქვენ მაგრად უნდა დაიჭიროთ ეს დროშა ხელში, რომ მტერმა ის ვერ გამოგლიჯოს ხელიდან. ამხანაგებო, მე არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, თუ რისთვის იბრძვის კომუნისტური პარტია. ის იბრძვის, რომ გაანთავისუფლოს მშრომელი ხალხი ექსპლოატატორებისაგან, რომ დაამყაროს ძმობა-ერთობა ყველა ხალხთა შორის, რომ სწავლა-განათლება მისცეს ხალხს და ამოიყვანოს ის იმ უფსკრულიდან, რომელშიაც დღეს ჩაყარდნილია, გაუნათლებლობის გამო. რომ სახელმწიფოს თვით ხალხი განაგებდეს, რომ ყოველივე სიმდიდრე სახელმწიფოსი, ხალხს ხნარდებოდეს. (ხმები გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მის ხელმძღვანელებს) ამხანაგებო! ხვალ ჩვენ უნდა დავიძაოთ ქალაქებისაკენ, სადაც მოკალათებულია, მოხალისეთა ჯარი, (ტაში) თქვენ ეს გიხარიათ, ეს ასეც უნდა იყოს. იქ ჩვენი ამხანაგები ელიან ჩვენგან ხსნას. ჩვენ უნდა შევიტანოთ თავისი წვლილი რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაში. აი — ამ დროშით წავალთ და მტერს თავს-ხარს დავსცემთ. მაშ, ამხანაგებო! ეხლა დაიშლენით და მოემზადეთ ზვალისთვის, მეც თქვენთან ერთად ვიქნები და გავიხიარებ სიხარულსაც და გაქირვებასაც. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გზა სულ სიხარულის სხივებით იქნება მოფენილი ბოლომდის. ამხანაგებო, გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს რუსეთის ძლევა მოსილ წითელ-ჯარს, გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს — კომუნისტურ პარტიას! (ხანგრძლივი ტაში და ხმები გაუმარჯოს. გაუმარჯოს).

თარდა ნელ-ნელა ეშვება.

მოქმედება მისამ

მესამე მოქმედება სწარმოებს ქალაქ პეტროვსკში. სცენა წარმოადგენს მოძალისეთა ჯარის შტაბის ერთ-ერთ ოთახს, საში მაგიდა დგას საქანცელარო და ზედ აწყვია წიგნები. კედლებზე დენიკინის, კოლჩაკის და სხვა გენერლების სურათებია—აჯრუთვე რუკები. როდესაც ფარდა აიხდება, გენ. პეტროვი ხის ერთ მაგიდასთან და რუკას ათვალიერებს. პირისანებზე მოწყენილობა ეტყობა და თვითონაც რაღაც მოღუწეულია. კარჯა ხანს აიჭუნარია).

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

(პეტროვი მარტო.)

პეტროვი—მგონი. ჩენი აღსასრულის დღემ მოაღწია. ბოლშევიკების ჯარი თან და თან გვაეიწროებს, უკვე როსტოვთან სწარმოებს ომი. მიკვირს, ღმერთმანი, ჰაეროპლანეტით ხომ არ მოფრინავენ ის დაწყველილები? ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ძლივს ვორენეჟამდი და იმათ კი ერთი თვის განმავლობაში გადმოგვდენეს. (ბრაზმორაული) ყველაფერი ეს მთავარსარდლობის ბრალია, ძალიან რბილად ეპურობოდა ბოლშევიკებს და გლებებს. გლებობა სანახევროდ უნდა გაგვენადგურობია, რომ დანარჩენს დაკარგოდა სურვილი მიწების უფასოდ ხელში ჩაგდებისა, მაგარი მათრახი და ტყვიის მფრქვეველის ტყვიები იყო მათთვის საჭირო. დენიკინმა კი ღმობიერება გამოიჩინა და აწიყო-ბაც დაუწყო მათ (შემოდის პოლკოვნიკი ხანბეკოვი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

(პეტროვი და ხანბეკოვი)

ხანბეკოვი—გამარჯვებათ, თქვენო აღმატებულებავ! (ხელს ჩამოართმევს, ორივენი თამბაქოს ეწევიან).

პეტროვი—გაგმარჯოთ პოლკოვნიკო? რა იცით ახალი? (თვალებში მიაშტერდება) რაზე ხართ დაღონებული?

ხანბეკოვი—კარგი არაფერი. ამას კი ვხედავ, რომ ჩვენთვის გამოსავალი გზა არ არსებობს. პეტროვსკს უკვე ალყა შემოარტყეს, მთებიდარ დაშვებულმა ჯარმა. ასეთ მდგომარეობაში არის დერბენტი და ტემირ-ხან-შურაც. ჩვენ გამომწყვედეულები ვართ. გამარჯვების იმედი არ არის. ქისტებს ხასანურტში რკინის გზა გადაუჭრიათ და მაშველი ჯარი ვერ მოგვივა. ან კი საიდან უნდა მოვიდეს, როდესაც მთავარ ფრონტზეც უარესი გაჭირვებაა, ჩენი ჯარი გელა-ლატობს, ბრძოლას გაუობის და მტრისაკენ გადადის. რამდენიმე კაცი დაეხვრიტეთ, მაგრამ ამან უარესი შედეგები მოიტანა.

კოროლიოვი—გამარჯვებათ, ბატონებო. (მან მადლობის ნიშნად თავს უკრაინე, ის ჩამოჯდება და დაფიქრდება) ჩვენმა არტილერისტებმა გვიღალატეს. დაიჭირეს თავიანთი ოფიცრები და მტრისკენ გადავიდნენ, მერე ვის მიემხოვენ? თათრებს. არტილერისტების უმრავლესობა სომხობა იყო. სომხებს და თათრებს ხომ სძულთ ერთმანეთი? მიკვირს ღმერთმანი, ის რალაც კომუნისშია, ნუ თუ უოველივე ნაციონალურ შულს სპობს?

პეტროვი — კაპიტანო. ფილოსოფიას თავი დაანებეთ და უკეთესია იმაზედ ვიფიქროთ, თუ როგორ გადავირჩინოთ ჩვენი თავი, რომ კომუნისტებს ხელში ან ჩაუვარდეთ, თორემ ხომ იცით—რასაც დასთესთ—იმასვე მოიმიკი. ჩვენ თუ მათ ვახრჩობდით, ისინი ხომ არ გაკოცებენ სამაგიეროდ? (პაუზა) დღეს მარტის 20, 1920 წ. გახსოვთ შარშან ივნისში ოთხი კომუნისტი გავასამართლეთ, და ერთმა იმათაგანმა გვითხრა, არ გაივლის ერთი წელიც, და თქვენ აქ დასხდებით დამნაშავეთა სკამზედო. ეგ სიტყვები ხშირად მაგონდება უკანასკნელ დღეებში და რალაც შიშს მგვრის. წინასწარმეტყველი ხომ არ იყო ნეტავ ის ძალი?

ხანბეკ.— მართალი უნდა გითხრათ, სიცოცხლე ძლიერ მწყურია. არ მინდა სიკვდილი ჯერ, მაგრამ ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია, სად წავიდე, ვის მივუვლი? ჩვენს სოფელში თითქმის ყველა კომუნისტებია და მათი თანაგრძობნი --სად დავიშალო? (თავზე ხელს მოიქერს) ნეტავ რა მოვიფიქრო?

პეტროვი—გულს ნუ გაიტებ პოლკოვნიკო—ხმებია ინგლისმა და საფრანგეთმა ჯარი გადმოსხეს ყირიმში და ბოლშევიკებს უტყვევნო. პოლონელებს კი ვეი აუღიათო. ერთ სიტყვით საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება. ეხლა კი უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და მტერს გაუმქლავდეთ აქ, დაღესტანში, მანამ ნაშველი ჯარი მოვიდოდეს.

კოროლიოვი—სანამ პეტრე მოვიდა—პავლეს ტყავი გააძრესო. მე არ მაქვს არავითარი ინედი, რომ ინგლისილებმა ჯარი გადმოსხას. მათ უნდოდათ დამპალი ტანისამოსი და უვარგისი იარაღი გაესაღებიათ. ისინი ჩემი თუ თქვენი სკვდილ სიცოცხლისთვის არ იზრუნავენ.

ხანბეკ.—ამბობენ უნდოდათ ჯარის გადმოსხმა—მაგრამ მუშებმა არ დაანებესო.

პეტროვი —(გაბრაზებით) მუშები ყველგან ბოლშევიკები არიან, მუქთა ხო-ოენი. სურთ ჩვენი შეძენილი ქონება შესკამონ. უწინ ხომ ჩვენ ვიყავით რუსეთის ბატონები და ეხლა გუწინდელმა ჩვენმა მონებმა, მუნიანმა მუშებმა უნდა მოგვევლინონ ბატონებათ? არა, მე ამას ვერ ავიტან, უკეთესია სიკვდილი. წავალ ეხლა ჯარის უფროსთან და გაეიგებ—როგორ მიდის საქმე. თქვენ კი აქ დამრიცხდეთ. (გადის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

იგინივე, პეტროვს გარდა.

კოროლი.—ნ-და. ჩვენი მდგომარეობა ძალიან ცუდია. გამოსავალი გზა არა არის. (ცოტა სიჩუმის შემდეგ). მართლა ლიუბა ანდრეიენა ვნახე დღეს და საყვე-

ღური დამაბაზა თქვენთან, რისთვის არ მოდიხართო. ხომ არ დაივიწყეთ პოლკოვნიკო?

ხანბეკოვი—ის კი არა, თავი დამავიწყდეს მგონი. ლიუბა კიდევ ფიქრობს. რომ ცოლს გავეყრები და მას ძვირთავ. ის კი არ იცის მან, რომ მე ეხლა, მარტო თავის-თავის გადარჩენაზე ფიქრობ. იყო დრო, როდესაც მე მას ვეტრფოდი. შემდეგ ტრფობა თან და თან გაქრა და დარჩა მხოლოდ ერთი მიზანი— თინის მოკვლისა. სხვა აბა რა უნდა ვპოვო ქალში? მე ხომ კომუნისტი არა ვარ, რომ ქალების მამაკაცებთან თანასწორობაზე ვიქადაგო და ვსთქვა—მე უფლება არ მქონდა ლიუბასთან ასე მოვქცეულიყავი და ჩემი შეცდომა უნდა განმოვასწორო თქვა. ქალები მარტო მამაკაცების თინის მოსაკლავად არიან გაჩენილნი. და იმათ უნდა შეასრულონ ეს დანიშნულება პირნათლად.

კოროლ.—ასეთი შეხედულება ქალებზე—ქალებთან არ წამოგცდეთ, პოლკოვნიკო, თორემ ყველანი გაკომუნისტდებიან. ახლოს აღარ გავგეჟარებინა შემდეგ.

ხანბეკოვი—ამერიიდან შეიძლება არც კი მოვეიწიოს მათი ახლოს მიკარება. მათ მაგიერ შეიძლება საბჭოთა თოკი მოგვეხვიოს კისერში.

კოროლ.—ისინი თოკს არ ხმარობენ, ტყვია უფრო ემარჯვებათ.

ხანბეკოვი—კეთილ-შობილნი ყოფილან. (ამ დროს მოისმის 'გარკვევითი თოფის სროლა რამოდენიმე ჯერ. ორივენი წამოდგებიან და ყურს უგდებენ).

კოროლ. - ეს სროლა ქალაქში უნდა იყოს. ნეტა რა ამბავია? ნუ თუ ასე მალე აიღეს ქალაქი? ჩვენ კი აქ გზივართ და ქალებზედ ვლაპარაკობთ. (თოფის სროლა ძლიერდება).

ხანბეკოვი—ჩვენი სიცოცხლის წუთები დათვლილია. ღმერთო! მამაკაცი—თუ რამე ცოდვა ჩავიდინე ოდესმე. რა კარგია ეხლა მღვდელი მოვიდოდეს და აღსარებას ჩამომართმევდეს? შეიძლება უფრო დამშვიდებით შევხვდე სიკვდილს.

კოროლ.—მოგიკლიათ პოლკოვნიკო, რა დროს მღვდლები და ეშმაკები აუკეთესია იარაღით ხელში შევხვდეთ მტერს. და თითო მაინც გაეისტუმროთ იმ ქვეყნისაკენ. ამით ჩვენ, ჩვენს ვალს მოვიხდით და ოფიცრის სახელსაც არ შეკარცხვენთ. (ორივენი ამოიღებენ რევოლვერს და ყურს უგდებენ სროლას, რომელიც ეხლა დროგამოშვებით მოისმის. კარებს შემოაღებს გენ. პეტროვი გაფთხრებული—ძლივს ლაპარაკობს).

გ ა მ რ ს ვ ლ ა ე .

იგინივე და პეტროვი.

პეტროვი—გათავდა. მტერი ქალაქში შემოვიდა და რამოდენიმე წუთში აქ იქნება—ჩვენც გვესტუმრება. ეხლა ფუჟია რევოლვერის ხელში ჭერა. მაგის დრო გავიდა, ჩვენ დავემორჩილოთ უნდა ჩვენს ბედს. ვინ იცის. იქნებ სიცოცხლე გვაჩუქონ!

კოროლ.—(მწარედ იცინის) სიცოცხლე გვაჩუქონ—კარგი იმედი გქონიათ; გენერალა!

პეტრ.—დაბალმა მოსამსახურეებმა გვილაღა, ყველა გაიპარა. ყველამ მიგვატოვა. (ჩამოჯდება სკამზე და ტირილი მოერევა. მას უყურებენ სხვები და მათ სახეზე სრული უმწეობა გამოიხატება) ვაი ცოლო და შვილო! ვაი, ჩემო თავო! რისთვის მოვრბოდი პეტროგრადიდან? იქ ეხლა საუკეთესო სამსახურში ვიქნებოდი. თუ კი კლემბოვსკი და სხვა გენერლები მსახურობენ, რისთვის მე არ შემიძლო სამსახური! ღმერთმა დასწყევლოს. ვინც მოხალისეთა არმია მოიგონა და დააარსა.

ხანბეკ.—Все кончено! наша пещья спета!.

კოროლ.—კმარა! სირცხვილია. ნუ თუ ოფიცრები არა ხართ! მათ შესაძლებლად ოფიცრების სახელს ნუ შეარცხვენთ—დამშვიდდით და ისე მიეგებეთ ჩვენს უბედურებას. ხომ გახსოვთ როგორ ეჭირათ მათ თავი. როგორ დამშვიდებულნი იყვნენ, როდესაც ჩვენ მათთვის სიკვდილის განაჩენი გამოგვქონდა? მიგბაძოთ მათ და თავს ლაჩრად ნუ მოვაჩვენებთ. ან კი რა გავაკეთებდებო. რომ ვიწუხხოთ? ამით პატიებას ვერ მოვიპოვებთ.

ხანბეკ.—მე ყველაზე უფრო წვალების მეშინია. ამბობენ „ჩეკა“ აწვალებს, და შემდეგ სარდაფებში შიმშილით ხოცავენსო.

პეტროვი—ველური ხალხიდგან, ბრბოდგან, ყველაფერს უნდა მოელოდე. ისინი არ გვცემენ ჩვენ დიდათ პატივს.

კოროლ.—(ყურს უგდებს) რალაც ხმაურობაა, ნგონი, მოდიან. დამშვიდდით. (ამ დროს მოისმის ფეხების ბრაგუნის, და ერთი ხმა, აქეთ მომყვებით, ამანაგებო! მგონი, ამ ოთახში უნდა იყვნენ დანარჩენნი—გაიღება კარები და შემოდის სმირნოვი რევოლვერით ხელში და რამდენიმე წითელ-არმიელები იარაღში).

გ ა მ რ ს ვ ლ ა V I .

(იკინივე, სმირნოვი და წითელ-არმიელები).

სმირნ.—ასწიეთ ხელები მაღლა (სამივე ასრულებენ და ხელები უცახცახებთ. მივა და იარაღს ახდის. შემდეგ ამოიღებს დანას და ეპოლეტებს აჭრის, რომლებსაც იქვე იატაკზე ყრის. შემდეგ დაჯდება მაგიდასთან და რალაცას სწერს. ცოტა ხნის შემდეგ, პეტროვის) თქვენი გვარი და ჩინი?

პეტროვი—გენერალ მაიორ პეტროვი.

სმირნოვი—(ხანბეკოს) თქვენი?

ხანბეკოვი—პოლკოვნიკი ხანბეკოვი,

სმირნოვი—(კოროლიოვს) თქვენი?

კოროლიოვი—კაპიტანი კოროლიოვი.

სმირნოვი—თქვენ, რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელმთ, დატყვევებულნი ხართ, და თქვენი საქმე, როგორც კონტრ-რევოლიუციონერების. გადაეცემა განსახილველათ საგანგებო კომისიას.

პეტროვი—(ცახცახებს) მე, მე დამ...ნა...შ...აფე არა ვარ.

სმირნ.—ამას იქ გაარჩევენ და, თუ დამნაშავე არა ხართ, გაგიშვებენ. (წითელ-არმიელებს გადასცემს ქალაღს) წაიყვანეთ ესენი, და ეს ქალაღლიც გადაეცით იქ.

ერთი წით. არმ.—წაიღეთ, ამხანაგებო! (გაღიან)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII.

სმირნოვი მარტო.

სმირნოვი—აქ მტრის დამარცხება იოღად დაგვიჯდა. მსხვერპლი სულ ცოცხა არის. ეტყობა, მტერს დაკარგული აქვს ომის წარმოების უნარი. (შეამჩნევს კედლებზედ გენერლების სურათებს. ჩამოხსნის და იატაკზე ყრის) თქვენი სურათების ცქერა კი არა, სახელის მოგონებაც მეზარება. თქვენ მთელი რუსეთის გლეხები და მუშები დატანჯეთ. მოახვიეთ თავზე თეთრ-გვარდიელთა ომი, თავისი საშინელი, შედეგებით. (შემოღიან ჯაფაროვი და შუშინი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VIII.

სმირნოვი, ჯაფაროვი და შუშინი.

ჯაფაროვი—გაიცანით, ამხანაგებო, ერთი-მეორე (უთითებს სმირნოვზე) სანხედრო კომისარი ამხ. სმირნოვი. (შუშინზე) ამხ. შუშინი—ღღემღის არალეგალური, ღღემღიანი კი სახელმწიფოს მართველი, პარტიის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, (ხელს ჩამოართმევს ერთმანეთს). ამხანაგებო!—ენლა საჩქაროთ უნდა შესდგეს აქ რევოლიუციონური კომიტეტი. და აგრეთვე საჭიროა შესათყერი ზომების მიღება. რომ რაიმე უწყსრიგობა არ მოხდეს ქალაქში. პარტიული კრების მოწვევამდე ამხ. შუშინი წარმოგვიდგენს ამხანაგების შესათყერ სიას რევოლიუციონური კომიტეტის შესავსებად და შევუდგებით მუშაობას. ერთი წუთიც არ შეიძლება უსაქმოთ გაჩერება.

სმირნ.—ქალაქში რომ უწყსრიგობა არ მოხდეს, ამისთვის ზომები უკვე მიღებულია. (სიცილით) თქვენ გვიან მოგაგონდათ ეს. (სერიოზულათ) ენლა მივიღე ცნობა, დრომ ხასანიურტთან მაგარი ბრძოლაა. მტერი ყუბანიდგან იხევს. უკან, შეჯგუფებულია იქ, და უნდა გაარღვიოს ქისტების რაზმი. მე საჩქაროდ უნდა გავსწიო მათ საშველად, თორემ, თუ მტერმა მოახერხა ჩვენი ხაზის გარღვევა, მაშინ არც პეტროვისკს დაადგება კარგი ღღე. მტერი უნდა გამოვამწყვდილოთ იქ რკინის რკოლში და იარაღი დაეაყრევინოთ, რომ ამით ავიცილინოთ თავიდგან ზედმეტი სისხლის ღერა. მტრის ჯარის ნაწილს, საქართველოში გა-

დაუვლია და იქ შეუფარებია თავი, მენშევიკების სამეფოში. მაგრამ არც იქ ექნებათ დიდი დღე, რადგანაც საქართველოშიც მალე მოხდება გადატრიალება, და ძალა უფლებას კომუნისტური პარტია აიღებს ხელში. (შუშინს) ამხანაგო შუშინო! არის თუ არა რკინის გზის. სადგურზე ვაგონები, ორთქლმავალი. რომ ეხლავე გავემგზავროთ ბრძოლის ველზე? (ჯაფაროვი სმირნოვის უკანასკნელ სიტყვების დროს ჩაფიქრებული ზის).

ჯაფაროვი—(გამოერკვევა) ამხანაგებო, ვინ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში?

შუშინი. (ცოტა ხნის შემდეგ) ვინ გაიმარჯვა? გაიმარჯვა იმან, ვინც იბო-
ცოდა მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის და არა მუქთა ხორა ბუოკუაზიისა-
თვის.. გაიმარჯვა იმან. ვინც მედგრად ადგა თავის რწმენას, არ ლალატობდა
მას და ამისთვის შუბლ-შეუყრელად ადიოდა სახრჩობელაზე. გაიმარჯვა იმან,
ვისაც მუშების და გლეხების უმრავლესობა ამოუდგა მხარში.

სმირნოვი—(იღიმება.) უკაცრავად, ამხანაგებო, მაგრამ ასეთი მსჯელობის
დრო ეხლა არ გვაქვს. ეხლა მხოლოდ საქმე უნდა ვაკეთოთ. ქალაქი სავსება
ჯერ კონტრ-რევოლუციონური ელემენტებით, და ვინ იცის, რა უდევთ გულში?
ამიტომ, ჩემს აქ არ ყოფნის დროს, დაიცავით წესრიგი და რკინის დისციპლი-
ნა ყოველივე საქმეში. მე გავსწევ ეხლა ახალ გამარჯვების მოსაპოებ-
ლათ ბრძოლის ველზე და, თუ საჭირო დარჩეს, ჯარი კიდევ მომაშველეთ. მაშ,
ამხანაგებო, წავიდეთ! მე თოფით ხელში, (შუშინს) თქვენ ჩაქუჩით და თქვენ
(ჯაფაროვს) კალმით,—ვაკეთოთ საერთო საქმე და მალე მივალწევთ იმ სამეფოს,
(ხელს გაიშვერს) რომელსაც ეწოდება ბრწყინვალე სოციალიზმი. (გარედგან
მოისმის ინტერნაციონალის სიმღერა. დაიძვრიან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი კარე-
ბისკენ და ფარდაც ეშვება).

(ფ ა რ დ ა).

მოქმედება მეოთხე

მეოთხე მოქმედება სწარმოებს პეტროვსკში. სცენა წარმოადგენს მონრდოლ დაბნულ მარტხნივ დგას მაუდ გადაფარებული მაგიდა. ზედ საწერკალაში აწყვიტა. მარჯვნივ სკამიეცები დასწრე ხალხისათვის. მოაჯირე მაგიდიდან გოდელა სკამები დაწმანავესათვის. კედლები რათებია მარქსის, ენგელსის, ლენინის და რევოლიუციია სხვა ბელადების. აგრეთვე ლენინგები პროლეტარული რევოლიუციის. ფარდა რომ აიხდება, ნაწილი ხალხისა ზი. სკამებზე, ნაწილი შემდეგ შემოდის. შემოყავთ დაწმანავენს. პეტროვი, ხანბეკოვი და კოროლიოვი. შემოდის სამხედრო რევოლიუციონერი ტრაბუნალი. თავმჯდომარე აარწენოვ ივერს თავის ალას სია სკამზე. წევრები კ სხდვრიან. მდივანი მავიდის თავში ზის. შემოდიან ბრალსდებელი და დამკველი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

თავმჯდ.—სამხედრო-რევოლიუციონერი ტრაბუნალის სხდომის განხილვად ვაცხადებ. ირჩევა საქმე № 12, გენერ. პეტროვისა. პოლკოვ. ხანბეკოვისა და კაპიტან კოროლიოვისა. რომლებსაც ბრალად ედებათ კონტრ-რევოლიუციონერი მოღვაწეობა და შრავალი კომუნისტის სიკვდილით დასჯა. (პეტროვის) თქვენი გვარი?

პეტროვი—(წამოდგება) პეტროვი.

თავმჯდ.—სახელი?

პეტროვი — იაკობ.

თავმჯდ.—მამის სახელი?

პეტრ.—პაულესძე.

თავმჯდ.—რამდენი წლისა ხართ?

პეტრ.—60 წლისა.

თავმჯდ.—ცოლიანი ხართ?

პეტრ.—კი, ცოლიანი ვარ.

თავმჯდ.—შვილები გყავთ?

პეტრ.—არა.

თავმჯდ.—რა განათლება მიგიღიათ?

პეტრ.—უმალესი, სამხედრო.

თავმჯდ.—პასუხის გებაში იყავით მიცემული?

პეტრ.—არა.

თავმჯდ.—ქონება გაქვთ?

პეტრ.—მქონდა სახლები პეტროგრადში. საბჭოთა მთავრობამ ჩამომართვა.

თავმჯდ.—რომელი გუმბერნის მცხოვრები ხართ?

პეტრ.—ქალაქ პეტროგრადისა.

თავმჯდ. — დაჯექით. (ხანბეკოვს) თქვენი გვარი?

ხანბ. — ხანბეკოვი.

თავმჯდ. — სახელი

ხანბ. — მუსლიმი.

თავმჯდ. — მამის სახელი?

ხანბ. — ომარისძე.

თავმჯდ. — წლოვანება?

ხანბ. — 40 წლისა.

თავმჯდ. — ცოლიანი ხართ?

ხანბ. — კი, ცოლიანი ვარ.

თავმჯდ. — შვილები გყავთ?

ხანბ. — კი, სამი.

თავმჯდ. — რამდენი წლისაა უფროსი, უმცროსი?

ხანბ. — უფროსი 16 წ. უცროსი 8 წლისა.

თავმჯდ. — რა განათლება მიგიღიათ?

ხანბ. — საშუალო, სამხედრო.

თავმჯდ. — პასუხის გებაში იყავით.

ხანბ. — არა.

თავმჯდ. — ქონება გაქვთ?

ხანბ. — მაქვს 50 დესიატინამდე მიწა და ბაღები.

თავმჯდ. — რომელი გუბერნიისა ხართ?

ხანბ. — დაღესტნის ოლქისა.

თავმჯდ. — დაჯექით. (კოროლიოვს) თქვენი გვარი?

კოროლ. — კოროლიოვი.

თავმჯდ. — სახელი?

კოროლ. — მიხაილ

თავმჯდ. — მამის სახელი?

კოროლ. — გრიგოლისძე.

თავმჯდ. — რამდენი წლისა ხართ?

კოროლ. — 30 წლისა.

თავმჯდ. — ცოლიანი ხართ?

კოროლ. — არა.

თავმჯდ. — რა განათლება მიგიღიათ?

კოროლ. — საშუალო — შემდეგ სამხედრო სკოლა.

თავმჯდ. — პასუხის გებაში იყავით მიცემული?

კოროლ. — კი იყავი.

თავმჯდ. — რისთვის?

კოროლ. — სოციალისტ-რევოლიუცი. პარტიაში ემუშაობდი და იმისთვის.

თავმჯდ. — რა სასჯელი გადაგიწყვიტეს?

კოროლ. — სამი თვის ციხე.

თავმჯდ. — ქონებრივი მდგომარეობა?

კოროლ.—მამაჩემს ქარხნები ქონდა როსტოეში.

თავმჯდ.—რონელი გუბერნიიდან ხართ?

კოროლ.—დონის ოლქიდან.

თავმჯდ.—დაჯექით. (კითხულობს გამოძიებელის დასკვნას) მე უფროსმა გამოძიებელმა დალესტნის საოლქო საგანგებო კომისიისა, ანდრეევა, განვიხილე რა, ჩემს კამერაში აპრილის 10, 1920 წ. საქმე № 12, პეტროვის, ხანბეკოვის, კოროლიოვის, რომლებსაც ბრალად ედებათ ამხ. კომუნისტების სიკვდილით დასჯა და კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობა, პირად დაკითხვის დროს, სამივე დანაშავემ უარი განაცხადა თავიანთ დანაშაულობაზე. როდესაც ვაჩვენე მათ მიერ ხელ-მოწერილი განაჩენი ამხ. მაგონავეის და სხვების სიკვდილით დასჯის შესახებ, მათ აღიარეს თავისი დანაშაულობა მხოლოდ, ამ ერთ საქმეში. მზილედ რა მხედველობაში ეს ბრალდება და აგრეთვე ის, რომ მათი მოღვაწეობა იყო მიმართული საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, დაეადგინე: საქმე ესე მთელი გამოძიებით გადაეცეს სამხედრო-რევოლუციონურ ტრიბუნალს. უფრ. გამოძიებელი ანდრეევი.

თავმჯდ.—(ედებს ქალაღებში რალაცას) აქვე ვაქვეყნებ იმ განაჩენს, რომელიც გენერ. პეტროვის, პოლ. ხანბეკოვის და კაპ. კოროლიოვის ხელ-მოწერილია. (კითხულობს იმ განაჩენს, რომელიც პირველ მოქმედებაში გამოუტანა სამხედრო-საველე სასამართლომ მაგონავეს, ბარცოეს, ბედნოეს და ნი-რზოეეს)

თავმჯდ.—პეტროვ, იაკობ პავლსძე! (პეტროვი წამოდგება) გრძნობთ თუ არა თავს დანაშავეთ იმაში, რომ თქვენი განოტანილი განაჩენით. ოთხი კომუნისტი სიცოცხლეს გამოასალმეთ?

პეტრ.—ჩემი ბრალი არ იყო, ასეთი გეკონდა ბრძანება.

თავმჯდ.—თქვენ მიპასუხეთ: ან“კი“, ან არა.

პეტრ.—არა.

თავმჯდ.—მაშ. ეს განაჩენი ყალბია? თქვენი ხელ-მოწერილი არ არის?

პეტრ.—კი არის.

პენიაევა—ეგ როგორ იქნება. ხელს აწერთ სიკვდილით დასჯის განაჩენს და თავს კი დანაშავეთ არა სცნობთ?

პეტრ.—(იბნევა) არ ვიცო. ასე უნდა გვემოქმედნა, მალლიდგან გვიბრძანებდნენ.

ბრალმდ.—მაშ, სამხედრო საველე სასამართლო, რომლის თავმჯდომარეც და თქვენ იყავით, კომედიას თამაშობდა?

პეტრ.—ეგ საქმის ფორმალური მხარე იყო. განაჩენი კი. ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო.

ბრალმდ.—მითხარით, სად ცხოვრობდით თქვენ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, დაქერამდე?

პეტრ.—ოქტომბრის გადატრიალების დროს პეტროვგარდში ვიყავი. შემდეგ წამოვედი და, მოხალისეთა ჯარის შექნამდე, დონის ოლქში ვცხოვრობდი. მოხალისეთა ჯარი, რომ დაარსდა, გამიწვიეს, როგორც ოფიცერი.

თავმჯდ. — დაჯექით. (ხანბეკოვს) თქვენი გვარი?

ხანბ. — ხანბეკოვი.

თავმჯდ. — სახელი

ხანბ. — მუსლიმ.

თავმჯდ. — მამის სახელი?

ხანბ. — ომარისძე.

თავმჯდ. — წლოვანება?

ხანბ. — 40 წლისა.

თავმჯდ. — ცოლიანი ხართ?

ხანბ. — კი, ცოლიანი ვარ.

თავმჯდ. — შვილები გყავთ?

ხანბ. — კი, სამი.

თავმჯდ. — რამდენი წლისაა უფროსი, უმცროსი?

ხანბ. — უფროსი 16 წ. უცროსი 8 წლისა.

თავმჯდ. — რა განათლება მიგიღიათ?

ხანბ. — საშუალო, სამხედრო.

თავმჯდ. — პასუხის გებაში იყავით.

ხანბ. — არა.

თავმჯდ. — ქონება გაქვთ?

ხანბ. — მაქვს 50 დესიატინამდე მიწა და ბალები.

თავმჯდ. — რომელი გუბერნიისა ხართ?

ხანბ. — დაღესტნის ოლქისა.

თავმჯდ. — დაჯექით. (კოროლიოვს) თქვენი გვარი?

კოროლ. — კოროლიოვი.

თავმჯდ. — სახელი?

კოროლ. — მიხაილ

თავმჯდ. — მამის სახელი?

კოროლ. — გრიგოლისძე.

თავმჯდ. — რამდენი წლისა ხართ?

კოროლ. — 30 წლისა.

თავმჯდ. — ცოლიანი ხართ?

კოროლ. — არა.

თავმჯდ. — რა განათლება მიგიღიათ?

კოროლ. — საშუალო — შემდეგ სამხედრო სკოლა.

თავმჯდ. — პასუხის გებაში იყავით მიცემული?

კოროლ. — კი ვიყავი.

თავმჯდ. — რისთვის?

კოროლ. — სოციალისტ-რევოლიუც. პარტიაში ვმუშაობდი და იმისთვის.

თავმჯდ. — რა სასჯელი გადაგიწყვიტეს?

კოროლ. — სამი თვის ციხე.

თავმჯდ. — ქონებრივი მდგომარეობა?

კორძლ.—მამაჩემს ქარხნები ქონდა როსტოეში.

თავმჯდ.—რომელი გუბერნიიდან ხართ?

კორძლ.—დონის ოლქიდან.

თავმჯდ.—დაჯექით. (კითხულობს გამოძიებულის დასკვნას) მე უფროსმა გამოძიებულმა დალესტნის საოლქო საგანგებო კომისიისა, ანდრეეემა, განვიბილე რა, ჩემს კამერაში აპრილის 10, 1920 წ. საქმე № 12, პეტროვის, ხანბეკოვის, კოროლიოვის, რომლებსაც ბრალად ედებათ ამხ. კომუნისტების სიკვდილით დასჯა და კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობა, პირად დაკითხვის დროს. სამივე დამნაშავემ უარი განაცხადა თავიანთ დანაშაულობაზე. როდესაც ვაჩენე მათ მიერ ხელ-მოწერილი განაჩენი ამხ. მაგომაევის და სხვების სიკვდილით დასჯის შესახებ, მათ აღიარეს თავისი დანაშაულობა მხოლოდ, ამ ერთ საქმეში. მჩვილე რა მხედველობაში ეს ბრალდება და აგრეთვე ის, რომ მათი მოღვაწეობა იყო მიმართული საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, დაედაგინე: საქმე ესე მთელი გამოძიებით გადაეცეს სამხედრო-რევოლუციონურ ტრიბუნალს. უფრ. გამოძიებული ანდრეევი.

თავმჯდ.—(ეძებს ქალაქებში რალაცას) აქვე ვაქვეყნებ იმ განაჩენს, რომელიც გენერ. პეტროვის, პოლ. ხანბეკოვის და კაპ. კოროლიოვის ხელ-მოწერილია. (კითხულობს იმ განაჩენს, რომელიც პირველ მოქმედებაში გამოუტანა სამხედრო-საველე სასამართლომ მაგომაევეს, ბარცოვეს, ბედნოვეს და ნიზოვეს)

თავმჯდ.—პეტროვ, იაკობ პავლესძე! (პეტროვი წამოდგება) გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ იმაში, რომ თქვენი გამოტანილი განაჩენით. ოთხი კომუნისტი სიციოცხლეს გამოასალმეთ?

პეტრ.—ჩემი ბრალი არ იყო, ასეთი გვექონდა ბრძანება.

თავმჯდ.—თქვენ მიპასუხეთ: ან“კი“, ან არა.

პეტრ.—არა.

თავმჯდ.—მაშ. ეს განაჩენი ყალბია? თქვენი ხელ-მოწერილი არ არის?

პეტრ.—კი არის.

პენიაევა—ეგ როგორ იქნება, ხელს აწერთ სიკვდილით დასჯის განაჩენს და თავს კი დამნაშავეთ არა სცნობთ?

პეტრ.—(იბნევა) არ ვიცი. ასე უნდა გვემოქმედნა, მაღლიდვან გვიბრძანებდნენ.

ბრალმდ.—მაშ, სამხედრო საველე სასამართლო, რომლის თავმჯდომარეც დაც თქვენ იყავით, კომედიას თამაშობდა?

პეტრ.—ეგ საქმის ფორმალური მხარე იყო. განაჩენი კი, ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო.

ბრალმდ.—მითხარით, სად ცხოვრობდით თქვენ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, დაქერამდე?

პეტრ.—ოქტომბრის გადატრიალების დროს პეტროგრადში ვიყავი. შემდეგ წამოვედი და, მოხალისეთა ჯარის შექმნამდე, დონის ოლქში ეცხოვრობდი. მოხალისეთა ჯარი, რომ დაარსდა. გამიწვიეს, როგორც ოფიცერი.

თავმჯდ.— მოხალისეთა ჯარში შესვლა, თქვენ სავალდებულოდ მიგაჩნდათ? **პეტრ.**— არ გვაყენებდნენ, სავალდებულოდ გვიხდიდნენ, თორემ არ მინდოდა. **დამცველი ქ.**— ის ბრძანება, რომელიც შეესებოდა ამას. რომ ყველა კომუნისტი ჩამოახრჩვეთო, ალბად, საიდუმლო იყო. ხომ არ გახსოვთ №, ან და როდის იყო გამოცემული?

პეტრ.— კი, № 27, 1919 წ. 5 თებერვლის თარიღით.

თავმჯდ. თქვენ პირნათლად ასრულებდით ყოველივე საიდუმლო ბრძანებას?

პეტრ.— როგორც სამსახურის კაცი...

თავმჯდ.— დაჯექით. ხანბეკოვი მუსლიმ ომარისძე! (წამოდგება) გრძნობთ თუ არა. თავს დამნაშავეთ იმაში, რომ თქვენ კომუნისტებს სიკვდილით დასჯას უწყვეტდით?

ხანბ.— კი.

თავმჯდ.— რისთვის აგრე სასტიკად იქცეოდით, რისთვის ქალაქის მოედანზე ახრჩობდით!

ხანბ.— ჩვენ უნდა ავეგსრულებოდა ის. რასაც გვიბრძანებდნენ. სასამართლოს თუ არ სურდა თავის დადუპება, არ შეეძლო კომუნისტი გაემართლებინა. ჩვენ საკუთარ ინიციატივას მოკლებულნი ვიყავით.

ბრალზდ.— თქვენ ამბობთ. საკუთარ ინიციატივას მოკლებულნი ვიყავითო, როდესაც ოფიცრობა ქუჩებში ხოცავდა უდანაშაულო ხალხს და გაიძახოდა ესენი ბოლშევიკებიაო, მაშინ არ იყავით ინიციატივას მოკლებულნი?

ხანბ.— მე ეს არასოდეს არ ჩამიდენია.

ბრალზდ.— თქვენ, როგორც დაღესტნის მცხოვრები, უფრო იყავით დაინტერესებული იმაში, რომ გაგეწმიდათ დაღესტანი ბოლშევიკებისაგან? ამიტომ ახრჩობდით მათ!

ხანბ.— მე შეძლების და გვარად გაპარვის საშვალეებს ვაძლევდი კომუნისტებს.

თავმჯდ.— მაგალითად—ვის? (ხანბეკოვი ვერ უპასუხებს).

დამცველი— ხანბეკოვო! ალბად, გქონდათ შემთხვევა, რომ დახმარება გაუწიეთ კომუნისტებს და ახლა არ გაგონდებათ. აბა, მოიგონეთ კარგად?

ხანბ.— დიახ, ორი ჩემი. ნათესავე იყვნენ ბოლშევიკები და ისინი გავაპარე მთებში.

პენიაევა— რა აზრის იყავით თქვენ მოხალისეთა ჯარზე, გქონდათ იმედი, რომ ის გაიმარჯვებდა?

ხანბ.— პირველად კი მქონდა ჩემი გამარჯვების იმედი, მაგრამ შემდეგ, როდესაც გლეხებს დაუწყეს აწიოკება და მიწების ჩამორთმევა, მე ეს იმედი დაკარგე და ყოველ დღე მოველოდი მოხალისეთა ჯარის დამარცხებას.

თავმჯდ.— თუ თქვენ ამაში დარწმუნდით, რისთვის არ გადადით კომუნისტებისაკენ? იყო მრავალი მაგალითი, რომ ოფიცრობა მიემხრო წითელ-ჯარს და პატივის-ცემით მიიღეს იქ.

ხანბ.—დაშინებულნი ვიყავით. ვინც ჩვენსკენ გადმოდიოდა, ერთმად გაი-
ქახოდნენ: ოფიცრებს ხერეტენო.

თავმჯდ.—დაჯექით. კოროლიოვ, მიხაილ გრიგოლისძე (კორ. წამოდგება)
ვრძნობთ თუ არა თქვენ თავს დამნაშავედ იმაში, რომ თქვენ იყავით კონტრ-
რევოლიუციონერთა რიგში, და პროლეტარიატის ხელმძღვანელებს სიცოცხლეს
უსპობდით.

კოროლ.—კი.

თავმჯდ. -თქვენ შეგნებულად სწადიოდით ყოველივე ამას?

კოროლ.—ღიახ. მე გარკვეული აზრის ვიყავი თქვენხედ და, დღესაც
აზრს ვადგივარ.

სუხოვსკი—როგორია ეს თქვენ აზრი!

კოროლ. -რომ, თქვენ რუსეთს ვერ იხსნით, და მე, როგორც პატრიოტს,
სხვა გზით მინდოდა სამშობლოს ხსნა?

პენიაევა—საინტერესოა, რა გზა იყო ეს?

კოროლ.—კომუნისტების დამარცხება და ბურჟუაზიის გამეფება.

სუხოვსკი— თქვენ განაცხადეთ—სოციალისტ-რევოლიუციონერების პარ-
ტიამი მუშაობდით, ამისთვის დასჯილიც იყავით. რისთვის გამოდით ამ პარ-
ტიიდან?

კოროლ.—არ მომეწონა საზოგადოდ სოციალისტობა,

ბრალმდ.—დიდხანს იყავით პარტიის წევრად?

კოროლ.—არა. ერთ თვეში დამიქირეს, შემდეგ სამი თვე ციხეში ვიყავი.
ციხიდან რომ გამოვედი, დავსწყველე ყოველივე სოციალისტური პარტია.

თავმჯდ.—შეიძლება პარტიამ გამოგრიცხათ?

კოროლ.—ღიახ, გამოწრიცხა.

თავმჯდ.—რისთვის?

კოროლ.—ლალატი დამწამეს.

თავმჯდ.—დაჯექით. სიტყვა ეძლევა ბრალმდებელს.

ბრალმდებ.—ამხანაგებო! ტრიბუნალის წევრო! ეს საქმე, რომელიც დღეს
იჩნევა იმდენათ ნათელია, რომ მასხედ მე ბევრს არ ვილაპარაკებ. ჩვენს წინა-
შე დგას სამი დამნაშავე, სამივე წარმომადგენელი ბურჟუაზიულ კლასისა და
მასთან გაკლენთილი იმ იდეით. რომ რამდენ მეტს კომუნისტს ჩამოახრჩობენ,
იმდენად კარგია, გაიწმინდება რუსეთიო. ნუ თუ ღირს, რომ ასეთ ადამიანებზე
დიდხანს შევაჩერო თქვენი ყურადღება? მასთან, ფაქტი მათი დანაშაულობისა
ნათელია, განაჩენი მათ მიერ ხელ მოწერილი თქვენს წინაშე ძეგს. ამ განაჩენის
ძალით, ისინი ქალაქის მოედანზე ახრჩობენ ოთხ კომუნისტს. რას ნიშნავს
ეს? რისთვის ქალაქის მოედანზედ ახრჩობენ მათ და არა ქალაქის გარედ? ანით
მათ უნდოდათ ემოქმედათ ხალხის ფსიხოლოგიაზე, დაეფრთხოთ ხალხი. რომ
მას არასოდეს არ ეფიქრნა ბოლშევიკების თანაგრძნობაზე, ამახედ მეტი სიმ-
კაცრე კიდევ იქნება? ეს საშუალო სალკუნის დროს მოგვაგონებს. ისინი სწადი-
ან ყოველივე ამას შეგნებულად. მათ ესმით თუ რას შევბიან. ამისთვის მათ სა-
კმაო განათლება აქეთ მიღებული. ყოველივე საქმე მათ წინდაწინ ქონდათ მო-

ფიქრებულის, აწონილ-დაწონილი. ასეთი ადამიანების გამოსწორება ყოვლად შეუძლებელია. კუზინას მხოლოდ სამარე გაასწორებს. მე მოვითხოვ თქვენგან, ტრიბუნალის წევრონ, გამოუტანოთ მათ უმალლესი სასჯელის განაჩენი, დახვრე-ტა. ეს იქნება ერთადერთი სწორი განაჩენი და ამით თქვენ მოიხდით ვალს რევოლუციის წინაშე. ეს უნდა გიკარნახოს თქვენ-თქვენმა რევოლუციონურმა სინდისმაც.

თავმჯდ. სიტყვა ეძლევა დამცველს.

დამცველი ამხანაგებო! ტრიბუნალის წევრონ! მე ბედმა მარჯუნა ისეთი საქმის დაცვა. სადაც ბრალდება დამტკიცებულია. ფაქტი თვალ-საჩინოა. მე არ შემძლიან გავაბათილო ეს ბრალდება. მე მიინდა მხოლოდ მივითითოთ მეორე მხარეზე, ამხანაგ ბრალმდებელმა მოითხოვა უმალლესი სასჯელი დამნაშაევების ფის. ეხლა, როდესაც საბჭოთა მთავრობა ძლიერია, მას არ უნდა ეშინოდეს ასეთი ხალხის, როგორც ესენი არიან. (უთითებს დამნაშაევებზე) მათ არავითარი ენება არ შეუძლიათ მოუტანონ საბჭოთა რუსეთს მომავალში. ისინი ამისთვის სუსტნი არიან. მათი სიკვდილით რა უნდა მოიგოს საბჭოთა მთავრობამ? სრულიად არაფერი. ეს იქნება შურის ძიება, სამაგიეროს გადახდა, რომელიც საბჭოთა მთავრობის კანონით აკრძალულია. თქვენი ვალია დასტოვოთ ისინი ცოცხალი და ამუშავოთ სახელმწიფო საქმეზე. ამიტომ მე მივმართავ თქვენ რევოლუციონურ სინდისს და, გთხოვთ ნუ დასჯით მათ სიკვდილით, როგორც ეხლა ყოვლად უწებელ ხალხს. გახსოვდეთ, რომ საბჭოთა ხელის უფლება არ მოითხოვს მკაცრ პასუხს ძველი ცოდვებისათვის. დამნაშავეს ის უდგება იმ თვალ-საზრისით, თუ რამდენათ ეს და ეს პირი მავნებელია მისთვის ეხლა.

თავმჯდ. - პეტროვო! - თქვენ გეძლევათ უკანასკნელი სიტყვის ნება.

პეტროვი ბატონებო! მე დამნაშავე არ ვარ. ჩვენ ასეთი გვქონდა ბრძანება, და ასედაც უნდა მოვქცეულიყავით. ან კი რა შემეძლო მე სხვა? უმალლეს მთავრობის წინააღმდეგ სამოქმედო ძალა არ იყო ჩემს ხელში. გთხოვთ, მაჩუქოთ სიცოცხლე და, ვფიცავ, ვემსახურო საბჭოთა მთავრობას მთელი ჩემი ენერჯით და გამოცდილებით, არ ვულალატო მას არასოდეს და, თუ რაიმე ჩავიდინო ამიერიდან თქვენს ხელში არ ვიქნები? მაპატიეთ ყველა ძველი ცოდვები, მაჩუქეთ სიცოცხლე. (დაჯდება ულონოდ)

თავმჯდ.— ხანბეკოვო! თქვენ გეძლევათ უკანასკნელი სიტყვის ნება.

ხანბეკ.— ბატონებო! მე არ შემძლია თავი გავიმართლო იმაში, რომ არ გამოგვიტანია სიკვდილით დასჯის განაჩენი, მაგრამ ამას გვიკარნახებდნენ ჩვენ და არ შეგვეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავით. ამასთან ჩვენ სულ სხვას გვეუბნებოდნენ. ჩავვიჩინებდნენ, რომ ბოლშევიკები კაცი ჰამიები არიანო, მათი წითელი არმია ჩინელებისგან შესდგებაო. ეხლა კი, როდესაც დაეინახე სამაგალითო წესი ყოველივე მხრივ, წითელი ჯარი რკინის დისციპლინით და მასთან მაღალი შეგნებით, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის. მე მივხვდი, რომ ჩვენ მოტყუებულნი ვიყავით. მივხვდი, რომ ჩვენ სიმართლეს გვიმალავდნენ. მე მეგონა ჩვენ სარდაფებში ამოგვხოცავდნენ შიმშილით. ამის მაგიერ კი, ჩვენ სამაგალითო თავაზიანად გვეპყრობოდნენ ციხეში. თუმც, ჩემის აზრით, ამის

ღირსნი არ ვიყავით. მე გთხოვთ, ბატონებო, მაჩუქეთ სიცოცხლე და ვფიცავ რომ გულ-წრფელად ვემსახურო საბჭოთა მთავრობას, არ ვულალატო მას არასოდეს და პირნათლად ავასრულო, რასაც დამავალდებთ.

თავმჯდ.—კოროლიოვო! თქვენ გეძლევათ უკანასკნელი სიტყვის ნება.

კოროლ.—მე უარს ვაცხადებ უკანასკნელ სიტყვაზე. ამათსავით ლაჩრათ არ მოვიქცევი. მე ოფიცრის რწმენას არ ვულალატებ.

თავმჯდ.—სამხედრო-რევოლიუციონური ტრიბუნალი მიდის განაჩენის გამოსატანად. (ტრიბუნალი გადის. მდივანი, ბრალმდებელი და დამცველი სცენაზე რჩებიან და ხმა-დაბლა ლაპარაკობენ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

იგინივე, ტრიბუნალის წევრებს გარდა.

I ხალხიდგან —ნეტავ, როგორ განაჩენს გამოუტანენ?

II „ - —დანაშაული ისეთია. რომ, მგონია, დავხრეტენ. საპატიო მიზეზი არაფერი არ არის.

III ხალხიდგან—ღირსნიც არიან. თუ დახვრეტენ. მე ხომ კომუნისტი არა ვარ, მაგრამ მოხალისეთა ჯარი ისე სასტიკად ეპყრობოდა ხალხს, რომ ახლა გახსენებაც შიშის ზარსა მცემს. სამაგიეროს გადახდა უნდა.

IV ხალხიდგან—არა, ამხანაგებო! ჩემის აზრით. დიდი სასჯელი იქნება, თუ გადაუწყვიტეს 8—10 წლის ციხე.

III ხალხიდგან—რას ამბობთ? ეს ხომ განთავისუფლებას ნიშნავს? ათი წლის ციხე საბჭოთა რუსეთში არაფერს არ ნიშნავს. გამოვა ოქტომბრის ამნიშტია და დაუნახევრებენ სასჯელს. მეორე ოქტომბერში სრულიად გაანთავისუფლებენ. ნუ თუ არ უნდა ავან ამათ იმაში პასუხი, რაც ჩაიღინეს?

IV ხალხ.—ამხანაგო? თქვენ მსჯელობთ, ისე როგორც რომელიმე ბურჟუა. საბჭოთა ხელის-უფლება არ ძიობს შურს არასოდეს. რა ეუყოთ, თუ იმათ ჩაიღინეს დანაშაული და ხალხი უსამართლოდ დასაჯეს. ჩვენ ხომ არ უნდა გავიმეოროთ მათი შეცდომები? ჩვენ, პირიქით, ვცდილობთ მოისპოს ყოველივე ის. სულ მალე გამოვა საბჭოთა რუსეთში კანონი სიკვდილის დასჯის მოსპობისა. მასთან საბჭოთა რუსეთი ეხლა იმდენად ძლიერია, რომ ეს ხალხი ვერას დააკლებს მას. ხომ გაიგეთ, როგორ ეხვეწებოდნენ მსაჯულებს: სიცოცხლე გვაჩუქეთ და ამიერიდგან არაფერს ჩავიდენტო; ეს მათი სრული კაპიტულიაცია საბჭოთა მთავრობის წინაშე.

I ხალხ.—მე მრწამს ამხანაგის სიტყვები და ვფიქრობ, რომ დიდ სასჯელს არ გადაუწყვეტენ.

III ხალხ.—ამხანაგო! ერთი მითხარით, ტრიბუნალს აქვს კანონები, მუხლებათ დაყოფილი განაჩენის გამოსატანად, თუ არა?

IV ხალხ.—რატომაც არა, ამხანაგო. ტრიბუნალის წევრნი სჯიან რევოლიუციონური სინდისით. ისინი ღებულობენ მხედველობაში, თუ რა პირობებში

ზობდა დანაწეული. როგორი იყო დამნაშავეის სულიერი და მატერიალური მდგომარეობა მაშინ და სხვა. ყოველივე ამას ასწონ დასწონიან და ხმის უმეტესობით გადაწყვეტენ სასჯელს. თუ რა სასჯელი ეკუთვნის, ამას უკარანახებს მათ რევოლუციონური სინდისი.

II ხალხ. — ეს არის ხალხის საქმეც. კომუნისტები ხალხის კეთილ-დღეობისთვის იბრძვიან და ასეც უნდა იყვეს!

მდივანი (ზარს რეკს) გთხოვთ აგრე ხმამალა ნუ ლაპარაკობთ. თორემ თქვენი ხმამალა ლაპარაკი ხელს შეუშლის ამხ. ტრიბუნალის წევრებს მუშაობაში. (ჩამოეარდება სიწყნარე და რამდენიმე წუთის შემდეგ, შემოდის ტრიბუნალი. ყველანი ფეხზე დგებიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

(იგინივე და ტრიბუნალი).

თავმჯდ.—(კითხულობს განაჩენს. ხალხში სიწყნარეა) რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, დაღესტნის ოლქის სამხედრო რევოლუციონურმა ტრიბუნალმა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—პარზენოვი, წევრები: პენიაევა სუხოვსკი და მდივანი—დანდუროვი. —თავის სხდომიზე, 1920 წლის 12 მაისს. განიხილა რა საქმე № 12, პეტროვის, ხანბეკოვის და კოროლიოვისა, რომლებსაც ბრალად ედებათ კომუნისტების სიკვდილით დასჯა და კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობა, დაადგინა: ბრალდება ეს, დამტკიცებულ იქმნა ძიების დროს და მიუსაჯა პეტროვს, ხანბეკოვს და კოროლიოვს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა (თავმჯდომარე შეჩერდება. დამნაშავენი შეკრთებიან), მაგრამ, მიიღო რა მხედველობაში ტრიბუნალმა პეტროვის და ხანბეკოვის გულწრფელი განცხადება—ემსახურონ საბჭოთა მთავრობას.—და აგრეთვე პირველ მაისის ამნისტია. დახვრეტა პეტროვს და ხანბეკოვს შეუცვალა სამხედრო ბანაკში გაგზავნით სამოქალაქო ომის ლიკვიდაციამდე რუსეთში. კოროლიოვი კი გაიგზავნოს 5 წლის ვადით დონის ოლქის ქვა-ნახშირის მალაროებში სამუშაოდ. განაჩენი ეს უკანასკნელია—გასაჩივრება არ შეიძლება. და შედის ძალაში 24 საათის განმგელობაში. (ხალხი ტაშს უკრავს და გაისმის ხმები: გაუმარჯოს ბოლშევიკებს! გაუმარჯოს ტრიბუნალს. თავმჯდომარე ზარს რეკს რამდენიმე ჯერ. ხალხი თან და თან წყნარდება).

თავმჯდ.—სამხედრო-რევოლუციონური ტრიბუნალის სხდომას დახურულათ ვაკუხადებ. (ტრუსაღები გაყავთ. ტრიბუნალის წევრნი, მდივანი, ბრალმდებელი და დამტყველი მიდიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV.

III ხალხიდან—(ხალხი წამოდგება და წასვლას აპირობს, ამ დროს ერთი მათგანი იწყებს ლაპარაკს! ბატონებო! მართალი გითხრათ, დღევანდელმა ტრი-

ბუნალის სხდომამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზედ. შეიძლება ითქვას, რომ მე შემოვედი დღეს აქ კომუნისტების მტრად და. ვაედივარ მოყვარულ. აბა, ვის არ ახსოვს პეტროვის და მისი თანამოაზრენის სიმკაცრე და არა ადამიანური, მოპყრობა ბოლშევიკებისადმი? ვის არ ახსოვს ის დრო, როცა ყოველდღე რომელიმე ელექტრონის ბოძზე ბოლშევიკი იყო გამოკიდული? და აი, მიუხედავით ამისა, რომ ბრალდება დამტკიცდა, თქვენ გაიგონეთ, თურა მიუსაჯეს მათ! მე ხომ კომუნისტი არა ვარ. მაგრამ მათმა ასეთმა, განაჩენმა ჩემი სიმპატია, მათკენ გადახარა. დღეიდგან ვეცდები დავეხმარო ყოველივე საქმეში მათ, გულ-წრფელად. აბა, სიცოცხლე წაართვა ადამიანს იმისთვის, რომ მას ერთხელ რალაც ჩაუდენია—ეს არ არის სინდისიერი ერთადერთი მთავრობა, რომელიც მართლა ხალხისათვის ზრუნავს და უწყევს ანგარიშს მის მდგომარეობას. ეს საბჭოთა მთავრობაა. ნე ვაკვირდები მათ მოქმედებას. და ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ხალხის საზარალოთ: კომუნისტებს თავისი პირადობაც კი ავიწყდებათ, ისე არიან გამსჭვალულნი საერთო საქმით. მე ამას კარგი ხანია ვამჩნევდი, მაგრამ, რალაც ჟინიანობის გამო, არ მინდოდა მათთან თანამშრომლობა. ისინი ქმნიან ახალ სახელმწიფოს. მათი ენერგიული შრომით ინგრევა ძველი და შენდება ახალი ცხოვრება. შევუწყობ ჩვენც მათ ხელი შეძლების და გვარად, დავეხმაროთ გულ-წრფელად. ინიტომ, რომ ის ჩვენი მთავრობაა, ხალხის პირმშო შეილი, თუ ჩვენ ვერ გამოვსწორდებით, ვერ შევიგნებთ კომუნისტების იდეის სიდიდეს, ვეცადოთ ჩვენი შეილები მაინც გამოვიდნენ ნამდვილი ადამიანები. ვუსურვოთ, მოქალაქენო. გამარჯვება საბჭოთა მთავრობას და მის ხელმძღვანელებს. გაუმარჯოს კომუნისტებს! გაუმარჯოს მათ მართალ და სწორ გზას! (ძლიერი ტაში, ხმები გაუმარჯოთ—გაუმარჯოთ!

ფარ და ეშვება.



ა. დეგუე

პროლეტარნი ქალი

1 მოქმედებათ.

თარგმანი პ. აბრამიასნი.

—

პროლეტარო ქალი.

მ რ მ ქ მ ე ღ ნ ი :

- | | |
|--------------------|------------------------|
| 1. კოსტია ოსოკინი. | მუშა, 30 წ. |
| 2. ვალია . | მისი ცოლი, 27 წ. |
| 3. პეტია | ამათი შვილი, 7 წ. |
| 4. ნიკო ღუნინი | კოსტიას მეგ. 40 წ. |
| 5. ვანო | ახალგაზრდა მუშა, 17 წ. |
| 6. ქარხნის მუშა | უსიტყვეოდ |

მოქმედება სწარმოებს ქ. პეტროვრადში 1917 წ. 25 ოქტომბერს.

სცენა—პატარა, სუფთად მოთუჯი ოთახი. მარჯვნივ—ერთი კარი. ორი ღანჯარა. ჩამოშვებულია სუფთა ფაოდები. პატარა ეპოდო. იქვე—მაგიდა. ტახტი, მარჯვნივ—საბავშვო ტახტი. რამოდენიმე სკამები და სხვა დაზოგული საოფ. ხო სამაღლები.

(ფარდის ახდისას ოსოკინი სდგას კამოდზე გადაყრდნობილი. ვალია ტახტზე ზის თავჩალუნული. პეტიას სძინავს. ხანკრძლივი პაუზა).

ვალია—ასე... მაშ, შენ მიღიხარ. არა?

ოსოკინი—მიედივარ! (სიჩუმე)

ვალია—(მუდარით) ნუ მიხვალ. კოსტია... იყავი, აქ... დარჩი...

ოსოკინი არ შემოძლია, ამოთ ფიქრობ ჩემს გადაბირებას. ხომ გახსოვს. როგორის აღფრთოვანებით ჩავეწერეთ, ამ რვა წლის წინეთ პარტიაში? შენ ჯერ კიდევ პაწია ქალი იყავი, როდესაც სიცოცხლით აღსაგეს სიტყვებით მეფიცებოდი სიყვარულსა და ერთგულებას. შენ მზავი, იყავი თვით საბედისწერო, ხელჩართულ ბრძოლაშიაც ამომდგომი გვერდით—რევოლუციისა და ხალხის საკეთილდღეოთ! ხომ გახსოვს ფიცი? შენ აასრულე სიტყვა. მიატოვე ოჯახი. მშობლები. ერთად ვიყავით გადასახლებულნი შორეულს ქვეყანაში... ყველგან, ყველგან, სადაც მე ვიყავი, შენც თან მახლდი. ეხლა კი, როდესაც დადგა ჩვენი სანუკვარი ოკუნების განაღდების წუთები, რატომ გავიწყდება მოვალეობა? რათ დალატობ ფიცს?

ვალია—(აღშფოთებული) მართალია. შენ მართალი ხარ. ჩემო კარგო, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო... ეხლა კი, რალაც საშინელი წინათგონობა მსტანჯავს... ასე მგონია. ბედის წერა რალაც უბედურებას მიქადის.

ოსოკინი—(გადაჭრით) არა, მე წაველ. უპიკველია ჩემი წასვლა. მე არ შემოძლია ოთხკედელთა შორის ვიჯდე. როდესაც ყველა ჩემი ამბანავები... ჩე-

მებრ საუკუნოებით დევნილნი, მიეშურებიან, რომ სულთანა უმდგომარეობითა და ტყვიის მფრქვევლებით ძველ სამყაროს, მეც, მეც ვალდებული ვარ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში შევიტანო ჩემი მცირედი წვლილი.

ვალია—ისინი უშენოდაც მრავალნი არიან... შენ პატარა უმნიშვნელო წვეთი ხარ აბობოქრებულ ზღვაში.

ოსოკინი—მართალია, მაგრამ ამ უმნიშვნელო წვეთებისაგან შესდგება პანა ჩანჩქრები... ისინი უერთდებიან უფრო მოზრდილებს, რომლებიც შემდეგ შეადგენენ ყველა ერთად დიდს, მძლავრს და მოუსვენარს მქუხარე მდინარეს, რომელიც გაზაფხულზე ადიდდება. გადმოხეთქავს ნაპირებს და მიაქვს ყველაფერი. რასაც კი წააწყდება გზაში, რომ ჩაიტანოს ზღვის უძირო უფსკრულში. ასეთი ვარ მეც. ასეთია ჩემი ბუნება... დეე, ვიყო პატარა, უმნიშვნელო, შეუძინეველი წვეთი. მაინც მინდა ვერიო იმ დიდს მოუსვენარ მდინარეში. მეც შევიტან ჩემს მცირედს წვლილს იმ აშშორებულ კაობიან ნაპირების გაწმენდაში, რომელიც ასე უფერულათ ხდის ცხოვრებას და სწამლავს სიცოცხლეს. ჩემში ფეთქს ძლიერი სურვილი. მე მინდა ვიყო წვერი იმ ამაყი რაზმისა, რომელიც ფეხქვეშ თელავს და მიწასთან ასწორებს ძველს დამყაყებელს ცხოვრებას. მე წავალ... წავალ უშიშრად იქ... (დადის).

ვალია—მე ვხედავ. შენი თვალები აენთნენ ცეცხლით. ბრწყინავენ, როგორც მნათობნი. შენ ლელავ... შენ ისწრაფი მათკენ—მაგრამ...

ოსოკინი—(აწყვეტინებს) რა მაგრამ?!

ვალია—(კრძალვით) შენ მიდიხარ. რომ იბრძოლო ხალხის საკეთილდღეობათ... შენი პირადი ბედნიერება კი გავიწყდება...

ოსოკინი—(სიცილით) პირადი ბედნიერება! საკუთარი თბილი საეანე. ეს საკუთარი ღორ-მუცლობა, როგორაც სთქვა ერთ-ერთმა მწერალმა. ასეთები ჩვენთვის არ არსებობს, ესენი მხოლოდ სულმდაბალთა და პირუტყვთათვის არის მოგონილი. მე მეამბოხე ვარ—რევოლიუციონერი. ასეთებისათვის პირადი ბედნიერება და თბილი საეანე არ არსებობს. მთელი ჩვენი ხან მოკლე სიცოცხლის დღეები ათასგვარ საბედისწერო შემთხვევებით არის ერთი-მეორეზე გადახლართული. ყოველი წუთი აღსაესება აღჭურვილობით და შურისძიებით. ჩვენ არ გვცალკია... არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ საკუთარ თავზე, როდესაც მთელი ქვეყანა ბოროტების ჯანყ-ბურუსშია გახვეული და კაცობრიობა მონობის მძიმე უღლის ქვეშ სულს ღაუავს. ჩემი მისწრაფება და ინდივიდუალური კეთილდღეობა მხოლოდ პროლეტარულ კოლექტივიზმია, რომლის შექმნა და შენარჩუნება ითხოვს უამრავ მსხვერპლს...

ვალია—მე ეს კარგად მესმის... შენ ძალიან ხშირად მესაუბრებოდი ხოლმე ანაზე; მე ჩემზე არ გვედრებდი, ჩემი პირადი ბედნიერებისათვის არაფერს გთხოვ. მაგრამ ჩვენი შვილის საკეთილდღეობათ...

ოსოკინი—(აწყვეტინებს) ჩვენი შვილის... ჩვენი პატარა პეტისა საკეთილდღეობათ... ო, რა მიძიმეა ეს. შენი სიტყვები ყველაზე უფრო მტკივნეულ ალაგზე მსდგება. ყოველი მამა ფიქრობს, ცდილობს მისცეს და დაუტოვოს თავის შვილს რაიმე კარგი ნომავლისათვის... მე...მე რას მივსცემ მას?... უბედურებას... ტან-

ჯვას... მწუხარებას... (ჩაფიქრდება) და, არა, უგუნურებას, უბედურებას და ტან-
ჯვას უანდერძებ მას—არამედ იქ, სისხლის მღელვარე ტალღებით დაფარულ
ბარბოქადზე მე გამოვსქედავ დიდების შარავანდელით მოსილს ბრწყინვალე მო-
მავალს. აი რას ვაჩუქებ მას... (მიდის ცოლთან—ხელს კიდებს) ანთე ბრძო-
ლის ცეცხლით, ჩემო შვიო, შენ პროლეტარი ქალი ხარ... გაიხსენე... მუდამ
გახსოვდეს, როგორ ვეწამეთ... ხომ გახსოვს ტანჯვა შორეულ ქვეყანაში? (ქალი
თანხმობის ნიშნად თავს აქნევს) მაშ. ნუ ითხოვ ჩემს აქ დარჩენას... მე ვიყო...
მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ შენში ლაპარაკობს ერთგული და მოსი-
ყვარული ქალი, რომლის ზრუნვა და ფიქრი ყოველთვის საყვარელ ქმარ-შვილის
გარშემო ტრიალებს, მაგრამ გახსოვდეს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლა და
იცხოვრე მხოლოდ იმისათვის, რომ ერთხელ მაინც ნახო მზის სხივებზე შენი
ღიადი მიზანი.

ვალია -- (ეხვევა ქმარს) შენ ისეთივე ენტუზიაზმით აღსავსე ხარ, როგორც
იყავი ამ რვა წლის უკან... შენ ისეთივე დაუდგომელი და მოუსვენარი ხარ.
როგორც შეგვიყვარე მე... როდესაც შენ მიღიხარ მქუხარე ბარბოქადებზე, შენ
მიღიხარ უდიდეს სამსხვერპლოზე. სადაც შეიძლება შესწირო ყველაზე უძვირფა-
სესი საუნჯე, რომელსაც სიცოცხლე ქვია... შენი სიცოცხლე ჭი ძვირფასია და
მეტად საკირო ჩვენთვის...

ოსოკინი -- შენ ბოდავ... შენ არ იცი რა უნდა სთქვა... შენ შეგიძლია წარ-
მოიდგინო, რა სახელით მომნათლავენ ჩემი ამხანაგები? მე რომელიც ორიო-
დე საათის უკან ვიწვევდით მათ გამოსვლებისაკენ. სახლში უნდა დავიმალო.
ისინი კი, მარტოდ მარტო დაესტოვო ბრძოლის ველზე - სამეძრო სასიცოცხლო
ბრძოლაში? არა, არაფრის გულისათვის! არ შემიძლია აქ დარჩენა. მე დავიშა-
ხურებ: ლაჩრის, მოლატის და გამყიდველის საზიზღარ სახელს. (დადის ისმის
გახშირებული სროლა)

ვალია -- (შემკრთალი) რა არის?

ოსოკინი -- (მივარდება ფანჯარას. შორს გასცქერის. შემდეგ მზიარულად
-- ხმა მალდა) ვალია -- დაიწყა! ეს ის არის. ჩვენი ფიქრი... ოცნება, რომელსაც
საუქუნეთა განმავლობაში გულში ფარულად ატარებდნენ მთელი ქვეყნის ტერით
მძიმენი... დაიწყა ჩვენი წითელი ავრორა.

ვალია -- სიხარულით) ავრორა -- ღმერთი აღიონისა.

ოსოკინი -- დიახ. ის არის - მხოლოდ არა ღმერთი აღიონის. არამედ დაუძლე-
ველი კრებისერი, რომელიც თოლადის მეკრდით მოარღვევს სივრცეზე გადაშლილ
ჯანყ-ბურუსით აბორიგლ ტალღებს. მას მოაქვს მძლავრი ფრთებით კომუნისტუ-
რი რევოლუტია. (ისე-სროლა) იგრიალე! იგრიალე -- წყრომისა და ნგრევის
ღმერთო. დაანგრევე ცა და ხმელეთი, რომ მის ნანგრევებს ქვეშ მოყვეს კერპი
ბოროტებისა... (ისმის მარსელიოზა, ოსოკინი უსმენს) ვალია -- გესმის სიმღერა?
ეს ნიშანია რევოლუტის... ის სიმღერით გვატუობინებს და გვჭახის ყველა
მებრძოლს თავისკენ... მაშ, მეც ვალდებული ვარ, პემი სიცოცხლე განახლების
წმინდა სამსხვერპლოზე მივიტანო. ის მღერის მთელ სამყაროს განთავისუფლების
ღიად ჰიმნს. ეს პირველი ზარია, რომელიც მოუწოდებს კაცობრიობას კომუნიზ-
მის სამეფოსაკენ. ხომ გესმის, ვალია?!

ვალია—(აღღრთოვანებულს ქმრის სიხარულით თვალები უბრწყინავს. მიღის ღანჯარასთან. ქმარს ხელებით მხარზე დაყვრდნობა) წადი... წადი---ჩემო რაინდო. ჩემო შეტუპოვარო მებრძოლო... მე კი აქ...

ოსოკინი (კოცნის) ახ. ჩემო ძვირფასო! ჩემო. (ისმის კაყუნი)

ვალია (შემქრთალი) მობრძანდით! (შემოდის ღუნინი შემდეგ, ვანო. ორივენი შეიარაღებულნი არიან. ვანოს ორი თოჯი აქვს - ორი სავაზნე!)

ღუნინი გამარჯვება კოსტია! (ხელს ართმევს).

ოსოკინი—ნიკოს გაუპარჯოს. ასე რათ დაიგვიანე? მე უკვე დიდი ხანია კიდრი აქ... (ვანოზე ანიშნებს) ეს ვინ არის?

ღუნინი ეს ჩემი განუყრელი მეკობარია---ვანო.

ოსოკინი აა, ვანო! ვანო. ეს შენა ხარ? წარმოიდგინე ისე დავაგვაცებულა რომ ველაოც კი კაცანი. (ხელს ართმევს) შენც ჩვენთან არა? ხომ არ ვეში-ნია?

ვანო—როგორ? მე სხვებზე ნაკლები ვარ თუ? აბა, რისი უნდა შემეშინდას?! აი, როგორ წამოვედაი სახლიდან. მალე წავიდეთ საზამთრო სასახლისაკენ. სადაც კერენსკიმ შეამზადა საუეხოო პარლამენტარული თათა. ჩვენ მივალთ და ისიც მზათ დაგვხთება.

ოსოკინი—(წსიცილით) მერე და კოვზი გაქვს?

ვანო—(უჩვენებს თოჯეს) ეს რით აოის ცული?! ერთი მე წამოვიღე, ერთიც შენ მოგიტანე... აი, დაიკავე (აძლევს) აი, ესეც (აძლევს ტყვიებით სავსე სავაზნეს) .

ოსოკინი—(გახედავს თოჯს) მეტად კარგია!

ღუნინი—მაშ. მე თითონ ამოვარჩიე. ვანომ კი გასწმინდა.

ოსოკინი—წავიდეთ, უკვე დრო არის. (კედლიდან ჩამოხსნის ტყავის ქურთუკს. ვანო ჩაცმაში ეხმარება).

ვალია—(დაღვრემილია. განზე გაინძობს ღუნინს, მობრძანდით აქ... (ის მიდის) თქვენ ბავშობიდანვე იცითა, როგორი ჩქარი და მოუსვენარია ის...

ღუნინი—რასაკვირველია, ის ძლიერ ჩქარია. ნამდვილი რევოლიუციონერი. შეამბოხე.

ვალია—მე ვგრძნობ... რალაც უხილავი ძალა ჩამსჩურჩულებს ყურში... ჩემს თავზე რალაც უბედურება დატრიალდება. კოსტიას—კარგი არ მოუვა იქ... გთხოვთ... უმორჩილესად გთხოვთ თვალყური დაიქიროთ მასზე... ნუ გაუშვებთ თქვენგან შორს, საშინაო ადგილაზე. (შეშინებულის ხმით) თუ ის დაიქრა, ან მოკლეს, მოიტანეთ აქ... ხომ ამისრულებთ ამ თხოვნას?

ღუნინი—(ართმევს ხელს) სიამოვნებით, ანხანაგო ვალია!

ოსოკინი—(ჩაიკვია) მზათ ვარ უკვე. შემიძლია წავიდე. (პაუზა)

ვანო—ამხანაგებო. წავიდეთ, თორემ თათა გაცივდება!

ოსოკინი დიახ, დროა წასვლის... (პაუზა) თქვენ, მეგობრებო, წადით წინ—მე ეხლავე დავეწევი (ღუნინი ემშვიდობება ვალიას. ვანო მხიარულად გადაკიკისებს, ორივენი საჩქაროთ გადიან).

ოსოკინი—(მოეხვევა ცოლს) ნახვამდის, ჩემო სიცოცხლე!

ვალია—ნახვამდის, ჩემო წითელო რაინდო!

(მოეხვევა—აკოცებს. შედღე კამოდის, უჯრიდან იღებს წითელ ლენტს—შეუხვევს მარჯვენა მკლავს. რალაც კიდევ უნდა უთხრას, მაგრამ ვერ ახერხებს—ცრემლი ერევა).

ოსოკინი—(ამშვიდებს) ნუ სტირი, ვალია!

ვალია—(ცრემლს მოიწმენდს) არა... მე—მხოლოდ ისე... ავლედდი...

ოსოკინი—ვალია—ისმინე ჩემი უკანასკნელი ანდერძი: შეიძლება მე დავეცე ბრძოლაში... ან, თუ ტყვედ ჩაუვარდი ნტერს, დამხვობი... თუ მე მკვდარი მომიტანეს აქ ამხანაგებმა, არ იტირი. ჩემზე... ცრემლს ნუ დაღვრი... არ შეურაცყო ჩემი სახელი... ამაყი მეამბოხე—ოცოლიუციონერის ცხედარი... მოიქეცი ისე, როგორც შეშენის პროლეტარ ქალს, მარად გახსოვდეს. არ დაივიწყო ჩემი სიტყვები... გახსოვდეს ჩემი უკანასკნელი ანდერძი..

ვალია—ავასრულებ შენს დავალებას, ჩემო კარგო... ფიქრი ნუ გაქვს...

ოსოკინი—(მიიწვევს მძინარე პეტიასკენ) მივდივარ ჩემო ბავშო... ჩემო საყვარელო შვილო, იქ, სადაც გაჩაღებულია სისხლის ღერა... მივდივართ ჩვენ—მუდამ დენილნი მამები, რომ ჩვენი გაპარტახებული სახლკარი გადავარჩინოთ—საუკუნოდ განადგურებას და დაუშუპას.. თევენ მაინც გადავარჩენთ... თქვენ—რომელთაც არათფერი გესმით ადამიანთა ტანჯვა—ვაების. რომ ჩვენი ოფლით და სისხლით გაპოხიერებულ მიწის ნიადაგზე ივემით სიტკობება ბრწყინვალე მომავლისა. (ისმის გახშირებული სროლა. ახმაურდა ტყვიის მფრქვეველი. დაიქეკა ზარბაზნებმა). აი, უკვე ჩამოჰკრა განახლების გარიჟრაჟზე ძველი ქვეყნის აღსასრულის ზარმა. მშვიდობით. ჩემო საყვარელო ბიჭიკო... (აკოცებს შუბლზე)

პეტია—(გამოელეძებდა) შენ სად წიხვალ მამა?

ოსოკინი—(სიყვარულით) სულ ახლოს ჩემო მშენიერიო... მაგრამ, არც ისე ალაღ დაებრუნდები... მითხარი! შენ რა მოგიტანო, ჩემო შვილო?

პეტია—აი—ისეთი თოფი შენ რომ გაქვს, და ერთი ლამაზი ჩაქუჩი.

ოსოკინი—(სიცილით) გესმის ვალია? ხომ გაიგე რა უნდა? აქედანვე ეტყობა, რომ ნაპღვლი მებრძოლი პროლეტარი იქნება. (დარწმუნებით) - კარგი კარგი, ჩემო ბავშო—მოგიტან ისეთ თოფს, როგორც მე მაქვს და ერთ ლამაზ ჩაქუჩსაც... მშვიდობით, ჩემო საყვარელო ბავშო. (უოცნის. თოფს გადაიკიდებს. სიყვარულით მიმოავლებს ოთახს თვალს და ჩქარის ნაბიჯით გადის).

ვალია (ვაშეშებული სდგას. უცქერის ხან მიმავალ ქმარს—ხან წვილს. როდესაც აივანზე—ოსოკინის ფეხის ხმა მიწყდება: მივარდება კარებს—განწირვით/ კოსტია! კოსტია! (ცრემლი ერევა. ბრუნდება უკან).

პეტია—ღედა, სად წავიდა მამა?

ვალია—მამა? (ეკვრება შვილს) ის სულ მალე დაბრუნდება, შვილო...

პეტია—ღედა, მამას და ბიძიას რატომ ქონდათ თოფები? სად მიდიან?

ვალია—სად მიდიან? (აუეულათ) გინდა, შვილო, ზღაპარი—გითხრა?

პეტია—მინდა. მინდა. ღედილო, შენ ღიღი ხანია ჩემთვის არათფერი გითქვამს.

ვალია—(ჯდება შეილთან) უფრო მიგდე, შეილო... ძველად უხსოვარ დროში, დედანიწაზე ხალხში ცხოვრობდა საკვირველი ფერია, მას ეძახდნენ თავისუფლებას. ცხოვრება იყო მშვიდი. ტკბილად ცხოვრობდა ხალხი... არცინ არ ტირილდა და კმაყოფილებით ხედებოდა ყოველ ახალ დღეს... ყველას ღიმილი დასთანაშებდა პირის სახეზე... საუბედუროდ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდა... იქ სადაც მოს, მთის მიუვალ ორწონებში ცხოვრობდა ავი სული-ცარიხში. მას არავინ არ უყვარდა, განსაკუთრებით კი ფერია უჯავრებოდა და სძულდა, აი, ერთხელ დილით, როდესაც ფერია გამოვიდა მიხედვად ამომავალ მზის სხივების მისასლმებლად, ავი სული მას შემოერტყა შავი ღრუბლებით და გაიტაცა მთაში, სადაც თითონ ცხოვრობდა... იქ ფერია მან ჩააგდო მიწის ქვეშ, დაადვა რკინის ბოკილები, დაუყენა ასი გოლიათი და თითონ კი წავიდა ხალხის დასაწყობათ და დასარბევად. მწარე გახდა ადამიანთა ცხოვრება. ირგვლივ გამეფდა ტირილი. მოთქმა... კენესა-ვაებას არ ქონდა დასასრული... ასე გადიოდნენ წლები და საუკუნოები. ერთხელ ფოლადის ცეცხლში და ქარხნის ყვირილში იშვა ახალი ფერია-რეკოლიუცია. ფერიას მოესმა საშინელი გულშეშარავი მოთქმა და ვიში ხალხთა. ერთმშვენიერ დღეს, როდესაც შიმშილით ღონე მიხდილ ხალხს საბედისწერო წუთები დაუდგა... ფერია რეკოლიუცია მოვიდა მათთან. მოიხსნა მშვენიერ სახეზე პირბადე, მიაჩერდა ხალხს. ცეცხლ მფრქვეველ თავლებით და უთხრა: ნუ სტირით, წამოდით ჩემთან, ჩვენ დაეხსნით ტყვეობიდან ფერია თავისუფლებასო. გაშალა მძლავრი ხელებით წითელი დროშა და ხალხს გაუძღვა წინ... მათ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ გოლიათები დახოცეს... ავი სული გაიქცა და ფერიას თავისუფლება დაიხსნეს ტყვეობიდან... მთელი მიწის პირი სიხარულმა და ზეიმმა მოიცო...

პეტია—დედა. მე ვიცი ეს როდის მოხდა... გახსოვს... ყველანი რომ სიმღერითა და წითელი დროშებით დადიოდნენ?

ვალია—ჰო, შეილო, მაშ შენც გიყვარდეს თავისუფლება...

ჩემო სიხარულო და იმედო: დაიცავი ის ყოველთვის... შენც გელის... გიცდის ერთი ადგილი რეკოლიუციის სადარაჯოზე... ჯერ კიდევ მრავალი ავი სულები და გოლიათები დაძრწიან მთებში, რომ მოიტაცონ თავისუფლება... (ისმის განუწყვეტელი სროლა).

პეტია—გესმის, დედიკო?

ვალია—(ღელავს, ცდილობს თავი დაიმშვიდოს, წამოდგება) დიახ... ისიც იქ არის... იქ, სადაც სისხლის ნიაღვარი რეცხავს ქვაფენილებს. (ისმის კაკუნი) მობრძანდით! (შემოდის ვანო—ალმფოთებულთა. ხელში ორი თოფი უქირავს) რა მოხდა?

ვანო—(იბნევა) ისეთი... არაფერი... მხოლოდ, ამხანავი ოსოკონი... ო, როგორ გითხრათ!...

ვალია—ლეთისგულისათვის ჩქარა!

ვანო—ჰო... აჰ. ოსოკონი დაიქრა მეთქი. იუნკრები გადმოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ და ის იყო... ერთმა ესროლა ოსოკონს და... (საჩქაროდ მიბრუნდება კარებისაკენ. გასძახებს) შემოიტანეთ ძია ნიკო! (დაპირილი ოსოკონი შემოაქვთ მუშას და ნიკოს, კრილობა თავში აქვს---შეხეულია).

ვალია—რა მოუვიდა?!. (განწირვით) რა ამბავია ჩემს თავზე? (ოსოკინს დააწვენენ).

დუნინ—(მუშას) ჩქარა გაიქეცი... აგერ შესახვევში ექიმი სცხოვრობს დაუყონებლივ წამოიყვანე. თუ ნებით არ წამოვიდეს—ძალით. (უჩვენებს მჯილს) გესმით ჩვენებურად. აბა—ჩქარა! (მუშა გარბის) ვალია, მაპატიე, რომ ვერ მოუარე შენს კოსტიას (ცრემლი ერევა, დადის).

ვალია—(ცრემლ მორეული) მითხარი ლეთის გულისათვის, როგორ მოხდა ეს?

დუნინ—როდესაც კოსტია ჩვენამდის მოვიდა, ბარბიკადები უკვე მზათ იყო. ვხედავთ, ლამის სიბნელეში რალაც რაზმი გვიახლოვდება... მოვემზადეთ... ჩვენმა დარაჯმა დაიყვირა: „ვინ მოდის“—ო. პასუხად—იქექეს თოფებმა... დარაჯი დაეცა... ეს ვერ მოითმინა კოსტიამ და ხმა მაღლა შესძახა: „გაუმარჯოს კომუნას“—ო, ვერ მოასწრო ამისი თქმა! რომ სეტყუასავით დააყარეს თავზე ტყვიები... ეხლა კი როგორც ხედავთ, დაქრილია...

ოსოკინი—(ბოდაეს) ო... ოოო... მტკივა... მტკივააა... წყალი... წყალი... ვალია წყალს აძლევს).

ვანო—ოხ, რა მიძივა ეს... როგორ სტანჯავს ქრილობა.

ოსოკინი—ბორკილი... ჯაქვები... წამების ბოძი... ისევ ხელფეხი შემიკრეს.. მანარობენ... მყიდიან... მომხსენიით... (უნდა წამოდგეს) არ გინდათ მომხსნათ? მე თითონ—მოვიხსნი! (წამოიწვეს. ხელებს წინ გაიშვერს) ამხანაგებო, წინ! გაუმარჯოს კომუნისმს!

(ძირს დაეშვება. კვდება)

ვალია—(აღშფოთებული მივარდება ცხედარს) კოსტია! კოსტია ჩემო მამა-ცო მეომარო! (სტირის)

დუნინი—(სასოწარკვეთით) მოკვდა! ახ, კოსტია... კოსტია! დამშვიდდა ანაყი მემამოზე... საუკუნოთ მიძინა! იძინე ამხ. კოსტია მშვიდათ და ტკბილათ, ჩვენ კვლავ ახალის აღფრთოვანებით და ბრძოლის ეინით ანთებულნი წავალთ, რომ შევამსოთ მუშათა მებრძოლი რიგები. ვეკვეთებით მტერს ფოლადის სიმტკიცით!. არ დავთოვთ რევოლუციის წმინდასადარაჯოს სანამ ერთი მაინც იქნება ჩვენ რიგზე. იძინე სრულიად დაიმედებულად, ჩვენ ბრწყინვალეთ დავაგვირგვინებთ ერთხელ დაწყებულ საქმეს, რომლოს სახსვერპლოზე შენ მიიტანე შენი თავი.

ვანო—(ტირილით) იძინე, ამხ. ოსოკინო... ჩვენ შენს საქმეს არ უღალატებთ. (ბრაზით) ახ, შორს ღიპიანო ბურჟუაზიავ... ჩამოგეცალე... (ცრემლი ერევა)

დუნინი—წავიდეთ, ვანო... აქ რა უნდა ვაკეთოთ... ჩვენ იქ გვეძახის მეომართ ყიჟინი... შორს ცრემლები... ნუ შეგვაშინებს მებრძოლთა სიკვდილი.. ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა. ჟამისოდ არ არის ხსნა... ქვეყანა ითხოვს დანგრევას, მომავალი მსხვერპლს, ჩვენც შევეწიოთ სიამოვნებით!.. წავიდეთ, ჩემო ერდგულო მეგობარო... (გადიან).

ვალია—(პაუზა) ქვეყანა ითხოვს მსხვერპლს... ჩვენც შევეწიროთ!!

პეტია—(წამოდგება. არ იცის რა მოხდა, მიდის მამისკენ. ვალია დაიჭრას მამას რა დაემართა დედა?

ვალთა—რა? არაფერი! მოკლეს!.. არა, ავად არის! შენ დაწევი, შეილო! დაიძინე. ჩემო მშვენიერო ბიჭიკო. (პეტიას ისევ ტახტზე აწვენს) კოსტია! კოსტია! ჩემო საყვარელო კოსტია! (სტირის. მოეხვევა) რას სჩავდივარ?! ტირილი!!!? ცრემლი!!!!? არა მაქვს ამისი უფლება... (ჩუმად) მან თითონ მსთხოვა... მის ცხედართან არ მეტირა. მაშ, როგორ?!. როგორ მოვიქცე, ჩემო ძვირფასო—კოსტია?!. (ათვალიერებს ოთახს. შეამჩნევს თოფს. აიღებს. მაგიდაზე მიაყუდებს. აიღებს ქმრის ტყავის ქურთუკს. ჩაიცვამს. ქუდს დაიხურავს. შემოირტყამს სავაზნეს. მიდის ცხედართან) მე ვასრულებ შენს ანდერძს... იძინე ქარიშხლიანო მემამბოხე... მე გამოგცვლი შენ... შენ დაიქანცე ბრძოლით. (მიდის მძინარე პეტიასთან) შენც დაიძინე, ჩემო პაწიავ. შენ ჯერ ნორჩი ხარ, შენთვის ჯერ უჩინარია ცხოვრების ავი თარეში... მე მივდივარ, სისხლის ტალღებით აბობოქრებულ რევოლიუციის სადარაჯოზე... ჩაუსაფრდები მტერს მებრძოლ ქმერთან ერთად ბარიკადებში, რომ დევაგვირგვინო მამიშენის მიერ დაწყებული დიადი საქმე... მივდივარ, რომ გამოვსკედო შენი დიადი მომავალი. მაგრამ ჩემი ძუძუ შხამად შეგერგოს, თუ ოდესმე ტანჯულ ქმებს—მტერთან ბრძოლაში გაექცე... მშვიდობით! (პაუზა) „ქვეყანა ითხოვს დანგრევას... მომავალი მსხვერპლს. აურაცხელს... ვალდებული ვარ მეც მივიტანო რევოლიუციის სამსხვერპლოზე ჩემი თავი... ეს არის წმინდა მოვალეობა ყველა დაჩაგრულთა და ტვირთ მძიმეთა“. ასეთია ქვეყნის განთავისუფლების დიადი ლოზუნგი რომელიც აწერია ოქროს სხივებით ოქტომბრის დროშას... სადარაჯოსკენ, მებრძოლნო!.. ასე უნდა მოიქცეს—პროლეტარი ქალი. (ღაზის კაცის მტკიცე ნაბიჯით, საჩქაროდ გადის).

ფ ა რ დ ა.

ნ. დ. დუბინსკი

„ცხრა იანვარი“

პიესა 2 მოქმედებათ.

(თარგმანი რუსულით)

„სხრა ინანვარი“

მოქმედი პირნი:

ამხ. აბრამი	. სტუდენტი
ალექსი	. მუშა
ვერა	. მისი და
მართა ივანეს-ასული	. მათი ბიცოლა
პეტროვიჩი	ძველი მუშა
ფირსოვი	პროვოკატორი
ბოქაული.	
მუშები, მუშა ქალები.	

მოქმედება სწარმოებს 1905 წლის, 9 იანვარს.

ოთახი მართა ივანეს-ასულის სახლში; მარცნივ ორი ფანჯარა, შუაში უკან ვასავლელი კარი, მარჯვნივ შინა ოთახებში შესავლელი კარი, შუა ადგილას სუფრა, მარჯვენა კედლისკენ საწოლი ლოჯინი, კედელში მოწყობილია კომოდი. ალექსი, ვერა, პეტროვიჩი და ფირსოვი სხედან და სვამენ ჩაის, აბრამი დადის ოთახში და განავრძობს კამათს.

აბრამი—ეს ეშმაკმა იცის რა არის; თქვენ ხუცესთან ერთად, თქვენი გაპონით, გამოჩერჩეტებულხართ: სიმართლეს მეფესთან ეძებთ?!

ფირსოვი—მაშ, ვისთან უნდა ვეძიოთ, თუ არა მოწყალე მეფესთან. ანდა-ზაც კი ამბობს: „მეფე მწყალობს, მხოლოდ მაზიარი აღარ იმეტებსო“

ამიტომ კი, თვითონ მეფესთან უნდა მივიდეთ. უნდა აეუხსნათ, რა გვიკირს და რით გვეშეელება, და არა გაფიცვები ვაწყუთ. ხომ სწორია, პეტროვიჩი?

პეტროვიჩი—ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, განა მეფის წინააღმდეგ წასვლა შეიძლება? ის ხომ ყველასი თავია.

აბრამი—თავია, თავია, ისე ამბობთ ვითომ თქვენ კი არ გაბიათ თავი.

პეტროვიჩი ეგახ!... ჩემო შვილო, ჩვენ ხომ გაუნათლებელი ხალხი ვართ.

ფირსოვი—მაშ, თქვენის აზრით, ბატონო—სტუდენტო, რევოლუციებით და ბომბებით გაკეთდეს საქმე, არა, თქვენ თქვენს სოციალიზმს თავი დაანებეთ; ჩვენ მორწმუნე ხალხი ვართ და მამაოც ამბობს: ხატებით ბაირალებით.

ალექსი—და მერე რა კარგათ თქმულ! ხატებით, ბაირალებით და ლიტანიით, ამბობს პირდაპირ სასახლისაკენო. გამოვა ხეირი აქედან თუ არა, კი არ ვიცი. ვაი, თუ მეფის კარებთან ტყეებით გაგვიმასპინძლდენ.

ფირსოვი — რაო, ალექსი შენც უკან იხეე. თუ იქნებ შენც გაფიცვა გსურს აი. ესე მტრულად არის ხალხი განწყობილი; ლოცვაც კი დაავიწყდათ?.

ალექსი — ეე, მე ესთქვი წავალ-შეთქი, და კიდევაც წავალ. მხოლოდ ეს ყოველივე საეჭვოა.

ვერა — მე კი არ წავალ, კმარა. რაც ხუცებმა გვატყუეს. სიმართლის ძიებაში ისინი ვერ იქმნებიან ჩვენს თანამგზავრებათ.

აბრაში — გმადლობთ, ერთი კვირიანი კაცი მაინც აღმოჩნდა.

ფირსოვი — არაფერი კვირიანურია, რომ ტყუილ-შებრალოდ მღვდელი და ეკლესია ავინო. ერთი რომ გასაქირი. ან უბედურობა მოგადგეს მაშინვე კი გაიქცევი კახანის ღვთის მშობელთან. მფარველობა გაგიწიოს ღვთის წინაშე.

ვერა — აზრათაც არ მომსვლია მასთან გაქცევა.

პეტროვიჩი — აბა კმარა, როგორ ახმაურდით. უკეთესია აგერ ჩაი დამიხსნათ მე.

ვერა — (უხსხამს ჩაის) აბრამ ვასილის-ძეე, თქვენც დაგისხათ?

აბრაში — არა, გმადლობთ. არ მინდა. ეს გაპონმა დამიკარგა ყოველ-გვარი მდა. (ქარებზე კაკუნის)

ალექსი — უთუოთ დასაძახებლათ მოვიდენ, უკვე წასვლის დროა. (მიდის და კარს უღებს: შემოდინა მუშები).

I მუშა — აბა ამხანაგებო, წავიდეთ დემონსტრაციასზედ, ოი, დასწყევლოს ღმერთმა.

ფირსოვი — მართლაც რომ დროა, წადით. წადით შეილებო.

პეტროვიჩი — ღმერთია შემწე.

აბრაში — ამხანაგებო, ნუ თუ თქვენ საბოლოოდ გადაწყვიტეთ წასვლა. ბოლოს და ბოლოს მიხვდით. თუ რა საერთო ენა უნდა ჰქონდეთ თქვენ მუშათა კლასის ჯალათთან. რა ხეირი უნდა გამოვიდეს ამ კომედიიდან. ესთქვათ, უკეთეს შემთხვევაში. დაგპირდებიან რამეს, შემდეგ კი ოხრანკა დეპუტაციის წევრებს სათითაოთ დაიკერს, მერე ციხე და ციმბირში ისე ამოგაყოფინებენ თავს, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრობთ. თუ არა და როგორც ალექსი ამბობს, საჩუქარს ტყვიით მოგართმევენ. მე, მგონი, ეს ასე იქნება.

ფირსოვი — დაანებეთ თავი, მაგას უყურებთ; ასი ათასი მიდის და ის ამბობს. რომ ეს კომედიია. როგორ. ჩვენ ადამიანები ვართ, თუ ძაღლები! განა, წმინდა ხატებს ესერიან, და როგორ თუ არ წავიდეთ, როდესაც ყველა მიდის, სულ ყველა ფაბრიკებიდან. როგორ, ლოგინში წოლა ხომ არ გსურთ?! ამხანაგების ჩამოშორება. მუშათა კლასის მთლიანობა. ჩვენ ეს კარგათ გვესმის. ბატონო სტუდენტო. ყველა მიდის და ჩვენც მივლივართ. ხელმწიფესთან მივლივართ. (სცენიდან ისმის მოშორებული გალობა: (წასულან უკვე).

I მუშა — ჩქარა, ამხანაგებო. მთელი ფაბრიკა უკვე შეიკრება, მხოლოდ ჩვენ გვიცდიან. (მიდის).

ალექსი — ჩაშ, წავიდეთ, ამხანაგებო. მიტროფანე ივანეს-ძეე, თქვენ რას იტყვით?

ფირსოვი — სდგება, გადადგამს რამოდენიმე ნაბიჯს, და უცბად ფხვნი ხელს იტაცებს, ოხ შეჩვენებული, ისევ მეცა. (სდგება სკამზე). სულ განომიჯალა:

ლონე. ნაბიჯსაც ვერ ესდგამ. ოხ-ხო-ხო ეს დაწყველილი იაპონიის ტყვია. თქვენ წადით უჩემოთ, ოხ-ოხ, კიდევ. და მეზე რა უფროვო დროს. ალექსი, გაეცე განკარგულება, გასწიე ჩემ შავიერობა ოხ—არ შემიძლია, არა, არა.

ალექსი—რაც იქნება, იქნეს! ვერა, მაშ, შენ რჩები?

აბრამი—დარჩით. ნუ მიხვალთ.

ვერა—მე.... მე ვრჩები.

ალექსი—როგორც გსურდეს, შენი ნებაა, მაშ, წავიდეთ, ამხანაგებო.

პეტროვიჩი—დაიცათ. ამხანაგებო. მეც თქვენთან წამოვალ ხელმწიფის სა-
ნახავად. სამოკი წელია, რაც ამ ქვეყნად ვცხოვრობ—იქნება ღმერთმა მალირ-
სოს მისი ნახვა

(ალექსი და მუშები მიდიან).

ფირსოვი—ოხ. წავალ მართა ივანოვნას ასულთან. ოხ. როგორ მტკივა.
(მიდის).

აბრამი—(ფანჯარაში იცქირება). რამოდენა ხალხია.

(ისმის სიმღერა).

იქნებ ეს უკეთესია. დღევანდელი დღე საბოლოოდ გაფანტავს ილუზიებს. მაშინ. მეფის ჰიმნის მაგიერ მქუხარე. ინტერნაციონალი დაიგრიანებს.

(სიმღერა სწყდება).

ვერა—აბრამ ვასილის-ძეე. ამხანაგო აბრამ... .

აბრამი—(ნელა შემოტრიალდება).

ვერა—აბრამ ვასილის-ძეე, აი ეხლა მე არ ვიცი კარგათ, თუ ცუდათ მო-
ვიქეცი. რომ დაეჩი. ალექსი წავიდა. მაგრამ იმასაც რომ არ სჯერა.

აბრამი—თუ არ სჯერა. მაშინ ა'ც უნდა წასულიყო.

ვერა—და თუ. როგორც თქვენ ამბობთ, იქ ბურეტენ, განოლის, რომ მე
შემშინებია.

აბრამი—არა, ეს აგრე არ არის, ვერა. შეუძლებელია სასაკლაოზე წახვი-
დე. როგორც ცხვრის ფარა, დიახ. სწორედ, ისე როგორც ცხვრის ფარა. ფირ-
სოვი ერთ—ამბავში, იყო. მაგრამ თვითონ—კი არ წავიდა. ფეხი ასტკივდა.

ვერა—მე ის არ მომწონს. ფაბრიკაში ცოტა ხანია. რაც მოვიდა, ხეი-
რიანად ვერავე ვერ იცნობს. ცხვირს-კი ყოველგან ყოფს.

აბრამი—შენ ამბობ ცოტა ხანია? ეს საექვეოა. (პაუზა) საკიროა. გავიგოთ
ახლო თუ ვინ ბრძანდება. და თუ რამ შემთხვევის თანავე. .

ვერა—(მეორე ოთახის კარებთან) ბიცოლა, მართა ივანოვნა—ბიცოლა,
უუ, მიტროფან ივანეს-ძე, თქვენთან არის?

მართა ივან.—(შემოდის კარებში). რა იყო? ჩემთან არავეინ არ არის. რა
გაყვირებს, ვანა.

აბრამი—გამარჯობად, მართა ივანოვნა, მიტროფანე ივანეს-ძე თქვენთან
წამოვიდა, როგორ გრძნობს ის თავს.

მართა ივან.—როგორ გ'ძნობს თავს, როგორ გ'რძნობს; მე ხომ მისი ბიძა არა ვარ. წყალი დალია და უკანა კარებით წავიდა.

აბრამი—წავიდა?

ვერა—წავიდა?

მართა ივან.—რას მომავტერდით. არშიყობას ხომ არ დაუწყებდით მას. (ვერას). შენ კი კურკელი აიღე. შენც ერთი ნახე ჩაის სმის დრო. სამუშაოთ არ დადინარ. ოხ, არაფერ კარგს არ უნდა ელოდე.

ვერა—გაგვებეს, მაგრამ როგორ მე'უე, ბიცოლა.

აბრამი—(თავისთვის) მიხვდით. ეხლა მიხვდით (პაუზა) ვერა, ვერა, პ'როვოკატორია ის.

ვერა—ვინ ის?

აბრამი—ფირსოვი.

მართა ივანოვანა—ეხლა კი საქმეები. დატრიალდება. (სცენის უკან ისმის სროლა).

ვერა—ეს რა არის?! ისერიან. მუშებს ესერიან, ხვრეტენ.

აბრამი—მე ხომ ვამბობდი. უიარაღო ხალხს ესერიან. მკვლელები ჯალათები.

მართა ივანოვანა—მათზე ეს ახია. რას იწყებდენ. (მიდის)

ვერა—ეხლა მე კი ვიცი, თუ რა უნდა ექნა. (მიდის საწოლისაკენ და იხვევს თავსახოცით)

აბრამი—ვერა, საით?

ვერა—ქუჩაში. მე ეხლა მივდივარ არა სახვეწნად, არა,—ძალადობას ძალადობით უნდა ვუპასუხოთ.

— აბრამი—მაგრამ ეს ხომ სისულელეა. სულერთია, ეხლა საქმეს ვერ უშველი, ტყუილად გული ტყვიას უნდა მიუშვირო.

ვერა—თუ ეგრეა, თქვენ დარჩით; მე კი თვითონ ვიცი რას ჩავდივარ. (სცენის უკან ხმაურობა, ყვირილი: ყაზახები, ყაზახები.)

აბრამი—ვერა, ეს სიგიჟეა. შეჩერდი.

ვერა—სულ ერთია, მაინც ვიღუპებით. (ხალპი) მშვიდობით. (მიდის.)

აბრამი—ისიც წავიდა... წავიდა სასაკლაოზე. (იხურავს ქუდს და მიდის კარებისაკენ). მე იქ უნდა ვიყო, სადაც ის არის, სადაც ვერაგულად ხელმწიფე უიარაღო ხალხს ხვრეტს.

ფარდა

სწრატი მეორე.

ისევ ის ოთახი.

შემოდინ ვერა, აბრამი და ალექსი, ორი მუშა, რომლებსაც მოყავთ მძიმედ დაქრილი პეტროვიჩი.

მართა ივანოვნა—**ოხ, რას მოვესწარი, რა ვუყო, სად წაეიყვანო. ნელა! ვერ ხედავთ, კაცი როგორ იტანჯება. ლოგინზე დასდევით პეტროვიჩი—როგორ მწყურიან.**

მართა ივანოვნა—**წმინდაო ღვთისმშობელო! ავიტეხე მეც უმიზეზოთ ეს ხლაფორთი. ვერა, როგორ გაქვავებული სდგებარ? მოიტა წყალი.**

ვერა—**ეხლავე.**

I მუშა—**ესეც შენი მეფის სიმარტლე...**

II მუშა—**ის ჩვენთვის არ წერია.**

ალექსი—**ეხლა, ჩვენ ჩვენსას თვითონ მივაგნებთ. კმარა. ეხლა ბარიკადებზე. ხუცებთან საქმე გათავებულია.**

აბრამი—**ბარიკადებზე. მაგრამ ჩვენ კი ვერ ვიქნებით ამხანაგები, თირსოვი ჩაგვიფუშავს საქმეს. მე გეუბნევით ის პროვოკატორია, ოხრანიკია.**

I მუშა—**მართლაც, ხათანგში გაგება.**

II მუშა—**ერთი ის ჩამივარდებოდეს ხელში.**

ალექსი—**რა კობტად გაგებაბიკვა, ჩვენც ერთი კარგი სულელები ვართ. მე კი მათ ცოცხალი ხელში არ ჩაუვარდები. (ამ დროს კაკუნი კარებზე და ხმა სცენის უკან: კანონის სახელით კარი გააღეთ.)**

ვერა—**ესეც არის, ცხელ კვალზე მოდიან.**

მართა ივანოვნა—**ღმერთო მოწყალეო, ეხლა რა ნეშეელება. დამლუპეთ თქვენ, იროდე დაუზოგველნო.**

ალექსი—**ეხ, ბიცოლა ჩემო, ნუ კიჟყინობ ერთი შენც, (მიდის თანჯარასთან). მთელი და მათან ერთად თვითონ თიხსოვი გამცემო. (იშიშვლებს რევოლვერს და ისერიის თანჯარაში), ეეჰ, შენ ძალლო. ოხ, დავაცილე.**

აბრამი—**ეხლა კი ვეღარ ვუშველით, ყველაფერი დაილუპა.**

მართა—**ივანოვნა: თქვენ სულ წაწყმენდილოებო, თუ მე არ გებრალბებით. შეიბრალეთ დაქრილი ბებერი. (სცენის უკან ისმის ხმები:), „ჩაამტვრიეთ კარები“ ეს არამზადები ისერიან კიდევ.**

ალექსი—**მე მითქვამს, ცოცხალი მათ ხელში არ ჩაუვარდები მეთქი. (აიღებს ბომბას და მიდის პოლიციის შესახედრად.**

ვერა—**ალიოშა, სად მიდიხარ?**

მართა ივანოვნა—შორს ცოდვისაგან. (მიდის) (კარებს იქით მოისმის ხმა-
ღრობა და ალექსის ხმა და ყვირილი „გაუმარჯოს რევოლიუციას“ აფეთქება.
ოთახში შემოვარდებიან...)

ბოქაული—ოო, გვრიტებო, ჩაგვივარდით ხელში. მე თქვენ გიჩვენებთ.
ვინაა აქ მეთაური.

ფირსოვი—(აჩვენებს აბრამზე) ესაა მოთავე. სოციალისტია. (აბრამს), რაო
პატონო სტუდენტო, აწი, გეცოდინებათ, თუ როგორ უნდა გაფიცვების მო-
წყობა და ბომბების სროლის სწავლება, (შემოკალთავენ აბრამს და მუშებს. ვე-
რა შეუმჩნეველად აიღებს დანას და უკანიდან ჩასცემს ფირსოვს)

ვერა—ჩაძალღდი!

ფირსოვი—ოხ. მომკლეს. (წაიქცევა) (ეცემიან ვერას).

ბოქაული—(მივა ვერასთან და შემოკრავს სახეში), აპა, შენ ნათრეგო,
შენ ნათრეგო, შენ ყველაფერზე პასუხს აგებ.

ვერა—დამარტყით. დამარტყით, მე არა დღეს მათრახი ბატონობს, მაგ-
რან დადგება დღე, და ის არც ისე შორსაა, რომ შენ მუხლ-მოდრეკილი, მუშას
ევედროდღე შებრალებას, ეხლა კი ეს იქმარე. (აფურთხებს პირში) (გორო-
ლოვოები დაიბნევიან, ამით სარგებლობს ვერა, გამოსხლტება და მივარდება
კანონთან, აიღებს რალაც ნივთს.)

ბოქაული—რას გაჩერებულხართ. შეჰკარით.

ვერა—დაიხით, ფეხი არ გადასდგათ, თორემ სულყველა აფრინდებით
ჰაერში. (გოროლოვოები შეჩერდებიან დაბნეულნი)

ბოქაული—ბომბა.?!
?

ვერა—აპა, თქვენი ხომ ვერ გაიტანეთ მიანიც. გეუბნებით, ფეხი არ გად-
მოსდგათ, ჩვენთვის სულ-ერთია, გზა მიანიც სახრჩობელასკენ გვაქვს. ასე ამჯობი-
ნებს, თქვენი ხათრისთვის თქვენც წაგიძლოლიებთ (ბოქაული და გოროლოვო-
ები უკან იხევენ;

ბოქაული—ოო, შენ გველო, მაიცა კიდევ ჩამივარდები. მე შენ გაგის-
წორდები.

ვერა—აბა. ნორჩით, ჩქარა: ერთი... ორი... (ოთახი ჩქარა ცარიელდება)
(მიდიან)

აბრამი—საიდან გაქვს ვერა ეს?

ვერა—(მიხურავს კარს, პოლიციის წასვლისას) ეს ძაფის და ნემსების ყუთია.

I—ყოჩაღ, ყოჩაღ, ეს კი დიდებული იყო!

ვერა—ამბანაგებო, დროს ნუ კარგავთ, მანამ ისინი გონს არ მოსულან,
უხოებით და მიხეველებით თავს უშველეთ.

I მუშა და ჩვენ იქ ისევ დავბრუნდებით უმღვდლოთ, თოფით ხელში.

ვერა—და არა სათხოვნელად, არამედ მუშათა ხელისუფლების მოპოების
ბრძოლისათვის

აბრამი—დღევანდელი დღე კი, დარჩეს კეჟის სასწავლებლად ჩვენთვის.

(თ ა რ დ ა)

ა. მილტინი.

ღმერთს უწენენ!...

აგიტ-პიესა 1 მოქმ.

(თარგმანი რუსულით;

ღმერთს უშენან

მოქმედნი პირნი:

1) თამარი—კომკავშირელი, დაახლოებით 18 წლის ქალი, გრძნობიერი და რბილი.

2) მიხეილი—კომკავშირელი, 19 წლისა, სერიოზული და დაკვირვებული. ურადლებით ეკიდება ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება.

3) ვასილი—კომკავშირელი, აქტიური მუშაკი, სწრაფად მოაზროვნე, და თავისი განზრახვების სწრაფადვე სისრულეში მომყვანი, დაახლოებით 18 წლისა.

4) ალექსანდრე—კომკავშირელი, 16 წლისა, მოძრავი და გამბედავი; ვასილის ძმა.

5 ვასილის მამა—მუშა. 40 წლისა, სერიოზული, ნელი ხასიათის, ფრთხილად უკვირდება მოვლენებს და ამა, თუ იმ გადაწყვეტილებას ღებულობს, ხანგრძლივ დაკვირვებისა და მოაზრების შემდეგ.

6) ვასილის ბებია—ცოცხალი, მოძრავი დედაბერი ვერ ურიგდება ვერაფერს ახალს და ებრძვის მას. დადის ყავარჯენით ხელში. დაახლოებით 65 წლისაა.

7) მეზობელი დედაბერი—სულელი, სწამს ყოველგვარი სისულელე, იგონებს და თავისასაც ბევრს უმატებს ზედ, მოძრაობს აუჩქარებლათ და ლაპარაკის დროს ემსგავსება მჩხვან ყვავს.

8) ხუციესი—გამოფიტული, ძვალ ტყავად ქცეული ჯაგლაგივით, რალაც დაწინებული, ნერვიული; 50 წლისა.

9) მნათე—მოღუშული, მშვიდარა კაცი; ეშინია კაცისაც და ეშმაკისაც; ყოველგვარ ხიფათისაგან თავის დაფარვის მიზნით, წარა-მარა ჯვარს სახავს თითებით ჰერს. კედლებს, მაგიდას, სკამებს, ადამიანებს და თავის თავსაც; ლაპარაკობს ცოტას, ველურის სიანჩხლით; უჩვევია მხიარულებას, ვერ იტანს სიცილს; თვითონ კი სასაცილოა და საბრალო.

თამარი და მიხეილი ალექსანდრესა და ვასილის ამხანაგებია, რომლებიც უკანასკნელებს დაუახლოვდნენ აღდგომის პირველ დღეს. ყველა ჩვეულებრივ ტანსაცმელებშია გამოწყობილი.

1
სცენა წარმოადგენს უბირს ოთახს. კედლების გამსწვრივ ჩალაგებულია სხვა და სხვა ფორმისა და სიდიდის სკამები. მარჯვნივ უბრალო ფარდებ ჩამოფარებული ორი ფანჯარა. უკანა კედელში შუა ადგილას შემოსასვლელი კარები, ხოლო მარცხნივ—მეზობელ ოთახში შესასვლელი. ოთახის შუა ადგილას დიდი მაგიდა, გასუფთავებულ სამოერიოთა და დალაგებული ქურკლით. მარჯვნივ მომცრო მაგიდა, რამოდენიმე ბოთლითა და ზაქუსკეულით. ოთახი სუფთად მილაგებულია და ახის სადღესასწაულო ფერი. კედლებზე, ფოტოგრაფიულ და იაფფასიან სურათებთან,—ხელოვნური ყვავილები და მწვანეულობა. ფარდის ახდის ხანს, სცენაზე არი-

ან: ვასილი მამა, ბებია და მეზობელი დედაბერი. მამა ზის პატარა მაგიდასთან მარჯვნივ და ჰკითხულობს გაზეთს. დიდ მაგიდასთან სხედან დედაბრები. ბებია ადრე-ადრე დგება, დაფუსფუსებს სცენაზე, ასწორებს, ჰფერთხავს მტვეოს, აწესრიგებს და იცაეს დღესასწაულდებოის სისუფთავს. ფარის ახლიდან ახალგაზრობის მოსვლამის მოქმედება სცენაზე მიმდინარეობს ნელა. ძველმა ქვეყანამ მოკაპა თავისი დრო და როგორც ძველი მანქანა, თუშცა ხმაურობს. მაგრამ ადგილიდან კი ვერ იძვრის. დედაბრები მუსაიფობენ აუჩქარებლივ სასაცილო მანქანა-გრებიო. თავისა და ხელების ქნევით. ახალგაზრობის შემოსვლისთანავე სცენა გამოცოცხლებას იწყებს. ახალგაზრობას შემოაქვს ხმაური. მოძრაობა და მხარული სითამამე. თვითველ მათს სიტყვას თან მოსდევს მკერმეტყველური მიმოხრა და მოძრაობა, რომლებიც მოწმობენ მათში დიდ ენჯრციას. სცენაზე ბუცების შემოსვლის ხანს მხარულება ნელდება. ორი შეუროგებელი ოალა აირისპიოს ზედება ერთმანეთს. ახალგაზრობისგან ვევიწროებულმა ხუცებმა არ იციან თუ ვისთან მოხვდნენ და თავს გოძობენ რამდენიმეთ თავისუფლად. მაგრამ ახალგაზრობათა პირველივე იერიშის შემდეგ.— ეილევინ შიშსა და ცახცახს.

გ ა მ რ ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

მამა, ბებია, დედაბერი.

ბებია — (ნალელიანათ).

-- აპა, შენი დღესასწაულიც!.. ეპ-ეპ-ეპ-ეპ!.. და ამას ეწოდება ქრისტეს აღდგომა!..

დედაბერი — (მუცელზე ხელების დაწყობით, პიოზე უთათლო ღიმილით, უიმედოთ იქნევს თავს და კვერს უკრავს).

— დიახ, დიახ!..

ბებია — (ალშფოთებით).

— რალას უყურებენ ადამიანები? საით მიდიან?..

დედაბერი — (ყურში ჩურჩულით საიდუმლოთ ჩასძახის ბებიას).

— ეშმაკს დაულია ხახა და ისინი კი, ეჩრებიან მას შიგ ყბაში.

ბებია — სიწმინდე და სათნოება მოისპო!..

დედაბერი — (მრავალმნიშვნელოვანათ და წყენით).

— წესრიგი აღარაა და სიწმინდეც მოისპო... უწინ, განა, ამის ნებას მისცემდენ? უწინ ამას ყურადღებას აქცევდენ.

ბებია — (სასოწარკვეთით).

— მართალია, აქცევდენ ყურადღებას...

დედაბერი — და რომ ახალგაზრობას თუნდა იმისი ნაწილიც გაეებდნა, რასაც დღეს სჩადის, იმათ ყველას ამოახრობდენ...

მამა — (გაზეთს თავს ანებებს).

— ვინ ვის ამოახრობდაო?...

დედაბერი — მამები თავიანთ შეილებს ამოახრობდენ!

მამა — ეგ რატომ?

დედაბერი — ურჯულოებისა და ღვთის გინებისათვის!

მამა — მერე და რა შეაშია აქ შეილები?

ბებია — როგორ თუ რა შეაშია?... ვინ სჩადის, აბა, ყველაფერს ამას?

დედაბერი—(გესლიანად).

— ახალგაზრდობა!

მამა—მერე, ვინ რთავს ყველა ამას ნებას?

ბებია—(იატაკზე ჯოხის დაკვრით)

— თქვენ აქეზებთ მათ!.. თქვენა აძლევთ მათ ყველა ამის ნებას!..

დედაბერი—მოხუცებულები მათ აქამდი არ მიუშვებდენ!..

მამა—ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ... სამართა წერილში სწერია, რომ ღვთის უნებურად ბალანიც კი არ ვარდება კაცის თავიდანო. მაშასადამე, რადგან ეს ასეა, ნიშნავს, რომ ყველაფერი ეს ღვთის ნებაა, ყველაფერი ეს მისი დასტურით ხდება, და ჩვენ კი მისი ნების წინააღმდეგ ვერ წავალთ.

ბებია—შენც შენს შვილებისთაგანი ხარ!

დედაბერი—(გესლიანად ჩიფჩიფებს).

— ცოდვა, უდიდესი ცოდვა!..

მამა—წადით, დაიკარგეთ თქვენ თქვენის ცოდვებით. (აღლევებული დგება) რა ვიცი მე?... არაფერიც არ ვიცი!... ერთნი ამბობენ ასე, მეორენი ისე. ვინაა მართალი,—ველარ გამიგია, ვის ვერწმუნო,—ვერ მიეხვედრილვარ, რა ვაკეთო,—არც ის ვიცი. მე—ღმერთი არა ვარდა, ეს ჩემი საქმე არ არის. ღმერთმა ააღწერა ეს ფაფა, თითონვე მიირთვას. ჩემი გემოსათვის კი ის ვერ გამოღვება. (მუცელზე ხელის დაკვრით).

ბებია—ჩვენ კი ნუ გვიჯერხარ, წადი მღვდელთან და მას შეეკითხე. ის შენ მართალს გეტყვის. ის ღვთისგან ნაკურთხია. სული წმინდის მაღლით არის გაბრწყინებული.

მამა—(აღლევებული დადის).

— რალაც არ მინახავს მე ეს მადლი მღვდლებში, რამდენიც არ დაეკირვებივარ მათ. რამდენსაც არ შეხვდები მათ, სულ ერთსა და იმავეს ჰგალობენ:—მოიტა ფული, მოიტა კვერცხი და ქათამი.. მერე, სად ჯანდაბილდგან მაქვს მე ყველა ესენი? როგორ, მე შემამულე ვარ, ან ვაქარი რომელიმე, თუ? და ბოლოს, რისთვის უნდა ვაძლიო, ვსთქვათ, მე მას ყველა ესენი?... ნებავე მას, იმუშაოს და იშოვნოს თითონ.

ბებია—(ტირილ-წუწუნით).

— აი, დამიხედეთ მიმებს!.. როგორიღა უნდა იყვნენ ამათი შვილები?..

დედაბერი—(ცოდვა, ცოდვა დაეუფლა ქვეყანას!..

მამა—დაიკარგეთ, თქვენ, თქვენის ცოდვით! (იღებს ქულს და გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ა ე.

ბებია და დედაბერი.

ბებია—(აღშფოთებული).

— აი, თქვენ!.. აი!.. (სცემს იატაკზე ჯოხს).

დედაბერი—(ცოდვის აღულება ესაა!..

ბებია—უფალი დაგესჯის ამისათვის!
დედაბერი—(საიდუმლოთ).

— სასჯელი დაწყებულა კიდეც...

ბებია—დაწყებულა?...

დედაბერი—დიახ, დიახ!! ღვთის წყრომამ კიდეც გვიწია!...

ბებია—(შეშვოთებულია).

— სად? როდის?

დედაბერი— ნუ თუ შენ არც-კი შეგიტყვია?

ბებია—არაფერი არ ვიცი.

დედაბერი—(გესლიანად).

— ეკლესია რომ გაქურდეს, ჯვარი და სახარება მოიპარეს!..

ბებია—(შიშით და გაოცებით).

— ნუ თუ?...

დედაბერი—ეძებეს და კვალსაც ვერსად მიაგნეს!

ბებია—აჰ! უფალო შენ შეგვიწყალე და გვიხსენი!

დედაბერი—ტერტერაშვილის ვაჟი კი ავით გახდა.

ბებია—მერე შეილი რა შუაშია აჰ?

დედაბერი—შენ უური კარგათ უგდე!... ბიჭმა დაიწყო გასიება. მუცელი

მთასავით გაეფუჟა.

ბებია—ოჰ, ღმერთო ჩემო!...

დედაბერი—ფერშლები და ექიმები იყვნენ, ბეითალიც კი მოიყვანეს, მაგრამ ვერაფერი უშეეღეს... ამბობენ გაკრა უნდაო.

ბებია—რა საშიშროებაა!..

დედაბერი—დაუძახეს ერთ წმინდა მოხუცს. მივიდა მოხუცი, შეხედა ავათ-მყოფს და სთქვა:—გასქლება.

ბებია—(ხელების ბარტყუნით)

— ჰოი!...

დედაბერი—დაიწყო ტერტერაშვილის ვაჟმა გახეთქა. ზედ შუაზე გასქდა.

ბებია—უფალო, იესო ქრისტეო!

დედაბერი—გასქდა თუ არა, მუცლიდგან ჯვარი და სახარებაც იმ წამსვე გადმოულაგდა.

ბებია—მერე და როგორღა მოხდენ ისინი იმ ვაჟის მუცელში?

დედაბერი—მან ისინი ეკლესიიდან მოიპარა, ღმერთმა კი აიღო და მუცელში მოუშწყვდია.

ბებია—რას ნიშნავს ყოველივე ეს?

დედაბერი—სასჯელი უფლისაგან!... ცოდვათა ჩვენთავის!...

ბებია—განვარისხეთ ღმერთი. უკმე უკმეთ არ არის ჩვენთვის და ღლესასწაული—ღლესასწაულად.

დედაბერი—(სდუმს, პირს იბრუნებს, ცხვირსახოცის წვერით თვალებს ისუფთავებს, ხოლო მარჯვენა ხელს გაჯავრებით იქნევს)

ბებია—უწინ აღდგომა როგორი იყო. ახლანდელთან შედარებაც კი არ

შეიძლება... სწორეთ რომ დღესასწაულთა დღესასწაული იყო... ადამიანები, სვამდენ, კამდენ. მხიარულობდენ... ეხლა კი, შეხედვაც არაფერზე არა ღირს.

დედაბერი (ტირილით)

— ღმერთი განგვირისხდა და ისაა... იბრუნა პირი და აღარ არის ქვეყნად სიხარული.

ბებია—სარწმუნოება ირყევა და სატანა ზეიმობს!

დედაბერი—(ცრემლებ მორევით)

— დიახ, დიახ, ირყევა!.. სიზმარი ვნახე, საგულისხმო სიზმარი. მეშინოდა მასზე ლაპარაკი და აი, ყველაფერი კი ხდება. მართალი გამოდგა.

ბებია— რა სიზმარი?

დედაბერი— (დაფიქრებული სახით)

— დიახ... განმოაჩინა... განმოაჩინა ღმერთმა სიზმარში თავისი ქეშმარიტება... მალირსა მე უღირსს მოწყალება თვისი... მომშალდა... არა ღირს ვარ მე საწყალი ასეთს მოწყალებას.

გამოსვლა მესამე

(სწრაფად შემოდის ალექსანდრე, ქუდს არ იხდის)

ალექსანდრე—ბებრები აქ ყოფილან!... ქრისტე აღსდგა, ჩემო მშვენიერებო!... მიყვარს კოცნა საანტურესო ქალებისა. (ფართოდ შლის ხელებს, ვითო მღამოსახვევად.)

ბებია—ცუც... შენ, ბარტყო!... (მოუქნევს ჯოხს)

ალექსანდრე—(ვითომ და შემკრთალი)

— რაშია საქმე?... რას სჩადიხარ, ბებიჯან? ნუ თუ ვერა მცნობ? მე შენ ქრისტიანულად გეგებები, კოცნით და მოხვევით, შენ კი მხედები ფილისტებელივით ჯოხით!

ბებია—მომზორდი, შე ძალღის წიწილო, მაცალე სადღესასწაულო მუსაიფი, სულის მოთქმა!

ალექსანდრე—სადღესასწაულო?... აბა, დაიწყეთ, მე კი ყურს დაგიგდებთ და ვისწავლი სადღესასწაულო ლაპარაკს. (იღებს სკამს, შეაბრუნებს მას, მოაჯდება ცხენივით და გულმოდგინეთ უყურებს მოხუცებულებს).

ბებია—(დედაბერს).

— რაში მდგომარეობდა შენი სიზმარი?

დედაბერი—(გულმოდგინეთ იწყებს საუბარს).

— დამესიზმრა მე...

ალექსანდრე—(დამციხავე შენიშვნით).

— დაგესიზმრა?!

დედაბერი—(გაქიანურებით)

— მივიდივარ ვითომ ეკლესიისკენ... გზაში სიწყნარე და მოწყენილობაა. მიკვირს: რისთვის არის ასეთი სიწყნარე? შევიქვრიტე ერთ სახლში, იქ აწყევია

მხოლოდ მიცვალებულები კუბობში. შევიხედე მეორეში, წმესამეში... ყველგან იგივე სურათი. შიშმა შემიპყრო, გულმა ცემა დამიწყო. მეშინია შესვლა, ეი-ჩქარი. ვიშორები ირგვლივ და სული მეხუთება, საითაც არ გავიხედავ, ყველგან მკვდრები. ესობებში, ქუჩებზე. ლურჯები, საშიში სანახავები.

ალექსანდრე—(გაოცებით განზე).

— აი, მუსაიფი!..

ბებია—(დღედაბერს მოუთმენლად).

— მერე, მერე?.. განაგრძე!

დედაბერი—გავშეშდი მე, თავი დავკარგე... ვგრძობ, რომ ქვეყნის ალსა-სრული მოახლოვდა. ფეხები მიწას ეკვრიან, თითქოს ზედ მიეწებენო. ღონე სრულიად გამომელია, ვდგევიარ და თვალებს ვეღარ ვახეღ. უცბათ გაისმა გულის შემზარავი ქუხილი, ყველაფერმა ზანზარი დაიწყო და მოისმა გამაყრუებელი ხმა:

— შეხედე!... მიუბნება მე... მე კი გული მიკანკალებს, სულთქმა მიძნელდება. როგორც იყო, გავახიღე თვალი და საშიშროებამ მოიცილა ჩემი არსება. ეკანკალებ სულ და თვალებს არ უჯერი... (ტრემლები ერევა, ხმა უწყდება, თვალებს ხელცახვით იშვრალებს).

ბებია—(მოუთმენლად).

— მერე, მერე?..

დედაბერი—ვხედავ, რას ვხედავ! ჩენი ეკლესია ხტის, როკავს...

ალექსანდრე—(გაკვირვებით).

— აი, დასწყველოს ეშმაკმა!.. რამ აიძულა ასე აცეკვებულიყო?!

ბებია—(წყრომით).

— ოი, ღმერთო!..

დედაბერი—გადმოვარდა ერთი მხრით, მისი თავი ჯვარი მოირყა და ზარები ჩამოცვივდა.

ბებია—(ალეღვებული).

— შემდეგ რალა დაინახე კიდევ?

დედაბერი—შემდეგ ღმერთმა აღარ მალირსა დახატა. მალე კიდევ გამომღვიძა.

ბებია—(გულდამძიმებულად).

— რას უნდა ნიშნავდეს ასეთი სიზმარი?

დედაბერი—ღვთის განგების გამოჩინებას.

ალექსანდრე—(დგება).

— ეს რა უნდა იყვეს... სიზმარი, არა, შენ ის მითხარი, მე რომ ვნახე... მე თვითონ ღმერთი ვნახე სიზმრად!

დედაბერი—(ცნობის მოყვარეობით).

— რით დაიმსახურე შენ ღვთის ასეთი წყალობა?

ალექსანდრე—მე თითონაც არ ვიცი, რისთვის.

ბებია—აბა, მოგვიყევი შენი სიზმრის შესახებ!..

ალექსანდრე—არაჩვეულებრივი სიზმარი ვნახე. მე არც კი ვიცი, როგორ ვხსნა ის.

ზებია—შენ მოყვე და ჩვენ ავიხსნით!

დედაბერი—(დარიგებით).

— სიზმრები ყოველთვის მომასწავებლებია, ისინი ლეთისაგან...

უნდა ვუჯეროდეთ.

ალექსანდრე—დამესიზმრა მე ბერიკაცი ჯოხის ცხენზე. (ართმევს შემის ჯოხს, ჯდება ზედ და წარმოადგენს ბერიკაცს, რომელიც ტუჩები სასაცილოთ ჩითფიფებს და ხტის) მომიახლოვდა ის ასე მამალსავით ფრთების შლით. თვითონ ჰალარა იყო, პატარა ტანისა და ტანისამოსიც ჭუჭყიანი ეცვა, ძველთაძველი.

მომიახლოვდა ბერიკაცი და წამომიყვება, აი ასე:

— (პირის ღრეკით) რა გემართებათ, შეილებო, მე თქვენ ცუდი რა გიყავით, რომ მოსვენებას აღარ მაძლევთ?

— შენ ვინა ხარ?!... ვეკითხები მე ბერიკაცს.

— ვინა და თქვენი ღმერთი!...

— მერე რა საცოდავთ გამოიყურები?... ვეკითხები მე.

ზებია — (ირისხანეთ).

— ხმა გასწყვიტე, შე გოგო!... რა სიტყვებს სწავსებ. თუ იცი?

ალექსანდრე—რა სისულელეაო! ნე ვამბობ იმას, რაც სიზნარად ვნახე.

ზებია — იცი მე შენი სიზმარი:

ალექსანდრე—არ მოგწონს, ნუ მიყურებ, მხოლოდ ის კია, რომ მე ეს ნამდვილად ვნახე სიზმარში.

ზებია—ადროვეთ, სთქვას ბოლომდი.

ალექსანდრე—ბერიკაცს გული მოუვიდა, გაბრაზიანდა.

— რა დამნაშავე ვარ მე იმაში, რომ თქვენ ასეთად წარმომიდგინეთო?

— რა გინდა ჩემგან?... ვეკითხები მე, შარვალი და პერანგი ხომ არ გინდა მოგცე? ბერიკაცმა ხელები გაასავსავა.

— რათ მინდა მე შენი პერანგი და შარვალი!... ზეცას მოდით, ღმერთისთვის შარვალი არ არის დაწესებული.

— მაშ, რა გინდა?

— დავებრდი მე, დავჩაჩანაკდი, მალე სიკვდილიც მომიხწრებს, თქვენ კი ამ უკანასკნელ დღეშიც მოსვენებას არ მაძლევთ. იერიში-იერიშზე მოგაქვთ. ცა თქვენი იერიშებისაგან ძრწის და მე შესასვენებელი ადგილი ვერ მიშოენია.

— მაშ, რა გინდა, არ იტყვი მეთქი?

— ზავიო!

— შეხედეთ ამას, რა მონღომებია! გაუუჯავრდი მე ღმერთს. შეეკრიბე ახკომკავშირელნი და ვუბრძანე მათ: აბა, დაუშინეთ ღმერთსა თქვა!... ახკომკავშირო, თოფ!... ესროლეს ჩვენმა ბიჭებმა და ერთი თვალის დახამხებაში ლეთისაგან მხოლოდ სოველი ადგილი—ლა დარჩა.

ზებია—(უკიდურეს წერტილამდის აღშფოთებული მივარდება ალექსანდრეს და ართმევს ჯოხს).

— აი, შე ლეთის ამიერო უწმინდლო!

დედაბერი—(მწუხარე სახით და მიმოხრით ჩიფჩიფებს ლოცვას).

ალექსანდრე—(ჯოხს იცდენს)

— რა დაგემართა, ადამიანო!... ძირმწარე ხომ არ გიკამიო?

ბებია—(დასდევს სტენჯზე შვილიშვილს)

— მე შენ გიჩვენებ შე, ანტიქრისტევე, როგორ უნდა ღვთის წინააღმდეგ სროლა!..

ალექსანდრე—რა, შენ ღმერთზე უფრო ძლიერი ხარ, თუ?... რა შენი საქმეა მისი გამოსარჩლება?... თუ ის მართლაც არის, თავის თავს თითონვე დაიფარავს.

ბებია—(მრისხანედ)

— მე შენ გიჩვენებ, შე ღვთის მოღალატევე, ღმერთი არის, თუ არა! (დასდევს ალექსანდრეს მაგიდის გარშემო და ჯოხს არახუნებს).

ალექსანდრე—მიჩვენე, ბები, მიჩვენე!... საინტერესოა მისი ნახვა.

ბებია—(დედაბერს)

— დამაქერინე ერთი ეს წაწვედილი.. მე მაგას ეანახებე როგორია ღმერთი. (დედაბერი წამოიჭრება დასახმარებლათ. ალექსანდრეს გზას უჭრის. ბებია უმარჯვებს ჯოხს. ალექსანდრე გარბის განზე. ჯოხი მოხედება დედაბერს თავში.)

დედაბერი—რას სჩადიხარ, ადამიანო!... ხომ არ გაგიჟდი?

ბებია—სახელითა უფლისათა!

დედაბერი—(თავის თხანით)

— უფლის სახელითაც არ შეიძლება ასე!

ალექსანდრე—ჩემზე კი შეიძლება?

ბებია—(დაედევნება შვილიშვლს)

— შენზე კიდევ ასცდაც ცოტაა!

ალექსანდრე—რა გინდა ჩემგან?

ბებია—(ჯოხს უქნევს)

— სთქვი: არის ღმერთი, თუ არა?

ალექსანდრე—(იმალემა მაგიდის ქვეშ)

— არის, ბებია, არის!..

ბებია—(ჯოხის ბრახუნით, ამაყად)

— მაშ აგრე!..

ალექსანდრე—(მაგიდის ქვეშიდგან)

— აი, ის... საბრალო ღმერთუკა. მიკუნტულა კუთხეში და ჩამკვდარა. ცაფი-ლა დარჩენილა საბრალოსაგან და, ისიც მტვერითა და აბლაბუდათა და რული.

ბებია—(უქნევს ჯოხს მაგიდის ქვეშ)

— აი, შენ ღვთის მფუსაო! სულს ამოგწვდი მე შენ ცემით. შე ოხე-რო შენა!.

გამოსვლა მართხა.

ბებია, დედაბერი, ალექსანდრე, ვასილი, მიხეილი და თამარი.

კარი ფართედ იღება. ოთახში სიცილითა და მხიარულათ შემოდინან: ვასილი, მიხეილი და თამარი. სცენაზე მომხდარ ამბებს რომ დაინახვენ, მხიარულებას განცვიფრებით შესცვლიან.

ვასილი—რაშია საქმე?

ალექსანდრე—გამოხტის მაგიდის ქვეშიდან, მივიარდება ახ. კომკავშირელებთან, სდგება მათ წინ და იძახის).

— უფლისა ღვთისა მიმართ და შენა!... ახკომკავშირო, თაფ!...

ბებია—(მრისხანეთ უბრაბუნებს ჯოხს)—მე შენ ისეთს გესვრი, რომ თავი კისერზე არ შეგრჩის, შე სალახანავე, შენა!..

ვასილი—რა გაღორიალებს, ბებია ჩემო, რა ამბავია?

ბებია—შე რალა გინდა?... ვინ მოგიწვია ჩაერიე სხვის საქმეშიო?

ალექსანდრე—(ვითომც უმიზნებს თოფით ცას)—ქახ!.. ქახ!..

ვასილი—მე ჯერ არ ვიცი რაშია საქმე თქვენ შორის?..

ბებია—ყველა წყუღუღები ხართ, ღვთის ამიერები და არამია თქვენზე მშობლების ლოცვა-კურთხევა. (დედაბერს) წავიდეთ, შევევედროთ ღმერთს ცოდვათა პატიების შესახებ...

(გაღიან)

გამოსვლა მახუთი

ალექსანდრე, ვასილი და თამარა.

ვასილი—წადით, ილოცეთ... ეს-ლა დაგრჩათ.

მიხეილი—(ალექსანდრეს)

— რა გქონდა სადაო მაგათთან?

ალექსანდრე—შემოვედი აქ, სხედან და სიზმრებს ლაყბობენ. სიზმრებიც სულ მკვდრებსა და სხვა ეშმაკებს შეიხებოდა. მე მათ მოვუყევი სხვა უფრო მხიარული სიზმრები, მათ კი ჯოხით დამერიენ. მე დავუწყე მათ მტკიცება, რომ მათი ჯოხით დაცვა ღმერთს არ ექირვება, მას ისედაც შეუძლია თავის დაფარვა-თქო. მაგრამ იმათ რალაც არა სწამთ ღვთის ძლიერება და ფიქრობენ, რომ უჯოხით მათი ღმერთი ვერ გასძლებს. და დამერიენ ჯოხით.

ვასილი—ასეა, ძმაო!... ღმერთი ჯოხს, ემყარება. ჯოხი რომ არ ყოფილიყო, ამდენხანს ღმერთიც კისერს დიდი ხნიდგან მოიტებდა.

მიხეილი—ჩვენი შრომის რესპუბლიკაში ღმერთის მხარეზე მხოლოდ მოხუცებულები-ლა არიან. მაგრამ შენ რომ შენი სიზმრების შესახებ კრინტი დაგეძრა საზღვარგარეთ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, საპარობილეში გამოგამწყედენ. რამდენიმე საუკუნით აღრე კი ამისთვის ნაკუწ-ნაკუწადაც გაქცევდენ. სანამ არსებობს რელიგია, ადამიანები ცეცხლით, მახვილით, მფორახით და წამებით იცავენ ღმერთს; და ღმერთს არც ერთი ამ ბნელ ადამიანთაგან არ და-

ფიქრებულა იმაზე, რომ, თუ ლმერათი კი არსებობს, მაშ რაღა ეშმაკათ უნდა მას ასეთი დახმარება, როცა მას თვითონ შეუძლია თავის დაცვა? თვითონ ის გარემოება კი, ლმერათს კაცის დაუხმარებლათ არ შეუძლია არც ლაპარაკი, არც წერა, არც არაფრის გაკეთება და აღარც თავის დაცვა, თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ ლმერთი არ არის, არც ყოფილა და გამოტანილია ადამიანთა მიერ. მე კი ღვთისა რა მცოდნია, ყველაფერი ეს არის ერთი მტკნარი სისულელე და მეტი არაფერი.

ალექსანდრე (ცხარობს)

— მე კი ჯერ მინდა ვებრძოლო მას.

თამარი—ვისა?

ალექსანდრე—ლმერთს!

(საერთო სიცილი)

თამარი—მერე და როგორ გინდა ებრძოლო მას, როცა ის არც კი არის. ალექსანდრე—მე მინდა ვებრძოლო იმ ლმერთს, რომელიც ჯერ კიდევ არის გახიზული დედაბრების, ხუცების და უეცი ადამიანების თავებში.

თამარი—მე კი მებრალება ეს ადამიანები.

ვასილი—რატომ?

თამარი—ისინი მომაგონებენ მე იმ ცხენებს, რომლებიც მუშაობენ მალაროებში. მთელ სიცოცხლეს ისინი ატარებენ მიწის წიაღის ხიბნელეში, არ ხედვენ მზეს და ბოლოს სიბნელეში სრულიად სპობს მათში მხედველობის ნიქს. მიწის პირზე ამოსულნი ისინი, სულ ერთია, ვერაფერს ხედვენ.

მიხეილი—ეს კი სწორედ ასეა!...

თამარი—კარგათ დაფიქრდით, ამხანაგებო!.. ჩვენი მოხუცებულობის ცხოვრება მიმდინარეობდა სიუეციის ბნელეთში. ისინი მზეს ვერა ხედავდენ. განა, შეუძლიათ ახლა მათ სიმართლის შეგნება?.

ალექსანდრე—შეუძლიათ!

თამარი—რა ნაირად?

ალექსანდრე—(გატაცებული ხელების ქნევით)

— თუ ისინი გადაეჩვიენ ხედვას. და სიმართლის წინაშე განგებ თვალებს იბრმავებენ, ჩვენ ვაიძულებთ თვალების გახელას. ქუთუთოებს გავეულებთ და ისე გავახედებთ. თუ ამის შემდეგაც იუარებენ გახედვას, ვასწავლით ყნოსვას, ხელის შეხებას, ლოკვას, მხოლოთ სიმართლეს კი შევავანებინებთ.

გამოსვლა მემკვსმ.

ალექსანდრე, ვასილი, მიხეილი, თამარი და მამა.

შემოდის მამა.

მამა—(ალექსანდრეს)

— რად ხმაურობ შენ ყველაზე მეტად?

ალექსანდრე—იმად, რომ მინდა გავაკეთო ყველაზე მეტი!

მამა—და არაფერი კი არ გამოგიდის.

ალექსანდრე—ერთხელ არ გამოვა, მეორედ გასპრის!

თამარი—ეს ბებიებთან ომს აწარმოებდა.

მამა—რისთვის, უფლისა-ლეთისათვის?

თამარი—რა თქმა უნდა!

მამა—მერე ვინ-ლა აჯობა?

ალექსანდრე—მე!

ვახილი—ბარემ სთქვი მართალი... თუ ჩვენ არ მოგვესწრო, ჯობით ნაცემი დარჩებოდი.

ალექსანდრე—აქამდის მე მათ არ დაუშვებდი.

თამარი—რა შეგეძლო შენ?

ალექსანდრე—(გამომეტყველებით)

— გავექცეოდი!

(საერთო სიცილი).

მამა—დღესასწაულის გულისთვის ბებრებმა მეც ამიტეხეს სწოლა.

თამარი—თქვენ რა?

მამა.—ვუთხარი მათ ცოტა რამ და გავწოდი.

(ახალგაზღვები შემოეხევიან მამას).

თამარი—რა უპასუხეთ თქვენ იმათ?

მიხეილი—მხარი დაუქირეთ იმათ?

ვახილი—არა, ჩენი მამა აგეთი არ არის!

ალექსანდრე—გამოტყდი, რა უთხარი შენ იმათ?

მამა—ეხლავე, ეხლავე. მე ვუთხარი იმათ, ლმერთმა, აადულა ყველაფერი ეს, და მანვე იწენიოს თქვა. მე კი თქვენ ვერ აგედევნებთ და ყოველ ფეხის გადადგმაზე რჩევა-დარიგებას ვერ მოგცემთ.

თამარი—თქვენ თითონ გწამთ ლმერთი?

მამა—მე, აბა რა ვიცი.

ვახილი—თქვი მართალი, მამა!

მამა—რა უნდა ვსთქვა? არ ვიცი და ისაა!

თამარი—ეს როგორ იქნება?

მამა—როგორ და ისე!... ლმერთი მე არ მინახავს. დახმარება მისგან არა მქონია. ბოროტება ირგვლივ ბევრი კეთდებოდა, ის კი არავითარ ზომებს არ ლებულობდა, ხუცებისა და მდიდრებისათვის იქნება ლმერთი კიდევ იყვეს, მათზე ზრუნავდეს, ღარიბებისთვის კი ლმერთს არაფერი არ გაუკეთებია. აი, როგორ ვფიქრობ და მწამს მე.

მიხეილი—(მეცხრათ, ბეჯითი კილოთი)

— არ არის არავითარი ლმერთი. ის ღარიბების დასამონებლათაა მოგონილი. ლმერთი—საფრთხობელია მშრომელებისთვის. სარწმუნოება—აღვირია,

რომელიც აუღვია მდიდრებს ღარიბებისთვის. ამ აღვირით „გაკაიპებული ჰყავს მათ მუშა ხალხი. ურჩებს აწინებდენ ჯოჯოხეთით, ერთგულებს ანუგეშებენ სა-
მოთხით. ეს იათიცაა და გამოსადეგიც. ღმერთი არ არის. ამას ამტკიცებს მთე-
ლი წარსული. ღმერთი-სიცრუეა, მამაძაღლობა, ბარბაროსობა, ძალმომრეობა.
ულმერთობა კი—თავისუფლება, სილამაზე, საერთო ბედნიერება.

ვასილი—ღმერთს ხუცებიც კი ზურგს აქცევენ. ამერიკელი ეპისკოპოზი
ბრაუნი სწერს, რომ ღმერთი, რომელმაც დაუშვა ევროპის ომი, ვერსალის
ხელშეკრულება და რუსეთის ბლოკადა, მისთვის ღმერთი კი არა, ეშმაკია.

მამა--თქვენ რა, ჩემზე ცხარობთ?... მე დიდი ხანია ასე მრწამს, მაგრამ
ისა, რა ჰქვიან, აზრი ვერ გამომიხატავს, ვერ ჩამომიყალიბებია კარგათ.

ალექსანდრე—რას ამბობ, რის ჩამოყალიბება? დაცხრე პირდაპირ... ღმერ-
თისა—ღვთისა მიმართ სროლა!..

სცენის უკან ხმაური, სტვენა, ყვირია.

თამარი—(უახლოვდება ფანჯარას და გაოცებული)

— აგერ ხუცები... რა ეშმაკი უნდა მათ? მე იმათ ეხლავე გავრეკავ. (მი-
დის კარებისაკენ)

მიხეილი—აი, ეს კი მესმის!... უფლისა ღვთისა მიმართ. აუუტეხთ მათ
შესაფერ ბრძოლას.

ალექსანდრე—(სიხარულისგან ხტის)

— აი, ეს კი მესმის!... უფლისა ღვთისა მიმართ დაშენა!..

კარი სწრაფად იღება. შემორბიან შეშინებული ხუცესი და დიაკონი. ხუცესს
ხელში უჭირავს საეკლესიო წიგნი ტყავის ყდაში. დიაკონს ცალ ხელში საცე-
ცხლური აქვს, ილიაში ხუცესის სამოსელი, მეორე ხელში კალათი, კვერცხებით
პასკებით კულიჩებით. დიაკონი ფეხს წამოჰკრავს, დაეცემა კალათიდან გამო-
ცვივა ყოველივე ეს და იატაკზე დაცვივა. სცენაზე დუმილია.

ალექსანდრე—ამინ, ამინ რაზმო, გაიშალე!..

გამოსვლა მუშვიდმე.

მამა, ვასილი, ალექსანდრე, მიხეილი, თამარი, მღვდელი და დიაკონი.

დიაკონი ჯვარის სახვით აკურთხებს დაპნეულ კვერცხებს. კარებს და
ყველა იქ მყოფთ. ხუცესი ქანცმილეული დაეშვება ახლო მდგომ სკამზე.

ვასილი—(ხუცესს)

— რა მოხდა? მღვდელი მძიმეთ სუნთქავს.

მიხეილი—(სკამზე სვამს მამას)

— თქვენ კი იჯექით და უყურეთ.

ვასილი—რა, მოგივიდათ?

მღვდელი—(დასუსტებულის ხმით)

— ჩემი წოდება და მაღლი სულისა ჩემზედ და ჩემსა შიგან მსუფევი...

დიაკონი— ვაი, ჩვენ... ვაი ხალხსა ამას... ვაი, ყოველთა...

ალექსანდრე—(იწევს კვერცხებისაკენ.

— მოიტა კვერცხები!...

დიაკონი ჯვარს გადასახავს მას.

ალექსანდრე—რას შერები?

მიხეილი—თქვენ ვისთან მიხვედით?

მღვდელი—სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა!...

ვასილი—დაიწყო პარაკლისი.

მღვდელი—(მტითალი ხმით).

— ლეთის მგობელთა უტენო ბრბო თავს დაესხა თავის სულიერს მოძღვარს, და მიაყენა მას შეურაცყოფა და დასცინა მას,

დიაკონი—(იფარავს კვერცხებიან კალთას ალექსანდრესაგან).

— საფარველსა უფლისა ქვეშეყოფნი... ვაი, ჩვენ!.. ვაი კვერცხებს!?

მიხეილი—ალარ იტყვიო, რა გინდათ ჩვენგან?

მღვდელი—მფარველობა.

ვასილი—მფარველობა?

მღვდელი—სახელითა უფლისა ლეთისა ჩვენის დაგვიფარეთ ჩვენ!..

მიხეილი— თქვენ გწამთ ღმერთი?

მღვდელი—მწამს და ვალიარებ!..

მიხეილი—თქვენ გწამო, რომ ღმერთი არის, რომ ის ყველაფერს ხედავს და ყველაფერს განაგებს?..

მღვდელი—(შემკრთალი).

— მწამს!

მიხეილი—აი, რა, თუ გწამსთ, ცნობილობთ და აღიარებთ, რომ ღმერთი არის და ყველაფერს განაგებს, მაშ, რაღა გინდათ თქვენ ჩვენი დახმარება?

მღვდელი—(შეშინებული).

— მაშ, როგორ?!.

მიხეილი—გთხოვთ ლეთისთვის, რათა მას გამოეგზავნა თქვენთვის გუნდი ანგელოზებისა, ცხენოსან მთავარ-ანგელოზთა რაზმი, რეზინის რბილ თვლებიანი ეტლი და, ყოვლად უხიფათოდ მივიყვანდათ სახლში.

მღვდელი—(უიმედოთ).

— ღმერთი ჩემს თხოვნას არ მიიღებდა.

მიხეილი—ეს რატომო?... თქვენ ხომ უბრალო ღარიბ-ღატაკი არა ხართ, არამედ ლეთის ნამდვილი ბოქაულის მავგარი პიროვნება. და ღმერთიც მოვალეა თქვენი თხოვნა დააკმაყოფილოს პირველ რიგში.

მღვდელი—მართალია, მაგრამ ის, ისეთ თხოვნებს არ აკმაყოფილებს!

ვასილი—მომითმინეთ... მაშინ სადღაა მისი ყველაფრის შემძლეობა, მისი ღონე?

მიხეილი—თქვენ ხომ ლეთისცხებულნი ხართ. მისი მადლი ყოველთვის თქვენთან არის, თქვენ მონიჭებული გაქვთ უმადლესი უფლება გაათავისუფლოთ ადამიანი უშუამძივსი ცოდვებისაგან, და გაგზავნოთ მათი სულები თქვენი

ნებისამებრ, ან ლეთის სამოთხეში, ან ეშმაკის ჯოჯოხეთში, და ამავე დროს, ღმერთი არ გშველის და არ დაგიფარავს თქვენ მძიმე გაქირავების წუთს?..

მღვდელი—(წამოდგება ფეხზე)

— სადა ვარ მე?... ვინა ხართ თქვენ?...

ვახილი—ჩვენ ახკომკავშირელები ვართ, მაგრამ თქვენ, აი, ვინა ხართ ნამდვილათ, ეს კი საკითხავია.

ღიაკვანი—(შიშისგან მუხლთ ეკეცება და პირჯვარს იწერს)

— კომ... კომ... კომ...

მღვდელი—(ისტერიულად)

— ახკომკავშირელები... (რალაც ავთამყოფ მღრინავ ხმებით სწუხს. ფეხებს იგრებს. მუცელზე ხელებს იქერს)

მამა—რა გემართებათ?

ღიაკვანი—ვაი, თქვენ!... ვაი სახლსა ამასა!...

ალექსანდრე—რას ჩხავი შენ?... მოიტა ეგ საცეცხლური, ხუცესს უნდა ვუკმო, თორემ გული უწუხს...

თამარი—(უახლოვდება მღვდელს)

— ამას მუცელი უნდა ასტკივნოდეს.

ვახილი—(ღიაკონს)

— რა უქამია მაგას დღეს?

ღიაკვანი—(ჯვარის სახეს გადასწერს ვახილის)

ვახილი—(გაჯაერდება და ხელს სტაცებს ღიაკონს საყელოში)

— სთქვი, რა სქამეთ დღეს?

ღიაკვანი—შეშინებული და სწრაფად, როგორც გაზეპირებული „მამაო ჩვენო“

— ყველი, ერბო, რძე, კვერციხი, ხორცი, ძეხვი, ღორი, პური, ღვინო, კულიჩი, პასკა, ხაჭაპური, სუპი, ბატი, იხვი, ქათამი.

ალექსანდრე—(საცეცხლურის ქნევით აყოლებს ხმას ღიაკვანს)

— ხუცის მუცლის ხსნისათვის უფალსა და ღმერთსა ჩვენსა შევევედროთ...

ღიაკვანი—შეშინებული ხრის თავს ფერდისკენ და წვრილი ხმით გალობს)

— უფალო, შეგვიწყალები!...

მღვდელი საწყლად კენესი.

თამარი—(იციინის).

— აი, თუ გნებავთ, პარაკლისიც!...

მამა—გახეთქილა კი ხუცესი სადღესასწაულოთ!... მაგრამ რა უნდა ვუყოთ ახლა მაგას?

ვახილი—(ალექსანდრეს)

— ბებიას მე დაეუნახე ბოთლი საფალარათო ზეთით... წადი, მოარბენინე ის აქ!

ალექსანდრე—ხელად!

(გარბის მარცხენა კარებში)

გამოსვლა მერვე

მამა, ვასილი, მიხეილი, თამარი, მღვდელი და დიაკონი.
თამარი—არ შეიძლება ასე ბევრის ჰამა!...

ვასილი—მუშაობა არ გიყვართ და საკმელს კი კეტითაც ვერ მოგა-
შორებენ.

(მღვდელი საცოდავთ კენესის)

მღვდელი—უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი. რ-რ-რ-რ...

(ნერვიულად აბრაახუნებს ფეხებს).

მიხეილი—აი, თქვენ საბრალო მსახური არ არსებულ დემერთისა. მას ერე-
კებიან, როგორც წუწკ ძალს. ზედმეტი სიმაძღრისაგან იტანჯება. ის არც კი
ითხოვს ლეთისაგან რაიმე დახმარებას, ან განკურნებას, რადგან კარგათ იცის,
რომ ღმერთი არ არის, და მისგან არც რაიმე დახმარებაა მოსალოდნელი.

(მღვდელი მტირალი ხმით კენესის. დიაკონი ჯვარის სახეს აკეთებს. სცე-
ნის იქიდან კი მოისმის ალექსანდრეს ხმა: „მოიტა, ბებია, საფალარათო ზეთი...
ეხლავე შენს მღვდელს ვახუხვინებ...)

ბებია ხმა:—მოიცა შე საძაგელო, ნე შენ ისეთს გახუხვინებ, რომ თვი-
თონაც არ იქნები მადლიერი.

გამოსვლა მეთხრამე.

ივინივე, ალექსანდრე და დედაბრები.

მარცხენა კარი სწრაფად იღება. შემოდის ალექსანდრე, მას მოსდევენ
დედაბრები. მღვდლის დანახვაზე დედაბრები შეფორიაქდებიან. პაუზა.

(მღვდელი კენესის)

ბებია—(მივარდება მღვდელს)

— რა მოგსულიათ, მამაო?

დედაბერი—(დაიხრება მღვდლის ახლოს)

— ქრისტე აღსდგა!...

მღვდელი—რ-რ-რ-რ... მიშველეთ!

ბებია—(მტირალი ხმით)

— შეაწუხეს შეჩვენებულებმა სახიერი მამა... უღმერთოები, ანტიქრის-
ტები (აბრაახუნებს ჯოხს სცენაზე).

ვასილი—რად იხეთქებოდა ასე ოხრად!...

დედაბერი—(მტირალი ხმით)

— შენ, ჩვენო წამებულო... წმინდანო.

მამა—რალაც ძალიან მოუჩქარეთ თქვენ შაგის გაწმინდანებას...

მღვდელი—მიშველეთ!...

ბებია—რას იტყვივით, მამაო?

მღვდელი—წამიყვანეთ სახლში...

დედაბერი—(ლამოხის მღვდლის აყენებას)

— წავიდეთ, მამაო, გავწორდეთ ამ უღმერთობებს.

მღვდელი—ასულნო ჩემნო, საყვარელნო... დამეხმარეთ, მიხსენით!...

ღიაკვანი—(გადაელობება კარებში)

— არა, ამ ტანისამოსში არ შეიძლება... ქუჩაში გავლა არ შეიძლება...

ჩაგვაცვით სხვა რამე...

ბებია—აბა, რა უნდა ჩაგვაცვათ?... კაბები ხომ არაა?...

ღიაკვანი—მოიტა, არა უშავს, კაბები იყვეს!...

(ბებია გადის მარცხენა კარებში)

გამოსვლა მათე.

ივინივე, გარდა ბებიისა.

დედაბერი უვლის მღვდელს.

მიხილი—ახლა დაიწყება ხუცების მასკარადი!...

ალექსანდრე—ანგელოზების ნაცვლდ, გამოჩნდებიან დედაბრები და წაიყვანენ თავიანთ ხელებზე აყვანილს ძალზე გამაძლარს მღვდელს, ის კი, სლოკინით და ღრუტუნით მოჰყვება ფეხებით წიხლვას.

ვასილი—საფალარათო რალა იქნა?.

ალექსანდრე—ბებიამ არ დამანება.

ვასილი—სამწუხაროა, საკირო კი იყო წმიდანისათვის მირთმევა მისი, სადღესასწაულოთ.

გამოსვლა მათეატიმბათ.

ივინივე და ბებია.

გამოჩნდება ბებია ხელში დიდ მოხვევა ქალის ტანისამოსით,

მღვდელი—ო-ო-ობ!...

ღიაკვანი—ჩქარა, ჩქარა! (ჯვარს გადასწერს კაბებს და სწრაფად იცვამს. დედაბრები აჩქარებით არჩევენ ტანისამოსს.)

დედაბერი—ღმერთო, ღმერთო! რას მოვესწარით!

მღვდელი—რ-რ-რ-რ... რათ დამაგდე მე ცოდვილი. (ფეხებს იქნევს)

დედაბერი—(აცმევს მღვდელს, და ღიაკვანს ეუბნება)

— წაიკითხეთ ლოცვა!

ბებია—რისთვის?

დედაბერი—ასეა, მღვდელი რომ იმოსება, ყოველთვის ლოცვას ჰკითხულობენ.

აღექსანდრე—კი, მაგრამ ეს ხომ დედაბრის ტანსაცმელს იცმევს.

დედაბერი—მლედელზე დედაბრისაც ნაკურთხად ხდება.

ღიაკვანი—(პირაჯუარს იწერს, კაბებს ასწორებს და აჩქარებით ჰკითხულობს ლოკვას. სიტყვები ცერცვივით ცვივა).

იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ, რამეთუ შთამაცვა მე სამოსელი ცხოვრებისა და, კვართი სიხარულისა შემოსა მე...

აღექსანდრე—(ღიაკვანს ხელს სტაცებს კაბის კალთაში და ეწევა)

— ეი, შენ, როგორ ადუღდი?

ღიაკვანი—(ჯვარს გადასახავს აღექსანდრეს და განაგრძობს) და ვითარცა სიძესა, დამადგა გვირგვინი და ვითარცა რბალი, შემამკო სამკაულითა...

თამარი—(აღექსანდრეს)

— შენ, როგორც ვატყობ, გინდა მაგას გახადო ეს ახალი სამოსელი.

აღექსანდრე—მაგი რას ბურტყუნებს ცხვირის ქვეშ? დეე, იკითხოს საზრიანად, გრძობით და გარკვევით.

ღიაკვანი—(სიტყვებს მაკრატელივით სკრის)

მარჯვენი შენი, უჯულო, დიდებულ არს ძალითა შენითა! ხელთა შენთა შემქმნეს მე და დამბადეს მე.

(შემოსვა დასრულდა. დედაბრები ჰკიდებენ ხელს მხრებში მლედელს და მიჰყავთ).

აღექსანდრე—როგორ. როგორ?...

ვახილი—არა ანგელოსები წაიყვანენ მლედელს ხელით, არამედ გამოტეინებულ დედაბრები!

(მლედელს აცვია კაბა და კოფთა. თავზე წაქრული აქვს ქრელი ხელსახოცი. ის ხელით მიჰყავს დედაბრებს. ღიაკვანი მასდევს უკან მათ და დარჩენილებს აკურთხებს ჯვარის სახით, ეშინია და ისე მიდის უკან-უკან გასასვლელ კარისაკენ.)

ღიაკვანი—ასპიდსა და ვასილისკოსა ზედა ხეილოდ და ფერხითა სთელვიდ ლომსა და გველსა.

აღექსანდრე—(სწრაფად იხრება ღიაკვანის ფეხებისაკენ და აფრთხობს).

— უი, თავი!...

ღიაკვანი—(შემკრთალი).

აი!... (გავარდება კარში. მას მისდევს აღექსანდრე).

მიხეილი—მშიშარა და უტვინო მსახურებმა, არ არსებული ლეთისა ნახ შესაფერი ტანსამოსი და საზოგადოება.

ისმის აღექსანდრეს ხმა:

— უფლისა ლეთისა, მიმართ და შენით!... კომკევირო, თოფ!...

(სცენის უკან სტვენა, ყიეინი და ხმაური.)

(ფ ა რ დ ა).

ს. შრ – ლი.

კველი და ახალი ყაზარმა.

პიესა ორ სურათად.

მ ო მ მ ე დ ნ ი :

1. ფ ე ლ დ ფ ე ბ ე ლ ი .
2. მ ღ ვ დ ე ლ ი .
3. ჯ ა რ ი ს - კ ა ც ი .

უარდის ახდამდე მომხსენებელი აპბოჰს შესაეალ სიტყუას ძეულ და ახალი ყაზარმის მნიშენელობაზე.

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი .

(სცენა: ყაზარმის კუთბე. მორთული ნიკოლოზის სურათით და სამფეროვანი დროშით. კუთბეში ხატი, ტახტი კილოფით. თოფეტი ჯოჯინად. მაჯიდაზე სახარება. სამეფო გეარეულუბის წიგნი და სხვა... ისმის საყვირო).

ჯარის-კაცი — (წამოწოლილია) ოჰ, ღმერთო! როდის უნდა მოელოს ამდენ ტანჯუას ბოლო?

ფელდფებელი — (შემოდის გინებით) მე თქვენ გიჩვენებთ! ჰმ! ერთ ამ ძალ-ლის ლეკვს უყურეთ; როგორ დაგდებულა. აეთრიე!...

ჯ.-კაცი — მე... მმმ...

ფელდ. — სმენა, შენ თხუნელა, შენა! როგორ გაბედე ძილი?

ჯ.-კაცი — მე, ბატონო ფელდ... ფებელო... მე... თავისუფალი ვარ, საღარაჯოდან ეხლა მოვედი...

ფელდ. — მიჰქარავე! შენ ამის ნება უნდა აგელო, რომ დაწოლილიყავი.

ჯ.-კაცი — ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ. — აბა, ჩოთქი, ჩქარა!

ჯ.-კაცი — მესმის, ბატონო ფელდ...

ფელდ. — როგორ? შენ იმ წინაზე არ გეყო ორმოცდა ათი წკეპლა! ხომ არ მოგინდა კიდევ?

ჯ.-კაცი — ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ. — ჰო. ასე. გეყოფა ასე... ჰო...

ჯ.-კაცი — ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ. — მე ვინა ვარ?

ჯ.-კაცი — ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ. — ოჰ, დაგწუველოს ღმერთმა, ვეცდები და ვეი? მეტიკი მე?

ჯ.-კაცი — მესმის, ბატონო ფელდ... ვეცდები.

ფელდ. — რა გესმის?!

ჯ.-კაცი — ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ. — ვინა ვარ მეტიკი?!

ჯ.-კაცო—ვეცდები, ბატონო ფელდ... თქვენა ხართ ყაზარმის თვალი, ჩვენი პოლიცის ღმერთი!

ფელდ.—ჰო, თუკაც სულელურადა სთქვი, მაგრამ მინც კარგადა სთქვი. ეს რა წიგნია, აა? შენ მეფის საწინააღმდეგო წიგნებსაც კითხულობ, აა?

ჯ.-კაცო—ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ.—რაო ვეცდებიო? ეხლავე ჩამოგახრჩობ, შე არამზადე! შენ, რომელმაც მიიღე ფიცი მეფის ერთგულებისა, ბედავ მის წინააღმდეგ ამბოხებას? დაგახრჩობ! დაგხვრეტავ!..

ჯ.-კაცო—ბატონო ფელდფებლო, შემობრალეთ.

ფელდ.—რაო! როგორა ბედავ მეთქი?..

ჯ.-კაცო—ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ.—ეს რა წიგნია?

ჯ.-კაცო—არ ვიცი, ბატონო ფელდ...

ფელდ.—როგორ, როგორ თუ არ იცი? როგორა ბედავ!

ჯ.-კაცო—მესმის, ბატონო ფელდ...

ფელდ.—მიჰქარაე! იცი რა წიგნიაა. დღესვე გადაგცემ სამხედრო-საველე სასამართლოს!

ჯ.-კაცო—არ შემიძლია, ბატონო ფელდ... ვეცდები, ბატონო ფელდ... წერაკითხვა არ ვიცი. ბატონო. ფელდ... ვეცდები, ბატონო ფელდ...

ფელდ.—მიჰქარაე! მაშ, ეს რა წიგნია?

ჯ.-კაცო—ვეცდები. მესმის. მესმის. ვეცდები. მესმის ვეცდები.

მღვდელი.—(შემოდის) რათა ჯავრობთ, ალექსი ნიკიტის-ძევ?

ფელდ.—ახ! თქვენა ბრძანდებით, მამაო? მოდი და ნუ იჯავრებ წმიდა ყაზარმას, რომელიც მსახურია ჩვენი ყოვლად შემძლე ღმერთის, მამულისა და მისი უდიდებულესობა იმპერატორისა—ბილწავენ ასეთები.

მღვდელი.—რაშია საქმე?

ფელდ.—მაპატიე მონასა ღვთისა და შენსა შემცოდესა, მამაო! აბა, ნახეთ რა უწმინდურ წიგნსა კითხულობს.

მღვდელი.—ჰო. აბა, რას სკოდებ, შეილო, ღმერთსა? ამისთვის გელის ჯოჯოხეთი!

ჯ.-კაცო—მესმის, მამაო. ვეცდები, მამაო. მაპატიეთ. არ ვიცოდი, რა წიგნი იყო, ეკლესიის ეზოში იყო და წამოვიღე. კარგი სურათები ჰხატია შიგა და...
მღვდელი.—რაო?! ღმერთო გვიხსენი!

ჯ.-კაცო—უგ ერთი... კიდევაა მაგნაირი, მეორე გუნდშიაც აქვთ მაგნაირი.

ფელდ.—რაო?! ლამის გაგიყიდე! ეს რაა? კატორღელებში ვართ, თუ რაა! აი, შე წუწკო, შენა. შე შენ გიჩვენებ!..

მღვდელი.—შეჩირდი, შეილო!

ფელდ.—მაპატიე ყოვლად, წმიდაო მამაო, მე დღესვე უნდა შეეატყობინო მათ მაღალკეთილშობილებას, ბატონ პოლკოვნიკს, რათა მიიღოს ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ, რომლითაც ჩირქი ეცხება ჩვენი ჯარის წმინდა სახელს და ღირსების დაცემას უმზადებს მას.

მღვდელი—დამშვიდდი, შვილო, მე მინდოდა ერთი რამ მეთხოვნა; გაგზავნე ეს ივანე და შეშა ამოაზიდინე, ეკლესიაში, მერე კი ცხენები შემიბას ეტლში, რადგანაც ჩემი მეეტლე მთვრალი გდია საჯინიბოში, ის შენ რომ იცი, უნტერ-ოფიცრის ცოლი, მინდა გაეასეირნო ქალაქ-გარეთ.

ფელდ.—ამ წუთს, მამაო. აბა, სარდაფიდან ეკლესიაში შეშა! და წმიდა მამის ცხენები ეტლში, მარშ!..

ჯ.-კაცი—მესმის! ვეცდები!

ფელდ.—აბა, მალე! (ჯ. კ. გადის).

მღვდ.—ოხოხოხოოოო...

ფელდ.—მაპატიე, წმიდაო მამაო, კანდიერებისათვის, მაგრამ ვერ გამოგია მიზეზი თქვენი სიცილის!..

მღვდ.—ალექსი ნიკიტის-ძევე! ალექსი ნიკიტის-ძევე! ამ წიგნისთვის როგორ აწვალებდი კაცსა?

ფელდ.—როგორ, თუ როგორ, მამაო?

მღვდ.—არა, ეს ხომ სახარებაა, იოვანესი. ხა-ხა-ხა.

ფელდ.—სახარებაო? მართლა, თუ? ეშმაკმა კი წაიღოს აბა, არც კი გამოიწინჯავს და...

ფელდ.—(გარედ ისმის ხმაურობა) გაჩუმდით.

მღვდელი—ო, რა უვიცები არიან, რა უვიცები.

ფელდ.—მე მგონია, ასე სჯობიან, ჯარის-კაცი, რამდენიც გინუვითარებელია და ბნელი, იმდენათ კარგია, როგორც გინდა გამოიყენებ და ერთგულ-ძალისავეთ იმსახურებ. აი, შტაბის მწერლები რომ არიან. ვერაფერი მითქვამს, სწავლა აქეთ და მითი მჯობნიან. თუმცა ფეხებზედაც არ მკილია იმათი ცოდნა. თუ არ მისწავლია, მე ვიცი, ჩემნაირი ნანდელი ხელმწიფის ერთგული იქნებიან და ჩემზე კარგათ ეცოდინებათ სამხედრო საქმე. ნასწავლი კაცი მუდამ მშიშარაა; და ომში გამოუსადეგარია. სალდათი უნდა იყოს ცოცხალი მანქანა. მას არც კი უნდა ჰქონდეს თავის თავზე ფიქრის ნება. რადგანაც, თუ ოდესმე დაფიქრდა, იცნობს თავის თავს და ის უკვე აღარ ვარგა. აი. ნანდელი სალდათი ის არის, ვისაც გამოლაყებული აქვს ტუინი მეფის ერთგულებით და თავდადებით. მე სხვანაირად არა მწამს! საკმარისია სალდათმა იცოდეს: სამხედრო წესდება და სამეფო გვარეულობის ისტორია, ყველა წვერის წლოვანება, სახელი, მამის სახელი, ვის რა ჯილდო აქვს, ორდენი და სხვა.

მღვდელი—ღმერთს ნუ სკოდავ, ალექსი ნიკიტის-ძევე, ღვთის სამსახურის ცოდნა უმთავრესია, სახარებისა. სახარება თუ იცის კაცმა, მეტი არაფერი უნდა. რათ უნდა კაცს ამ ქვეყნიური დიდება? საკმარისია ისიც, თუ რომ აქ ჩვენც პატივი გვცა, სამაგიეროს იქ, სამოთხეში მიიღებს.

ფელდ.—ეგეც მართალია, მამაო, ოღონდ მიბრძანონ უფროსებმა და მზათა ვართ ყველაფერი აღვასრულოთ, მზათა ვართ ღმერთისა, მამულისა და მეფის საკეთილდღეოთ დაეხოცოთ მშობლები, ცოლშვილი ნათესავები და სხვა, ვინც უნდა იყვეს. აი, ასეთი უნდა იყოს ყველა ჯარის-კაცი!..

მღვდელი—აი. ყოჩაღ. ყოჩაღ. ჩემო ალექსი ნიკიტის-ძევე, ღმერთი დაე-

ლოცავს კეშმარტად, მაგრამ ეგ არაფერი, აი, რა მოგიტანე, ჭიქა კი არა შაქვს. მაგრამ არა უშავს რა. ისე დაღვლეთ.

ფელდ.—აბა რაზე სწუხდებით, მამაო, მე როგორც გამოცდილი კაცი, მუდამ თან. ხა, ხა, ხა.

მღვდელი.—ოჰო, ჰო. ბრავო, ალექსი ნიკიტინი! აბა, შენ აფსუსი არა ხარ ფელდებლად იყო, შენ უნდა იყო ამ პოლკის უფროსი, შენ... ხე, ხე, ხე.

ფელდ.—ვეცდები, მამაო, ვეცდები.

მღვდელი.—ვიყენეთ. აბა ჯერი თქვენზეა.

ფელდ.—გაამოს, მამაო! თქვენი სადღეგრძელო იყოს, მამაო!

მღვდელი.—იცი ალ. ნი-ნი! მე ერთი აზრი მომივიდა თავში, ძალიან ადვილია თქვენი ამ პოლკის უფროსათ დადგომა მე... ისე რაღა ხა, ხა, ხა. გენერლის ცოლთან კარგათ ვარ. უჰ, აი ქალი, ნამდვილი ცეცხლია, პირდაპირ ცეცხლი... ხომ იცით, ასეთი საქმეები ყველაფერი ქალებითა კეთდება! ესეც გაუმარჯოს ამ საქმეს. აბა. ალ. ნი-ნი. მისცხეთ.

ფელდ.—მე მგონია... აბა, ჰო. გაგიმარჯოთ, მამაო, ნუ თუ იმედი-ვიქონიო?

მღვდ.—როგორ, ნუ თუ ეკვი გეპარებათ ჩემ სიტყვებში? ჩვენი პოლკოვნიკი მაინც ათვალისწინებული ჰყავს და, მხოლოდ, იცით, რა? ალ. ნიკიტინი, როგორა ვსთქვა, ხომ იცი აქ აღარაფისი ცოლი აღარ გადაშირჩა და... აი ის-ლა გუშინ, რომ დაეწერე ჯვარი ბობრ-ოფიცერს, აი, ვის ჰქონია გემოვნება. იმის ცოლი თუ...

ფელდ.—მიგიხვდით, მამაო, ხა, ხა, ხა. ეს მე მომანდეთ. ის ხომ ჩვენ გუნდშია... ხა, ხა, ხა.

მღვდელი—ამისათვის დაგლოცავს, შვილო, ყოველად შემძლებელი უფალი. ხა, ხა, ხა.

ფელდ.—ეგ მე მომანდეთ, მამაო. ო, არა უშავს რა, ამ არაყსი იცით, რა, მამაო?

მღვდელი—ჰა, რაო? ჰო...

ფელდ.—(თვრებიან) აბა ერთი დავუაროთ. (მღერის. თან თამაშობს).

მღვდელი—(სიმღერას აწყევბა. ხელებს მაგიდაზე აფრახუნებს. ესეც აწყევბა ცეკვაში). გაუსვი და გამოუსვი აბა ტაში!

ფელდ.—ტაში. ტაში..

ჯ-კაცი—(შემოდის) ნება დამრათეთ მოგახსენოთ.

მღვდელი—რაოოოო?!

ფელდ.—როგორ გაბედე, შენ წუწკო, შენ დაუეთხზავად შემოსელა? ჰა!

ჯ-კაცი—ვეცდები, ბატონო ფელდ...

მღვდელი—ჯვარი აქაურობას. ჯვარი აქაურობას. ღმერთო დაიხსენ ცოდვილი ესე ქვეყანა!

ფელდ.—ჰო, რას ვამბობდი. მამაო, აი, ეშმაკმა წაიღოს! ჰო, მომაგონდა!.. ჰო. ჯარის-კაცი უნდა იყოს უსულო მანქანა—მეთქი, საითაც მიატრიალებ, იქით უნდა მიუშვიროს თოფი. აღასრულე?

ჯ-კაცი—შეშა ატანილია! ეტლი მზათ გახლავთ!

ფელდ. — მიჰქარაე, შე ძაღლო, შენა... აი, მამაო, როგორი ვარ. ხა, ხა, ხა-
მღვდელი.—ჯგარი აქაურობას. ნუ სცოდავ, შეილო, ყოვლად შემძლებელ
უზენაესს.

ფელდ.—გაუმარჯოს მირონცხებულ იმპერატორს!
მღვდელი—და იყოს მფარველობა ყოვლად შემძლებელ უზენაესისა, მასხე,
უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ფელდ.—აბა, დაიჩოქე ხატის წინ!

ჯ.-კაცი—მესმის, ბატონო ფელდებელო.

ფელდ.—აბა, მამაო, ათქმევიინეთ „მამაო ჩვენო!“

მღვდელი—მერე და იცი, შეილო?

ჯ.-კაცი—ისე... ცოტა...

მღვდელი—ო, ეგ სასიამოვნოა. აბა, მეტი რაა საქირო იცოდეს, ეგ ყვე-
ლაფერი. აბა, დაიწყე, შეილო.

ფელდ.—არ გესმის, შენ მიიმუნო, შენ გეუბნებიან?

ჯ.-კაცი—ვეცდები, ბატონო ფელდ... მესმის, ბიტონო ფელდ...

ფელდ.—დაიწყე!

ჯ.-კაცი—მამაო, ჩვენო, მამაო, ჩვენო, მამაო, ჩვენო, მამაო, ჩვენო... რო-
მელი ხარ, ცათა შინა წმიდა იყავ, იყავ, იყავ წმიდა, წმიდააააააა.

ფელდ.—ადეკი. აბა თოფი! გასწორდი! სმენა! თოფი ხელში! ბრძოლად
გაემზადე! .ხიშტზე!

მღვდელი—ოი, ღმერთო დამიხსენ! კინალამ ხიშტზე ამაგო. დაგწყევლოს
და შეგაჩვენოს ყოვლად შემძლებელმა უფალმა.

ფელდ.—ვირო! კინალამ წმიდა მამა განგმირე. მე შენ გიჩვენებუ შენ ხომ
უკვე გითავლება სამსახურის ვადა, მაშ, მე ბიქი არ ვიყო, თუ თთხი წელიწადი
კიდევ არ გამსახურე დისციპლინარულ რაზმში. დღესვე დავეწო ამაზე პატაკს.
შენი ადგილი იქაა და არა ჩვენს პოლკში, არამზადაე!

ჯ.-კაცი—მაპატიეთ, უფალო! ბატონო! თქვენო კეთილშობილებაე! ბა-
ტონო ფელდ...

ფელდ.—ხმა, კრინტი!.. ასე, მორჩა. ხელავე გაგიყენებ გზას იქითკენ.

ჯ.-კაცი—ბატონო, ფელდ... ნუ დამლუპავ?

ფელდ.—რაო? შენ კიდევ ბედავ წინააღმდეგობას? დაგახჩობ!... სმენა!..
თოფი მხარზე, პირდაპირ, მარშ! ერთი, ორი! ერთი, ორი! ერთი, ორი! ერთი, ორი! სა-
მი! ოთხი! მარცხნივ! ადგილობრივ! როგორია, მამაო, ჰა? მორჯულდება, თუ
არა. ხა, ხა, ხა. ერთი. ორი ერთი. ორი. სდეკ! ასე წმიდაო, მამაო! მთელი
რუსეთის ლაშქარი ფელდებელების ხელშია, ფელდებელს არ სწამს რალაც წიგ-
ნები. ის ზრდის ნამდვილ ჯარის-კაცს, და გულადს სჯულისა, მამულისა და მე-
ფისათვის, რამდენიც ბნელია გონება ჯ.-კაცისა, იმდენად შენ ნებაზე გამოი-
ყენებ მას და ბრძოლაშიაც გულადია. ხა! ხა! ხა!

მღვდელი—გაკურთხოს უფალმა, შეილო!

ფელდ.—აბა, ეხლა ეი, მუტრუკო! მოდი და ემთხვიე ფეხზე წმიდა მა-
მას! აბა.

ჯ.-კაცი.—ვისმის. ბატონო ფელდ...

ფელდ.—ეხლა აქეთ ფეხს, აბა, სმენა! ხელმწიფისა, სჯულისა და მამულისათვის, იყავ მუდამ მზად!

ჯ.-კაცი—ვეცდები!

ფელდ.—თუნდაც იყოს დედაშენი, მამა, ძმა, ყვალას დახვრეტავ მეფე-იმპერატორის სადღეგრძელოდ!

ჯ.-კაცი—ვისმის ბატონო ფელდ... ვეცდები, უფალო ფელდ...

მღვდელი—და წმიდისა... სიკვდილით ყველა მორწმუნეთა გულისათვის. აჰა ჯვარზე გაკრული იესო, ძე ლეთისათვის.

ჯ.-კაცი—მრწამს, მამაო! ვეცდები, მამაო!

ფელდ.—სხვათა შორის ეს წმიდა ჯვარი ძალიან გვეხმარება. თქვენი შემწეობით ჯარის-კაცთა, ხა! ხა! ხა! ხომ იცით, რა უნდა ვსთქვა. ასე ვსთქვათ გონებრივად ჩვენდა გამოსაყენებლად!.. ხე! ხე!

მღვდელი—ეგ. მე ვიცი. ხა, ხა, ხა.

ფელდ.—აბა, რადგანაც არა დასახვრეტად, არამედ მარტო დიციპლინალურ სასჯელის მოსახდელათ. ამისათვის მეფისა და უაფგუსტესი საგვარეულო, ოჯახისა, ღმერთის, და ორთაჲიან არწივის სადიდებლად, აბა იგალობე.

ჯ.-კაცი—(გალობს) ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს!..

ფელდ.—არ ვარგა აი, ასე. ღმერთო ჰფარვიდე მეფეს ტრააა... ლალალა. ოორარა ი რარა-რააააა....

ჯ.-კაცი—ღმერთო ჰფარვიდე მეფეს!

ფ ა რ დ ა

მომხმედნი:

1. პოლიტხელი.
2. მასწავლებელი.
3. წითელარმიელი.

(სკენა: იგივე ყაზარმის ეთხე. თოფები აჯდებელი. მორთული წითელი დროშით და რე-
ვოლუციის ბელადთა სურათებით. ტახტი ლოჯინით. ეთხეში დათა. მაგიდა. წიგნები და გა-
ზეთები ისმის საყვირო.)

წით. არმიელი—ესეც ასე!

პოლიტხელი—(წემოდის) ოო. ვანო. რას შერები?

წით. არმ.—წერილსა ვწერ დედას, სახლში.

პოლიტხელი—დაჯექი, დაჯექი!

წით. არმ.—მერე, როგორ გაეხარდებათ ჩვენებსა? იქიდან რომ წამოვედი, აზაფერი ვიცოდი და ეხლა კი ჩემი ბელითა ვწერავ. ეს პირველი წერილია, რაც მე შევისწავლე წერა-კითხვა.

პოლიტხელი—ყოჩაღ, ყოჩაღ, ამხანაგო! ეგრე მუშურ-გლებურ რესპუბლი-
კის ჯარში წერა-კითხვის უცოდინარი არავინ არ უნდა იყოს! სამხედრო მეცა-
დინეობა მორჩით?

წით. არმ.—მოვრჩით.

პოლიტხელი—ო, აგრე, მოვალეობის ასრულების შემდეგ, ერთი წუთიც არ უნდა გააცდინოთ. ისწავლე, ისწავლე ყველაფერი. დასწერე დასწერე, წე-
რილი. ოოო. ეს კარგი წიგნი გქონია, „პოლიტიკური ეკონომია“, საიდან?

წით. არმ.—ჩენი სამკითხველოდან გამოვიტანე გუშანა. ბევრი სიტყვები არ მესმის შიგა, მაგრამ მასწავლებელი მიხსნის ხოლმე.

პოლიტხელი—სხვა. წუხელის როგორ მოგეწონა თეატრი?

წით. არმ.—ამხანაგო, პოლიტხელო რა კარგი რამე იყო, და, კიდევ წავალთ?

პოლიტხელი—რასაკვირველია, წავალთ, როდესაც განწესებიდან თავი-
სუფალი იქნებით. აი, ხვალეიდან უკვე ჩენს ყაზარმაში გაეხსნით საკუთარ
კლუბს და აბა, შენ იცი, არაფერში ჩამორჩე ამხანაგებს. აჰ ხომ არსებობს
სხვა და სხვა წრეები: ლიტერატურული, დრამატიული, სამხატვრო, სიმღერის,
ტანვარჯიშობის, პოლიტიკური და სამეურნეო? ჩაეწერე და გაეცანი ყველა-
ფერს. იქაც აი, როგორც შენი მასწავლებელი, გამოცდილი ხელმძღვანელები
არიან და შეგასწავლიან ყველაფერსა. უნდა ყოველგან იღებდე მონაწილეობას
და იჩენდე თვითმოქმედებას. მე კი, პოლიტიკას შეგასწავლი, აგიხსნი რევი-

ლიუციის და კომუნისმის მნიშვნელობას. აი, როგორც გუშინწინ; რადგანაც, როდესაც განთავისუფლებები სამსარურიდან და დაბრუნდები სახლში, უნდა საკმაოდ იყო ცოდნით შეიარაღებული. რომელი დარგიც მოგეწონება, ის შეისწავლე. აი, ვინდა დრამატული, არტისტობას შეგასწავლიან, რადგანაც ჯარში, ჩვენს კლუბში მონაწილენი თვითონ წითელარმიელები უნდა იყვნენ.

წით. არმ.— აბა, დამცინი, ამხანაგო პოლიტბელო? მე როგორი არტისტი უნდა ვიყო?

პოლიტბელი—ო, აბა, მაგას რათ ამბობ? ყველაფერი სწავლითაა, ჩემო ვანო. აი, წერა-კითხვაც არ იცოდი, მაგრამ ნახე, ეხლა შენი ხელითა სწერ ყველაფერსა. გუშინ თეატრში ხომ ნახე? ისინი თითქმის ყველა წითელარმიელნი იყვნენ, რომ თამაშობდნენ.

წით. არმ.—მართლა? ბიჭოს, ეს კარგია!

პოლიტბელი—რადგანაც მთელი მსოფლიო გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. მუშათა და ბურჟუათა კლასებად, რომელთაც სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა აქვთ ერთი-მეორის წინააღმდეგ, ამიტომ შენ, როგორც მუშათა კლასის შეილი, უნდა ეცადო, როგორც ცოდნით, ისე იარაღით, მაღლა იდგე მოწინააღმდეგეებზე და, ეს საყვარელი წითელი დროშა, მუდამ მაღლა ატარო, ვიდრე დამარცხებულ მოწინააღმდეგის ნანგრევებზე არ დაასობ გამარჯვებულს. ნოჰკიდე, ამხ. სწავლას ხელი და დანარჩენი ადვილია. შენ უნდა იცოდე შენი მტერ-მოყვარე და ამას შენ გაარჩევ სწავლით. რაც ვერ გაიგო ხოლმე, შემეციოხე და აგისნი. მაშ, ასე! ერთ ხელში სწავლის ჩირაღდანი—წიგნი და მეორეში თოფი. სწავლის შეძენა გიჩვენებს სინათლეს, რომლის შუქზე გაარჩევ, თუ ეის უნდა დაჰკრა სასიკვდილო მახვილი და ვინ დაიფარო! ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ მთელი ქვეყნის მშრომელნი კაპიტალის მძიმე უღლისაგან, და შევქმნათ მსოფლიო, მუშურ-გლეხური რესპუბლიკა. ასე, მე კიდევ შემოვალ.

წით. არმ.—ვეცდები, ყველაფერს ვეცდები, ამხანაგო პოლიტბელო!

მასწავლ.—(შემოდის) გამარჯობათ, ამხანაგებო!

პოლიტბ.—სალამი, გაგიმარჯოს, ნიკო!

მასწავლ.—სხვა, გაკვეთილები დაამხადე, ვანო?

წით. არმ.—აი, მეორე თავი-ლა მიკლია, საგუშავაგოზე ვიყავი და ვერ მოვასწარი.

მასწავლ.—ამხანაგო, ვალიკო! ახალი სამხედრო კომისარი ძაან ბიჭი არა სჩანს? აი, ნესმის თავის მოვალეობის მცოდნე! ეხლა კრებაზე ყველას ყურადღება მიიპყრო. ეტყობა, ძმაო, რომ ნამდვილი კომუნისტია!

პოლიტბელ.—ძველი მუშაა და, მაშ რა გევონა? აბა, იმეცადინეთ, ხელს არ შეგვილით.

მასწავლ.—აბა, ხელს რაზე შეგვიშლი?

პოლიტბელ.—არა, მაინც პატაკი მაქვს მისაცემი კომისროსათვის, მერე შენოვალ, ნახვამდის!

მასწავლ.—ნახვამდის, ამხანაგო! აბა, ეხლა კი შეუდგეთ, ჩემო ვანო! ეს რაა!

წით. არმ.—წერილს ვერ შინა. მაგრამ ასოები სწორეთ ვერ გამოძის, არაა?

მასწავლ.—ყოჩაღ, არა უშავს რა! გამოიკეთებ ხელს, ვარჯიშობით. აბა, დათაზე. ცარცი სადაა?

წით. არმ.—აი, მანდაა... გვერდზე.

მასწავ.—აი, ასე ასწი, რომ სწორეთ გამოვიდეს. ზევით მოუგრახე ბანს, ასე დასწერე. არა, აი ასე. იქ, რომ ხელთნაწერი კედლის გაზეთი გამოძის, როგორია მოგწონს?

წით. არმ.—ოი, იმის კი კვირზე და, ვინც ისე გამოიგონა. ი რა კარგა სცებენ დეზერტირებსა და სხვებსა. ი ნახატებიც კარგია, რა შეუტყვიათ. რომ ჩვენი მწყობრის თავი ძველად სალდათების მასწავლებელი ოფიცერი ყოფილა და ეხლა, რომ მოურჯულებიათ. მერე კიდევ აი, სამნეო ნაწილის უფროსი რომ დაუხატიათ, ჩვენ ულუფას, რომ გვაკლებდა და თითონ იპარავდა.

მასწავ.—ისე ხომ არაინა გაჩაგრავს!

წით. არმ.—აბა, ერთი ტყუილა უბრალოთ ვინმემ რაიმე გამიბედოს. იმ დღეს ჩვენმა ზემდეგმა რიგს გარეშე დამაყენა მორიგეთა და უნდა გენახა ამხანაგმა პოლიტხელმა რა დღე დააყენა, რომ გაიგო. ამხანაგო მასწავლებელია ეს დონი, რალაც ვერ გამოძის კარგათ.

მასწავ.—აი, ზვიდან მოუყუაუკე თავი ასე, და ფეხი გამოუშალე დაბლა, ჰო, აი, ასე... (დაჯდება და წიგნებს ათვლიერებს!).

წით. არმ.—ასე...

მასწავ.—აბა, ასე დადექი, შემახედე. ჰო. ცოტა ფეხი დაბლა გაუსწორე, აი ეგრე. ეხლა ჰოდი და გავარჩიოთ ეს წიგნი. შენ, ჩემო ვანო, ერთი თვის შემდეგ, გაზეთებშიც დაიწყებ მონაწილეობას, როგორც ვატყობ.

წით. არმ.—ნეტა, მაგას მოვესწრებოდე და...

მასწავლ.—შენ იბეჯითე, ჩემო კარგო, და მაგის თავდებათ მე ვიყო.

პოლიტხ.—(შემოდის) ეს მოუსვენარი წითელარმიელები რა ამბავში არიან და-

მასწავ.—მართლა, რა ხმაურობაა?

პოლიტხ.—ჩვენმა შეუმა შემოგვწირა რალაც-რალაცები და დაურიგეს ეხლა, ხომ იცი, ცოტა ღვინოცაა და გამხიარულდნენ. აი, ეს შენი წილი ამხ. ვანო: ეს ღვინო, პაპიროსი და სხვ. ხვალ იწყება კვირეული ჩვენი ყა! ზარმის შეკეთებისა.

მასწავლ.—მართლაც და დანგრეულია, ძველია.

პოლიტხ.—ჩვენ შევქმნით ახალს, ამხანაგებო. თუმც ძველმა სისხლის მსმელმა მთავრობამ ჩვენ დავიტოვა ყველაფერი დანგრეული და გაოხრებული: მაგრამ ჩვენ უკვე შეუდექით ამ სამოქალაქო ომების შემდეგ აღმშენებლობითი მუშაობას. ჩვენ ვიკით ნგრევა და ვანგრევთ კიდევ ძველს, მონობის ბურჯებს. მაგრამ ვიკით აშენება და ვაშენებთ კიდევ, ახალს. გაუმარჯოს კომუნას!

მასწ.—(წამოდგებიან, ერთად) გაუმარჯოს!

პოლიტხ.—თქვენი ხელით, ამხანაგებო ჩვენ ვაჩვენებთ მსოფლიო ბურჟუაზიას, რომ მალე დაეამხობთ სიბნელეს და უვიცობას, და მის ნანგრევებზე ავაგე-

ბთ ნათელ კოშკს, ბასტიონს, საიდანაც ინეტარებს ქარხნის გუგუნში შრომის
სამეფო!

მასწავ.—ვანო! გუშინ, რომ დაგასწავლე ზეპირად ლექსი, აი გაზ. „წითელ
აზმიელში“, რომ იყო დაბეჭდილი, რევოლუციონური ლექსი, აბა, ერთი სიტყვი.

წით. არ.—წითელ არმიელებზე?

მასწავლ.—ჰო, აბა დაიწყე!..

წით. არმ.—ახალ სიმღერით მიკიეინებს წითელი ჯარი,—
წითელი დროშა ამაყ მზერით მზეზე ფრიალებს;
ძველსა ქვეყანას აღემართა საფლავზე ჯვარი,
ბრძოლისა ველზე ხარბაზანი ცოფს ჰყრის, გრიალებს.

ძველ ნანგრევებზე მუშა-გლებთა ძალა შენდება,—
შრომის სამეფო თავისუფალ ნებაზე ბრუნავს;
ძალა-უფლება პროლეტარიატს კარგა შეენდება,
ჩაქურ-ნამგალის სანეტარო მერმისზე ზრუნავს.

პოლიტ.—ვაშა, ვაშა ამხანაგო.

მასწ.—ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო ვანო!

პოლიტხ.—(მღერის ინტერნაციონალს)

აღსდგე კრულვითა დაღ დასმულო,
ქვეყანავ მშიერ მონების,
საბედისწერო ომში გვიწვევს
დღეს აღშფოთება გონების.

(აპყვებიან. ისმის საყვირი)

ფ ა რ დ ა.



ს. 26 ლი.

წითელ კუთხეში

ინსტენიროვკა 1 მოქმედებად.

წითელ კუთხეში.

(ინსცენიროვკა).

მ ო მ ქ მ ე ლ ნ ი :

პოლიტხელი.
კუთხის გაშგე.
და წითელარმიელები.

სცენა: „წითელი კუთხე“ შესაფერისად მორთული.
ისმის ბრძანებანი. დილაა.

კუთხის გაშგე—(წიგნებს და გაზეთ-ჟურნალებს ალაგებს მაგიდაზე).

პოლიტხელი—(შემოდის) გაუმარჯოს, ამხანაგ სიმონს!

ქ. გაშგე—სალამი, ამხანაგო პოლიტხელო!

პოლიტხელი—ახალი გაზეთები მოიტანეთ? (შინჯავს).

ქ. გაშგე—კი, ესენია! ამხ. პოლიტხელო, დღეს რაზე იქნება პოლიტსაათი?

პ.-ხელი—უკვე მიდიან უვადო შევებულებაში და დღეს მინდა ერთგვარი გამოცდა მოვახდინო, ასე შემოქმედების დილა, ვინ რა იცის, რას ფიქრობს. აქედან რომ წავა, როგორ მოიხმარს აქ შექმნილ ცოდნას და სხვა მრავალი. უკვე დროა და... (ისმის საყვირი).

ქ. გაშგე—ყარაული იცვლება.

პ.-ხელი—მე ეხლავე მოვალ. (გადის. პაუზა. შემოდინან წითელარმიელები და სხდებიან).

ქ. გაშგე—ამხანაგებო, პოლიტხელი ეხლავე მოვა, მანამდე გაზეთები გადაათვალიერეთ. (გაზეთებს და წიგნებს ათვალიერებენ).

1 წ. არ.—(გახარებული) აი, ვანო, ჩემი წერილი დაუბეჭდიათ „წითელ-არმიელში“! (ერთ-მეორეში მუსაიდობენ ჩუმად).

6 წ. არ.—მაშ, ეგეთი ამბავი კი მოგიხდა, ჰა, საგუშავოზე?

7 წ. არ.—შუალამზე გამოეცვალე. ვლადეარ ცეიხპაუზთან, საშინელი ბნელი ღამე, ქარი ჰქრის, ცივა და ჟინუღავს.

2 წ. არ.—შენი წერილი კია გაზეთში და მე რო, ლექსი გავგზავნე, რატომ არაა?

1 წ. არ.—(მხრებს იწევს) შენი კი არა, ამ ბოლო დროს „დაშნას“ ლექსებიც არა სჩანს.

6 წ. არ.—მერე, მერე?

7 წ. არ.—ჰო და... ვხედავ სიბნელეში ვილაც მეპარება. ვიფიქრე: ვილაცაა, საწყობის გატეხა უნდა მეთქი და მოვიმარჯვე თოფი.

5 წ. არ.—ტურა იქნებოდა, პლატონ!

7 წ. არ.—ტურა საიდან იქნებოდა? თქვენ სოფელში კი არ ვიდექი—ან სადღაც მინდორში, ემანდა, ჩვენი ყაზარმის უკან. (ასტყდება სიცილი).

3 წ. არ.—აბა, ლეო, მე იმას კი არ გეუბნები, რომ...

4 წ. არ.—რა უყო. თუ უყვარვარ ნინას—წამყვება სოფელშიც.

3 წ. არ.—შენ იცი. ის ხომ გაიგე, რომ გვიშვებენ?

4 წ. არ.—ვითომ, მართალია?

3 წ. არ.—ეგრე ამბობენ, კი და!

8 წ. არ.—მე სწორედ უნდა გითხრათ, რომ ძალიან მეზარება აქედან წასვლა. ისე შევეჩვიე ამ ჩვენს ყაზარმასა, ამხანაგებსა, პოლიტ და მეთაურთა შემდგენლობასა, რომ... რა ვიცი! არაფერი ვიცოდი აქ რომ მოვედი, ეხლა კი რაღაც რვა-ცხრა თვეში ყველაფერი შევისწავლე. მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ყაზარმა კი არა, ნამდვილი სკოლაა. თვალები აქ ამეხილა, ცხოვრების ძალა აქ გავიგე. აქამდისა თითქო მინდოდა მეცა წასვლა შინა და როდესაც გავიგე, რომ გვიშვებენ რაღაც გული მეტკინა. ძნელი ყოფილა თურმე შეჩვევა.

6 წ. არ.—რაო? ძალღი გამოდგა? (სიცილი ასტყდება ამ ჯგუფში).

7 წ. არ.—მაშ! მე კი ვილაც ქურდი მეგონა და... რომ არ დეყუფა, ნამდვილად პირდაპირ კინკრიხოში მივაბეჭავდი ტყვიას.

5 წ. არ.—ვაი, თუ სიბნელეში ჰაერი გაგეხვრიტა? (კვლავ სიცილი).

3. ხელი—(შემოდის. ადგებიან). გამარჯობათ, ამხანაგებო! დასხედით! აბა, რაზე დგებით!

ყველანი—გაგიმარჯოს, ამხანაგო პოლიტხელო!

3. ხელი—აბა, ყველანი აქა ხართ?

1 წ. არ.—ზო:ი ყარაულშია, ამხ. პოლიტხელო!

3.-ხელი—კარგო, კი იყო, რომ ყველანი დასწრებოდენ, მაგრამ არაუშავს-რა. ამხანაგებო! დღეს მე ჩვეულებრივი პოლიტსაათი არ მექნება თქვენთან, ჩვეულებრივი მეცადინეობა ხვალ განვაგრძოთ. მე მინდოდა დღეს გაგვემართა ერთგვარი შემოქმედების ანუ გამოცდის დილა, მაგრამ ვიდრე ამას ვიტყოდე, ამხანაგებო, უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ 15 მარტიდან უკვე მიდიხართ უფადო შეებულებაში. (ტაში და სიხარული) და აი, ჩვეულებრივი საუბრის მაგიერ, გაემართოთ ერთგვარი ჩვენი გამოცდა, თუ ამ ხნის განმავლობაში რაც ჩვენ აქ ვიმსახურეთ, წითელ ყაზარმაში, წარმოვიდგინოთ ყველა ეს, რა ვიყავით აქ მოსვლამდის და რა შევიძინეთ აქ.

2 წ.-არ.—კარგი იქნება, ამხანაგო პოლიტხელო.

3.-ხელი.—ჰო და, ამხანაგებო! თქვენ, —მუშის და გლეხის შეილები— მოგვიწვიათ სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ. თქვენ შეასრულეთ პირნათლად ეს და ეხლა მთავრობა გიშვებთ სახლში. ამხანაგებო, თქვენ დაუბრუნდებით ეხლა მუშები დაზგებს, სოფელნი თქვენს გუთნებს, სახლკარს. რა უნდა გააკეთოთ ადგილებზე? ცოტათ თუ ბევრათ, ამ ჩვენს წითელ

ყაზარმაში, უკეთ რომ ესთქვათ, წითელ სკოლაში, შეიძინეთ თქვენ პოლიტიკური და კულტურული ცოდნა. აქ ზოგი პარტიული ხარტ, ზოგი უპარტიო და ჩემი სიტყვები ყველას ეხება; რაც აქ შეისწავლეთ უნდა გადასცეთ იქ, სადაურებიც ხართ, თქვენ უნდა გადაუშალოთ სურათები ჩვენი ყაზარმის ცხოვრებისა, რომ იკოდნენ მათი ძმები, ქმრები და შვილები სად მიდიან სამსახურში. თქვენ მისვლისთანავე უნდა შეუდგეთ ამ მუშაობას, რათა დააჩქაროთ 1902 წლიანების მოპილიზაცია, რომელთაც უნდა დაიპირონ თქვენი ადგილები. დე, მათ იკოდნენ, თუ სად მიდიან და რისთვის. ამხანაგებო, თქვენ გადაეცით მათ, თუ როგორის სიყვარულით იცავდით კომუნისზმის წითელ დროშას და საბჭოთა ხელისუფლების საგუშაგოებს, თქვენ გააგებინეთ მათ, რომ ისინი მოდიან აქ წითელ ყაზარმაში, და არა ძველ, მეფეთა დროის შავ ყაზარმაში, სადაც, განათლების შეძენის მაგიერ, ეხშობოდით გონება. (ტაში) მაშ ასე! აბა, ეხლა ისე, როგორც ყოველთვის, ვისაუბროთ შინაურულად. ყველა იცის თქვენგანმა რას გავდიოდით პოლიტ-სათზე, აქ „წითელ კუთხეში“ ხმაშალალი კითხვა, ცნობის მიმცემი ყუთი, საზოგადოდ სპეციალურ სამხედრო ცოდნასთან ერთად რა შეიძინეთ, რა ნახეთ, რა შეისწავლეთ. იცით რა წრეებია ჩვენ ყაზარმაში, ვინ რომელ წრეში ხართ, ბიბლიოთეკა, კლუბი, სკოლა, ჩვენი კედლას გახეთი და თვიური ქურნალი; გახსოვთ საღამოები, კრებები როგორ სწარმოებდა, პოლიტ-სათამაშოები, ვისა-როაობები და სხვა.აი, ვინ რას გააკეთებს და რა იცის სახლში, რომ დაბრუნდება, სთქვას.

1 წ.-არ.— შეიძლება, ამხანაგო პოლიტბელო?

პ.-ხელი—სთქვი, ამხანაგო.

1 წ.-არ.— მე როგორც მიწის მუშა, მუდამ მაინტერესებდა „მიწის კოდექსი“ და საზოგადოდ მეურნეობა, რომელსაც ხარბათ ვისმენდი ხოლმე აქა და მინდვრებში ხომ საცდელათაც დავდიოდით, ისე რომა სხვა რაც შემიძლიან ხომ გადაეცემ ჩემ ტოლებსა და მომდევნოებს, მაგრამ უფრო ამ მიწის კანონებს აეუხსნა. გლახთა დამხმარე კასებს და საზოგადოდ ყველა სოფელისთვის გამოსადეგ საქმეებს.

5 წ.-არ.— მე ორგანიზაციულად შეეკავშირებ გლეხობასა, დავაარებ უპარტიოთა უჯრედებს, რომ მოვაშალო ისინი პარტიის რიგების შესავსებად, მოვაწუბ „წითელ კუთხეებს“, რომელსაც დავარქმევ „ლენინის კუთხეებს“; ბიბლიოთეკის საქმეც კარგად ვიცი, ანტი-სარწმუნოებრივ კამპანიას გავაჩაღებ, და ამის შესაფერისი ცოდნა მე აქ ჩვენს ყაზარმაში საკმაოდ სად შევიძინე.

პ.-ხელი— შენ ამხანაგო აბულაძე?

6 წ.-არ.— მე როგორც კარგი მოცეკვავე და მოსიმიღრე, რაშიც გამოვადგები, ყველაფერში დავებმარები. (იცინიან) ამის გარდა, როგორც ტანვარჯისობის წრის წევრი, — მოვაწუბ ჩვენს სოფლებში ისეთ წრეებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ფიზიკურად მავარი იყოს, რადგანაც, როგორც ამბობენ „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულიაო“. მძლავრი იყვენენ ყველაფერში და კობტა ტანოვანი. მე ვეცდები, რომ ასეთი ხალხი მოვაწოდო ჩვენს ყაზარმას.

ყველანი — ბრავო! ვაშა!

პ.-ხელი — შენ, ბალაშვილო?

4 წ. არ.—მე, ამხანაგო პოლიტხელო, რაც აქა სთქვეს, ცოტ-ცოტა ყველაფერი ვიცი და აბა, იმედი უნდა გქონდეთ, რომ მე სოფელში გულ-ხელ და-კრფეილი არ ვიჯდებო.

9 წ. არ.—შეიძლება, ამხანაგო პოლიტხელო?

პ.-ხელი—სთქვით.

9 წ. არ.—ძვირფასო ამხანაგებო! მე როგორც დაზგის მუშა, ყველაფერ აქ შეძენილს გადავსცემ ქარხნებში, რომ ის, ქარხნის მუშა დაიმედებული იყოს, თუ აქ ვინ აღიზარდნენ და კვლავ ვინ აღიზარდებიან. მე ამხანაგებო ქალაქში ვმუშაობ, აქ უფრო შეკავშირებულნი და წინ არიან მუშები, მაგრამ მე მინდა, სოფლელი ამხანაგები მოედებიან თავთავიანთ მხარეებს და იმუშაონ, რადგანაც სოფელი ჩამორჩენილია და დეე, ამათ, ჩვენმა ამხანაგებმა ააყვავონ ის. მე აი ეს მინდოდა, მეთქვა ამხანაგებო და...

ხმები—ვაშა!

პ.-ხელი—შენა, ამხანაგო ხელაძე?

7 წ. არ.—მე?... (იციინიან) მე...

პ.-ხელი—ჰო, შენ!

5 წ. არ.—ეგა ამხანაგო პოლიტხელო, იქ ასწავლის იმას, თუ საყარაულოზე რომ იღებებიან, როგორ უნდა შეშინდნენ ბნელაში ძალის დანახვაზე. (სიცილი).

7 წ. არ.—შენ ემანდ გაჩუმდი! შენ ვინა გკითხავს—ბალი ათი შაურიაო? ვითომ რაა, შენა მჯობიხარ, თუ?!

პ.-ხელი—ჰო, კარგი, კარგი, რა გაჩხუბებთ? ხუმრობა შეიძლება, მაგრამ...

7 წ. არ.—არა, ამხანაგო პოლიტხელო, ტყუილს ვამბობ? ეგ მაჯობებს? რაშიც უნდა გამოვიდეს და შემეჯიბროს: წერა-კითხვაში, თოფის სროლაში, სიტყვა-პასუხში და კიდევ, ჩორთიონაიტ, რაში.

პოლიტხელი—ჰო, კარგი გეხუმრა, ამხანაგებო, გაჩუმდით, გეყოფათ სიცილი!

7 წით. არ.—არა, სცენაზე მე ვითამაშე, თუ მაგანა? (სიცილი)

6 წ. არ.—უსიტყვოდ მამაჩემი კი ვერ გამოვიდოდა!

პ.-ხელ.—ამხანაგებო!

2 წ. არ.—შეიძლება?

პ.-ხელ.—აბა.

2 წ. არ.—მე როგორც წვერი ლიტწრისა და დრამ-წრისა, ამ ორ დარგს მოვყენ ჩვენ პროვინციაში, კედლის გაზეთებს, მეც ხომ ვწერ თითონა და სცენაზეც ვთამაშობ. საზოგადოდ სკოლის გარეშე განათლებას მივაქცევ ყურადღებას ისე, რომ რაც აქ ვნახე და შევიძინე, ყველაფერს მოვახმარ ჩამორჩენილთა აღზრდას, პოლიტ-სათამაშოებს და სხვა.

პოლიტხელი—ყოჩაღ! შენ ჯღერია?

8 წ. არ.—მე რა, ამხანაგო პოლიტხელო, ხომ იცით ჩემი საქმე, პოლიტიკა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა ყოველ ფრონტზე.

პოლიტხელი—ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლებამ კომპარტიის ხელმძღვანელობით ყველა მტრები დააპარცხა პოლიტიკურ ფრონტზე—ეხლა საკიროა მუშაობა ეკონომიურ ფრონტზე. შემდეგ კი, საკიროა სწავლას განგრძობა, რათა მტრები დაეპარცხოთ კულტურულ ფრონტზედაც. შენ რაღას ჩაფიქრებულხარ, ამხანაგო ნიკო?

ს. წ. არმ.—მე ამხანაგო პოლიტხელო, მინდოდა ერთი რამე მეთხოვნა და არ ვიცი, შეიძლება თუ არა, რომა...

პოლიტხელი—სთქვი.

ს. წ. არმ.—არ შეიძლება, რომა აქ დამანარჩუნონ? ალარ მინდა სახლში წასვლა, რა ვიცი, ისე შევეჩვიე ამ ჩვენ ოჯახსა-ყაზარმასა, რომა მენანება დატოვება. აბა, ისე სოფელში კი არაფერი მიჭირს და კი არ მეზარება მუშაობა, მაგრამ რალაცა ძან შევეჩვიე.

პოლიტხელი—არ ვიცი, მაგრამ გაგივებ, ან შენ თითონ მოელაპარაკე სამხკომს.

ს. წ. არმ.—ისე ხომ მაინც საკირო იქნება ხალხი, ვიდრე ახალწვეულები მოვლენ და!

პოლიტხელი—კარგი, კარგი ნიკო, ენახოთ.

(აქ გამმარაველნი თუ შესაძლებლად სცნობენ, მაშინ პოლიტხელი ახლა პარტერს მიმართავს და ალაპარაკებს მათ, პარტერისა და სცენის გაერთიანების მიზნით. შემდეგ მონაწილეებმა, რა იციან: ლექსი, მოთხრობა, სცენა და სხვა, რიგრიგობით ათქმევენებს და საერთო, ინტერნაციონალით ჩამოღის ფარდა. თუ არა და გაათავებს შესაფერი სიტყვით და ვაისტუმრებს მათ დასასვენებლად.)

ფ ა რ დ ა.



ალ. მამულაშვილი (ალ. გორელი).

წითელი მეზღვაური

რევ. პიესა ორ მოქმედებათ.

(სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან).

წითელი მეზღვაური.

მოქმედნი პირნი:

1. მეზღვაური—დიმოვი	30 წლ.
2. კაპიტანი—გემის უფრ.	45 წლ.
3. პოლკოვნიკი—ზუბოვი დესანტის უფრ.	50 წლ.
4. ლეიტენანტი—ბრავსკი	25 წლ.
5. ივანოვი—მოსამსახ. მეზღვაური კაპიტანთან	25 წლ.
6. მიჩმანი	
7. მეზღვაურები	15 კაცი.

მოქმედება სწარმოებს შავ ზღვაზე.

მოქმედება პირველი:

სცენა წარმოადგენს კაპიტანის კაიუტას კრეისერზე. საწოლი, ორი მაგიდა; სკამები, კედლებზედ რუკები, სურათები, ერთი კარი, კაპიტანი წამოწოლილია საწოლზედ და წიგნს კითხულობს.

გამოსვლა პირველი

კაპიტ.—ივანოვ, ჰეი, ივანოვი!

ივან.—(შემოდის) რას მიბრძანებთ, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ?!

კაპიტ.—(წიგნში იყურება) ჩიბუხი, თამბაქო, ცეცხლი, მარდათ!

ივან.—არის. (მიდის, გამოიღებს უჯრიდან ჩიბუხს, გასტენავს თამბაქოთი და მიაწოდებს კაპიტანს, რამდენჯერმე ანთებს ცეცხლს. კაპიტანი გართულია წიგნით და აცდევინებს ცეცხლის მოკიდებას).

კაპიტ.—რას უცდი? (გადახედავს ივანოვს) რატომ ცეცხლს არ უკიდებ?

ივან.—წიგნით გართული ბრძანდებით და არ შეგაწუხეთ.

კაპიტ.—(აწყვეტინებს) რათ? ხმა! როგორ ბედავ სიტყვის შემობრუნებას? გავიწყდება, ვისთანა გაქვს საქმე? ვირი! (ისევ წიგნში იყურება).

ივან.—მაპატიეთ, თქვენო მაღალ კეთილშობილეობავ!

კაპიტ.—კრინტი... საუზმე მზად გაქვს?

ივან.—არის!

კაპიტანი—(გადასდებს წიგნს. წამოდგება) მოიტა ფეხსაცმელი.

ივან.—(მიუბრუნებს) არის. (კაპიტანი ჩაიცვამს)

კაპიტ.—კურტკა. (ივანოვი მიაწოდის) ბეწვი ხომ არსად მაკრავს? დაათვალიერე. დამისვი ჩოთქი.

ივან.—(მოუტანს ჩოტუს და სწმენდს ტანისამოსს. კაპიტანი ათვალერებს) სუფთაა. თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

კაპიტ.—(იპოვის ლაქას) ეს რა არის? საიდან არის ეს ლაქა? რატომ არის ლაქა? შენ გეუბნები!

ივან.—(გამოჰკიმული) რა მოგახსენოთ, თქვენო მაღალ-კელილშობილებავ? არ ვიცი.

კაპიტ.—(გაბრაზებული) როგორ, თუ არ იცი. შენ მხეცო, შენა? მეზღვაური და არ იცი! მე შენ ვაჩვენებ არ ცოდნას. მოახსენე ლეიტენანტს, რომ ხვალღიდან საში დღე იჯდები გაუფტეახტაზე.

ივან.—არის. (კაპიტანი გადის) უუხ, შენი სისხლი დამალვეინა მეტი არასფერი მინდა. (ალაგებს) განა, შეიძლება ადამიანის ასე დაჩაგვრა? (ბრაზმორეული) ცოტაც დაგვაცა და მერე ნახავ შენს სეირს, რასაცსთვისე იმასვე მოიმიკი. ჯერ ვითმენთ, მაგრამ თუ მოთმინების ფილა აგვევსო, მაშინ... ოოო, მაშინ განანებთ. (გავა გარედ, შემოიტანს სამოვარს, გამოიღებს ქურკელს, დააწყობს მაგიდაზე) ოი თუ მართლა, როგორც გავიგეთ წითლები იმარჯვებენ და ზღვასთან ახლო მოვიდნენ, მაშინ ერთი ცოცხალი სიტყვაა საჭირო, რომ გემზე გადატრიალება მოვახდინოთ. (ისმის ლაპარაკი) მოდიან ძალები, ოხ თქვენი... (განვი გადგება).

გამოსვლა მეორე

(შემოდინან ზუბოვი, კაპიტანი და ბრაესკი)

ზუბოვი—ოო, აქ უკვე ყველაფერი მზად ყოფილა, ხე! ხე! ხე!

კაპიტ.—ღიახ. ღიახ ამ შემთხვევაში ჩემი ივანოვი ყოჩალია. დაბრძანდით. წინასწარ ბოდიშს ვიხდი, ბევრ არაფერზედ გეპატიჟებით, ხომ მოგვხსენებათ სამხედრო ცხოვრება. სულ სხვა არის საკუთარ ოჯახში...

ზუბოვი—არაფერი, ნუ სწუხდებით, ჩვენს პირობებში ესეც ჩინებულაია, რასაკვირველია სულ სხვაა სახლში გაკეთებული საქმელი. ხე, ხე, ხე... აი, მაგალითად, ჩემი აგრაფენა-სპირლონოვნა რომ გააკეთებს საქმელს, ისეთი გემრიელია, რომ, რა მოგახსენო, თითებს ჩაილოკავს კაცი, ხე, ხე, ხე. იმედია ჩვენსა რომ მობრძანდებით, ბატონებო, დაგიმტკიცებთ!

კაპიტან—ივანოვ, აბა, მარღათ დატრიალდი, მოიტა კონიაკი!

ზუბოვი—(ივანოვს შეხედავს) იე, შენ! შენი სახელი, მამის სახელი, გვარი?

ივან.—(გამოჰკიმული) ივანე ივანეს-ძე ივანოვი...

ზუბოვი—(ივანის) ხა, ხა, ხა. (დანარჩენებიც აყვებიან) უცნაურია თქვენი ქირიმე, გვარიც, მამის სახელიც სულ ივანედან იწყება, ხა, ხა, ხა.

კაპიტ.—ეგ რა არის, ბატონო პოლკოვნიკო, მაგაზედ უცნაური გვარები მოიპოება ჩემს მეზღვაურებში. (მიმართავს დანარჩენებს) ნუ აყოვნებთ, ბატონებო, მიირთვით. აი, კონიაკიც, ლეიტენანტო თქვენ რაღას მორცხობთ?

ლევტენ.—პირიქით, ბატონო კაპიტანო... გიახლებით.

ზუზოვი—(კაპიტანს) მორცხვი რამ ყოფილა ეს ახალგაზრდა. ჩემთანაც მოვიპატივე-კაიუტაში წუხელის და წარმოიდგინეთ, ერთი ჭიკა არაყიც არ დალია. (ლევტენანტს) კარგი კარიერა მოგელოთ, ლევტენანტო, მხოლოდ, თუ გსურთ დაწინაურდეთ და უფროსების თვალში კარგათ სჩანდეთ, პირნათლად უნდა შეასრულოთ მეფისა და სარწმუნოების წინაშე თქვენი მოვალეობა.

ლევტენ.—ვეცდები, ბატონო პოლკოვნიკო ვემსახეურო ერთგულად, რამდენადაც ღონე და ცოდნა შემწევს. (შეექცევიან საკმელს).

კაპიტ.—მეც მაგას ურჩევ. სხვა მხრივ ძნელია დაწინაურება. ჩემთვის კაპიტანის ჩინის მიღება შეუძლებელი იქნებოდა, მე რომ ერთგული არ ვყოფილყავი მეფის. (პოლკოვნიკს) მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს ამ ჩემს ლევტენანტს. ეს ალბად, სიჯიღისაგან მოსდის. იმედია გამოსწორდება, მეტად რბილია, მეზღვაურებთან, საჭირო კია მეტი სისასტიკე..

ზუზოვი—ეჰ ჰე, ყმაწვილო, ეგ კი არ ვარგა! პირიქით, მეტი სიმკაცრე, დისციპლინა და შორჩილება უნდა მოითხოვოთ თქვენი ხელქვეითისაგან, უამისოდ, დამიჯერეთ მე, გამოცდილების პატრონს, გზას ვერ გაიკვლევთ.

კაპიტ.—მაშ, მაშ. (ჩუმად). თორემ ხომ მოგეხსენებათ, რაც რუსეთში ნიკოლოზი ჩამოაგდეს, მას აქეთ მეზღვაურები ძალიან ვათამამდენ, მეტს ვიტყვი, პირდაპირ უცნობნი შეიქმნენ; ძნელი ხდება მათი ხელში დაკავება. მე რომ მეზღვაური სილორენკო გუშინ ზღვაში არ დამეხზო, ვინ იცის რა არ მოხდებოდა. ესენი რევოლუციონური სულის კვეთებით არიან გაქლენთილნი.

ზუზოვი—ოოო, თქვენ გამოცდილი ხართ, მე მომეწონა რომ სასტიკად მოეპყარით გუშინ მეზღვაურებს. რა ნება აქვს მეზღვაურს და ჯარის კაცს უარყოს უფროსის ბრძანება? იმედია ამის შემდეგ მოკუჟიანდებიან. ჩემი ჯარის კაცებიც, ასეთივე გუნებაზედ იდგნენ სანამ, ამ ერთი კვირის წინ, ათი მათგანი არ დაეხვრიტე. შიში, ბრმა მორჩილება, აი, რა არას საჭირო. სხვა ფრივ ჯარი გაირყვება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

(ივანოვი შემოდის).

ივან.—თქვენო მაღალკეთილშობილებო! მიჩმანი ვახლავთ.

კაპიტ.—სთხოვე. (ივანოვი გაეა, შემოდის მიჩმანი).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე

მიჩმანი—თქვენო მაღალკეთილშობილებო, ნაპირს მიუახლოვდით... ველი თქვენს განკარგულებას.

კაპიტ.—შეაჩერეთ გემი, ჩაუშვით ლუზა!

მიჩ.—არის. (გაბრუნდება გაეა).

კაპიტ.—(ლეიტენანტს) გთხოვთ შეატყობინოთ რადიოთი საზღვაო-სამხედრო შტაბს, რომ კრეისერი იმყოფება დანიშნულ ადგილას. ევლით ახალ ბრძანებას.

ლეიტ.—არის. (მიმავალი) გმადლობთ საუბმზე. (გაევა).

ზუბოვი—რა ჩინებული ყმაწვილია... ასეთი ახალგაზრდა და ლეიტენანტის ჩინი!..

კაპიტ.—ყოჩალია და დაუზარელი. მეზღვაურებსაც უყვართ... აბა, ერთი კიდევ, ჩინებული კონიაკია. ბათუმიდან ინგლისელების მისიის წევრმა შემომათავაზა, ტფილისში ყოფნის დროს წამოეღო. (დაასხამს და ორთავენი სვამენ). ჩინებული კონიაკია!..

ზუბოვი—ეხლა კი, სწორეთ მოგახსენოთ, კარგათა ვგრძნობ თავს. (წამოდგება. მადლობა მომისხენებია, ჩამოართმევს ხელს) იმედია, ჩემთანაც მობრძანდებით.

კაპიტ.—ოოო, აბა, რა მადლობის ღირსია ეს სუფრა?

ზუბოვი—მანამდე პასუხს მივიღებდეთ, მეტი არ იქნება, რუქებს გადავხედოთ და გავიგოთ, რას წარმოადგენს ეს ნაპირი (ამოიღებს ჩანთიდან რუქას და ფეხზე მდგომარე შინჯავს).

კაპიტ.—ჰეი, ივანოვ!

ივან.—აქ გახლავართ.

კაპიტ.—აალაგე სუფრა. (ზუბოვს) გადავსინჯოთ, გადავსინჯოთ. ივანოვ! ამოიღე ჩემოდანიდან დიდი რუქა.

ივან.—არის. (მიევა ჩემოდანს ხსნის).

კაპიტ.—(ზუბოვს) კარგია რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, სად იმყოფებიან წითლები, რომ შეიძლებოდეს ზღვიდან არტილერიით ვებრძოლოთ.

ზუბოვი—რა მოგახსენოთ, ამ ერთი კვირის წინ, წითლები აი ამ ხაზზე იყვნენ. (ანიშნებს) ეხლა კი, არ ვიცი; იმედია საზღვაო შტაბი, რაიმე ცნობას მოგვაწვდის. (პაუზა) ბატონო კაპიტანო, ამდენი ხანია თქვენს კრეისერზე ვიმყოფები და არც კი მიკითხავს, რამდენ ვერსზე ისვრის ყუმბარას თქვენი ზარბაზნი.

კაპიტ.—ეგ დამოკიდებულია ზარბაზნის კალიბრზე და სისტემაზე, აი მაგალითად ამ კრეისერის თავში, რომ ზარბაზანი სდგას—15 დიუმი კილომეტრი აქვს და ისვრის ყუმბარას 18 ვერსზე, სხვა დანარჩენები კი შედარებით ნაკლებ მანძილზე.

ზუბოვი—(გაკვირვებული) მართლა? ეგ კი არ მეგონა, წარმოიდგინეთ, რაც ატსტაეკაში გამოველ, მას აქეთ ყურადღებას არ ვაქცევდი სამხედრო ტეხნიკის განვითარებას. ეს ექვსი თვე ძალა უნებურად ვეცნობი, მეტად წინ წასულა სამხედრო ტეხნიკა, ხე, ხე, ხე.

კაპიტ.—ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით. სულ სხვა სურათია საზღვარ გარეთ. იქ, იმ გამოგონებითაც არ კმაყოფილდებიან, როგორც იყო იმპერიალისტური ომის დროს. დღეს საშინლად წინ წავიდა სამხედრო ტეხნიკა, აი, პატარა მაგალითი: ინგლისში იმისთანა სამხედრო გემებს აშენებენ, რომ ქა-

ლაქს მოგაგონებთ და ზედ იმისთანა მსხვილი კალიბრის ზარბაზნები' სდგას და ისეთი უზარმაზარი, რომ მათი ნახეც კი შეშის ზარს დასცემს მტერს.

ზუბოვი—(ნატურით) ახ, ერთი ხუთი იმისთანა გემი მოგვეცა, მაშინ ვაჩვენებდით სეირს ჩვენ მტრებს.

კაპიტ.—კარგია, მაგრამ საიდან? ვინ მოგვეცემს? აშენების თავი არა გვაქვს. მილიარდობით ოქრო სკირდება ერთი გემის აშენებას. კიდეც კარგი რომ ინგლისი და საფრანგეთი გვეხმარებიან თავისი ესკადრებით.

ზუბოვი—მართლაც და მალეობის ღირსნი არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, რამოდენა ხარჯსა სწევნ ჩვენი გამარჯვებისათვის? რამდენი ტანკები, ჰაეროპლანები, ზარბაზნები, ტყვიისფრქვევები, თოფი, სურსათი, ამუნიცია და მრავალი ტყვია წამალი გადმოგვეცეს, და კვლავ იძლევიან? ეგენი, რომ არ გვშველოდენ დაემარცხდებოდით.

კაპიტ.—მართალია, ბატონო პოლკოვნიკო, რომ გვეხმარებიან, მაგრამ ისიც ნუ გავიწყდებათ, სამაგიეროთ ბევრსაც მოგვთხოვენ. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, როგორი პრეტელი და გამოქნილი პოლიტიკის პატრონები არიან ინგლისელები და ფრანგები. ისინი ჩვენთვის თავს არ შეიწყებენ, თუ გამორჩენას არ ხედავენ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ერთს ათათ დაიბრუნებენ. (ივანოვი ალაგებს მაგიდას, კაპიტანი და პოლკოვნიკი გადაშლიან რუკებს და შიგ იყურებიან).

ზუბ.—ამ ორი დღის წინ, რატიული. ცნობით, წითლები (აჩვენებს თითით) აგერ, ამ ხაზით მოიწვედნენ. საკვირველია, როგორ ვერ შესძლო ჩვენმა ჯარმა, მათი უქუქცევა? ისინი მშვიდები არიან, ჩაუტმელნი, ნაკლები შეიარაღება აქვთ, ჩვენ კი პირიქით, და მაინც ის წყეულები გვაჯობიან.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ხ უ თ ე .

ლეიტენანტი—ბატონებო, დეპეშა მივიღეთ შტაბიდან. (გადასცემს კაპიტანს)

კაპიტან.—როგორ ცოტახანი მოგვინდა ლოდინი. (კითხულობს)

ზუბ.—რა ამბავია? ცუდი ხომ არაფერია?

კაპიტ.—(კაპიტანი კითხულობს) გადასხით დესანტი ნაპირზედ და ზუბოვი შეეცადოს შეუერთდეს გენერალ სკრიაბინის დაშლილ ნაწილებს. წითლებმა სამხრეთი-ფრონტი გაარღვიეს და სისწრაფით ზღვისკენ მოიწვევენ. საჭიროა მათი შეჩერება, რითაც არ დაგიჯდეთ, მაშველ ჯარებს ვერ გპირდებით. ფრონტის რაიონში, ჩვენების ზურგში დაიწყო მასსიური აჯანყებები მუშების და გლეხების. ჯარის ნაწილი მათ ჩასაქრობათ გადაგზავნილია. კრეისერმა წითლების მოახლოებაზე გაუჩინოს ცეცხლი. ვინიცობაა ჩვენმა ჯარმა დაიხიოს და ვერ შესძლოს ნაპირზე გამაგრება კრეისერზედ გადასხით და შოელოდეთ ახალ განკარგულებებს. ბროლის ყოველი ვითარება დაუყონებლივ გვაცნობეთ! გვერალი ვრანგელი. „როგორ მოვწონთ ბატონებო? რას ფიქრობთ?

ზუბოვი—ძალიან ცუდათაა საქმე. რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადავიყვანოთ ნაპირზე ჯარი.

კაპიტ.—ბატონო ლეიტენანტო, შეუდექით საქმეს, ჩაუშვით შლიუპკები და სხვა საშუალებანი და რაც შეიძლება ჩქარა მოახერხებთ ღესანტის გადაყვანა.

ლეიტენ.—არის. (გავა).

ზუბოვი—სწორედ გითხრათ, არა მჯერა წითლების ასეთი სისწრაფე! მაშ, შეედეკეთ საქმეს. მე ეხლავე გავსცემ განკარგულებას, მოემზადენ ჯარის კაცები გადასასვლელათ. კარში ხომ არ მობრძანდებით?

კაპიტ.—დიახ, დიახ გავიდეთ, გავიხედოთ, იქნებ ბინოკლით რაიმე გამოჩნდეს. (ძიდიან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე მ ვ ს ე

(ივანოვი შემოდის).

ივან.—მოეწვათ კული, რა გაიგეს თეთრების მარცხი, მაშ რა ეგონათ? კერაფრად გამოადგათ ანტანტის დახმარება. დახეთ, როგორ შემოუტოეს ჩვენებნა. მალე მოგედრიცებათ კისრები, შავ რაზმელებო! ვრანგელის დღენი დათვლილია, ველარას გახდებიან წითლებთან, თუნდაც ზუბოვისთანა აფიცრობა ათასობით გაგზავნონ ჩვენების წინააღმდეგ. (გამოიღებს ქიქას, დაისხამს ჩაის და წვეკცევა) ეჰ, რა ბიკი გააფუქეს ამ ძალებმა! გუშინ დილას, საწყალი სიდერენკო. აფსუს, ზღვაში ცოცხლათ დაასამარეს! ნუ ეგონებათ ჩვენმა მეზღვაურებმა აპატიონ, ჯერ გადაიყვანონ ეს ჯარის კაცები ნაპირზე, მერე ენახოთ, ზღოთი და მოედანი ვის დაჩრება?

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე მ ვ ი დ ე

(თავს შემოჰყოფს კარებში დიმოვა).

დიმოვი—რას შვრები ივანოვ? კარგია ბატონების ნასუფრალი? რა ვინაეს, შეილო. ხარ რალა ქეიფში.

ივან.—ჰო, შენა ხარ? შემოდი. (შემოვა ოთახში).

დიმოვი—იმ მხეცმა აქ არ შემომასწროს, იმ საათში მკითხავს, რა გინდაო?

ივან.—ფიქრი ნუ გაჩვს, რამეს მოეუგონებ. იცი, რომ დეპეშა მიიღო კაპიტანმა?

დიმოვი—რა ეწერა?

ივან.—რა და წითლები იმარჯვებენ, აგერ მაგიდაზეა, წაიკითხე.

დიმოვი—შენ უთვალუურე, არაეინ შემოგვესწროს. (აიღებს და კითხულობს).

ივან.—(დიმოვს) ნუ გეშინია. (მივა კარებთან ყურს უგდებს).

დიმოვი—მაშ, ჩენი საქმე კარგათ მიდის. დღესვე გამოირკვევა, თუ როგორ მოვიქცეთ. თუ წითელი ჯარი მოადგა ნაპირს, მაშინ გემზე გადატრიალება მოვახდინოთ.

გამოსვლა მერვე

(მიჩმანი შემოჰყოფს თავს).

დიმოვი—შემოდი ჩქარა! რა გახაროთ!

მიჩმ.—რა მოხდა? რა იყო?

დიმოვი.—ის მოხდა, რაც ჩვენ გვინდოდა. წითლებმა გაარღვეეს თეთრების ფრონტი, ამათი ჯარი უკუ ქცეულა. დესანტი ეხლავე გადაჰყავთ. აი. ძნაო, რა გვკვირდება, ივანოვსაც უთხარი, გადავლენ თუ არა ნაპირზედ. თეთრ-გვარდიელები, გადატრიალება მოვახდინოთ კრეისერზე, კაპიტანი და მისი თანამოაზრეები შევიპყრათ, და მივეშველოთ ჩვენს ძმებს.

მიჩმანი—იცოცხლეთ, ჯავრს ვიყრით მხეც კაპიტანზედ! თუ არ. მოისურვა საბჭოთა მთაწობის ცნობა, ზღვაში ვისროლოთ.

დიმოვი—აბა, ეხლა კი დავიშალოთ. არ წამოგცდეთ ჩვენი ლაპარაკი. დროებით საიდუმლოთ დარჩეს. (ამ დროს გაეარდება ნაპირზე ხარბახანი, რომლის ხმაც ყრუდ მოისმის) გესმით, ალბათ, წითლები მოახლოვდნენ. მაშ, საცითხი უკვე გამოირკვა. გადაეა თუ არა ჯარი, ჩვენც დავეხმაროთ ჩვენს ძმებს და აუშვათ წითელა დროშა. (გაველენ. ეშვება).

ფ ა რ დ ა

გ ა მ ო ს ე ს ლ ა მ ე ხ უ თ ე .

კაპიტ.—რას დგებართ აქ? ვინ გიბრძანათ? გასწით ეხლავე თქვენ ადგილას, გასწით ზარბაზნებთან! (მეზღვაურები სდუმან. კაპიტანი მიმართავს ლეიტენანტს) რაშია საქმე, რატომ სდგანან აქ?

ლეიტენან.—რა მოგახსენოთ, ბატონო კაპიტანო, უბრძანე, მაგრამ ყურადღებაც არ მომაქციეს.

კაპიტ.—(გაოცებული) გასწით თქვენ-თქვენ ადგილებზე, თქვენ ბუნტოვნიკებო, თქვენა.

დიმოვ—გეყოთ, ბატონო კაპიტანო, თქვენ ამიერიდან ნება არ ვაქვთ გვიბრძანოთ, არც ერთ. ყუმბარას არ ვესვრით ჩვენს ძმებს. (მეზღვაურები კმაყოფილნი არიან)

კაპიტ.—რაო, რაო, მაშ, შენა ხარ ბუნტის გამომწვევი? დაგავიწყდა გუშინდელი ამბავი? მეზღვაურებს: შეიპყარით ეხლავე დიმოვი! გესმით თქვენ? (მეზღვაურები იღიმებიან) რასა ბრეცავთ თვალებს თქვენ ავაზაკებო? შეიპყარით მეთქი.

ივან.—(წასდგამს წინ ნაბიჯს) ამხანაგო კაპიტანო! ვიმეორებთ ჩვენ, ჩვენ ამხანაგს ხელს არ შევახებთ, გირჩევნიათ გაჩუმდეთ.

კაპიტ.—ივანოვ, შენ რალა ღმერთი გიწყრება? გაეთრიე ეხლავე კაიუტაში, თუ არ გინდათ ხელი შეახოთ დიმოვს, მაშინ მე ვიცი. (ამოიძრობს რევოლვერს და იმ დროს როცა უნდა ესროლოს, მეზღვაურები თავის მხრივ რევოლვერებს მიუშვერენ) კაპიტანი გაშეშდება, ერთხანს ეგრე სდგას, მერე ყვირის: მოლაღატენო, ნუ ფიქრობთ გაპატიოთ, დამაცადეთ, ლეიტენანტო, ვადაცით შტაბს ან რომელიმე გემს, რომ მეზღვაურები აჯანყდნენ. სთხოვე დახმარება! (ლეიტენანტს სურს წასვლა, ერთი მეზღვაურთაგანი გზას ედაულობავეს)

ერთი მეზღვაური—შესდექ, თუ არ გინდა ზღვაში გადაგადლოთ.

(ლეიტენანტი შესდგება)

დიმ.—(კაპიტანს) კაპიტანო, თქვენი გეგმები, როგორც ხედავთ ვერ გამოთლდენ, ამიერიდან ჩვენც და ჩვენი კრეისერიც ეკუთვნის საბჭოთა რესპუბლიკას და დაიცავს, მხოლოდ მშრომელთა ინტერესებს. წინადადებას გაძლევთ დაპირილდეთ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას!

კაპიტ.—მე კაპიტანი პირველი რანგის, რუსეთის ფლოტისა დაემორჩილდე ყაჩაღურ მთავრობას? არასოდეს!

დიმ.—ეგ არის თქვენი უკანასკნელი პასუხი!

კაპიტ.—მე ძალღებთან სალაპარაკო არა მაქვს რა. (მეზღვაურები ღელავენ)

დიმ.—ამხანაგებო, როგორ მოვექცეთ?

ყველა—ზღვაში ვისროლოთ!

დიმ.—(ანიშნებს) გადააგდეთ!

(მეზღვაურები იყვანენ კაპიტანს და ზღვაში ისვრიან) ყველა ძირს იყურება. ისმის ხმა. ძალლი იყავი, ძალღურად კვდები).

ლიმ.—(ლეიტენანტს) აბა ლეიტენანტო, გსურთ თუ არა ემსახუროთ საბჭოთა ხელისუფლებას?

ლეიტენანტი—მაპატიეთ! ბატონო, მე... მე... თქვენი, ბატონებო...

ლიმ.—ჩვენში ბატონები არ არიან, ყველანი თანასწორნი ვართ, ვიმეორებ: სცნობთ, თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას?

ლეიტენანტი—ესცნობ, ამხანაგებო! ვემორჩილები მას მტრების წინააღმდეგ. (ყველანი გამოსთქვამენ კმაყოფას).

ლიმ.—ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ, და გესმით, მშრომელი ხალხის გმინვა, წუხილი. თქვენ ერთი საუკეთესო უფროსთაგანი იყავით ჩვენს გემზე. მიიღეთ ჩენი გემის უფროსობა და გვიწინამძღოლეთ. რაც შეეხება სიყვარულს და რევოლიუციონურ დისციპლინას, თქვენ ამას დაიმსახურებთ იმ შემთხვევაში, თუ პირნათლად შეასრულებთ მოვალეობას პროლეტარიატის წინაშე. რას იტყვით ამხანაგებო! სწორათ ვამბობ, თუ არა? (ყველანი) მართალია, ასეც უნდა იყოს.

ლეიტ.—გმადლობთ, ამხანაგებო, სინდისის წინაშე მე ფიცსა ვსდებ, ვიყო ერთგული მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და, თქვენთან ერთად განვიცადო, გაქირვებაც და სიხარულიც... (ჩამოიგლეჯავს პაგონებს და ზღვაში გადაყრის).

დიმოვი—გაუმარჯოს ჩენს წითელ უფროსს!

ყველა—ვაშა! გაუმარჯოს!

ივან.—მე სამხედრო კომისრათ, ჩვენს გემზე ვასახელებ ამხანაგ დიმოვს. უფროსს თუ აქვს ცოდნა, ამას აქვს პოლიტიკური გაწვრთნა, იგი სწორი გზით წავგიყვანს. რას იტყვით ამხანაგებო?

ყველა—დიმოვი იყოს ჩენი კომისარი. გაუმარჯოს დიმოვს!

(ისმის ზარბაზნების გრიალი უფრო ახლო).

ივან.—ამხანაგებო, ნაპირზე ჩენი ძმები გამარჯვებულნი არიან. ეხლა ჩვენ გვესვრიან, მათ ჰგონიათ ჩვენც მათი მტრები ვართ. ჩამოუშვათ შავრამული დროშა; მის მაგიერ წითელი ავაფრიალოთ!

დიმოვი—მართალს ამბობს ივანოვი. ჩამოუშვით, ამხანაგებო! ძირს ბურჟუაზიული წეს-წყობილება! ძირს კონტრევოლიუციონური ძალები! (ჩამოეშვებო სამფეროვანი მიფური დროშა) გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას! გაუმარჯოს წითელ ლაშქარს! გაუმარჯოს ამიერიდან. პროლეტარიატის ინტერესების დამცველს წითელ ფლოტს! (ამიმართება წითელი დროშა).

ყველა—გაუმარჯოს, გაუმარჯოს. ვაშა, ვაშა... (კოცნიან ერთმანეთს. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

(ფ ა რ დ ა).

ალ. გორელი.

დ ე ზ ე რ ტ ი რ ი.

პიესა ორ-მოქმედებათ.

დ ე ზ ე რ ტ ი რ ი.

მოამბედნი პირნი:

- | | | |
|-------------------|---|---|
| 1. გიგა—დეზერტირი | } | წითელ არმიელნი |
| 2. ვანო | | |
| 3. ნიკო | | |
| 4. პოლიტხელი . | | |
| 5. ლადო . | | სამსახურ დამთავრ. არმ.—გიგას უფროსი ძმა |
| 6. ხტეფანე | | გიგას მამა |
| 7. თამრო | | გიგას დანიშნული |
| 8. მიხა . | | თამროს მამა |
| 9. სოფიო . | | ლადოს ცოლი |

პირველ მოქმედებაში სცენა წარმოადგენს წითელ ყაზარშის კუთხეს. ერთი კარი, ფანჯარა, კედელზე კომუნისტ ბელადების სურათები. მაგიდაზედ წიგნები და გაზეთები. სცენაზე ჩამწკრივებულია სამი საწოლი ტახტი ლოჯინია. კუთხეში ჩამწკრივებულია რამდენიმე თოფი, კედლებზე შეძლებისდაგვარად პლაკატები და ლოზუნგები. საღამოს შვიდი საათია. გიგა ლოჯინზეა გადაშლართული. ვანო თოფს ხწმუნდს. პოლიტხელი გაზეთს ხმა მალლა კითხულობს. ნიკო შარვალზე ღიღს აკერებს. გარეთ ზარი შეიძვჯერ ჩამორეკს.

გ ა მ ო ს ე ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ნიკო—(უგდებს ზარის ხმას) აბა, თუ მორჩეს, გააბაზს და გათაეებას ნულა ელი. აქ კი გაზეთის კითხვას გეიშლის.

ვანო—არა, შე მამაცხონებულის შევილო, მაშ, აქაოდა გაზეთს ყურს ეღვდებთ, ზარიც აღარ დარეკონ, ჰა?

პოლ. ხელი აი, მორჩა კიდევ. დამიგდეთ ყური, ვაგრძელებ... ბურჯუაზიულ სახელმწიფოებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება საშუალებას აძლევს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს ახალი გამარჯვებებით გამოვიდეს კაპიტალთან წარმოებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში*. ხომ გესმით. რასაც გიკითხავთ?

ნიკო—ამბ. პოლიტხელო, შენ რომ გველაპარაკები ხოლმე, უფრო კარგა ვიგებ, ე გაზეთისა, სწორე უნდა გითხრა, ნახევარი არ მესმის.

ვანო—თუ არ გესმის, ყურები გამოიჩიქნე.

ნიკო— არა, ბიკო, შენ ხო სულ დაგანახსოვრდა?

პოლიტხელი—აქ ისა სწერია, რომ რაც უფრო მეტად აიშლებიან ერთმანეთის წინააღმდეგ ჩვენი მტრები—ბურჟუები, იმდენად ჩვენი ქვეყნისათვის

საკეტილოაო. იმიტომ, რომ ერთმანეთთან ბრძოლაში ისინი სუსტდებიან, ჩვენ კი ამ დროს მშვიდობიანურ პირობებში ვძლიერდებით.

ნიკო—აი ეს კი გავიგე. (ვანოს) არა, შე გამოჩერჩეტებული, ნუ თუ ეხლაც არ გესმის, რომ ცოცხალ სიტყვას უფრო მალე იგებს კაცი, ვიდრე დაწერილსა?

ვანო—ნეტავი, ვის უგებ მაგითი ნაშა. ბიკო, შეილო, გირჩევნია შენი თავი დაარიგო და ენაგ ნეესი ცხვირში არ იტაკო.

(სიცილი)

ნიკო—წავა წამოვა და ე ჩემ ცხვირს წააწყდება. ეს ოხერი (იყურება თავის ცხვირზე) უზარმაზარია, რომ უსარკეოდაც ვხედავ.

(სიცილი)

ვანო—ამხ. პოლიტხელო, შენ, ალბათ, გეცოდინება სიზარმაცის წამალი. პოლიტხელი—რად დაგკირდა?

ნიკო—ალბათ, ხვალღან ზარმაცების კამანდაში უნდა ჩაეწეროს. ყოჩაღ, ვანო!

ვანო—მე ჩემს თავზე კი არ ვამბობ, აგერ (აჩვენებს გიგაზე) იმ სულიერზე. აღარც კვამს, აღარც სვამს, ხან ფეხს იტკიეებს, ხან ღიჟსა. მაგისი, სწორედ გითხრა, ვერაფერი შემიტყუია რა.

ნიკო—ე, შენც იპოვნე დრო, თუ ვისზე ილაპარაკო. ეგ ხომ კაცი არ არის, —კუნძია, დამპალი კუნძი. რაც გინდა უთხარი, ყურსაც, არ შეიბერტყავს. წარა მარა ოხრავს. ნეტავი, ვიცოდე, რა აქვს სადარდელი?

ვანო—ძველი დრო უნდა იყოს, —მაგას მოარჯულუბდენ. აქაოდა, რბილად მეკიდებიანო, ფეხებზე ჰკიდია სამსახურიც და ყველაფერიც.

პოლიტხელი—იქნებ მართლაც ავად არის ამხ. გიგა?

ნიკო—ეი, დიანბეგო, შენ გეუბნებიან!

გიგა—(არ ინძრევა) რა გინდათ?

პოლიტხელი—რაა წეხარ, მოდი ჩვენთან, გაერთობი.

გიგა—არ შემძლიან, თორემ..

ნიკო—თორემ ლეკურს დაუვლიდი, ნეტავი იმ სოფელს, რომელსაც შენ ჩაუხვალ წითელი არმიიდან.

ვანო—მეტის-მეტო ფიქრისაგან გამოჩერჩეტებულია ეგ ოჯახ-ქორი.

პოლიტხელი—თავი დაანებეთ, იქნებ რამე დარდი აქვს. ადამიანია, ყველას ერთნაირი გული არა აქვს. ეგეც შეეჩვევა ჩვენს ყაზარმას.

ნიკო—ვინ შერცხენილი, თუ აქ არ მგოჩინოს ყოფნა. რას ამბობ, ამხანაგო პოლიტხელო, რაც აქ მოვედი, მგოხია ახლად დავიბადე მეთქი.

ვანო—ე მაგაში კი გეთანხმები ჩემო ნიკო. ხედავ, პოლიტხელო, ზოგჯერ როგორ კვივიანურ აზრებს იძახის. რაც მართალია, უნდა ითქვას, ეს ყაზარმა კი არა, შკოლაა.

პოლიტხელი—რასაც წითელი ყაზარმა აძლევს განათლებას და აღზრდას ჩამორჩენილ კაცს, იმას ჩვენი სოფელი ვერ მისცემს. აბა, რა იყავით ამ სამი ოთხი თვის წინად, და რა ხართ ეხლა? განსხვავება დიდია. გონება გაგეხსნათ,

წერა კითხვა ისწავლეთ, მართალია, სავსებით არა, მაგრამ ამ მომავალ სამ თვეში სულ დაასრულებთ.

ნიკო—მე, ჩვენებსაც მიეწერე, რომ ბელი მეწვია ჯარში გაწვევითათჳო. ჯერ კი ვშიშობდი, მეგონა, აი, გამაწვალებენ და აი, ამას მიზამენ და რა ვიცი, რას არ ვფიქრობდი. ჩვენებურმა ლდელმაც კი წანჩურჩულა: „შვილოვო, ვინძლო არ დაივიწყო ღმერთი და ხატიო. იქაც იარე ეკლესიაშიო, ჯვარი არ მოიცილო საყელოდანო, ოი, როგორ ავაბუნტებ მთელ სოფელს იმ წვერებ ცანცარაზე.

პოლიტხელი—აბა, ეხლა კი დროა კლუბისაკენ დავიძრაო. დღეს ახალ პიესას ვამზადებთ.

ვანო—რომელ პიესას?

პოლიტხელი—გუშინ მოგვივიდა პოლიტ-განყოფილებიდან პიესა, ორ მოქმედებიანი, ალექსანდრე გორელისა, და ჰქვია მას. (იგონებს) ჰო, „დებერტირი“. წით. არმიისათვის თურმე ზედ გამოკრილიაო, გადმომცა კლუბის გამგემ. გასურს წამოღი.

ვანო—ამ თოფის წმენდასაც მოერჩი. (ადგება. თოფს თავის ადგილას დააყენებს). ნიკო, შენც ხომ მოდიხარ!

ნიკო—ვერა, ძმაო. დღეს ბერი საკერავეი მაქვს. მე რომ ხვალ დარღვეულებში და დახეულებში გამოვიდე, სირცხვილია მთელი ლეგიონისათვის, იქნებ ქუჩაში მომიხდეს გამოსვლა. ცოტა მტერი გვეყავს? დაიხვევენ თითზე და ჩუმად ხითხითს არ მორჩებიან. ხვალ მოვიტლი საკლუბოდ.

პოლიტხელი—მაშ, გამარჯობით, გიგა და ნიკო!

ნიკო—იცოცხლეთ ვანო, ვინძლო დიდი როლი აიღო! არ შემარცხვინო კაცი.

ვანო—მე კი გეუბნები ემაგ ნენსს თავი გაანებე, თორემ ხიფათი გეწვევა. ცხვირს ააგებ, ნიკორა ცხვირსა. (გაეღენ პოლიტხელი და ვანო)

ნიკო—ბიჭო, გიგა, ეი, ვერანავ!

გიგა—რას გააწყალე გული, რა გინდა?

ნიკო—შენი სიკვდილი. არა, უკაცრავად შინი სიცოცხლე. რა/უნდა მინდოდეს, შვილოსან, ადგე გაიარე, გამოიარე. გაიშალე წელში, გაიცინე. რას ჩამოგიშვლებია ეგ პირი სახე.

გიგა—ეხ... შე-უდარდელო... გაგაქვს და გამოგაქვს... კრიალებ სათონის კარებივით.

ნიკო—ცოცხალი ვარ და ვკრიალებ. მაშ, არა და შენსამებრ მოვიქცე? (მიადგებს საკერაფს) ხუმრობა იქით გადავსდოთ, გულახდილად მითხარი რა გადარდებს, წერილი ხომ არ მიიღე სახლიდან?

გიგა—არა, ისე, გული არმიდგება ყაზარმაში.

ნიკო—თუ ყაზარმაში ვერა სძლებ, გადი, ეზოში გაიარე. იქ სუფთა ჰაერია.

გიგა—შენ კიდევ ხუმრობ.

ნიკო—თავს გეფიცები, სრულებითაც არა.

გიგა—მე იმას ვამბობ, რომ ჯარში გაძლება არ შემძლიან. მომბეზრდა-
ნიკო—ეგრე ვეთქვა, შე დალოცვილიშვილო, რაღა. (დღეიქრდება) შენ
იცი, რა ხარ გიგა? იცი, რა ხარ?

გიგა—(შეხედავს) რა ვარ?

ნიკო—შენ სულელი და ვირი ხარ.—აი, რა ხარ.

გიგა—ვითომ—რაღაო?

ნიკო—არა, შე სულელო. რაღა შენ მოგბეზრდა ეს ყაზარმა და, რატომ
სხვას არა? შენ რა, ჩვენისთანა მშრომელი ოჯახის შვილი არა ხარ თუ? მე თუ
ვძლებ, შენც უნდა გასძლო. სამსახურია, უნდა იმსახურო.

გიგა—მერე, რო ვიმსახურო მამიჩემის ოჯახი? ჩემი ძმა, რომ მუშაობს,
განა, ჩემთვის მუშაობს? ქალი დიფნიშენი, ჩემთვის ოჯახის მოწყობაა საჭირო,
და მე კი აქ ვგდივარ ოხრად. ვარგევიარ ამ ყოფაში?

ნიკო—არა, ძმაო, პირადპირ გეტყვი, შენ არც იქ ივარგებ და აქ ხომ არა
ხარ და არა. შენ რომ ქკუა გქონდეს, ჯარში ყოფნას გამოიყენებდი და შემდე-
გში ოჯახს უკეთესად მოაწყობდი. ესეც რომ არ იყოს, შენ ჩემსავით მოვალე
ხარ პირნათლად იმსახურო.

გიგა—პირნათლად იმსახურე, თორემ მენდლებს მოგცემენ. რაღ უნდა ვიმ-
სახურო, ვისი გულისათვის?

ნიკო—შენ იმსახურები ისევე შენს თავს და არა სხვას. მენდლები საჭირო არც
არის. ეგ ძველს დროს იყო. და თუ ძალიან გინდა მიიღო გულზე გასაკეთე-
ბელი, ისეთი რამ გააკეთე მშრომელთა რესპუბლიკისთვის, რომ წითელი ორ-
დენი მიიღო. აი, სწორედ ისეთი, როგორც ჩვენს ლეგიონის თავს აქვს მიღე-
ბული, სამხედრო სარეეოლოჟიკო საბჭოსაგან

გიგა—არა, ძმაო, მე ეგენი სრულიადაც არ მაინტერესებს... შენთვის და-
მითმიო.

ნიკო—შენ რომ ქკუა გქონდეს; ეგეთ ლაპარაკს თავს გაანებებ და ანაბა-
ნას მაინც ისწავლი.

გიგა—არც შენი სწავლა მინდა და, არც შენი ქკუის სწავლება. მე გეუბ-
ნები, აქ ყოფნა არ შემძლიან.

ნიკო—არ შეგიძლიან და მიბრძანდი, გეთაყვა აბა შენ ხმას ვინ გაგცემს,
ა? ისეთ-ისეთი მოგცხონ, რომ სულ დავთრები აგერიოს. აბა, ერთი გაბედე და
გაიპარე.

გიგა—მე გაპარვაზე არ მიფიქრია და არც მინდა... ეგ რომ მდომნოდა..

ნიკო—მოგრიჩი ჩემს საქმეებს. რა ყოფილა ეს ქალების საქმე! თვალები
და ნუბლი ამატყივ. რა არ მიკეთებია ჩემს დღეში და ასე კი არ დავლილი-
ვარ. არა უშავს რა, მივეჩვევი, ცხოვრებაში გამომადგება. წამო, გავიდეთ ეზოში,
ბიჭებს თამაში ექნებათ. მართლა, ჩემი სალამურს უნდა გამოვცადო... ათშაუ-
რიანია, ბიჭებს გაეხარდებათ. (ყუთიდან სალამურს ამოიღებს).

გიგა—(ზღაზღვით წამოდგება) კარგი, მოვდივარ.

ნიკო—(სალამურის დაკვრით გავა).

გიგა—(ჩამოჯდება) არა, მე მეტის მოთმენა არ შემიძლიან: ან დღეს უნდა გავიპარო, ან უნდა დავარჩე. ამაზე უკეთეს დროს მე ვერ ვიპოვი. ყაზარმა ცარიელია, ზოგი კლუბშია, ზოგი სკოლაში, ზოგი სამკითხველოში და ეზოში. (გააღებს ყუთს) ყველაფერი მზად მაქვს. (მიიხედავს გვერდზე. მოდი, ზმ წიგნებსაც წავიღებ. თუთუნის გამოხახვევად გამომაღდება. (მივა, ჩქარა, ჩააწყობს ჩანთაში წიგნებს, თან ირგვლივ იყურება). ამ საბანს ვილას ვუტოვებ? ეს ხომ მე მაკუთუნებს. ამ შინელს არ ჩავეცვამ ეკვი არ აიღონ, თორემ, თუ გაშაბეს, კარგი ხეირი არ დამეყრება. ყველაფერი მზადა მაქვს. (დაფიქრდება) აქედან გავალ ისე, (თითით ანიშნებს) მერე შემოუხვევ ფურნეს, მერე გადავხტები ეზოდან ქუჩაზე და დავადგები გზას. ზეგ სახლში ვიქნები. პური მაქვს, შაქარი და ცოტაოდენი ფულიც დამრჩა. მაშ გაუდგები გზას. ღმერთო, (იწერს პირჯვარს) შენ მომიმართე ხელი. (უნდა წასვლა. ამ დროს მოისმის ფეხის ხმა და სიმღერა. გიგა ტახტზე წვება და შინელს წაიხურავს ვითომც სძინავს. შემოდის ნიკო.)

გამოსვლა მმორა

ნიკო: აი, დალახეროს ის ვაქარი. სალამური კი არა უბედურებაა. დამივარდა და გაიბზარა. (მივა ყუთთან ძაფს ამოიღებს და ახვევს სალამურს) თითქოს ამას იქ უნდოდა წამოხვლა. ბიკო გიგა? სძინავს. ამ სიციხეში რა საქიროა შინელის დახურვა. რა მოსაყვანი იყო თქვენი კირიმეთ, წითელ არმიამში, ა? რის მაქნისია? ქალი დაუნიშნავს და გული არ უდგება ყაზარმაში. აი, დედასა! ქალიო? ქალი მეცა მყავს, ისეთი ქალი მყავს მიზანში ამოღებული ჩვენს სოფელშია, რომა... ექვე... ყურებით ვერ გაძლება კაცი, მაგრამ ჯერ დრო არა მაქვს საიმიხით. (მორჩება სალამურის გაკეთებას) ბიკო, გიგა!—გიგა!

გიგა—რა გინდა? ვინა ხარ?

ნიკო—რა არი, ბიკო რო შინელში ჩაგიყვია ე დინგი? გცივა?

გიგა—ჰო, ცოტა შემაცივა.

ნიკო—მე ისევ მივდივარ და, თუ მმა ხარ, ყურადღება აქციე აქაურობას. არავეინ შემოვიდეს, მაინც სხვა რამეში არ ვარგინარ.

გიგა—კარგი, კარგი, წადი.

(ნიკო გავა)

გიგა —ოხერი! შემიშალა ხელი. (წამოხტება, ყურს უგდებს კარებს) არავეინ არის. აბა, ჩქარა, ყოველი წამი ძვირფასია. (აღაგებს თავის ხაბაკ-ხუბაკს და მივა ფეხ აკრეფით კარებთან. გარედან მოისმის სიცილი და სალამურის ხმა, თან ტაში) ვირები, ყრიან აქ და ლაზლანდაროპენ. ღმერთო, ღვთის მშობელო, წმინდა გიორგი, მომიმართეთ ხელი და სამხეთოს დაგიკლავთ! (იჩოქებს. მერე ადგება, მიდის, კვლავ შესდგება) რას იტყვიან. მამა ჩემ, ჩემი ძმა, რძალი, ჩემი დანიშნული თამრო, მისიანები მთელი სოფელი? ე, რაც უნდა სთქვან, სახლის კარს ხომ არ მომიხურავენ. დეზერტირი უნდა გავხდე დღეიდან, საშიშო კია, თუ ჩაუვარდი. (ფიქრობს) წავიდე, თუ დავარჩე? არა, რაც

უნდა მომივიდეს, ოღონდ აქ კი ველარ დავრჩები. სჯობია, ჩქარა მოეშორდე აქაურობას. (ყურს უგდებს მხიარულ ხმებს) იმხიარულეთ, იმხიარულეთ, მე კი წაველ, წაველ და აღარ დავბრუნდები. დეე, თქვენ პატიოსანი არმიელები და, მე კი—დეზერტირი! შორს ჩემგან შიში!...

(საჩქაროდ გაეა)

ფ ა რ დ ა

მომხმელება მეორე

სცენა—ქალა. ჩამოდის წყარო. იქვე ხეები. ხეების ჩრდილი. პურის მკის დროა. წყაროსთან ხის ძირში მკელები სხედან. ნამგლებს ლესვენ, თან სადილს შეექცევიან. გიგას ძმა თამაღობს; მის გვერდით თამრო და ცოლი სხედან. სუფრის ბოლოში მიხა და სტეფანე. მხიარულობენ.

ლაღო—ეს, გაუმარჯოს ამ ჩვენს თამროს საქმროს—ჩემს ძმას, გიგას! მგონი, კარგი კაცი დადგეს. გამოიცილება სავსებით, შეგნებული საქმრო დაგებუნდება შინ. მაშინ უფრო გაგიასკეცდება სიყვარული!.. აბა, ვინძლო, მისი სადღეგრძელო გამოსცალო. (თამრო მორცხობს. თავდახრილი განზე იყურება). გოგო, შენ გეუბნები, აბა საით პრაწამ მაგ თვალებს. ჰა?! დალიე, რალა, შენც საქმროს სადღეგრძელო!..

თამრო—(აიღებს. მოსევამს—მორცხვად).

მიხა—გაუმარჯოს გიგას!.. ღმერთმა მშვიდობით დაგებრუნოს. ისეთ ქორწილი გაგიმართოთ, ჩემო თამრო, რომ სულ ფეხის ცერებზე გატარო, არა ჩქარო ლადო? (სევამს).

სტეფანე—გაუმარჯოს გიგას! პირნათლად შეასრულებინოს სამსახური... ისე პირნათლად ერთგულებით აასრულებინოს სამსახური, როგორც ჩვენმა ლაღომ აასრულა... მე, შვილებო, სხვა არა გამახარებს რა ამ სიბერის ხანს, თუ არა თქვენი ადამიანობა. ეხლა სულ სხვა დროა... ძალდატანება არაა... დღეს, მეფის ნაცვლად, ჩვენს საკუთარ თავს ვემსახურებით... გაუმარჯოს ჩვენს ბიჭუნას, გიგას!.. (სევამს)

მიხა—(თამროს) რა გაწითლდი, შვილო, შეგრცხვა, განა?... ასეა მუშების კანონი—დალიე, რალა... შენი გმირის სადღეგრძელო... (თამრო მოსევამს).

ლაღო—მამი, ძალიან ჩამოცხა. დღეს რამენაირად უნდა გავკოათ, თორემ მარცვალი ჩაიწვება.

სტეფანე—ფიქრი ნუ გაქვს. მოვრჩებით... შვილო, ერთიც ჩამოარიგე. ფერდობში რომ მაგრა მოგვხდება წითელი, მაშინ ყველაფერი რიგზე მოეწყობა. კაი ღვინოა, მე და ჩემმა ღმერთმა, მერე ეს წყაროც ძალიან აგრილებს...

ლაღო—მოდით, ეს გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას... ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას...

სტეფანე—ჰო, შენ კი გენაცვალე ემაგ თქმისათვის... გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას. ოი, იმათ ვენაცვალე სულში, მართლაც რო მთავრობა ყოფილა. (სევამს).

მიხა—გაუმარჯოს ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას... მართლაც, ძნელად თუ მოიპოვება ასეთი მთავრობა სადმე. გაუმარჯოს მის საქმიანობას... მის სამართალს და დაჩაგრულ ხალხისადმი ერთგულებას და სიყვარულს. (სევამს).—

ლადო—აბა, ერთიც და გავათავოთ... (აიღებს კიქას) ეს გაუმარჯოს ჩვენ წითელ არმიას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მუშებისაგან და გლეხებისაგან წესდება...

მიხა—გაუმარჯოს, ვენაცვალე სულში! კაი მრავალყამიერი მოუხდება ჩემმა ნებმ! (მღეროიან)

ხტეფანე—გაუმარჯოს ჩვენს დამცველ წითელ არმიელებს... და მათი კი კირიშე, სუ ბღღეირი აღინეს ჩვენს მოსისხლე მტრებს. გაუმარჯოს ~~ტრადიტორ~~ ჯანმრთელი იყოს ჩვენდა საკეთილდღეოთ. (შესვამს) აბა ბიქებო, დროა შეუდგეთ მკას... ნამგლები გალესილი, კუქი გამოლესილი, ფერდი საესე და მკლავი დასვენებული... ჰერი, ბიქო, და ყველაფერი გატოვა იქნება. ავიშალოთ! სღგებიან)

ლადო—(ცოლს) არ დაგავიწყდეს კოკით ცივი წყალი... (კაცები გადიან, ქალები ემზადებიან—სუფრას ალაგებენ. ერთი მათგანი კოკას წყლით აესებს წყაროსთან. ამ დროს გამოჩნდება გიგა. მას აბგა აქვს აკიდებული ზურგზე. შე-სღგება. ქალები ვერ ამჩნევენ.

გიგა—გამარჯვება თქვენი, ქალებო!

თამრო—(სიხარულით) გიგა?!

სოფიო—გიგას გაუმარჯოს... როგორ? ასე ჩქარა დაბრუნდი?... გაუხარდე-ბა ჩვენებს... გამხდარხარ...

თამრო—მოდო, დაისვენე... მოიხსენი ზურგიდან... ნამგზავრი ხარ... დაი-ლღებოდი...

გიგა—არა მიშავს რა... კარგადა ვარ... აი, აქ ჩამოვჯდები... სხვა?

სოფიო—ჩვენ ყველანი კარგადა ვართ. აქ არიან ყველანი... ამ კოკას წაულებ და ყველას ვახარებ, შენს მოსვლას. (წავა).

გიგა—თამრო, გენაცვალე. (უნდა აკოცოს)

თამრო—ჯერ მითხარი, როგორ მოხვედი აქ?... დროებით, თუ როგორ?...

გიგა—აქ, თამრო, რა დროს ეგენია... მოდი ერთი დამატებე შენი ლამა-ზი თვლების მხერით... მითხარი, რასა იქ!?!.. მომწყინდა უშენოთ ყოფნა და გამოკსწიე... რო იტოდე, ჩემო კარგო, როგორ მიყვარხარ?... (ხელს მოხვევს, საკოცნელათ მიიწევს).

თამრო—მჯერა... მჯერა, გენაცვალე... რატომ ერთი წერილი არ გამომი-გზავნე ამდენი ხნის განმავლობაში?... განა, ეს გეპატიება?... თამრიკოს ასე და-ეწყება შეიძლება?... იქნება იქ ვინმე იშოვნე და იმიტომ...

გიგა—სხვა კირსაც კი წაუღია... მხოლოდ შენა ხარ ჩემი ამომავალი მზე... შენ ხარ ჩემი შექურა ვარსკვლავი, შენ გენაცვალე, ჩემო თამრიკო!... (მიიწევს საკოცნელად)

თამრო— შე გიყო, რატომ არ მეტყვი შენს მოსვლის მიზეზს? სთქვი!...

გიგა—რალა ბეერი გავიგრძელო... უმჯობესია გამოგიტყდე... გამოვიპა-რე, ჩემო თამრო!..

თამრო—(თმაში ხელს წაივლებს) როგორ? შენ დეზერტირი? (განზე გაი-წყვეს) მერე რა პირით მოხვედი?... რას იტყვიან? შენ არ გყვარებია შენი თამრო...

ასე ფეხქვეშ თელავ და ტალახში სვრი როგორც 'შენ, ისე ჩემს სახელსაც! (სტირის).

გიგა—(თავისთვის) ეს რა ღმერთი მიწყრება? მეგონა გაუხარდება მეთქი- (იმას) თამრო, ჩემო თამრო!... დამაცადე, გეტყვი ყველაფერს. სულ თავი- დან მოგიყვები:...

თამრო—დამანებე თავი... შენ... შენ... (სტირის).

გიგა—დამიჯერე, თამრო, არ შემეძლო იქ დავრჩენილიყავი... ვერ ავიტყა- ნე... მოთმინების ფილა აივსო...

თამრო—ქურდულათ გამოიპარე... ამისი ატანა ადვილი იყო?... მოეტყუე- დი შენში... სსსტიკად მოეტყუედი. (სტირის).

(გამოჩნდებიან ლადო, სტეფანე, მიხა, სოფიო—შემოდინან)

ლადო—გიგას გაუმარჯოს... საიდან, როგორ?... ასე ადრე?...

მიხა—გამარჯვება, შეილო გიგა!..—

სტეფანე—გამარჯობა, გიგა! როგორა ხარ?... წელან სულ შენს ხსენებაში ვიყავი... სადღეგრძელოც კი დავლიეთ შენი... არა თამრო?..

მიხა ი რალა იქნა? (შენიშნავს) გოგო, რა გატირებს?... აქმო... უნდა გიხაროდეს... (მოდის ხელს კიდებს წინ წამოიყვანს) სთქვი, შეილო, რა გატი- რებს? ნუ მიმალავ... სთქვი...

თამრო—რას იტყვიან ეხლა სოველში... ყველა მასხარად ამიგდებს... იტ- ყვიან, დეზერტირი საქმრო ჰყავსო. (სტირის).

მიხა—როგორ თუ დეზერტირიო? (მიუბრუნდება დანარჩენებს)

ლადო—მამა, შენ დეზერტირი ხარ? პატიოსან სამსახურს გამოექეცი? გეგონა. აქ შენი ძმა, რომელმაც უკვე მოიხადა სამსახური, ან მოხუცი მამა სახლში შეგიშვებდა?... ძალიან მოტყუებულხარ!.. გასწი ისევე იქით, საიდახა, აბარგებულხარ... სანამ არ მოიხადო მოვალეობა, არ დამენახო თვალით შე სა- ზიზღარო, შენა!.. შე მხდალო... მშიშარავ შენა! შენ მოლაღატე. შენა... გასწი ისევე უკან, სანამ მოთმინებიდან არ გამოვსულვარ...

სოფიო—(ლადოს) დაანებე თავი, თითონ წავა... აბა რას მოველოდით... უიმე დეზერტირი!.. უი, უი, დამიდგეს თვალები, რამ გამოაჩერჩეტა ეგ უბე- დური ეგა. (სოფიო და ლადო გადიან).

მიხა—შეილო, რას შვრები?... აბა, დაუკვირდი შენს საქციელს... სოველ- ში ვერ გამოჩნდები... ყველასათვის თითოთ საჩენებელი ვახდები—როგორც მოლაღატე... დეზერტირს დაგიძახებენ... რათ უმწარებ შენს მოხუცებულ მამას სიბერის დღეებს?! ეს არ ვარგა, ჩემო გიგა... მე გეუბნები ჩემს ქალს მანამდის არ მოვათხოვებ, სანამ შენ არ დაბრუნდები ვალ-მოხდილი, ისე როგორც შენი ძმა, ლადო... დღეის შემდეგ ჩვენ შენთან არავითარი საერთო არ გვექმნება. წამო, შეილო თამრო... (გადიან).

გიგა—თამრო... შენ მაინც...

თამრო—მე შენი თამრო აღარა ვარ! (მიდის) მე დეზერტირს ცოლად არ მივსთხოვდები!..

სტეფანე—შეილო გიგა, რას სჩადიხარ?... არა გრცხენია?...

გიგა—მამა, შენ... (მუხლებში ჩაეარდებო) შენ მაინც მანუგეშე... ყველამ ზურგი შემაქცია... ღმერთო, რა წყალში ჩაეარდე?.. სად წავიდე?... რა ვქნა?..

სტეფანე—შენ ჩემი შვილი ხარ, მაგრამ ხომ გაიგე რა გითხრა შენმა ძმამ? მეც მისი აზრისა ვარ: ან დაბრუნდი პირნათლათ ვალ-მოხდილი, ან და თვალით არ დამენახო!...

გიგა—მამა!...

სტეფანე—გასწი იქით, საიდანაც მოსულხარ... თუ გინდა თავი იხსნა ამ საზიზღარ საქციელისაგან, დაუბრუნდი ისევ იმ წითელ ყაზარმას, რომელსაც უღალატე... ამით გამოისყიდი დანაშაულს. (მიდის).

(ულონოდ დაეარდება პირქვე. ღმუის. პაუზა)

გიგა—რას მეტყვიან ბიჭები? რა უპასუხო... გაეამელაენო ყველაფერი... შერცხვენა... სირცხვილი.. (წამოდგება) კიდევ კარგი, რომ სოფელში არ ჩავსულვარ, თორემ სულ თავი მომეპრებოდა... (სოფლისაკენ გაიქცერის) მივიღვივარ ისევ უკან, საყვარელო სოფელი!... ძვირფასო მშობლებო, ძმაო... ჩემო საყვარელო თამრო. ეუბრუნდები ისევ ყაზარმას... გაძლევთ ფიცს, დაებრუნდები ვალ მოხდილი... ავასრულებ დაკისრებულ მოვალეობას... მშვიდობით ნაცნობო არე-მარევე, მინდორ-ველო, ქალაო და ჩანჩქერებო... მშვიდობით ჩემო თამრიკო!.. (გმირულად) შორს ჩემგან შიში!... დეე, წარესდგე სამსჯავროს წინაშე. ვკონებ მაპატიებენ ჩემს შეუგნებლობას. მივცემ რა მტკიცე ფიცს, არ გავექცე ხალხის კეთილდღეობისათვის სადარაჯოთ გასულ არმიას. ან სახელი, ან სიკვდილი! ნუ ვიგვიანებ. (გაეა).

ფ ა რ დ ა

მ მ ხ ა მ ე მ ო ლ ძ მ ე დ ე ზ ა .

(გასამართლება)

სცენა—სასამართლოს ოთახი. მარცხნივ დამნაშავეის სკამზე ზის გიგა. მარჯვნივ მოწმეები. სცენის უკანა მხარეზე მაგიდა, რომლის გარშემო სხედან მოსამართლენი, თავმჯდომარე, ყველა სამხ. პირნი არიან. გიგასთან სდგანან შეიარაღებული წითელ არმიელები. იქვე კომენდანტი.

გიგას იცავს—დამცველი, ბრალს სდებს—ბრალმდებელი.

მთავარი დანაშაული:

1. მან უღალატა მუშურ-გლეხურ მთავრობას.
2. მან იქურდა.
3. მან მოატყუა ამხ. წითელ არმიელი, რომელსაც მის მაგიერ ყაზარმაში დადგომას დაპირდა.

პროცესში მონაწილეობას იღებენ:

ლადო, მამა, თამრო, მიხა, არმიელები: ნიკა, ვანო, პოლიტხელი და სხვები. განაჩენი სურვილისამებრ.

სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა საზოგადოების დასტურით, თითოეული შემთხვევაში ცალკე.

სიუზანა.

იყავ საღარაჯოზე!

სურათი ერთ მოქმედებათ.